

644  
1959

1  
ՀԱՄԱԵՆՔԱՆ  
ԶԻՅԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ

Օրվա զրոյն

12

*ქალაქი*

ლიბერატორულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
შურობა



საპარტიველოს ალკვ ც. კ-სა და  
მწიგნობართა კავშირის ორგანო

*Handwritten signature in red ink*

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

5977

კ. ჯავრიშვილი — მღინარე ერთვის მღინარეს . . . . .	3
გ. ლეონიძე — ლექსები . . . . .	13
ნ. წულეისკირი — მოთხრობები . . . . .	17
ზ. ნიშნინაძე — ლექსები . . . . .	27
ო. მამფორია — ლექსები . . . . .	31
ო. ჩიჭავაძე — მე მას არ ვიცნობ (მოთხრობა) . . . . .	34
ჯ. ჩარკვინანი — ლექსები . . . . .	49
რუსი პოეტები — (ლექსები, თარგმნა მ. ლეზანიძემ) . . . . .	52
ა. თევზაძე — არ ვსურს ნახო? (ლექსი) . . . . .	62
ა. ბელიაშვილი — ვეფხია ხალიბაური (რომანი, გაგრძელება) . . . . .	63
ბ. მებურიშვილი — ლექსები . . . . .	85
ხ. ახმედ პაბასი — მამები და შვილები (თარგმნეს ბ. ნახუცრიშვილმა და თ. სვინტიძემ) . . . . .	86
შ. ბეღია — ლექსები . . . . .	99
თ. მანი — გზა სასაფლაოსკენ (გერმანულიდან თარგმნეს ჯორჯანდუგმა) . . . . .	101
ი. აროსია — ლექსები . . . . .	103

12

1959

**ქ რ ი ტ ი კ ა და კ უ ზ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა**

ს. კლდიაშვილი — სიტყვის დიდი ოსტატი . . . . .	109
ვ. ნატროშვილი — პოეტის გზა . . . . .	111
ქ. გამსახურდია — Ad honorem Saba Orbelliani . . . . .	117
ო. პაპკორია — „ნისლი ნახატარის ტყეში“ . . . . .	124
დ. თუხარელი, ო. ბაქანიძე — ერთხელ კიდევ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებზე . . . . .	131
თ. იშხნელი — საბავშვო წიგნები და მთარგმნელები . . . . .	134

**დეკემბერი**

სახელმწიფო  
გამომცემლობა  
„საბჭოთა  
საპარტიველო“



ნ. ძიძიშვილი — ივანე სენენოვი — რუსეთ-  
ში ფიზიოლოგიის ფუძემდებელი . . . 188  
ალ. გამსარელიძე — ბელგიელი მეცნიერი  
ბალავარიანის ერთი საკითხის შესახებ . 143

**სკორტი**

რ. ძორძია — მეოთხე ჩემპიონის მოლოდინში 146

**ქოველი მხრიდან**

ძრონიკა . . . . . 152



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე  
სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მე მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ქავჭავაძე, ს. ქილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-59 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეეყვება № 863. უე 07384. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 7.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვით  
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

კოხე ჯავახიშვილი

ქართულ ეროვნულ ჟურნალს

ლიტერატული ბრიგადირები

ლიტერატურაში ადრე თენდება, მაგრამ გათენებისთვის არ დაუცდათ.

მეტი ჯერ გორმალას იყო მოფარებული, როდესაც მყუდროება და სიჩუმე სოფლის თავიდან მომავალი ვაჟაკის ხმამ დაარღვია:

— პავლე, ჰოი, პავლე!

პავლე თვარაძე უკვე მწადა და თავისი ეწონ ჭიშკართან ელის რაჟდენს და ისევე როგორც გუშინ, და ისევე როგორც იმ კვირას, და ისევე როგორც შარშან, მაგრამ, ზალისიანად ართმევს ხელს და ღიმინოს ხუმრობას დაატანს:

— გეგონა, დღეს მაინც დამასწრებდი!

რაჟდენ თვარაძე ყველაზე მაღლა ცხოვრობს და მეზობლები მის ჩამოსვლას უცდიან.

— ჰოი, გურგენ! ახლა პავლე ეხმარება გურგენ თვარაძეს.

ენგელი მოწონელიძეს დაძახება არ უნდა, უკვე გზაზე დგას და პირველი შეაგებებს გამარჯვებას.

კიდევ ჩამოიქვეითეს და ახლა აივანზე გადმომდგარმა იუზა ხანთელაძემ უსურვა დილა-მშვიდობისა.

მერე აჩქარებული ნაბიჯით მომავალი გურამ გოქაძე წამოიწია:

მერე — ვაჟა და ზაურ გოქაძე დაემგზავრნენ;

მერე — ძმები გურგენ და ალექსი ლაშვი შეუერთდნენ ახლა უკვე ჯგუფად მიმავალ მგზავრებს.

ორღობე ჩამოვლილი არ ჰქონდათ, როდესაც მეორე მხრიდან მომავალ გუნდში შუქრი თვარაძის და ჟიურის ალავიძის ხმამალაღი ლაპარაკი და სიცილი მოეცნათ.

„ჩვედა კუთხიდან“ ტრიფონ და შალიკო ხეცურიანები მიეგებნენ და როდესაც „მესხაძეების კუთხიდან“ მომავალი ანზორ მესხაძე, არღევან გიორგობიანი, ჯუმბერ ელიანოვი და ბიძინა გოლოძე გამოჩნდნენ ლიტერატურული უკვე კარგა მოზრდილ რაშმეულად მიედინებოდნენ გზაზე. თუმცა გზას არც მიყუებოდნენ — პირდაპირ მოკლებზე ჭირდნენ დაღმართს, რომ მალე ჩამოიქვეითებინათ და ქილეში მოეყარათ თავი.

...მხოლოდ ახლა იკითხა რაჟდენ თვარაძემ:

აბა, ყველანი ხომ ხართ? — და მოათვლიერა მის გარშემო შეგუფუფული ბიჭები.

პასუხი არავის გაუცია, რადგან თვითონ რაჟდენზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა თუ ვინ იყო დღეს პირველ ცვლაში გამოსასვლელი. თანაც ჩვეულებამ თუ ათქმევინა რაჟდენს ეს სიტყვები, რომლებშიაც დასტური მეტი იყო ვიდრე შეკითხვა.

ლაჯანურბისის დასახლებიდან მომავალი მანქანების მძღავრმა შუქმა გაჰკეთა გათენების პირის ნისლნარევი ბინდი, ჯერ თითქოს ფერღობებზე შეფენილი ვენახები მოშინჯა, შემდეგ მოსახვევს მოეფარა, მერე ისევ ძლიერად გამოაშუქა და თაბორელმა შიო ახვლედიანმა მოწინავედ მომავალი „ზისი“ შეგროვილებთან დაამუხრუჭა.

— აბა, მალე, თორემ გვაგვიანდება!

— ჯერ ესე მოდით, ბილეთები შეიძინეთ! — ქალაქურად მოუქცია მძღოლის გვერდზე მჯდომმა. პასუხად სიცილი და წამოძახილები გაისმო:

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახკომპოზიტორი / 122

— ოთარს გაუმარჯოს, ოთარს საღამო!

მანქანის კაბინიდან მექანიკოსი ოთარ გრაკელი გადმოხტა:

— აბა, რაუდენ, მობრძანდი!

ისვე ავტოგუნდნენ მანქანები. ლაჯანურის ქალაში ვაიკავს და ახლა ორპირისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვინენ.

ფართოდ გაშლილი ხეობა უცებ შეიკრა. ახლო მისულმა ციცაბო ქარაფებმა შევიწროვეს ხეობა. ახლა ლაჯანურა სადღაც ქვევით, ხრამში ბორავდა და მის ზათსა და გრგვინვას მანქანების გუგუნვი და კლდეებში ათასჯერ განმეორებული გამოძახილი შეუერთდა.

აქ, ორპირის ვიწროვში, სადაც ლაჯანურა მკვეთს ტევრის ქედის კირქვის მასივს, აღრიანი დილის უძილო სინათლეს ჯერ ვერ ჩამოედევია, მაგრამ პროექტორების შუქი წვდებოდა უფსკრულის ძირამდე, სადაც დროებით კაშხალს შეიკრა გზა ლაჯანურის ქვევლებისათვის და მდინარე ინთქმებოდა გვირაბში.

კაშხალის ქვემოთ, მდინარის გამოშვლებულ ფსკერზე მომავალი მაღალი თაღოვანი კაშხლის საფუძვლად უყვე ჩაწყობილი იყო ბეტონის პირველი კუმბეტრები.

ბიჭებმა სწრაფად გადაიცვეს სამუშაო ტანსაცმელი, განიწილეს იარაღი, და თავთავის სამუშაო ადგილს მიაშურეს. სწორედ ამ დროს, ზემოთ, გზაზე ბეტონით დატვირთული პირველი თვითმძლელიც გამოჩნდა და აშწის ისარმა კაშხლისაკენ გადმოაცურა ბეტონით სავსე უშველღებელი ბაღია, წუხელ გამწადებული ყალიბის თავზე შეაჩერა, მერე გადმოაპირქვევა და ისევ დაიძრა გზისკენ, სადაც უყვე შემდეგი თვითმძლელი მოუთმენლად გუგუნებდა.

დაიწყო „დიდი ბეტონის“ დღე, როდესაც განუწყვეტელ ნაკადად მომავალი ბეტონიღვრად ჩადის ყალიბებში და მეტეონების სისწრაფე და მოხერხება წყვეტს თაღოვანი კაშხლის დროულად აგების ბედიღბალს.

მხოლოდ სამიღდ თვე იყო გასული მას აქეთ, რაც რაუდენ თვარაქმ თაღოვანი კაშხლის პირველმა ბრიგადისმა, თავი მოუყარა ლაჯანურების მშენებლობის ოცდახუთიღომეტრიან ფრონტზე გაბნეულ თანასოფლელებს და თაღოვანი კაშხლის პირველი ბრიგადა ჩამოაყალიბა.

ისინი ჯერ დამხმარე, მოსამწადებელ სამუშაოებს ასრულებდნენ. მბურღავმა ვეჯა გოქაქემ პირველი შპურები დაბურღა, ამფეთქებელმა პავლე თვარაქმ პირველი ლალუმი დააქუხა და შემოვლითი გვირაბის სათავესთან კირქვის პირველი კუმბეტრები ჩამოაყვავა.

კაშხალში ჩაწყობილი ბეტონის პირველი კუმბეტრები, მონგრეული ქანის პირველი კუმბეტრები, პირველი შპური და პირველი აფეთქება — ყოველიღვე ეს „პირველი“ შეიძლება გაციღებით უფრო ძნელი იყო ვიდრე შემდგომი ათასობით და ათათასობით აღნუსხული „მოცულღობანი“, რომლებიც ლიღალღებულმა შეასრულებს, რადღაც „მაღალღათღოვანი კაშხალიც“ ხომ პირველი ასეთი სახის ნაღებობა საბჭოთა კავშირში და მისი აგების გამოცდიღბები, ჯერ არავის ქონღდა არც მრავღლღანღად ჰიდრო მშენებელ ინჟინრებს და არც საქართვეღლოს ჰიდროენერღეტის ვეტერან მუშუებს, რომლებმაც ხრამღების და გუმბათღების, რიღონების და ტუბულღების ააგეს.

ლაჯანურების მშენებღობა კარგა ხნის დაწყებული იყო. ჰიდრომშენებლები ლაჯანურის ხეობაში ჯერ კიდღვე 1953 წლის იანვარში მოვიღდნენ, მაგრამ თაღოვანი კაშხლის აგებას მხოლოდ 1958 წელს შეუღდნენ. მანამღდე სღვა მრავალი რამ იყო გასაღეთებული: კაშხალი ცხინისწყალღზე, საღდრიღაციო არხი, გვირაბები...

ღიღალღებები ყვეღღან მუშოზღდნენ — ცაღდრელებსაც ეხმარეღდნენ კაშხლის აგებაში, ლაჯანურის გაღმა სოფლელებსაც: უსახლეღებებსაც და ორბლეღებებსაც მხარში უღდნენ გვირაბის გაჭრაში, მაგრამ 1958 წლის ზამთარში, როდესაც ლაჯანურების საამშენებლო ფრონტის ძირითადი „დამკვერღლი“ ძაღები, თაღოვანი კაშხლის მშენებღობაზე იქნა გაღმოყვანიღლი და „ფრონტის ხაზი“ უშუღლოდ ლიღალღის სანახებს მოაღღდა, ლიღალღებები დაეპატრონენ მშენებღობის ამ უზანს და ამ ღიღ ბრძოღაში თავისი გაღღამწყვეტი სიტღვა თქვეს.

თაღოვანი კაშხლის მშენებღობაზე პირველი ლიღალღელი ბრიგადის რაუდენ თვარაქმ იყო. იგი მშენებღობაზე პირველი დღეებიღდან მწგრევეღად და გვირაბის გაღყვანად მუშოზღდა, მერე ლაჯანურების საფარბიყო-საქარბნო სასწავღებღის ოსტატად გაღაღყვანენს და საღენით ბუნებრივი იყო, რომ იგი თავისი თანასოფლელების პირველ ბრავღდანს ჩაუღღდა სათავეში და მასვე ხღდა წიღად თაღოვანი კაშხლის ქვაბუღის გაწმენღა, ძირითად ქანებამღდე დასღვა და პირველი ბეტონის ჩაწყობა.

1958 წლის დღეემბრის 25 ისტორიული თარიღდა არა მარტო ლაჯანურების მშენებღოთავის და საქართვეღლოს ჰიდრომშენებღელთა მრავღლღანღადი და სახელღმღხვეღი კოლექტივი-სათვის, არამღდე მთელი საბჭოთა კავშირის ჰიდრომშენებღობისათვის. ამ დღეს საფუძღული ჩაეყარა საბჭოთა კავშირის პირველ მაღალღათღოვან კაშხალს. ასეთი კაშხალი ჩვენში ჯერ არ



აგებულა და მისი განხორციელებისათვის საჭირო იყო არა მარტო დამპროექტებელთა მტკიცებულება და გამბედაობა, იწინერთა და ტექნიკოსთა გამოცდილება და მაღალი ხელმოწერა, არამედ მისი მშენებელი მუშების ოსტატობა, გამჭრიახობა, შრომითი თავგადასვლა.

ამაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, აქ კი გვინდა გავარჯყოთ თუ როგორ მისხდა, რომ გუშინ და გუშინწინ ვენახებსა და ყანებში მომუშავე გლეხები ჩამოვიდნენ აქ, ორპირში — თანამედროვე მიდროტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით დაპროექტებულ და უახლოესი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილ მშენებლობაზე და როგორ დაეუფლნენ ასე ადვილად მიდროტექნიკის დიდ ოსტატობას.

ლაილაში რომ აიარათ, ერთ საკვირველსა და შეტად საინტერესო მიდროტექნიკურ ნაგებობას ანდა, როგორც კიდევ უწოდებენ „კასკადს“ შეხვდებით. ცხადია ეს ტერმინები თანამედროვე მიდროტექნიკის არსენალიდანაა აღებული, აქ კი გაცილებით უფრო მარტივ ნაგებობას დავინახავთ.

ლაილაშის ქვედა ნაწილში ერთი პატარა დელი მოედინება. მისთვის კალაპოტი შეუცვლიათ და წყალი საკმაოდ ციცაბო ფერდობზე დაუშვათ. ამ ფერდობს გაყოლებით კი, დელეზე, კრილონის მძივებივითაა ასხმული პატარა „ბუჭულა წისქვილები“, ზედინედ, მიჯრით, ერთი წისქვილიდან გამომდინარე წყალი უმაღლე მეორის „სათავე ნაგებობაში“ წვდება და ქვის კოდის შემვრობით ვერტიკალურად ეცემა მეორე წისქვილის ბორბალს, ასე, რომ წყლის დაწნევის არც ერთი მეტრი უქმად არ იყარება. წისქვილის შენობები მკვიდრება აგებული აქვე მოპოვებული შესანიშნავი, მსუბუქი და გამძლე მასალისაგან — სონდოსიდან.

სონდოი — კირქვის ტუფი ანუ ტრავერტინი, ძველთაგანვე ცნობილი საქართველოს ბურთომოდერნაში, და მას, როგორც ადვილად დასამუშავებელ მასალას (იგი ადვილად ითლება ნაჯახითაც კი), ზშირად ხმარობდნენ ტაძრების აღდგენის დროს, მეტადრე ფიგურული ნაწილების, მავალითად, კარნაზების გამოსაკვეთად.

როგორც ჩანს, ადრე ლაილაშელები სონდოსის ფართოდ იყენებდნენ. ლაილაშის მთავარ ქუჩაზე რომ აივლით, დინახავთ ახლა უკვე საკმაოდ შედახულსა და გაპარტახებულ სახლს, რომელიც დღეს მოწე მარდახაშვილს ეკუთვნის. მე არ ვიცი გასული საუკუნის რომელი წლებით თარიღდება მისი აგება, მაგრამ მთელი საქართველო რომ მოიაროთ, ძნელად შეხვდებით ასეთ ლამაზ და „კეთილნაგებ“ საცხოვრებელ შენობას. იგი მთლიანად სონდოსით და იშვიათად მიკნებული პროპორციებითაა აგებული. ფართო, ქვის თაღებით დამშვენებული აივნები გადასცქერიან ლაჯანურის ხეობას... მითხრეს, ლაილაში კიდევ არის ასეთი სახლები, ისინი არ მინახავს, მაგრამ ეს სახლი უდავოდ უნდა დავიცვათ და თუ ოდენმე განხორციელდება ქართული სახლის მუზეუმის მოწყობის პროექტი ამ ლაილაშურ სახლსაც საპატიო ადგილი უნდა მიუჭინოთ...

ამ სახლის გამო სიტყვა გავვიგრძელო, თუმცა ესეც ხომ ლაილაშელთა სააღმშენებლო ტრადიციებს ეხება.

ლაილაშელთა მიერ აგებულმა კოდის წისქვილებმა ახლა ერთგვარი მოდერნიზაცია განიცადეს — ქვის კოდები ახლა უფრო გამძლე რკინის მილებმა შეცვალა...

ამგვარად, ქვის მოპოება, მისი დამუშავება და ამ ქვით შენობების აგება არ იყო უცხო საქმე ლაილაშელი გლეხებისათვის, მაგრამ მათი ძირითადი სპეციალობა, მაინც მიწის სამუშაოები იყო — ვენახებისათვის მიწის გადაბრუნება და სარწყავი არხების გაყვანა.

ლაილაშელების მეორე, აგრეთვე ტრადიციული პროფესია, ისევე როგორც ყველა რაჭველისა და ლეჩხუმელებისათვის, დურგლობა და ხის დამუშავებაა.

ამ ტრადიციულ პროფესიებს საქართველოს მრავალი კუთხისათვის დღესაც შემორჩენილი აქვს თავისი მნიშვნელობა — თბილისის ქვაფენილებისა და მრავალი სახლების მოსაპირკეთებელი ქვები ირაგვლების გათლილია, ხოლო შორეული მთა-თუშეთის სოფელ დიკლოშიც მინახავს რაჭველების მიერ აგებული სახლები.

ამგვარად, ლაილაშელი კაცისათვის არ იყო უცხო სააღმშენებლო ხელოვნება და ამასთანავე მიდროტექნიკური მშენებლობაც — თანამედროვე მიდროტექნიკის ხომ არსებითად იმ პატარა ბუჭულა წისქვილების პრინციპზეა აგებული. ლაილაშელებს სისხლში აქვთ გამგდარი მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გამოცდილება, ხელმარჯვეობა და ალღო.

ეს პირველი გარემოებაა, რომელიც ლაილაშელთა წარმატებას დაედო საფუძვლად.

ამასვე უნდა დავმატოს ისიც, რომ კახალზე მომუშავეთა შორის იშვიათია საშუალო სკოლა დაუმთავრებელი, ყოველმემთხვევაში შვიდწლედამთავრებელი ანდა რამდენიმე კლას-გავლილი მუშა.

1959 წელს ლაილაშის სრული საშუალო სკოლა დაამთავრა ოცდამეორე გამოშვებამ. თუ ვივარაუდებთ, რომ 1936 წლამდე, როდესაც სკოლა სრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, აქ



უკვე მრავალი წლის განმავლობაში (1902 წლიდან) ჯერ სამრევლო სკოლა, ხოლო შემდეგ შეიქმნა არსებობდა, ადვილად წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ცოცხელ ლიალასეულს ეს სკოლა აქვს დამთავრებული. ამ კედლებიდან გამოუტანია პირველი ცოდნა და შრომითი ჩვევებიც, რადგან ლიალასეული მოწაფეები არამარტო კოლმეურნეობაში შრომობენ, არამედ თავისი წვლილი შეაქვთ მშენებლობაშიც. სკოლის კაპიტალური რემონტი, მაგალითად, მათვე კლასულ მშენებელთა ბრიგადას აქვს მიწოდებული, ხოლო ლაჯანურაძის თაღვანი კაშხალის მშენებლობაზე ლიალასის სკოლის მეცხრე კლასელები მუშაობენ. ეს მეორე გარემოებაა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა იქონია მუშების დაოსტატების საქმეში. მესამე და გადამწყვეტი ისაა, რომ ლიალასეულებს მათი საკუთარი სახლის კართან გაშლილი ეს დიდი მშენებლობა მათი პირადი საქმე იყო. იგი მათთვის ნივთიერი და რეალური განსახიერება იყო იმ დღისა და ნათლისა, რომელსაც კომუნისმის მშენებლობა ეწოდება და რისთვისაც მათმა მამებმა თავი დასდეს ჯერ 1903 წელს, ხოლო შემდეგ ლეჩხუმის 1918 წლის რევოლუციური მოძრაობის დღეებში.

ლიალასელები, ამჟამინდელ თვისი სოფლის ისტორიული და რევოლუციური წარსულით.

გასული საუკუნის შუა წლებში ლიალასი სამეგრელოს სამთავროს მარჯის ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრად იქცა. ეს იყო სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ბატონობის წლებში, როცა ლიალასის მარჯის განაგებდა „მეორე ხარისხის მდივანბეგი“ ფარნაოზ გელოვანი. ახლა მისი ნასახლარიღაა შემორჩენილი და დიდ ფლაცხვას, რომლის თავზედაც ეს სასახლე იყო წამოკიშული, დღესაც „ბატონის კლდეის“ უწოდებენ, ხოლო კრულის სახით დარჩენილია მიძახილი „შენ ვადვარდი ბაონის კლდეშიო“... თვით სოფელსაც სავაჭრო დაზისათვის დამახასიათებელი ცენტრი შერჩა—ერთმანეთზე მიყრილი დუქნებითა და ნადუქნარებით.

დღევანდელი ლიალასი კულტურული და აუჯანყებული სოციალისტური სოფელია.

არ ვიცი, იფიქრებს თუ არა 1958 წლის დეკემბრის 25-ს ორპირის ვიწრობაში ლაჯანურის ახლად გაშენებულ კალაპოტში მომავალი კაშხლის ქვაბურთან შეკრებილი მშენებლობის უფროსმა გიორგი წულეისკირმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცაკერის რაიონული კომიტეტის მდივანმა გრიგოლ ჩაჩხიანმა, თაღვანი კაშხალის მშენებლობის უფროსმა მიხეილ აბზიანიძემ, სამუშაოთა მწარმოებელმა პირველი ბრიგადის წევრებმა, რომლებმაც პირველი ბეტონი ჩააწყვეს, თუ რა დიდი გზა უნდა გაევილით მათ სამშობლო ქვეყანას, რამდენი ბრძოლა უნდა გადაეტანა და რამდენი შრომა დაეხარჯა, რამდენი უნდა გამოევილით თვით მათ — ქართველ ინჟინრებსა და პარტიულ მუშაკებს, გუშანდელ გლეხებს და დღევანდელ პირობებში მდებარეებს, რომ დღეს ქართველ მუშებსა და ქართველ ინჟინრებს საფუძველი ჩაეყარათ ქართველი მეცნიერების მიერ დაპროექტებული ურთულესი პირობებში ურთულესი ნაგებობისათვის.

ამ საწინააღმდეგარე წუთებში ყველაფერი გაეთდა, რაც ასეთ შემთხვევებში კეთდება ხოლმე:

წარმოთქვას სიტყვები:

გიორგი წულეისკირმა ხახადაღებულ ქვაბულში ისროლა ტრადიციული შამანურის ბოთლი, რომლის ნამსხვრევებმა შეხვებოვით გაიფლავა ზამთრის უძილო შვის სხვებზე და მძღოლმა გერონტი ხეტურაიანმა ბეტონით დატვირთული პირველი თვითმცლელი ჩაცალა თაღვანი კაშხლის პირველი ბლოკის ყალიბში.

ასე დაიწყო ნიშნულიდან თაღვანი კაშხლის მშენებლობა.

მდინარის კალაპოტის სამუშაოებს თავიდან რაჟდენ თვარაძის მცირერიცხოვანი ბრიგადაც მყოფნიდა.

პირველი ბლოკის ყალიბი სულ რამდენიმე კაცმა შეჰკრა და დააბეტონა.

ესენი იყვნენ ლიალასელები:

- რაჟდენ თვარაძე,
- პავლე თვარაძე
- ვაჟა გოჭაძე,
- ბიძინა გოლოძე,
- გურგენ თვარაძე;

ორბელელები:

- ონისიმე გოგებაშვილი,
- შოთა გოგებაშვილი

და საზაგორელი

ილია ლეშქაშელი.

ეს სია მცირე განმარტებას საჭიროებს. მე მას იმ ისტორიული წუთიდან ექვსი თვის შემდეგ ვადგენდი. კაშხალის სიმაღლე უკვე ორმოცდაათ მეტრს იყო გადაცილებული და ახლა

კახულის საპროექტო სიმაღლე „498“-სათვის მიდიოდა ბრძოლა, გასული დღეების ზოგადი წყარო მდინარე დასადგენი იყო, რადგან ჰიდრომშენებლის მიმდინარე მუშაობის აქტივნი უზრუნველყოფდა, ვიდრე გასულ საქმეთა აღნუსხვას. მართალია დამაწერინეს, რომ ონისიმი და შოთა გოგებაშვილები ორბელილები არიანო, მაგრამ მირჩიეს, ისიც აღმნიშნა, რომ ონისიმი გოგებაშვილი თუმცა ორბელიდანაა, მაგრამ ბავშვობის წლები ლილაშვილი აქვს გატარებული და საშუალო სკოლაც ისა აქვს დამთავრებული.

განმარტებას საჭიროებს ისიც, რომ ზემოდასახელები სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი პავლე თვარაძე და ამფეთქებელი პავლე თვარაძე სულ სხვადასხვა დამაინები არიან-თუმცა ორივე პავლე — ინჟინერი პავლესა და ამფეთქებელი პავლეს ლილაშვილები არიან.

მე ჩავიწერე ყველა ეს ცნობა და ჩემსხრივ მხოლოდ ის დავუმტე, რომ იქ დასწრეთაგან არც სხვები არიან შორეულები. მიხეილ აბზიანიძე, მაგალითად, გუბელია, გუბი — კი აქვე, წულუკიძის რაიონშია... ამაზე მიხატეს, რომ შორეული ამ ჩვენს ქვეყანაში არაფინაა, მაგრამ აქვე აღმანიშინეს, რომ ცაგერის რაიონის მდივანი გრაგოლ ჩაჩხანიძე ლილაშვილია და მშენებლობის უფროსს გიორგი წულესიკირსაც ბავშვობა ლილაშვილი აქვს გატარებულიო...

ამგვარად, ლილაშვილებმა საძიარკველი ჩაუყარეს თაღვან კახულის, დაიწყეს მისი შენება და ამიერიდან მათი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ამ მშენებლობას.

აღამიანი ცხოვრებას ყოფს გარკვეულ მონაკვეთებად, რომელთა მიჯნაზე მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღებია აღნიშნული.

ყველა აღამიანს საყუთარი ბიოგრაფია აქვს: დაიბადა, სკოლა დამთავრა, შვილი შეიძინა... ჰიდრომშენებელთა ბიოგრაფია იმ დღემა გრაფიკმა შეცვალა, რომელსაც „თაღვანი კახულის მშენებლობის კალენდარული გრაფიკი“ ერქვა და მშენებლობის მთავარი ინჟინრის რევაზ კლდიაშვილის სამუშაო ოთახის კედელზე ეკიდა. მეცე ანთი გრაფიკები თანდათან მშენებლობის სამმართველოს ყველა ოთახში გაჩნდა, მეცე ყველა ინჟინრების, ტექნიკოსების და ბრიგადირების გულის ჯიბებში...

ახლა ლაჯანურების მშენებლობაზე ყველანი — მშენებლობის უფროსი გიორგი წულესიკირი თუ ამწის მემანქანე პეტრე ხაბაჟურიძე, ცვლის ოსტატი ვარლამ ზეცურიანი თუ მებეტონე ანროს მებსხაძე, დიდი თუ პატარა („დიდად“), ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვივულისხმოთ მშენებლობის უხუცესი მუშა მეყალიბე დურგალი რაჟდენ გურგუჩიანი, რომელიც 1897 წელსა დაბადებული, ხოლო „პატარად“ — მებეტონე იუზა მახარობლიძე, რომლის დაბადების წელი 1941 წელსაა), ქალი თუ კაცი (არც ესაა ლიტონი სიტყვა — ქალიბი მუშაობენ კახულის — მაგალითად თუნდაც ოცდასამი წლის ჰიდროტექნიკოსი, თათარი პილიშვილი ლია დონსკაია გამოდგება, რომელმაც წელს დამთავრა ზაპოროჟიის ჰიდროენერგეტიკული ტექნიკუმი და ახლა კახულის ოსტატად მუშაობს), მოკლედ, ყველანი ამ გრაფიკის მიხედვით ცხოვრობდნენ:

- როდესაც საპროექტო ნიშნულამდე ავალთ...
- როდესაც წყალს გავუშვებთ...
- როდესაც წყალმიმღებს დავამთავრებთ...
- როდესაც ავრეგატი ამუშავდება...

მაგრამ, როგორც იტყვიან, ცხოვრებას სწორად შესწორება შექმნდა ამ კალენდარში.

შესწორება კი, როგორც ცნობილია, შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც.

აბა ვინ იფიქრებდა, როცა დროებითი კახალი ააგეს და მდინარის კალაპოტის ნაწილი დააშრეს, რომ აქ უშველებელი „დევის ქვაბი“ \* აღმოჩნდებოდა, რომელმაც მშენებლები აიძულა 14 მეტრით უფრო ღრმად ჩახულიყვნენ ძირითად ქანაშვი, ვიდრე პროექტით იყო გათვალისწინებული. ამ სიღრმემდე ნაპირზე დადგმული ექსკავატორის ხორთუმი ვერ წვდებოდა, ამიტომ მოუხდათ ამ ექსკავატორის დევის ქვაბის პირზე დაკიდება და იმდენი გამოფიტული ქანის ამოღება, რომ საგემო განყოფილების გამეც და ანთი მდინარის ძლივს აუღიოდნენ აქტების შედგენას იმ „ზეგემოით“ სამუშაოების გამო, რომელნიც არცერთი გემით არ იყო გათვალისწინებული და რომელთა გადამეტებით შესრულებაში არც პრემიის მიღებას ფიქრობდა ვინმე.

ანდა, ვინ იფიქრებდა, რომ იანვარში ისეთი თოვლი მოვიდოდა, ყველა გზები შეიკვრებოდა.

იანვრის „ერთ მშვენიერ დღეს“ რაჟდენ თვარაძემ ძლივს გაიკვლია წელსზემით შემომდგარი თოვლი და ჩვეულებისამებრ შეესმინა მეზობლებს. ახალგაზრდა ბიჭებმა ბრიგა-

\* „დევის ქვაბი“ — მდინარის კალაპოტში წყლის მიერ დიდი ქვის ერთ ადგილზე ბრუნვის შედეგად გაჩენილი ორმო.





ღირი უკან მოიტოვებს და შენაცვლებით მკერდით ებრძოდნენ გაუტეხვ თოვლს, დამის გან-  
შავლობაში რომ ყველა გზა შეიქრა, და კაშხალისაკენ მიიწვიდნენ.

ქილეთთან მანქანა არ დაუხვდათ. გზა ჯერ გაწმენდილი არ იყო. როდესაც ორიპის დაუ-  
ახლოვდნენ, ახალი ნაკვალევი შეამჩნიეს. მერე ვიწრობის უელში იმ ერთ ნაკვალევს მარჯვენა  
ნაპირიდან მეორე ნაკვალევი შეუერთდა, რომელიც სოფელ უსახელოდან მოდიოდა. ეს მხო-  
ლოდ პავლე თვარამე (ინჟინერი პავლე) შეიძლება რომ ყოფილიყო, რომელიც უსახელო-  
ში — ცოლოურში ცხოვრობდა. ვიწრობაში შევიდნენ და ღამე ჩამოსულმა ზვავმა შეუქრა გზა.  
ახლა კაშხალზე დროებით წამოსუბებული ფიცრულიც გამოჩნდა და ოთარ გრაკელის  
შხიარული ყუინაც გაისმა. უბნის მექანიკოსი ღამიდანვე დაძრულიყო ლაჯანადან და ახლა  
ძლივს მოედწია აქამდე. მთელი ღამე არ უძინია, ტუმბოს მორიგე მემანქანის ამბავი აწუ-  
ხებდა — ის ხომ მთელი ღამე მარტო მორიგობდა და წყალს ტუმბავდა, რომ წყალს ქვაბუ-  
ლი არ ამოევსო.

— მალე, ბიჭებო, მალე! — აჩქარებდა გრაკელი ღალიაშვილებს, რომლებსაც ვერ გაე-  
გოთ, რა იყო საჩქარო. პავლე თვარამეს საწყობიდან ნიჩბები გამოეწიდა და სადღაც ქვეით-  
კენ უჩვენებდა ხელით.

ღალიაშვილებმა მხოლოდ ახლა დანახეს, რომ სატუმბავი დანადგარის ფიცრული არსად  
ჩანდა. ტვირის ქედიდან წამოსულ ზვავს მთლიანად ამოევსო მდინარის კალაპოტი და ფიც-  
რულიც ზვავს ჩაეყალბა.

ახლა კი აუჩქარეს ბიჭებმა ნაბიჯს. ძლივს გაიკვლიეს გზა იმ ადგილამდე, სადაც ვარაუ-  
დით ტუმბო უნდა მდგარიყო. საიმედო ერთი იყო — ზვავი უცებ კი არ მომსყდარა მთიდან.  
ციცაბო კალთებზე თოვლს ფეხი ვერ მოეკიდებინა და თანდათან მდინარის კალაპოტში ჩა-  
სულყო.

დაიწყეს თოვლის თხრა და იმ გაუჩუბულ მიდამოში, უცებ ტუმბოს ძლიერი დგანდგარი  
გაისმა.

— არიქა, ბიჭებო, ცოცხალი ყოფილა! — და კიდეც შეტი გაფთრებით ეკვითნენ თოვლს.  
კიდეც რამდენიმე წუთი და ფიცრულის კარებს მიადგნენ. გადაყარეს თოვლი და კარი  
ღამის შეამტვრიეს.

- ცოცხალი ყოფილა, ცოცხალი ძია მიშას გაუმარჯოს!
- გაკვირვებული მემანქანე თვალბებს იფშენებდა:
- რა მოხდა? რა გაკვირებთ?

თურმე მემანქანე ღამის გათენებას ელოდებოდა და არხინად თვლემდა თოვლით დასამა-  
რებულ ჯიხურში. ამაზე ძალიან ბევრი იცინეს. აღამიანის გადარჩენის სურვილმა კი ამ რამ-  
დენიმე აღამიანს ათუღობით კუმბეტრი თოვლი მოათხრევინა და როგორც ოთარ გრაკელმა  
თქვა: „ყველა ნორმას გადააპარბებინა“.

ნორმის გადაპარბება თაღვანი კაშხალის მშენებლებმა მარტო გაჭირვების დღეებში რო-  
დი იცოდნენ.

მაშინ თოვლმა კარგა ხნით შეაფერხა მუშაობა, მაგრამ ორივე ეს „შესწორება“, ბუნებამ  
შეიტანა მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში, მრავალი მართებული შესწორება შეიტანეს  
ამ გრაფიკში თვითონ მშენებლებმაც. 1958 წლის დეკემბერში მშენებლებმა მხოლოდ 314 კუმბ-  
ეტრი ჩააწყვეს კაშხალის საძირკველში. შემდეგი თვეების განმავლობაში თოვლმა და უამინ-  
დობამ მოაღუნა მშენებლობის ტემპი და მხოლოდ გაზაფხულზე გახდა შესაძლებელი მუშაო-  
ბის გაშლა.

აქამდე გრაფიკში მხოლოდ უარყოფითი შესწორებანი შექმნდა მშენებლობის შტაბის—  
საწარმოო განყოფილების უფროსი ხანშიშესულ ინჟინერ რუბენ მელიქ-ფაშაევს, რომელსაც  
მრავალ მშენებლობაში მიუღია მონაწილეობა და არც თუ ისე ადვილად აჰყვა ამ „ღრობითი  
წარუმატებლობით“ შემოფოთებულ ახალგაზრდა ინჟინრებს.

სანამ ეს წარუმატებლობის პერიოდი გრძელდებოდა, მშენებლობის უფროსი და მთავარი  
ინჟინერი, სადამშენებლო ფრონტის „მთავარი დარტყმის“ მიმართულებით დამკვრელი ძალე-  
ბის მოშალებას უნდებოდნენ ისე რომ, როდესაც დაიწყებოდა „დიდი ბეტონის“ დღეები,  
თაღვანი კაშხალის მშენებლებს არაფერი არ მოაკლდებოდათ — ბეტონი თუ საყალიბებ ხე-  
ტუცი, საარმატურო რკინა თუ ის ათასი რამ, რაც საჭიროა კაშხალის შეუფერხებელი მშენებ-  
ლობისათვის.

გამოიდარა თუ არა, კაშხალისაკენ დაიძრა ბეტონით დატვირთული თვითმცლილების უწ-  
ვეტი წყება.

და აი, მაშინ კაშხალის მშენებლებმა უჩვენეს თუ რისი გაკეთება შეუძლია მშრომელ  
აღამიანს, როდესაც მას საქმის სიყვარული და ერთგულება ამოპარავებს.



თაღოვანი კაშხლის ბეტონის ჩაწყობაზე ახლა ასიოდე კაცი მუშაობდა. გუმინდელი რეგულაციის მშენებლები და დურგლები, დღეს ბრიგადირები გახდნენ.

რადღენ თვარაძის გარდა ბრიგადებს სათავეში ჩაუდგენ

შუქრი თვარაძე,

ვაჟა გოქაძე,

გრიგოლ ხეცურიანი.

ამ ოთხმა ბრიგადამ და მათმა ბრიგადირებმა წიღეს თავისი მხრებით „დიდი ბეტონის“ დღეების მთელი სიმძიმე. მაგრამ იმისათვის, რომ ცხადი გახდეს თუ რა გააკეთეს ლილაშელმა ბრიგადებმა და მათმა ბრიგადირებმა, უნდა ვიცოდეთ თუ რა იყო გასაკეთებელი.

შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით ლაჯანურჰის შორს ჩამორჩება იმ ბუმბერაზ ჰესებს, რომლებიც შენდება ციმბირის უდიდეს მდინარეებზე. იქ სულ სხვა მასშაბებია და თუ თქვენ გაზეთში ამოიკითხავთ, რომ ბრატსკის ჰიდროელსადგურის კაშხლის სხეულში მხოლოდ შეიძლება მერე წლის განმავლობაში 1,8 მილიონი კუბმეტრი ბეტონი უნდა ჩაიწყოს, ხოლო ლაჯანურჰის თაღოვანი კაშხლის სხეულში სულ 25.000 კუბმეტრია ჩაწყობილი, ამ რიცხვების შედარებამ შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეგიქმნათ ლაჯანურჰის თაღოვანი კაშხალზე. მაგრამ ამ რიცხვებმა შეიძლება ლაჯანურჰის სასარგებლოად ილაპარაკოს.

თუ შედარება არ მოვიშალეთ და ანალოგია მოვიშველიეთ, ბრატსკის კაშხლის მშენებლობა შეიძლება დიდი გრანიტის ლოდის გამოთლას შევადაროთ, ლაჯანურჰის თაღოვანი კაშხალი კი პატარა, მაგრამ ძვირფასი სპექტაკლის სათუთად დაწახანებას.

ბრატსკის კაშხლის სიქე ასეული მეტრებით გაიზომება, ლაჯანურჰის თაღოვანი კაშხლისა — კი ერთეულით. თაღოვანი კაშხალი იმ გარდაიხუთჯ კვარყილებთან შედარებით, რომლებმაც ციმბირის წყალმარავალი მდინარეების მონადეგებულ ტალღებში უნდა შეაკავონ, უმნიშვნელო რამ გარსია, მაგრამ ამ გარსის შესაქმნელად დიდი საამუშევრო ხელოვნება საჭიროა.

თუ დიდი და მძიმე, ეგრეთწოდებული გრავიტაციული კაშხლების აგებაში საბჭოთა ჰიდროენერგეტიკოსებს მდიდარი გამოცდილება აქვთ, თაღოვანი კაშხალი, ახალი ტიპის პირველი კაშხალია საბჭოთა კავშირში და იმისათვის, რომ ეს პირველი ცდა წარმატებით ჩატარდეს, საჭიროა დამპროექტებლების მიერ განზრახული შენებლობა ზუსტად შეასრულონ. ამისათვის საჭიროა ბეტონის ჩაწყობის მეტად სასტიკი ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა. ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას კი ფიზიკლად და მოუშორებლად რამდენიმე ათეული თვლი ადევნებს.

თაღოვანი კაშხლის უფროსს მიხეილ აბზინიძეს და უფროს სამუშაოთა მწარმოებლებს პავლე თვარაძეს, რენო ქრისტეფორიძის და დეო ბლიაძეს კაშხლის ოსტატებს — იაკობ ქარსელაძეს, ვალიკო ხეცურიანსა და ლია დონსკაიას თუ არ ვიგულისხმებთ, მათ გარდა რამდენიმე საკალიფო ინსტიტუტის მიერ სამუშაოთა შესამოწმებლად საგანგებო საკონტროლო ჯგუფებია მოვლინებული.

თბილისის ჰიდროენერგეტიკის სამცხე-საქველი ინსტიტუტის საკონტროლო ჯგუფი ცნობილი ქართველი „მეტრონის“ — ბეტონის სპეციალისტის პეტრე წულუკიძის ხელმძღვანელობით თვალმოუშორებლად ამოწმებს კაშხალში ჩაწყობილი ბეტონის ყოველ კუბკუორ მტრს.

ჰიდროენერგეტიკის საკავშირო საკვლევმა ინსტიტუტმა საგანგებოდ დააწესა, ააგო და კაშხლის სხეულში დაბეტონების დროს ჩააყობა ხუთსამდე საგანგებო ხელსაწყო, რომელიც თვალს აოგინებს ბიკონის მასივში მიმდინარე პროცესებს და ცნობებს გადაცემს კაშხლის ქვედა პოლს მხარეს მერცხლის ბუდეებით აკრულ მართვის პულტებს.

ამ პროცესებს კიდევ თვალს ადევნებს ლაჯანურჰის მთელი სააღმშენებლო სამმართველო და მომავალი ჰიდროელსადგურის დირექცია, რომელიც სწორეთ ამისთვისაა მოწოდებული, რომ სამუშაოთა ხარისხი შეამოწმოს...

ამდენ ფიზიკლ და მომთხოვნ მეთვალყურეთა ყურადღებას ძნელია გამოეპაროს რაიმე დარღვევა ბეტონის წყლის დადგენილი წესისა.

ბეტონის რთულ ტექნოლოგიასთან ერთად კაშხალს, როგორც ჰიდრომშენებლები ამბობენ, მეტად „რთული გეომეტრია“ აქვს. იგი შეიძლება შუაზე გაჭრილი კვერცხის ნაჭუქს შევადაროთ, რომლის ამოზურცული მხარე მდინარის დინებისაკენ ანუ ზემო ბიფისკენაა მიმართული. კაშხალი გვერდზე დაწვენილ თაღს გაეს. ამ თაღმა უნდა იტვირთოს რამდენიმე მილიონი კუბმეტრის შეტბორებული წყლის მთელი სიმძიმე. ამ თაღის გამოსაყვანად დამპროექტებ-



ბული სიძრულის დაცვას კიდევ ერთი ფხიზელი თვალი ადევნებს. იგი მშენებლობის უფროსული მარტყოფიერი გრიგოლ ოღნოროვა.

ცხადია, სოფლიდან მოსული ბიჭები ვერ შეასრულებდნენ ყველა ამ მოთხოვნილებას, ვერ შეიგნებდნენ, ვერ გაიგებდნენ და ვერ შეისისხლხორცებდნენ, რომ მათ არ ჰქონოდათ მიღებული ის განათლება, არ ჰქონოდათ შეთვისებული ის ზოგადი კულტურა, რომელიც მათ მიიღეს სკოლაში, კომკავშირში, ხოლო ჯარგამოვლილებმა, — ჯარში სამსახურის დროს.

მხოლოდ მყარი ცნაწარა უდევს საფუძვლად თაღვანი კაშხალის მშენებელთა შრომას.

რადგან ვიცოდით, რომ თაღვანი კაშხალის მშენებელთა შორის მცირემცოდენი თითქმის არ იყვნენ, კადრების განყოფილების თანამშრომელს ვთხოვე შეედგინა თაღვან კაშხალზე მომუშავეთა სია და სამი მონაცემი აღენიშნა: განათლება, პარტიულობა და დაბადების წელი. უმეტესობა 1935 წლის შემდეგაა დაბადებული. პარტიულობის უჯრედში მხოლოდ სიაში პირველად აღნიშნულის კიდევ ერთი „კომკავშირის წევრი“ — მერე კი დანარჩენებისათვის ქვევით ვინწყალები დაუსვით.

განათლებასა და დაბადების წელს შორის გარკვეული კანონზომიერებაა — 1935 წლამდე დაბადებულებს 5-6-7 კლასის განათლება აქვთ აღნიშნული, ხოლო შემდეგში დაბადებულებს ან დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა, ან მუშათა ახალგაზრდობის სკოლის უკანასკნელ კლასებში სწავლობენ.

როდესაც თაღვანი კაშხალის მშენებლობის დაძაბულ დღეებში თვალს ვადევნებდი ლაღაშელი ბრიგადირების მუშაობას — სიტყვებმა „შემოქმედებითი შრომა“ რეალური და ამასთანავე მეტად ტვავდი შინაარსი შეიძინა და ხელშესახები გახდა.

არც ერთმა ინსტრუქციამ და განკარგულებამ არ შეიძლება წინასწარ გაითვალისწინოს ყველა შემთხვევა, რომელიც მშენებლობაზე შეიძლება მოხდეს, რადგან, თუმცა დამპროექტებლებმა დაგვიმეს, სამუშაოთა მწარმოებელმა მიუთითა, მაგრამ როდესაც დგება შესრულების წუთი, ერთი რაღაცა პატარა რამ აშლის ხოლმე ყველა გეგმას, მუშაობის შეჩერება კი არ შეიძლება:

ბეტონი მოდის და თუ დროზე არ ჩაახსი ყალიბში, გამაგრდება და უვარგისი გახდება...

და აი ამ წუთებში, როდესაც მეტეტონები მზად იყვნენ მიეღოთ ჰაერში დაკიდებული ბეტონით ხავს ბაღია, დაეცალათ იგი და შესდგომოდნენ ბეტონის გასწორებასა და ვიბრატორების საშუალებით დატკეპნას, სწორედ ამ წუთებში ამწის ისარი ერთი-კი შექანდა ჰაერში და უღონოდ შეჩერდა... და სანამ მონტიორები და მექანიკოსები არკვევდნენ გაჩერების მიზეზს და სასწრაფოდ შეუდგნენ ამწის რემონტს, ზემოთ, გზაზე უკვე რამდენიმე ბეტონისმონი-დავი თვითმცლელი დადგა რიგში... რაუდენ თვარაქმ სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო. სანამ სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი და ცვლის ოსტატი ამოვიდოდნენ კაშხალის ქვედა ნაწილიდან, რაუდენმა უკვე ვასცა განკარგულება და ბიჭებმა სწრაფად დაიწყეს ფიცრის დარების დაგება. რამდენიმე წუთის შემდეგ ბეტონის დვარი წამოვიდა და გზასთან ახლოს მდებარე და ხვალისთვის დასაბეტებლად გამზადებული ბლოკის დაბეტონებას შეუდგნენ. ამგვარად, არც დრო დაკარგულა და არც ბეტონი ვამცდარა. ცხადია, სამუშაოთა მწარმოებელმაც და რამდენიმე წუთის შემდეგ იქ გაჩენილმა კაშხალის მშენებლობის უფროსმა მხარი მისცეს ამ გადაწყვეტილებას.

აღბათ, ბრიგადირების რაუდენ თვარაქმს, შუქრი თვარაქმს, ვაჟა გოჭიძის და გრიგოლ ხეცურიანის დამსახურებაა, რომ კაშხალის ყველა მუშამ ზუსტად იცის თავისი ვალდებულება. სწორად — ვალდებულება და არა ხელობა, რადგან მშენებლობაზე პროფესიონა ურთიერთ-შენაცდლება კანონად არის გადაქცეული.

სხვადასხვა ცვლისა და ბრიგადის მუშაობას დაგვირგვინებარ და ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ აქ, კაშხალზე არსებობს მუშაობის გარკვეული სტილი — ყველა აკეთებს იმას, რაც მას დაავალეს, მაგრამ არა ერთფეროვნად და სტანდარტულად.

ივლისში, როდესაც დაიწყეს შემოსაველი გვირაბის დაბეტონება, აღმოჩნდა, რომ ძირითადი ამწის ისარი გვირაბის შესავლელამდე ვერ მწვდებოდა. სხვა, ახალი ამწის დადგმა დიდ დროს წაიღებდა. მაშინ გადაწყვიტეს მოეწყო დამხმარე მოედანი იმ კლდის თავზე, სადამდეც ამწის ისარი უწევდა და საიდანაც მოსახერხებელი იყო საჭირო ადგილამდე ბეტონის მიწოდება მილის საშუალებით.

ამ კლდის თავზე კაც იფხვს ძლივს მოიკიდებდა, არც მისასვლელი ჰქონდა, ახე რომ „სამუშაო ფრონტიც“ არ იყო და მის შესაქმნელად თითქმის არავითარი მექანიზმის გამოყენება არ შეიძლებოდა. ხეობის მეორე მხრიდან კარგად ჩანდა ბუჩქებით დაფარული ციკაბო ფერდობის მთელი ეს ნაწილი და როდესაც შუქრი თვარაქმისა და გრიგოლ ხეცურიანის ბრიგადის წევრები ჰიანველებივით მიესივნენ ფერდობს და ყველამ ცალ-ცალკე და სხვადასხვა ადგი-



ლას დაიწყო რაღაცის კეთება, ამ მუშაობას არავითარი საერთო ზრი და გეგმა არ ეტყობოდა. ყველა თავისთვის რაღაცას ფუსფუსებდა. მაგრამ არ ვასულა დიდი ხანი და ნათლად განჩინებულ რომ ყოველი ცალკე ადამიანის მოქმედებას საერთო მიზანსწრაფვა და აზრი ჰქონია. ყოველი ადამიანი ზუსტად განსაზღვრულ და აუცილებელ საქმეს აკეთებდა.

მალე ყველაფერი გამოირკვა — საერთო გეგმაც და მუშაობის მიმართულებაც: კლდე შემოაცალეს ნიადაგის შრე ზედმოკიდებული ბუჩქებით. ქვევლად ამოათრეს შეუშუშული პერის მომწოდებელი შინაგები და სანგრები ჩაქუჩებით დაიწვეს კლდის თავზე მოედნის ამოკვთა და მოსწორება.

ამასობაში კლდეში რკინის პალოებით გაამაგრეს ღირებები და ზედ საფეხურები დააქრეს. ჯერ საფეხურების დაქედება არ იყო მოთავებული, რომ უკვე საყრდენები ჩაასვეს და ზედ მოაჯირი გაამაგრეს. მერე, როდესაც კიბე მზად იყო, თავისუფლად ამოზიდეს ფიცრები და ფიცარნაგი დააგეს. მერე ამწის საშუალებით ამ ფიცარნაგზე გრძელი მილი ჩამოშვებს, ზედა ბოლოში დაამაგრეს და ქვედა კი გვირაბის თავზე მოაქციეს. მხოლოდ ასლა შეენიშნენ, რომ მილის ქვედა ბოლოს დასამაგრებლად უკვე მცირე მოედანი იყო ამოკვეთილი ზედ გვირაბის შესასვლელთან და მილი ადრევე მომარაგებული რკინის ტროსებით მაკრებოდა.

გარეშე მაყურებელს მეთად გაუკვირებოდა, რომ აქ არ ისმოდა განკარგულებანი, არ იყო ზედმეტი სირბილი და უქმი სიარული. ყველა იმას აკეთებდა უხსტად, რისი გაკეთებაც საჭირო იყო. აკეთებდა აუჩქარებლად, თანაბრად მოწონილად. შეიძლებოდა ადამიანს ზგონებოდა, რომ ყოველივე ეს ხანმოკლე სწავლისა და გაჩვევის შედეგი კი არ იყო, არამედ საუკუნოების განმავლობაში გამოშუშებული ხერხების ღრმა ცოდნისა.

ამ ინდივიდუალური მოქმედებისა, მუშის ცოდნისა და აღდგომის დიდი ნდობის მაჩვენებელი იყო მერე შემთხვევა:

ვარგანულად თითქოს სულ უზრალო სამუშაო იყო შესასრულებელი — უკვე გამაგრებული ბეტონისთვის ფიცრის ყალიბის შემოხსნა. როგორც ცნობილია, ჯერ ფიცრის ყალიბი კეთდება, მერე შიგ ბეტონი ისხმება, შემდეგ, როდესაც ბეტონი გამაგრდება, ყალიბს აცლიან.

სხვა პირობებში ეს სამუშაო არც თუ ისეთი რთულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მეთად ძნელი შესასრულებელი გამოდგა ბეტონის ბლოკი, რომელსაც ყალიბი უნდა შემოხსნა ორმოცდაათი — სამოცი მეტრის სიმაღლეზე და მას მხოლოდ ორი გზა უდგება. ამწის ისარზე ჩამოკიდებულ საგანგებო გალიაში უნდა ჩაჯდეს და მხოლოდ ამის შემდეგ „ცხა და მიწას შუა დაკიდულ“ და მოქანავე გალიიდან მისწვდეს შემოსაცემელ ფიცარს. მაგრამ ეს ხშირად არ ხერხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყალიბი კაშხალის შიგნითა ქვედა ბიფისკენ მიმართული მხრიდან არის შემოსაცემელი. ზემოთ თაღოვანი კაშხალი კვერცხის ნახევარ ნაქუშს შივამსავსეთ, ასე რომ ამ ნაქუშს შიგნიდან რომ შესხედოთ, იგი შუაზე გაკვეთილ გუმბათის ვაგს და ცხადია, რომ ზემოდან გრძელი ტროსით გადმოკიდებულ გალიიდან კაცი ვერ მისწვდება კედელს, რადგან ტროსი ედება კაშხალის ზედა მოკუმბათებულ გადმოშვებულ ნაწილს და გალიაში მგლომმა გალია უნდა გააქანოს. ყოველ გაქანებაზე გალია მიუახლოვდება კედელს. ასლა გალიაში მგლომმა დრო უნდა იხედოს, საგანგებო კავით შეიქცეოს ფიცრის ყალიბს, შივამს გალია კაშხალიდან გამოშვებულ მავთულებს, რომლებიც ყალიბს იტერენ და ასე დაკიდულმა დაიწყოს ნაჯახის მეშვეობით ყალიბის შემოცლა.

ამ ხერხს მთავსებლები ქანქარის ხერხს უწოდებენ (კედლის საათის ქანქარასთან მსგავსების გამო) და იშვიათად გამოიყენება. მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა კლდე უარყოფითი კუთხე აქვს, აქ კი კაშხალის მუშებს ყოველდღიურად უხდებათ ასე დაკიდულს რთული, შრომატევადი და სასწრაფო სამუშაოს შესრულება.

ყალიბის შემოცლა მერე ხერხითაც შეიძლება: კაშხალის გაყვლებით მიღებია გაყვანილი, ეს მილები ბეტონში ჩადულაბებული მავთულებითაა დამაგრებული. ამ მილების მეშვეობით წყალს აპყურებენ ახლადგამაგრებულ ბეტონს, რომ უფრო სწრაფად გაიკვდეს. თუ ამ მილებს გამოიყვით კაშხალის კილიდან, სულ ადვილად მიხვდით მის შუაგულამდე. ხელის მოსაქიდებლად შეგიძლიათ ბეტონში დატანებული მავთულები გამოიყენოთ. რასაკვირველია, ასეთი გასეირნება სამოცი მეტრის სიმაღლეზე არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ როდესაც ამ გარემოებაში ნაჯახიც უნდა იხმართო და ბეტონზე მკვიდრად მიდულაბებული ფიცრებიც უნდა შემოაცალოთ, აქ უკვე ნერვების გამძლეობა, მოხერხებულობა და თვალის სისუსტე დაგვირდებათ.

მე ბევრი გამოჩენილი მთავსებლის კლდეზე სვლის ოსტატობა მიწნახავს, მაგრამ როდესაც თაღოვანი კაშხალის მეტეტონეთა ეს დაძაბული და გვირული შრომა ვნახე, კლდე ერთხელ გრწმუნენ, რომ ადამიანის შესაძლებლობანი მართლაც უსაზღვროა.

ბოდა, ყოველივე ამის შედეგი იყო ალბათ, 1959 წლის ვაზაფხულისა და ზაფხულის პირ-



ველ თვეებში თაღოვანი კაშხალი რომ ასე დაუგერებლად სწრაფად ამოიშრება და იმ შემთხვევაში ნიშნავს და ულამაზეს ნაგებობად იქცა, რომელიც ყველა საბჭოთა ჰიდროენერგეტიკის მშენებლის მიერ შეიქმნა.

ცხადია, ეს სისწრაფე ნაწილობრივ მოულოდნელი იყო, რადგან დადგენილი გამომუშავების ნორმები მნიშვნელოვნად იქნა გადაჭარბებული. კაშხლის მშენებლები ნორმებს გამუდმებით 185 — 150 პროცენტით ასრულებდნენ.

მაისის თვის განმავლობაში კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისთვის მებრძოლმა შუქრი თვარაძის მებეტონეთა ბრიგადამ 1.000-ზე მეტი კუმბეტრი ბეტონი ჩააწყო კაშხლის ხეულში.

ამავე თვეში კაშხლის მშენებელთა ბრიგადებმა სარეკორდო გამომუშავებას მიაღწიეს:

- გამომუშავების ნორმები შეასრულეს:
- ვუა გოჭაძის მებეტონეთა ბრიგადამ — 195%;
- შუქრი თვარაძის მებეტონეთა ბრიგადამ — 177%;
- რადენ თვარაძის მებეტონეთა ბრიგადამ — 196%;
- გროგოლ ხეცურიანის მეთაობზე-დურგალთა ბრიგადამ — 142%.

ეს ლაილაშვილ ბრიგადითა და კაშხლის ყველა მშენებელთა დიდი გამარჯვება იყო. კაშხლის სიმაღლეზე იმ ნაშენებს მიაღწია, როდესაც უკვე შეიძლებოდა წყლის შეტობა და დაწინეთ გვირაბში გასვლა. ამ გამარჯვებას ის მოჰყვა, რომ სამშენებლო ფრონტის „მთავარი დარტყმის მიმართულებაში“ სხვაგან გადაინაცვლა — საქირო იყო რთული და შრომატევადი ჰიდროტექნიკური კვანძის — წყალმიმღების დაბეტონება.

ოქტომბრის უკანასკნელ დღეებში მე კვლავ ვეწვიე ლაჯანურის მშენებლებს. მრავალი მათგანი ახლა უკვე სხვა ადგილას მუშაობდა. თაღოვანი კაშხლის კვანძის მშენებლობაზე ოთხის ნაცვლად ახლა ექვსი ბრიგადა იყო ჩამოყალიბებული.

ლაილაშვილი გურამ გოჭამე და ორბელიანი ონისიძე გოგებაშვილი ჩაუდგნენ სათავეში ახალ ბრიგადებს. ბევრი ლაილაშვილი აქ აღარ დამხვდა — დრომ მოუწიათ და სამხედრო სამსახურში გაუწვევიათ, ბევრი ახალგაზრდა შესდგომია მუშაობას...

საბჭოთა კავშირის პირველი თაღოვანი კაშხალი გერ დამთავრებული არ იყო, მაგრამ ჰიდრომშენებლები უკვე წინ იყურებოდნენ. იქვე, თაღოვანი კაშხლის ქვემოთ, ახალი ტიპის სამშენებლო ექსპერიმენტული კაშხალი შენდება. ესაა სამამულო ტექნიკის ახალი სიტყვა, რომლის გამოცდის შედეგები საფუძვლად დაედება მომავალ დიდთაღოვან კაშხალთა მშენებლობას.

ნიშნავს, რომ მისი აგება შუქრი თვარაძის ბრიგადის მიანდეს. მრავალი მუშა ვიცანი. აი — ნოდარ ფრუიძე, ბუხუიძე რომ დაცოცავდა კაშხლის ზედაპირზე და საყალიბე ფიცრებს აკლიდა. ახლა წელამდე წყალში ჩამდგარა და წმინდს მომავალი კაშხლის ქვაბულს. აი — შური ალაიძე, ვალმოხილი არტიტერისტი-მემოზენი, ასე რომ ისახელა თავი გამრეცხი შტრეის გაყვანაზე, შემდეგ ბეტონის წყობაზე. იგი ახლა კლდეს ანგრევს...

მათ თავზე — 70 მეტრის სიმაღლეზე აღმართულია მათი ხელით აგებული თაღოვანი კაშხლის მზეზე მზინავი კედელი. ისინი თითქოს ხელახლა იმერებდნენ იმას, რასაც ამ ათი თვის წინათ აკეთებდნენ, რაც უკვე განვლილი ჰქონდათ, რაც უკვე დაძლეული იყო: ისევ ანგრევდნენ გამოფიტულ ქანს, ძირეულ კლდემდე დასაცვლელად, ხანგრძლივ ჩაჭურჩები გამუდმებულად ეკანებდნენ და დროდადრო ყრულ გრუხუნებდნენ ორპირის ვიწრობაში ლაღუმები... მაგრამ ახალი ექსპერიმენტული კაშხლის მშენებლებმა კარგად იციან, რომ ეს ძველი გზის განმეორება კი არ არის, არამედ სრულიად ახალი, ზვალინდელი დღისაკენ მიმავალი გზა...

აქვე სულ ახალი ხალხი შემხვდა — სოფელ ნახვირიდან მოსულან მეთექვსმეტი მოწოდები, მოგვარები — ნოდარ, ჯუმბერ, ბორის და ოთარ ფრუიძეები. სულ ორიოდე კვირა, რაც აქ მუშაობენ, ხანწავლებლადაც ლაჯანურის მუშათა ახალგაზრდობის სკოლაში გადმოსულან...

მაგრამ ამათვე სიტყვას არ გავაგრძელებ. მათ ხომ სულ მცირე ხანი დარჩენიათ აქ სამუშაოდ. ლაჯანურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, დარჩენილი თვეები საჭიროა იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა უფროსი ამხანაგებისაგან, სახელოვანი ლაილაშვილი ბრიგადირებისგან, ის ცოდნა და გამოცდილება შეიძინონ, რომელიც მათ მომავალ, ახალ მშენებლობებზე გამოადგებათ.

არ ვიცი, ინგურზე იქნება ეს თუ არაგვზე, ან ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვა რომელიმე ჰიდრომშენებლობაზე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩვენ მათ უსათუოდ შევხვდებით.

(გაგრძელება იქნება)



## გიორგი ლონიძე

### ✓ ადგილის დედა

მცხეთის ლოდები შენ გაქვს მოთლილი,  
შენ-რუსთაველის ჩანგი გპერია,  
გმირთა საქმენი გაქვს ჩამოთვლილი,  
წმინდანთა ღვაწლიც ჩაგიწერია.

აღრიცხული გაქვს შრომა მაშვრალთა,  
დახსომებული ცრემლი და სისხლი,  
რიცხვი მოქნეულ ქართლზე დაშნათა...  
და დაეწყების მტკრიდან შენ გვიხსნი...

ჩვენზე რას იტყვი, ჩვენზე რას ჩასწერ,  
მამულის წიგნში, მამულის სულო?  
ნეტამც ვიცოდე, როგორ გადასტერ,  
და რას გვაკუთნებ... დაფნას თუ სუროს?

— დასწერე! მითხრა ადგილის დედამ  
და მრისხანებით შემავლო თვალი,  
უჩემოდ მღერას რისთვისა ჰბედავ,  
როდესაც ჩემი გკიდია ვალი?

დასწერე! ლექსით გულს თუ ამოწმებ,  
ვიქნები შენი გამომკითხავი,  
იწვი, სინათლეს თუ არ გამოსცემ,  
რა სასთელი ხარ, აბა მითხარი?

და თუ გულით ხარ მწირი, უღაბნო,  
უღაბნოს შუბლი ვით დაუდაფნო?  
თვალს რად აშორებ შებოლილ დროშებს?  
განა შენ თითონ ლექს-მოწოდებით,  
ცოტა მებრძოლი შეაზარხოშე?  
საქმით როდისღა გაუსწორდები?  
სად არის ლექსი ხმალთა წკრიალით  
ხალხის გულიდან ნაპერწკლიანი?

ან სამსახური მამათ სად არი,  
 როცა სამშობლო არი სარდალი!  
 მოდი ჩემს ქოხში, ისუნთქე ჩემთან,  
 ყამირის შავი მიწის ნამტვევრით,  
 ღვით და შავით და არა სტამბით,  
 მერე აკვესე სიმთა ნათელი!  
 არწივს უსმინე, კმარა ბულბული,  
 თორემ მტვერივით დაიფანტები!  
 დასწერე? მკითხავს თვალდარღუბლული,  
 გზას გაუდგება ხელში ფარტენით.

### შენი თვალები ნუშისებური

ცვარი ბრწყინვალეებს,  
 ფოთოლი მღერის,  
 ქათქათებს ზეცის იღუმალემა...  
 დამეფანება მთვარის ნამქერი,  
 შენზედ ოცნება დამევალება.  
 შენი ტუჩების ნაპობი მიყვარს,  
 ლალის ნაპერწკლით გაბრწყინვალემა:  
 და ვინც მე მიყვარს,  
 მასთან მიმიყვანს  
 ეს გაზაფხული მწვანეთვალემა.  
 ბევრი მაისი,  
 გარდამაისი  
 მე მასთან ერთად დამეთვალემა,  
 მე ისევ მიყვარს ჩემი თაისი,  
 ვერც უდაბნოში დამემალება:  
 შენი თვალები ნუშისებური  
 და თბილისური, — დამენანება,  
 თუ ვნახე სევდით ამოვსებული  
 და სევდა მე არ დამებრალემა...

### „გაიპარა ქლიავი“

„გაიპარა ქლიავი“, ისე დამწიფდება და ისე  
 მოილევა, რომ პატრონი ვერ შეიტყობს  
 (სოფ. ყინცვისში ჩაწერილი)

ნე მიყვარდა ელვაქალი,  
 ლამის თავი შევაკალი,  
 სიყვარული დამიბარა,  
 მაგრამ ბოლოს გაიპარა!

გახსოვთ, ჩემი სიჭაბუკე,  
 ახ, როგორი? — მართლაც ქორი!

მაგრამ ხელი დაიბანა,  
ვერაგულად გაიპარა...

და ქლიავის სინაბარა  
ბოლოს დავრჩი ბარდიბარა,  
როცა მიველ შესარხველად,  
მითხრეს: უკვე გაიპარა!

### კ ე ს ა ნ ე

კესანე,  
შენი კვნესა მე,  
სევდა შეგატყე კილოში, —  
პატარა, მორცხვო ყვავილო,  
გაზრდილო საინგილოში.  
ხშირად ვერ გნახე, კესანე,  
მისათვის შემომკვნესარებ...

პატარა, მომცრო ყვავილო,  
ცრემლებით ამოყვანილო,  
მოდის და ერთად ვიმღეროთ  
ის ჩვენი ტკბილი „ალილო“.  
მკერდს მომეყრდენი კესანე,  
წენტვის სიყვარულს ვკვესავ მე...

მაფრქვეე შენი სურნელი  
ვარ მარად შენი მსურველი  
შენი ამბორის მწყურნები...

ნუ გეშინიან სიობლის,  
მე არ დაგტოვებ კესანე,  
კიდევაც გნახავ მრავალჯერ,  
მეორედაც და მესამედ...  
კესანე,  
შენი კვნესამე,  
წენტვის სიყვარულს ვკვესავ მე...

### ს ა რ თ ე ლ ი

რა მოსავალია,  
რა ვაზი, რა რთველი,  
გული ხომ აღარ დაგვედარდება!  
რამდენიც ვაზია — იმდენი ქართველი!  
თქვენ იცით, რომ ვაზი დარგო ქართველმა?



რად რთველი არი, რა ფერხულია,  
რა ლერწამ-გოგოს მისდევს ვაჟკაცი.  
რომ არ იმღერო უხერხულია,  
განა მუქითა მთვარის ბათქაში?

დაძინებულა ყველა საათი,  
შაბაში! თამადობს თვით გულბათი!

მე მინდა ვაზებო, თქვენთან ვიმღერო,  
საწინახლის სიტკბო მსურს შევიწოვო,  
გაიწი ცხოვრებავე, ტიალო, ვიწროვო,  
ჩემი ღონიერობა მინდა გაგიმზილო!

ვინ არქმევს ღვინოს, — როცა ცეცხლია  
და შიგ ბუღარებს ქართული სული!  
სა-დღე-გრძელ-თა მხოლოდ სიცოცხლის,  
ქართველი კაცის აწვდილი სმური!...

### ჰყავთ ვარსკვლავები ამხანაგებად

ის ლექსი რომელ მომღერალს უთქვამს,  
ბავშვობიდან რომ გაგვეგონება?  
ქვას ვინ შთაჰბერა ღვთიური სუნთქვა  
ან ამ სიმღერას მზის შთაგონება!

სადაც დადუმდნენ, უთქვამთ: „დავბერდი“!  
იქ, ამოსულა თეთრი ვარდები...  
ჰყავთ ვარსკვლავები ამხანაგებად —  
და მათთან უყვართ დაბანაკება...

მე მათზე ვფიქრობ,  
მათს ათოვლებულ  
ჭაღარა შუბლსა, მამერალ ხელებზე,  
და სამშობლოში, — მათს დატოვებულ,  
სისხლგადანთხეულ საკურთხეველებზე...

უცბად ამიყვანს ხელთ, ამიტაცებს,  
მე გოლიათი ომგარდახდილი,  
და შეტოვდება ჩემს მაგიდაზე  
შავად გართხმული ვეფხვეური ჩრდილი...



ნოვაკ ნადეისკიჩი

კრძალნიძეს მესე

პირველი ადამიანი, რომელიც მე ყოველ დღით ჩემს კარებთან მხვდება, ძია მოსეა — დაბალი, ჩათსკენილი, უღვაშებიანი. იგი პაპიროსს ყიდის. დღეს ძალიან ცივა და ნაბდის ჩექმები ჩაუცვამს, თბილ ქურქში გახვეულა, პაპიროსის ხუხულის წინ ვიწრო წრეზე მოძრაობს, წარა-მარა ხელებს იფშვნეტს; ხან ქურქის ჯიბეებში ჩაიყოფს, ხან უბეში. დიდ-ძალი მუშტარი ჰყავს. თოვს. დილის შვიდი საათია, ჯერ არც კი გათენებულა, ახლათ ვაჭრობა, სულ ნაცნობი სახეებია: ეს ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის მუშები მიიჩქარიან სამუშაოდ; ისინი ყოველ დღით ამ გაჩერებაზე ჩამოდიან, ძია მოსეს წინ ჩაუვლიან, ჩაუხვევენ და ქარხანაც იქვეა. თოვს. „პრიმა“, „პამირი“, „პრიმა“, „პამირი“!!! სულ წაიღეს სიგარეტები. ეს ნიკალაა წვრილშვილის პატრონი, ახმახი რუსი, ძია მოსეს კარგი მეგობარი, ასი გრამი უყვარს, ამ ქარხანაში მუშაობს, ალბათ ისევე ნისიად წაიღებს პაპიროსს.

- არა!.. ნიკალა უახლოვდება ძია მოსეს და ხუთ თუმნიანს აწოდებს.
- ოჰ, რაშია საქმე?! ამბობს ძია მოსე:
- გულში ავიღე ჯამაგირი, მაგრამ გადამაღიწყდა, მაპატიე.
- გინდა თვის ბოლომდე გაცლი...
- არა.

მოდის ნიკალა, „პამირს“ მიაბოლებს, მას ყოველთვის წუწუნნი უყვარს, თავ-ჩაქინდრული სიარული იცის.

— გამარჯობა, როგორა ხარ, მოსე, აბა, ჩქარა „პრიმა“, — ხელებს იორთქლებს და ამბობს ახალგაზრდა უქულო ჰაბუკი. იგი ქარხნის ზეინკალია, ცოცხალი, მარჯვე ბიჭი, ძია მოსეს მეზობელი. ეს კი გრიშკაა, პეტრეს ბიძაშვილი, გრიშკა უბნის განთქმული მოჩხუბარი იყო თავის დროზე, ახლა ქარხნის მოწინავე მუშაა, ცოლშვილიც ჰყავს, დაჰკვიანდა. მასაც „პრიმა“ უნდა. გრიშკას დათო და გივი მოჰყვა, შემდეგ სხვებიც მოგროვდნენ, ძია მოსე ვერ ასწრებს ფულის გამოორთმევას, რიგი დაუდგა, ეჩქარებათ, გაქცევაზე არიან ბიჭები. ძია მოსემ კარგად უნდა იანგარიშოს.

ნელ-ნელა შეთხელდა ტრამვაებში ხალხი, ბოლოს მხოლოდ ვანუა ჩამოვიდა ამ გაჩერებაზე, ბიჭოს! უკვე რვა საათია? გაუკვირდა ძია მოსეს. ვანუა მესაათეა, ძია მოსეს გვერდით პატარა სახელოსნო აქვს, იგი ყოველთვის რვა საათზე მოდის.

კ. შარქისის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო სპუბლიკ.  
პიბლიცისტიკა

ქარხნის საყვირი გაბმულად კივის. თოვს.

— როგორაა საქმე, მოსე? — ეკითხება ვანუა.

— ცუდი ამინდია, ცივა, — ამბობს მოსე და ბოლოს სცემს.

ვანუა სახელოსნოს აღებს, ფანჯარასთან ჯდება, ხელსაწყოებს მაგიდაზე ალაგებს, ხელის სწრაფი მოძრაობით ცალ თვალზე გამადიდებელ შუშას იმაგრებს და მშვიდად იწყებს საქმიანობას.

— მოსე, მოსე! არ გცივა? წავიდეთ, გავთბეთ! — ქუჩის მეორე მხრიდან იძახის უკვე შეზარხოშებული ავქსენტი.

„ჯერ არ გათენებულა და მოუსწრია“, — ჩაიღუღუნა მოსემ უკმაყოფილოდ და ხელით ანიშნა, რომ არ წავიდოდა.

ქირივით ეჯავრება ავქსენტი, დილიდან საღამომდე მთვრალია. იგი „უტილისირიოში“ მუშაობს, ერთი ოხერი, ჯიბიდან გავარდნილი ვინმეა. ეგერა აქვს ფარდული ჰე, ზედ სასაუზმეს გვერდით, მაგის ცოლშვილის ცოდვა ჰქონდეს იმას, ვინც ეს ფარდული აქ გადმოიტანა. ავქსენტისთან მეგობრობა სულ არ უნდა ძია მოსეს, მაგრამ რა ქნას, მის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს დგას ავქსენტის ფიცრული ძველმანებთი გატენილი, გადმოვა აქეთ, ძია მოსესთან, არ მისცემს საშველს, მოსეც ხათრს ვედარ გაუტეხს და გაყვება. ერთი ჰიქა უნდა ავქსენტის, მეტი კი არა, ისედაც უინჯლივით სახე სულ გაუწითლდება, დაკლული საქონლის ფილტვივით დაბერილ ლოყებს ბოლოს მოლიბრო ფერი გადაეფინება და წასულია კაცი, ბანცალებს, ივინება, ყველა ნაცნობსა და უცნობს ლომნის. გაჭირვებით დაუსლტება ძია მოსე და თავის საქმეს გააგრძელებს, მაგრამ სულ ავქსენტიზე ფიქრობს იმ დღეს, იმისი წვრილშვილი ებრალებდა.

ისევ დაუდგა რიგი ძია მოსეს, უკვე ცხრა საათი დაიწყო, ისევ მოდიან გაქედილი ტრამვაები. სამსახურში მიდიან წარმოების დირექტორები, მასწავლებლები, ბუღალტრები, სკოლისაკენ მიემუშრებიან მოწაფეები. სტუდენტები არ თაკილობენ ტრამვაის ჩამოეკიდონ.

„კურორტნი“, „ყაზბეგი“, „დიუბეკი“ მიაქვთ და მიაქვთ. მხოლოდ სვანეთის ქუჩიდან ამოვიდა ერთი სტუდენტი და „პრიმა“ წაიღო. ლეჩხუმის ქუჩიდან ამოდის მანქანა, ესეც ძია მოსეს მუშტარია; ახალგაზრდა მაღალი ვაჟკაცი შავი ფერის „ზიმს“ მის ხუხულასთან აჩერებს, გადმოდის, ბლუჯად ამოაქვს ფული ჯიბიდან, ხუთ თუმნიანებსა და ას მანეთიანებში წვრილ ფულს ამოარჩევს და ძია მოსეს აწოდებს. ეს ახალგაზრდა ეკონომისტია, სადღაც კარგ ადგილას მუშაობს, ლეჩხუმის ქუჩაზე ცხოვრობს, ყოველ დილით მანქანით მიდის სამსახურში. ძია მოსეს რამდენჯერ უნატრია ასეთი ნათესავი ან მეგობარი. ბედი თუ აქვს მისი შვილიც ასეთი კაცი გამოვა და...

გამტვრებულს მუშტარი გამოარკვევს ფიქრებიდან.

— მომეცი ერთი „ბელომორი“ — ეუბნება მოსეს ჩია ტანის კაცი, რომელსაც ყურებიანი ქუდი ახურავს და გახუნებული პალტო აცვია. ამ კაცს წვიმიან დარში ქოლგით სიარული უყვარს. ისიც ამ ქუჩაზე დადის, ამ გაჩერებაზე ჯდება ტრამვაიში, მას ხან ყური აქვს ახვეული და ხან ყბა.

დგას ძია მოსე პაპიროსის ხუხულასთან, აკვირდება ადამიანებს, ფიქრობს, ფიქრობს, ხან თავის ოჯახურ ამბებს მოაგვარებს გონებაში: ის ბიჭი წელს დამთავრებს და უნივერსიტეტში შეიყვანს. როგორც კი გამოზაფხულდება, სალომეს წყალტუბოში გაავზავნის, ცოდვაა სალომე, სულ ამაზე წუწუნებს იგი და ერთხელაც ვერ მოახერხა ცოლის სურვილი შეესრულებინა. კი, უსათუოდ წაიყვანს სალომეს წყალტუბოში...

ხან კიდევ ფულს ანგარიშობს; რამდენ კაცს მისცა ნისიად, რამდენმა ძველი



ვალი მოუტანა, როგორ გაასაღა საქონელი, გეგმა შესრულა თუ არა, რამდენიმე ჩამორჩა თუ არა, ეპ, ათასი რამ აქვს საფიქრალი მოსეს.

დაუსრულებელი მიჰქრის და მოჰქრის ტრამვაის წითელი ვაგონები, სუფთა ასფალტზე დასრიალებენ მსუბუქი მანქანები. ზოგჯერ ხუთთონიანი საბარგო მანქანაც გამოივლის ხოლმე შეშით დატვირთული. უკვე აღარ თოვს. თოვლი ცოტაა, ის ადგილი, სადაც ძია მოსე დგას, სულ გატკეპნილია, იქ დაბალი სკამიცი უდგას მოსეს, მაგრამ ვერ ჯდება, ცივა. შუაგულ ცაზე ღრუბლები ისე შეთხელდა, ლამისა გამოვიდეს მზე, ჰა და ჰა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოვიდა. თუმცა იანვრის მზე გინდ იყოს და გინდ არა.

შუადღეა. ისევ ერთნაირად მიჰქრის და მოჰქრის მანქანები, ისევ ყიდულობენ პაპიროსებს. სასაუზმედან გამოზანცალდა ავტოსენტი. ვანუამ დაკეტა თავისი სახელოსნო. (მას ახლა შესვენება აქვს) დგას ძია მოსე თავის ხუხულასთან და მუშტარს ელოდება. საცაა მისი ბიჭიც გამოივლის, ამ სკოლაში სწავლობს მისი ლევანი, წინ რომ სპორტსმენის ქანდაკება დგას. ზარი ალბათ მალე დაირეკება. უვილ-ხივილით გამოვლენ ბავშვები სკოლის ეზოდან, მისი ლევანი ყველაზე მაღალია, ყველაზე ლამაზი, ლამაზი ქოჩორი აქვს, უჭუდოდ უყვარს სიარული და უხელთათმანებოდ, ცალ ხელში ყოველთვის წიგნები უჭირავს, ცალში კიდევ თოვლის გუნდა. ძია მოსე აქედან ყველაფერს ხედავს: როგორ გამოდის ლევანი სკოლის ეზოდან ამხანაგებით გარშემოხვეული, როგორ დაერევიან გოგოებს დააგუნდავენ, მერე წამოვლენ კამათით, ხმამაღლა ლაპარაკობენ, თუ ეინმე ლამაზმანს შენიშნავენ ქუჩაში, დააყრიან გუნდებს, რამდენჯერ დაუცაცხანებია ძია მოსეს მათთვის, მაგრამ, რომ არ ესმით კაცის სიტყვა?..

— თქ, შენ აქ რა გინდოდა?... ხომ ვითხარი, სახლიდან არ გამოხვიდე მეთქი — საყვედურით შეხვდა მოსე მეუღლეს, რომელიც შეუმჩნევლად მოსულიყო და ჩანთაში ხელს აფათურებდა.

— სადილი მოგიტანე.

— კი მაგრამ, ავად რომ ხარ? ამ ავდარში რომ გაცივდე, მაგის თავი გვაქვს ჩვენ?

— არაფერი მიჭირს, არაფერი... შენ ეს კარტოფილი ჭამე, თორემ გაცივდება...

მოსე პურსა და კარტოფილს შეეჭტა. სალომე წავიდა. მოსემ ისევ დაიწყო სიარული წინ და უკან. ერთმა მგზავრმა, რომელსაც სახე ბაშლაყით ჰქონდა ახვეული და ფერგამქრალი იყო, პაპიროსი იყიდა, მას ლამაზი ქალი მოჰყვებოდა გვერდით. ეტყობოდა ის კაცი ავადმყოფი იყო. ის იყო მოსემ მუშტარს ფული გამოართვა, ტრამვაიში მგზავრებმა იკივლეს, გაჩერებაზე ხალხი შეჩოჩქოლდა და... ტრამვაი გაჩერდა.

„კაცი გაიტანა!“ „კაცი გაიტანა!“ — გაისმა ხმები. უამრავი ხალხი მიესია ტრამვაის, მოსემ ვერაფრის ნახვა ვერ მოასწრო, მილიციელმა დაუსტვინა, ვილაცა მაღალ-მაღალ გაფითრებულ კაცს შემოხვიენენ. ეს ალბათ ვატმანი იყო. მოსემ დაკეტა თავისი სავაჭრო და ისიც ხალხს შეუერთდა. ბოლოს მოვიდა სასწრაფო დახმარება, ვატმანი დააკავეს. ტრამვაის ბორბლებიდან გამოიტანეს ლამაზი ქოჩორიანი ჭაბუკი, ცივად და უაზროდ თვალგახელილი, საკინძებჩახსნილი, უჭუდო და უხელთათმანო. თვალეები დახუჭა მოსემ და იყო ასე კარგახანს გარინდული. სასწრაფო დახმარების მანქანა წავიდა, ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა. ლიანდაგზე სისხლიანი თოვლი დარჩა.

— ვი დედამისის ბრალი, რა ვაქვაცი დაელუბა? ფუ, შევარცხვინე კაცის გაჩენა! — ბურტყუნით წავიდა მოსე პაპიროსის ხუხულასაკენ, რამდენიმე კაცს



მისცა პაპიროსი, მაგრამ იმ ბიჭის სახე ვერა და ვერ მოიცილა თვალისაგან. მისი ლევანს მიახვავდა ის საცოდავი და ამიტომ იყო ასე გონებაარეული, უანგაროდ აფათურებდა ხელებს პაპიროსებში, ხელი უკანკალებდა, ვილაცას გადაყოლა კიდეც, მაგრამ იმ კაცმა უკან დაუბრუნა ზედმეტად ფული. მერე თავჩაქინდრული, ქურქის ჯიბეებში ხელებჩაყოფილი იდგა ძია მოსე და ფიქრობდა: „სახლში რომ მივალ ლევანი უნდა გავაფრთხილო, არასოდეს არ შეახტეს ტრამვანი, უნდა ვუამბო დღევანდელი ამბავი, მე ვიცი მასხარად ამიგდებს, მაგრამ დედას დავაფიცებ, ჩემს თავს დავაფიცებ, იგი სიცილით გაიგუდება, რა ვქნა. ა?.. მაგას რომ რამე მოუვიდეს!.. თავი უნდა მოვიკლა. აბა, რაზე ვიარო ამ ქვეყნად, ჭიანჭველასავით, მაგისი იმედი მაქვს თორემ... მერე სალომეს შენ დაამაგრებ? ისიც მოიკლავს თავს და ის იქნება... მორჩა... გაქრა ოჯახი, გაქრა კაცი... ჰმ...“

„არა, კაცო... მართლა მასე ხომ არაა საქმე... რამდენი ხანია ამ ქუჩაზე პაპიროსს ვყიდი და ეს პირველი შემთხვევაა...“ დამშვიდა თავი მოსემ და თითქოს დიდი პრობლემა გადაწყვიტაო, თავისუფლად გაიარა-გამოიარა. უნებლიეთ იქით გაქეცა თვალი, სადაც სისხლი დაიღვარა. დაწინწკლულ თოვლს თვალი რომ მოჰკრა, ისევ აეშალა ფიქრები. უეცრად ქუჩა ვილაცამ გადაირბინა და სწორედ იმ სისხლიან თოვლში ჩაჰკრა ფეხი.

— უჰ, შე ოჯახამოსაწყვეტო! გაახილე თვალი! — შესძახა მოსემ და თვლებზე ხელი აიფარა.

— მომცილდი, შენი ჭირიმე, მომცილდი, არაფერი არ მინდა აქაურობის, გინდა ოქრო ითოვოს, მე წავედი, — უთხრა მან ბავშვს, რომელიც პაპიროსისათვის გამოეგზავნათ. ბავშვი გაოცდა. ძია მოსე მიაწვა თავის ხუხულას და გატკეპნილ ტროტუარზე გააგორა. გაჭირვებით, სვენებ-სვენებით ერთი კვარტალი გაიარა და ქუჩის კუთხეში მოთავსდა. ახლა აქ დაიწყო წინ და უკან სიარული.

„ლევანს უნდა მოველაპარაკო ამ საღამოს, იმ ვილაცა ბუფეტჩიკის შვილს რომ ემასხრებინა, ვილაცა ლიანო, ვილაცა ემაო, ესენი არ მომწონს მე. ამაზეა ერთმანეთს ცხვირპირს რომ ამტვრევენ ეს სულელები, მერე მოქნეული და მოზომილი ვინ ნახა, შენი ჭირიმე და... ოთარის აყოლა არაფერს არგებს, ოთარის მამას ბარემ ოთხი ყავს ოთარისთანა და მე კი ერთს მივჩერებდივარ“. დაბუზღუნებდა მოსე და ტკეპნიდა თოვლიან ტროტუარს.

„მაგრამ ომი რომ ატყდეს ახლა?.. მაშინ რა ვქნა? როგორ მოვიქცე? მე წავალ და ის იქნება... თუმცა ეს არ შეიძლება, ვაქეცი კაცი სახლში დავტოვო, დედის კალთას შევფარო, ჯერ ერთი ვინ მამატიებს და მერე სირცხვილია, არა და კაცო, თუ ეს ახალგაზრდობა დაიღუბა, ჩვენ ბებრებმა რაზე ვიაროთ ამ ქვეყნად, ჩემი შვილის სიკვდილი ვნახო და მერე მე უკან დავიხიო? ხომ შევაკვდი ზედ ცხვირპირში, ფაშისტი იქნება, ეშმაკი, თუ ქაჯი და მერე?.. მერე არაფერი... თუ გადარჩა ვინმე, ისევ იცხოვრებენ, გამრავლებიან და ისევ დადგება ამ ქუჩაზე სხვა მეპაპიროსე...“

„მე მაინც ვერ გამიგია: ნუთუ ქვეყანაზე არის ისეთი კაცი, რომელსაც მეორე კაცის მოკვლა უნდა, პა? — ასე დაობდა მოსე თავის თავთან, იდგა ფიქრში წასული, გამტვრებული, ვინმე გამკლელი თუ გამოარაკვევდა ფიქრებიდან და პაპიროსს გამოართმევდა. მერე ისევ ფიქრობდა, თავი ეტკინა ფიქრისაგან. დაიღალა. ბავშვებმა ჩაირბინეს. ფეხზე წამოხტა მოსე. ალბათ მისი ლევანიც გამოვიდის ახლა.“

— ყაზბეგი გინდათ, ბატონო?..

— ერთი?

- ერთი.
- გაისტუმრა მოსემ მუშტარი.
- ესროლე!
- არ ესროლო!
- გაგიხმა ხელი!..

გაისმა ქუჩაში შეძახილები. გამოგრიალდა ტრამვაი, გაიარა მანქანამ და ტროტუარზე ყვილ-ხივილით გაიარეს ახალგაზრდებმა. ჩანთებამოჩრილი გოგონები ერთმანეთს ეფარებოდნენ და თავჩალუნული გარბოდნენ. ქუჩის მეორე მხრიდან კი გუნდებით იმუქრებოდნენ ყმაწვილები.

— ლევან, ლევან! — დაუძახა შვილს მოსემ. ლევანმა გუნდა დააგდო და პირდაპირ გადმოჰკრა ქუჩა. ხელებდაწითლებული, სახეწამოქარხლებული მოდიოდა იგი და იცინოდა.

ღმერთმა იცის რა გრძნობა იყო, ბოღმა იყო, სიხარული იყო, ტკივილი იყო თუ რა, რაღაც ყელში მოაწვა მოსეს, თვალბუნი ცრემლი ჩაუდგა, თითქოს პირველად ხედავდა შვილს. კინალამ გადაეხვია და გადააკონა შვილი.

— რა მოგივიდა მამა!

— რა და, რას დასდევთ ერთმანეთს, რა ამბავში ხართ! — ელვისუსწრაფესად მკაცრი სახე მიიღო მოსემ. მერე გაუხარდა კიდევ, ეს სიტყვები რომ თქვა.

— შენ ახლა, ეს ხუხულა ევერ მალაქიას ეზომდე მიმაგორებინე და მეც წამოვალ სახლში.

— რატომ მამა, ჯერ ხომ აღრეა?

— ცუდადა ვარ, გავცივდი მგონი.

ისევ თოვდა. მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ ტრამვაის წითელი ვაგონები. მამა და შვილი სახლისაკენ მიდიოდნენ. წინ შვილი, უკან მამა.

*ქვემოთხე-ბი*

სოფლის შუაგულში პატარა მინდორია. მინდორის შუაგულში დიდი ცაცხვის ხე იდგა. ამ ცაცხვს პაპა ექვთიმეს ხეს ეძახდნენ. სოფელში ბევრმა არ იცოდა, ვინ იყო პაპა ექვთიმე, მაგრამ რომ იტყოდა, ექვთიმეს ხის ძირას ვიქნები და გამოიარეო, მეორემ უკვე იცოდა ის ადგილი და მიდიოდა იქით, სადაც ეს ცაცხვის ხე იდგა, სადაც ეს პატარა მინდორი და რაიონულ ცენტრისაკენ მიმავალი ფართო შარა-გზა იყო.

ბევრჯერ მიფიქრია, ამ ხემ ერთი კაცი უკვდავყო მეტეი. სოფელში კაცი არ იყო ექვთიმეს შთამომავალი, რომ ვინმეს სუფრაზე მანაც გაეხსენებინა და აელო მისი სულის მოსახსენებლად ჭიქა ღვინო, მაგრამ ყველას პირზე ევერა ექვთიმეს სახელი და წარა-მარა იყო მისი ხსენება.

ექვთიმე ერთი გამრჯე გლეხი ყოფილა, კარგი მეოჯახე, გონიერი და საქმეში ჩახედული. ცხრა ვაჟი გამოზარდა თურმე. სამი 1914 წელს რუსის ხელმწიფემ წაართვა. გაიწვია ომში და უკან აღარ მობრუნებულან ბიჭები. ამბობენ: ორი მათგანი ომში დაიღუპაო, ერთი ტყვედ ჩაეარდა და უცხოობაში დარჩაო, ექვთიმე ისე გარდაიცვალა, სულ ელოდა თავის ნიკოს, უფროს ვაჟიშვილს... ერთიც ცხრაასხუთში ალიხანოვ-ავარსკივ მოუტლა. ოთხიც ცხრაასჩვიდმეტში რევოლუციას შეეწირა და ერთი შვილი შერჩა ექვთიმეს, ისიც უტოლშვილოდ და-

ბერდა. ხშირად ასე ხდება: ოჯახში ყველაზე უარესი შვილი ჩარჩება ხოლმე, უკეთესები გაიფანტ-გამოიფანტებიან. ასეთი იყო ბენოია, არც მთლად სულელი და არც ჰკვიანი. ვიდრე ექვთიმე ცოცხალი იყო, ოჯახს არაფერი დატყობია, მართალია, ბოლოს ლოგინადაც ჩაეარდა, მაგრამ ლოგინიდან უკეთ უძღვებოდა ექვთიმე ოჯახს, ვიდრე ფეხზე მდგარი ბენოია. სულ იმას ეუბნებოდა ცოლსა და შვილს: „იქნებ ნიყო ჩამოვედეს და ოჯახი დავაზვედროთო“.

მერე ექვთიმე გარდაიცვალა. მალე ცოლიც მიჰყვა. დარჩა მარტო ბენოია ოჯახში. ნელნელა განიავდა ყველაფერი. ვენახი გაფუჭდა. ჩამოინგრა ოდასახლის ჰერი და ბოლოს ბენოია უფრო ნაკულაკარ დავითის სახლში მუშაობდა, ვიდრე თავის ოჯახში. „დავითის მეწისქვილე“ შეერქვა ბენოიას. დავითმა მას გიჟის საბუთი უშოვა და კოლმეურნეობას არ გააქარა. მე გიბატრონებო და სახლკარი გაუყიდა. შემდეგ ბენოიაც გარდაიცვალა.

ამ მიწოდორზე ცაცხვის ხე ექვთიმემ ახალგაზრდობაში დარგო. შარა-გზის გადაღმა, ხუთიოდე ქვევა მიწა ჰქონდა ექვთიმეს. იგი ერთი ფაღავასაგან იყიდა ოც ოქროდ. აქ უფროსი შვილი უნდა დაესახლებინა.

შემდეგ იღვა ეს ცაცხვის ხე ბუმბერაზი, ექვთიმესავით ბევრი ჰირის მნახველი და ინახავდა მის სახელს. რამდენ გამველეს შეუჩრდილებია მის ტოტებ ქვეშ და რამდენჯერ დაულოცავთ მისი დამრგველი. საღამოობით ამ ხის ძირას იკრიბებოდნენ კოლმეურნეები და იგონებდნენ ცისას და ბრისას. ხანდაზმულები სამოქალაქო ომისა და რევოლუციის ამბებს ყვებოდნენ. ახალგაზრდები სამამულო ომის დღეებს იხსენებდნენ. სულ ახალგაზრდები ვიდაცა ელოსა და გრიშას სიყვარულს შესახებ ჩურჩულებდნენ და იყო ერთი სიცილ-ხარხარი. ზოგჯერ ცეკვა-თამაშიც გახურდებოდა, ეს უფრო შაბათობით ხდებოდა.

ვის ასსოვდა შენი ექვთიმე, ორმოცი წლის მკვდარი კი არა, ისეთი ამბები ხდებოდა ქვეყანაზე, ისე სწრაფად მიდიოდა ცხოვრება წინ, ისე სწრაფად შენდებოდა და მშვენდებოდა სოფელი, გაკვირვებული ინდაურებივით დადიოდნენ გლეხები, ნამეტნავად, როცა რეაქტიული თვითმფრინავი გადაიფრენდა, შუბლზე ხელს მოიჩრდილებდნენ და ცას ისე შესცქეროდნენ, როგორც ორიოდე საუკუნის წინ მათი წინაპრები შესცქეროდნენ ხოლმე, ღვთისაგან საოცრების მომლოდინენი.

ერთი მოხუცი კაცი იყო სოფელში — მათე, რომელსაც ასსოვდა ექვთიმე. „ყალიონიან ბრძენს“ უწოდებდა მათე მას. თუ ვინმე შეეკითხებოდა, თორემ, აბა რაზე ასხენებდა მათე ექვთიმეს. შემდეგ ის მათეც მოკვდა. დარჩა ცაცხვის ხე, ექვთიმეს სახელის მატარებელი. ექვთიმეს ხის ძირას ინიშნებოდა პაემანი, ექვთიმეს ხის ძირას მიდიოდნენ დასასვენებლად, ექვთიმეს ხის ძირას იკრიბებოდნენ, ექვთიმეს ხის ძირას პატარა ბიჭები ბურთს თამაშობდნენ.

მაგრამ დადგა ერთი ზაფხულის დილა, იმ დილით ყველამ შეამჩნია, რომ ცაცხვის ხეს ფოთლები შეუქნობოდა. ავად არისო ცაცხვის ხე...

— უცხო ჰაერმა თუ დაკარო, — თქვა ერთმა გამველელმა.

— არა, ფესვებში გაუჩნდა რაღაც, — თქვა მეორემ.

— დიდი ხნისაა, რაც მე მახსოვს სულ აქ დგას, დაბერდა ალბათ, — თქვა მესამემ.

და ასე, რამდენი კაციც ჩაივლიდა, ყველა თავის აზრს გამოთქვამდა. გული წყდებოდათ; კარგი ხე იყო... მერე ისე უეცრად და სწრაფად ხმებოდა, მაშინ როდესაც ირგვლივ შეფოთლილი ხეები ხარობდნენ. ხმებოდა იგი ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი, ტიტანური... ვაჟკაცის სიკვდილს ჰგავდა ექვთიმეს ხის სიკვდილი.

ბოლოს სულ გახმა, ფოთლები დაცვივდა. შემოდგომაზე მოკრეს კარგად მისი ზეშა.  
ლის ქოხსამეითხველოებს დაურიგეს მისი ზეშა.

გაქრა ექვთიმეს ხე... შედგე იმ ხის ადგილას პეტრიელამ ისევ ცაცხვის ხე დარგო, ნორჩი და ტანკენარი. ისეთი ნორჩი, ნიავიც კი ატოკებს და აქანავებს. გაიზრდება ალბათ ნორჩი ცაცხვის ხე...



# ლუკა

კვირა დღეა. აივანზე გამოსულა ლუკა. ქუჩას გასცქერის. ხალხი ბაზრისაკენ მიეშურება. კარგი ამინდია. დიდი ბაზრობა იქნება დღეს უსათუოდ, ლუკასაც გაუწია იქითკენ გულმა. არც არაფერი აქვს საყიდელი, არც გასაყიდი, არც საქმე აქვს ვინმესთან, მაგრამ კვირაში ერთხელ სოფლის ცენტრში რომ არ გამოვიდეს, გული არ უთმენს. იქ, ისიდორეს დუქანს წინ დადგება ხოლმე და გამვლელ-გამომვლელს ათვალერებს, ჯერ ისიდორესთან ისაუბრებს, მერე ვინმე ნაცნობს ნახავს, იმასაც გაუბამს საუბარს. გაერთობა, გულს გადააყოლებს, თვალს წყალს დააღვინებს.

ლუკამ თეთრი ყაბალახი დაიხურა, წელზე ქამარი გაისწორა, ხელში ჯიხი დაიჭირა და გამოვიდა შარა-გზაზე. იგი მალალი კაცია, სულ არაა წელში მოხრილი, თავაწული უყვარს სიარული, ცოტათი კოჭლობს, ომამდე სპეციალური ნებართვით დიდ მაუზერს ატარებდა, ყველამ იცოდა, რომ ლუკას იარაღი უყვარდა და ნება დართეს ეტარებინა, მაგრამ ახლა მოკრძალებით უთხრეს, არ შეიძლება რევოლვერის ტარება და წარბიც არ შეიხარა ძველმა რევოლუციონერმა „თუ აუცილებელია, არ ვატარებ, ეს რა საბოდიშოაო!“, თქვა ლუკამ და რევოლვერი მაშინვე ჩააბარა მილიციის თანამშრომელს.

ლუკას მუშაობა არ შეუძლია, პენსიონერია, შვილებიც მოსწრებული ჰყავს და ცხოვრობს ასე, მშვიდად, უზრუნველად, მიდიან წლები. მიდიან და ზოგჯერ დაფიქრდება ლუკა... რა დღეს მოესწრო?.. კაცი ქვეყანაზე არ ეტეოდა, მთელ მაზრას აზანზარებდა... პირველი მილიციის უფროსი იყო ამ რაიონში, როცა იგი თეთრი ქურანით ჩაუვლიდა ხოლმე სოფლებს, კულაკები გარეთ ვერ გამოდიოდნენ. ერთი იყო, ერთი, — ყაჩაღი ქიქავა, რომელმაც ლუკას სროლა გაუბედა, მოულოდნელი იყო ის ტყვია და ლუკა დაიჭრა კიდევ, მაგრამ მის მაუზერს მაინც ვერ გაექცა ის ყაჩაღი, ას მეტრზე ჩამოაგდო ცხენიდან.

აბა, გაებედა ვინმეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხელის აღმართვა, ხულიგნობა, უწყსრიგობა, დეზერტირობა!.. ასსოვს, ერთხელ ელიზბარის კიკოიამ კოლმეურნეობის საბჭოს წაუკიდა ცეცხლი. ლუკამ კარგად იცოდა კიკოია რა პოლიტიკური მოღვაწე ყავდა, ეს კულაკების საქმე იყო, თორემ შტერი კიკოია რას ვაბედავდა. ყველაფერი ზუსტად გამოიკვლია. ნამდვილი დამნაშავეები და აპატიმრა. ხოლო კიკოიას საშინლად ცემა, ცხვირპირიდან სისხლი აღინა, წაიყვანა სახლში, თუთის ხეზე მიაბა და ერთი ღამე ასე გაათენებია თეთრად. მეორე დღეს გაუშვა და დააბარა: კულაკებს არ გაეკარო, თორემ დაგაბამ და მათრახით გცემო. იცოდა, კიკოიას მათრახისა ეშინოდა. კიკოია რომ წავიდა, ლუკამ იტირა, მაგრამ იტირა, ცხარე ცრემლით იტირა; ნამეტანი მომივიდაო, ასე არ უნდა მეცემო, გიყს თავის სიგიჟეც ეყოფაო.





ახსოვს, ერთხელ ერთი ნათავადარი შეხვდა გზაში ცხენდაცხენ, გამარჯვებული დაუგვიანა ნათავადარმა. უმალ სისხლი აუვარდა თავში ლუკას, შემობრუნა ცხენი და დაუძახა:

— რატომ არ მესალმები, თავადო!

— ყაძახს და ისიც მილიციელს მე სალამს არ ვაძლევ — მიუგო მან. ელვის-უსწრაფესად ლუკამ თავისი გულფართო ლაფშა აძგერა ნათავადარის ჭკაკს და წყლით სავსე თხრილში გადაავლო ორივე. კარგ ხანს ფართხალებდა ნათავადარი წყალში. ახსენდება ყველაფერი ეს, ელიმება. მიაბიჯებს შარა-გზაზე თავაწეული და გასცქერის გარემოს.

— გამარჯობა ლუკა ბატონო... ესალმება მას ხიხა.

— გაგიმარჯოს. როგორ გიკითხო, ხიხა — ამბობს ლუკა.

— არა მიშავს რა, ვარ... ვჩალიჩობ...

ტკბილი საუბარი გააბეს.

ხიხა ლუკას მეზობელია. ერთი პატიოსანი, შრომისმოყვარე გლეხი. ოღონდ ეს არის ერთი ვეი არ მისცა ღმერთმა, სულ ქალები ჰყავს. ლუკას ხიხასთან საუბარი უყვარს. ხიხამ სიმართლის თქმა იცის. ლუკა ყურადღებით უგდებს ყურს და როცა ხიხა რაიმე უსამართლობაზე ჩამოაგდებს ლაპარაკს, ლუკა შეირხევა, შეშფოთდება, ჯოხს ხელში აათამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკიდურესობამდე გაბრაზებული და გულზე გახეთქილი.

— მერე, კაცო, წადი ზევით, რაიკომის მდივანს უთხარი, მილიციის უფროსს, აღმასკომის თავმჯდომარეს. ლუკა როცა ამ სიტყვებს ამბობს, გაჩერებულია, ჯოხს ხელში ათამაშებს; და გაცეებით შესცქერის ხიხას; ეს უბრალო ქემ-მარიტება როგორ არ იციო. შემდეგ ისევ ჯოხს დაეყრდნობა და სვენებ-სვენებით მიდის.

ისინი სოფლის ცენტრში შევიდნენ, სასოფლო კლუბის წინ ლუკამ ისიდორეს დუქნისაკენ გადაუხვია. ხიხა დაემშვიდობა და თავისი გზით წავიდა.

ისიდორემ ლუკას სკამი გამოუტანა, თვითონ ბოძთან ჩატუქდა. ამოიღო ღორის ბუშტისაგან კაკეთებული სათუთუნე, გაზეთის ქალაღში გაახვია თუთუნი და გააბოლა. ლუკასთვის არ მიუწოდებია, ლუკა არ ეწევა პაპიროსს. ისიდორემ მთელი ქვეყნის ამბები იცის. მალე გაიბა ტკბილი საუბარი.

ბაზარში მოაქვთ სურსათ-სანოვაგე. მოდიან ფქვილით დატვირთული ურმები. მეზობელი კოლმეურნეობის ორიოდ საბარგო მანქანაც შემოვიდა ხორბლის ტომრებით სავსე.

გლებ-კაცებს მოყავთ ძროხები, გოქები, ინდაურები. თავსაფრიან ქალებს კვერცი და ყველი მოაქვთ. კლუბის წინ ახალგაზრდები დგანან და ლაზღანდარობენ. ისიდორეს დუქანი შიგ სოფლის ცენტრშია. წინ კლუბია, იქით სამკითხველო და სასოფლო საბჭო, გვერდით სასადილო, ღვინის სარდაფი.

ისიდორეს დუქანი მართლა დუქანი კი არაა, მაგრამ ასე ეძახიან სოფელში. ოდესღაც თურმე აქ მართლა დუქანი ჰქონდა ისიდორეს, ახლა საცხოვრებელი სახლია, მაგრამ შერჩა და შერჩა ის ძველი სახელი.

— გამარჯობა, ლუკა ბატონო! — ესალმება ლუკას ქერაულვაშებიანი მამაკაცი, ეს კაცი ძველად სოფლის მღვდელი იყო, მერე დიდხანს მასწავლებლობდა. ახლა ესეც პენსიონერია, ძლივს დადოდავს, სული რომ შეუბერო, წაიქცევა, ბევრჯერ დაუფრთხია ლუკას მისთვის ანგელოზები.

— გაგიმარჯოს, როგორ გიკითხო, ჩემო რაქდენ, — მიუგო ლუკამ. რაქდენმა გადმოუხვია, ხელი ჩამოართვა ლუკას, ისიდორეს და ისიც ჩაება საუბარში.

— ჰო, იმას როგორ არ ვიცნობდი, ერთი ვაჟი დარჩა, მგონი თბილისში გექნებოდა შაობს მინისტრთა საბჭოში, ამბობენ დიდი კაციო — თქვა რაჟღენმა.

— კარგი ერთი, რას ლაპარაკობ. — ამბობს ლუკა.

— კაცო მარკოზია გლახაკის შვილი დიდი კაციო ამბობენ? — თქვა ისიდორემ.

— აბა — ნიშნის მოგებით თქვა რაჟღენმა.

კარგა ხანი საუბრობდნენ, მოიგონეს წარსული, ისაუბრეს აწმყოზე. ლუკა განსაკუთრებით დიდხანს ლაპარაკობდა იმაზე, რომ სოფელში ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ერთი გულიანი კაცი არ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მოეგვარებინა. შემდეგ კოლმეურნეობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. თავმჯდომარე აძაგეს. მაგ თავმჯდომარეს დიდი ხანი არ უწერიდო და მოიტანა საკმაო საბუთები. ბოლოს რაჟღენმა ისე დახატა სურათი, რომ საკმარისი იყო ერთი საერთო კრება და თავმჯდომარე დატოვებდა თავის სკამს. ამასობაში მზე გადაიხარა. ბაზარში მომრავლდნენ მთვრალები. ღვინის სარდაფში განუწყვეტლივ გაჰკიოდნენ „მოხვევის ქალო თინაო“-ს.

— აი, ეს მეჯავრება, უნდა აიკრძალოს ეს, — განაცხადა ლუკამ, როცა სარდაფიდან ერთი კაცი გამობანდალდა, ვილაც მოხუც ქალს დაეტაკა და წააქცია. ქოქოლა დააყარა მოხუცმა, მაგრამ მან უდარდელად განაგრძო გზა.

— აბა, გახედეთ ახლა რა ამბავია! — თქვა ლუკამ, ასწია ჯოხი და მთვრალეებს დაუწყო თვლა. გაგონილა ამდენი მთვრალი სოფლის ცენტრში? მერე როგორ თვრებიან, თვალეში სინათლე არა აქვს არც ერთს, მე რომ ვიყო ყველას დავიჭერდი და ციხეში ჩავყრიდი.

— ეჰ რა ქნან შენი ჭირიმი; ზოგჯერ ქე უნდა დათვრეს კაცი, დრო უნდა გაატაროს, მუდამ დღე მუშაობა გაგონილა? — თქვა ისიდორემ.

— არ უნდა მაგათ შენი მართლება, — თქვა ხმამაღლა ლუკამ და ჯოხი აათამაშა ხელში, — დრო გაატარონ!.. დამცინავდ ჩაილაპარაკა მან, წამოდგა და ნერვიულად გაიარ-ვამოიარა, ყაბალახი გაისწორა, ჩექმებზე ჯოხი შემოირტყა, ისე, როგორც ოცდაათი წლის წინ მათრახს შემოირტყამდა ხოლმე.

რაჟღენმა სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი. ისიდორე აქტიურად ჩაება ლაპარაკში. უეცრად კლუბის წინ ახალგაზრდები შეგჯუფდნენ. შემდეგ ორი ქოჩირიანი ახალგაზრდა დაწინაურდა, ყველანი ერთად გაემართნენ ბლისაკენ. მალე ბლის ეზოს მიესია ხალხი. იდგნენ კარგა ხანს და ყაყაებდნენ, არა ისაა დამნაშავე და არა ისაო. უეცრად ხალხი გაიყო და მოჩუხბარი ახალგაზრდები შარაგზაზე გამოცვივდნენ.

საქმეში უბნის ინსპექტორი ჩაერია. მაგრამ ვერაფრით ვერ გააშველეს. სულ მთვრალეები არიან. ბოლოს ერთი მათგანი ინსპექტორს ეცა ყელში და კინადამ დაახრჩო, ძლივს მოიცილა ინსპექტორმა მთვრალის ხელეები. გააშველეს. მაგრამ უეცრად მთვრალი გამოექცა გაშველებლებს და ისევ დაეტაკა ინსპექტორს.

ფეხზე წამოვარდა ლუკა, გაფართოებული თვალებით შესტკეროდა ამ ამბავს. რაჟღენი და ისიდორე დუქანში მიიმალენ. ლუკა დაბორკილი ცხენივით აწრიალდა ადგილზე, ჯოხი ხელში შეათამაშა და შესძახა:

— მასე, ბიჭო, მასე ჰო, წაართვი რევოლვერი და თავზე დაატეხე მაგ მათხოვარს, არ არის ღირსი მაგი რევოლვერის!..

ეს ისე ვაჟკაცურად დასტეკა ბერკაცმა, ადგილზე გაყინა ამდენი ხალხი. ყველა ლუკას მიამტერდა. იგი გამოსულიყო შარაგზაზე და შემართული ჯოხი ეჭირა ხელში. „ლუკა ჩხუბობს, ლუკა ჩხუბობსო“, გაისმა ხალხში ჩურჩული.

მაგრამ, ლუკას ხელი მოწყვეტით ჩამოუვარდა, ფერი დაეკარგა და კინაღამ იქცა, იქვე ბოძს მოეჭიდა. ახალგაზრდები მხარში ამოუდგნენ და ისიდორეს დუქანში შეიყვანეს. წყალი ასხურეს. მოასულიერეს. გაოცებული, საქციელ-წამხდარი დარბოდა წინ და უკან ისიდორე. რაყდენი ხელებს უზელდა და თავს დასტრიალებდა. გარეთ ჩხუბი დაწყნარდა. აღამიანები ჯგუფ-ჯგუფად მოგროვილიყვნენ და ლუკას შესახებ საუბრობდნენ. იგონებდნენ მის წარსულს და ზღაპრებს სთხზავდნენ მის ვაჟკაცობაზე.

სადამოს ლუკას შვილმა მოაკითხა, გაეგო, რომ მამამის ისიდორეს დუქანში გული წასვლოდა, სირბილით მისულიყო, გულამომჯდარი შემოვარდა ოთახში. ლუკა უკვე კარგად იყო.

მზე ჩადიოდა. მიაბიჯებდა ლუკა შარა-გზაზე, ებჯინებოდა ჯოხს და ცხარედ ლაპარაკობდა, გვერდით მიმავალ შვილს არწმუნებდა, რომ მას გული არ წასვლია, რომ ხალხს ეს მოეჩვენა, რომ მას სინამდვილეში თავბრუ დაესხა. წაბორძიკდა, იმის გამო, რომ ცოტა ღვინო დალია. და რომ ამიტომ, საჭიროა კაცმა ღვინო არ დალიოს, თორემ უადგილო ადგილას ჭამს სირცხვილს.



## შოთა ნიშნიანიძე

### ქართული სიტყვა

ამ ლექსს ავტორი უძღვნის  
გიორგი ლეონიძეს

#### I

წიგნო, შე, გარეთ ატლასო,  
შიგნით, შე, მართლა ათასო,  
შენ მანადიმე, მამლერე,  
შენ დამაპურე ყმაწვილი,  
შენი სტრიქონი მეჭირა  
სადღეგრძელოში ყანწივით;  
სტრიქონი ვეფხისპერანგა,  
ზოხბის ყელივით ბრილა,  
ჩემი დიდდას მანდილი,  
ჩემი წინაპრის იარა.

ლომის ძარღვით მოწულ სტრიქონს  
შენ გაათასმავ ვაჟკაცურებ,  
დაიქნევ და ჩვენს ზურგებზე  
მათარახივით ატკაცუნებ —

შენი წიგნის დიდ მინდვრებზე  
საბალახოდ ჩაგვრეკ მოზერებს,  
ხმა გებურღავს და ძვლებს გვიხერხავს,  
თითქო ვისხდეთ სამრეკლოზე.  
ჰე, ნათლიავ რაც მაგ მადლით  
ვიპოხები, ვინედლები —  
ვიფოთლები, ვიყლორტები  
ოცნებებით, იმედებით.

ავლორძინდი, გავმძვლიანდი,  
მომემატა ძალა ორწილ;  
ძარღვი ჩემი — მუხის ფესვი...  
კუნთი ჩემი — ძელქვის კორძი...

#### II

შენ ხომ იყავ გუთნისდედა,  
ქოხი გედგა ალაზანთან,  
შენმა გარჯამ ქვე გააპო, —  
საქართველო ალაზათა...  
შენ ხომ იყავ მეციხოვნე,  
ჩაუქი და ცხენოსანი,  
მთაში მიჯნურს იტაცებდი,  
თეთრ ულაყზე შემოსვამდი.  
როგორ გავდით ერთმანეთსა!  
ვაქი — ისარს,  
ქალი — ლერწამს, —  
იძახოდა ყველა ერთსა:  
ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.  
ცერზე თეთრი მიმინოთი  
სანადიროდ მიდიოდი.

#### III

გახსოვს? იყავ მომღერალი, —  
ქვასაც ცრემლი მოადინე,  
მიდიოდი, ხატობაზე  
მოშაირე, მონადიმე.  
ზე ამაღლდა ცისარტყელა,  
მღერა შენი არ შეგაკდა,  
ის სიმღერა კაბად ეცვა  
ღურაჯთა და ფარშევანგთა.

IV

გახსოვს ბერო მწიგნობარო  
ათონის მთა შორეული?  
დაგილასტავს ეტრატები,  
როგორც ფუტკარს გოლეული.

V

საქართველოს ისტორია  
მოდოდა ქალაქნებით,  
აკაფული ვენახებით,  
დამსხვრეული გაღავენებით,  
ფაღავენების  
საფლავენებით...

საქართველოს ისტორია  
სულს ითქვამდა სასწაულით;  
სიმღერებით, ჩუქურთმებით —  
ქვაზე დამყნილ გაზაფხულით...

VI

რა იყავი, რა მოგელის,  
რას იქმს ბედი მწყალობელი,  
მიწა იყავ მეომარი,  
გუთნისდედა, მგალობელი.  
მიწა მიწად იშლებოდი —  
ჩუქურთმად თუ პაპირუსად;  
ხან გეძინა ათასწლობით —  
ციხის ლოდით ჩაკირულსა.

საქართველოს ისტორია  
გაგორებდა კერით კერა,

დაგტიროდა ათასწლობით,  
დაგიღობოდა ხავსის პერანგს.

VII

შენ აღსდექი ქართულ მიწით —  
დრო არ მიდის უკუსვლითა;  
აღმოცენდი ქართულ კერის  
ღველფიანი მუგუზლიდან.  
შე, ნაშალო ციხის ლოდო,  
წინაპრების წმიდა ფერფლო;  
სიტყვად იქცა სული შენი, —  
სამღერი და სანაქებო.

ფარხმლიანი,  
ჩანგიანი,  
ბერი მნათე სანთლიანი  
აღსდექი და განსხეული  
და ერთ ხმაში გამთლიანდი.  
სად მოსულხარ სადაური,  
შე, ყოველდღე სანატრელო,  
ხმლით, გუთნით და სალამურიით  
შეგინახავს საქართველო.

შენ ახალო სიტყვის დედაც,  
შენა მყავხარ გულს იმედაც;  
ქართულ სიტყვის მეციხოვნეც,  
ქართულ სიტყვის გუთნისდედაც.

არ მოკვდება, ვინც ოდითგან  
საქართველოს ცას უმღერა,  
გენაცვალე გამწეე ქედში  
შე ღვინივ ცალუღელავ...

ინსებ მე და შენ

როცა მარტო ვართ თავს რად იბავშვებ,  
ნართლა ბავშვივით აღერსს ჩვეულო,  
რატომ ეშმაკობ შენ ჩემს წინაშე,  
მიზეზიანობ და ჭირვეულობ?

ზოგჯერ თვალეშში ცრემლი გერვეა —  
ალარ ჩერდები და თავს მბებზრებ,  
და შენც ბავშვივით უცდი შემთხვევას.  
რომ გამებუტო მცირე რამეზე;  
რომ გამებუტო და გამომტყუო  
მეტი აღერსი, მეტი ფერება,

შენ ქალი ხარ და ვერ გაგამტყუნებ,  
ეს არის შენი ბედნიერება.

ეს იმას ნიშნავს — მე შენ გიყვარვარ...

აი, ვისხენებ ჩვენს სტუდენტობას...  
კიბეზე შემხვდი... ფერი წამერთო...  
შენ ჯერ ვერ მამჩნევ და ამიტომაც  
ენაკვიმატი ვხდები საერთოდ.  
აი, ყოველდღე მოსვლას ვაპირებ, —  
რამე საბაბი მინდა მოეძებნო;  
ვარ უგუნებოდ და ვწევ პაპიროსს



და მთელი ღამე შენზე ვოცნებობ.  
 თავზე გველები, რას არ გპირდები,  
 გეჩურჩულები, გელიმილები.  
 აფეთქებული ატმის კვირტები  
 მგონია შენი კაბის ღილები.  
 და ვწუხვარ: რატომ არ გამიგონე,  
 რატომ გამირბი, რად მემალევი;  
 შენი წარბივით მოქნილ სტრიქონებს  
 ავუხამხამე რითმის თვალები.  
 არ იცი გულმა როგორ გინდომა,  
 შენს სუნთქვას ძგერა როგორ აუბა,  
 შენ უკვე მამჩნევ და ამიტომაც  
 უფრო უმატებ სხვებთან საუბარს.

ეს იმას ნიშნავს მე შენ ვიყვარვარ...

აი: მოდიხართ ვოგო-ბიჭები,  
 თითქო ჩაგობამთ ერთად ფერხული;  
 წამოგეწევი ჩქარ ნაბიჯებით  
 გაფითრებული და უხერხული;  
 და თავხედურად გადაგიდგები  
 ფერდაკარგული და მოღუშული  
 დაგტოვებს ყველა... და მორიდებით  
 მათში ატყდება ჩურჩულ-ჩურჩული;  
 შენ ამომხედავ თვალბემცინარი —  
 მალული ბრაზით და სამღურავით.  
 მე გეუბნები: „მარტო იარე,  
 ნუ გაგაცილებს ნურსად ნურავინ“;  
 და მესიტყვები გაუბედავად:  
 „არ გამიჯავრდე... კარგი... გეყოფა...  
 მე ჯერ არავინ მიყვარს, ღმერთმანი,  
 შენ კი... ვიყურებ როგორც მეგობარს...“

ეს იმას ნიშნავს მე შენ ვიყვარვარ...

დრო გადიოდა მესალმებოდი  
 ქალური კდემით და მორიდებით;  
 თვალებს ძირს ხრიდი, მაგრამ  
 მოლოდინს  
 ველარ მალავდნენ შენი თითები.  
 რა?! ჩემი დარდი გაინაწილე,  
 დადიხარ მარტო, გულჩათხრობილი,  
 თურმე შიშითაც ვერვინ გაცილებს,  
 დაგყვება კენტად შენი ღობილი.  
 აი ხელიხელ ჩაკიდლები  
 მივდივართ ძველისძველი უბნებით;

„იქით წავიდეთ, არ დაგვინახონ“  
 შენ ძველებურად არ მეუბნებოდა  
 ძლივს შემეჩვიე... და მტუქსავ თითით:  
 — არ შეიძლება... აკრძალულია...  
 თურმე შეჩვევა ყველაზე დიდი,  
 ყველაზე სანდო სიყვარულია.  
 მეჩურჩულები, მებუტბუტები,  
 თრთიან ბაგენი... თრთიან თითები...  
 ხან უმიზეზოდ გამებუტები,  
 ხან უმიზეზოდ შემირიდებდი.  
 შენ ამბობ: „გული აღარ მივარგა,  
 ცუდად მხდის შენი თვალის შევლება,  
 ვაიმე, რა ვქნა, როგორ მიყვარხარ,  
 რა დამემართა, რა მეშველება“...

შენი ჩურჩული მე შევიყვარე,  
 როგორც ოჯახის დიდი ნუგეში,  
 შენი ჩურჩული არხევს ფიჭვნარებს,  
 ბალახად წვება ჩიტის ბუდეში.  
 ვოცნებობ ასე თვალმოხუჭული,  
 მიცუარავ როგორც მთვარის ნაფოტი  
 და მეჩვენება შენი ჩურჩული  
 სადღაც ბუხარში კვამლად ამოდის.  
 ჩურჩულში ისმის აკენის ჭრიალი  
 და ჭერზე შენი ლანდი ქანაობს;  
 ჩურჩულში ისმის ნანის შრიალი —  
 დაიძინეო ვარღო ნანაო.

ასე ვოცნებობ შვილის შესახებ,  
 ვატყობ ცთუნებამ მახე დამიგო,  
 მაგ ჩურჩულიდან ვიღაც მეძახის  
 გაუბედავად: „მამა... მამიკო...“

გოგონას რამე თუ წამოტკივდა —  
 სავსე ხარ შიშით და შეშფოთებით;  
 ლანდევით ზიხარ ბავშვის ლოგინთან,  
 ასე მგონია დარღით მოკვდები,  
 და ძრწოლით ამბობ: „ვინ ახველებს  
 დღეს არც ჰქონია ჭამის მადლო!  
 თან საალერსოს არქმევ სახელებს  
 და ჯანმრთელობას მიხდი სადღოდ.  
 ასე — ღელვისგან სუნთქვაშეკრული  
 ჩაეხუტები და ეფერები  
 და მომსწრეც ქვეყნად აღარ მეგულის-  
 ამაზე დიდი ბედნიერების.“



ვიყავი ერთდროს ასე პატარა  
მე — ახდენილი ნატვრა ფარული;  
დედამ მეც უბით დიდხანს მატარა  
დიდი ტკივილი და სიხარული.  
დედებს ვუყვარვართ რაღაც განგებით  
გაგიჟებამდის, გადარევამდის,  
წამოვიზრდებით და ისევ ვკვდებით,  
ვართ სიყვარულის ვალში ყელამდის...

როცა მარტო ვართ თავს რად იბავშვებ,  
მართლა ბავშვივით ალერსს ჩვეულო,

რატომ ეშმაკობ შენ ჩემს წინაშე  
მიზეზიანობ და ჭირვეულობ;

და ისევ ისე შემომიჩნდები  
და საყვედურებს იწყებ ისევე,  
თურმე გჭონია რაღაც იჭვები  
და ყველა წყენას ერთად მისხენებ,  
ნუ, ჩემო კარგო, ნუ გეწყინება,  
ნურც ნურასოდეს დამემდურები,  
თუ შენს ჩივილზე გამეცინება,  
თუ ღიმილს მგვრიან საყუდურები;

ეს იმას ნიშნავს მე შენ მიყვარხარ...



## ოთარ ბაგუოჩია

### წელიწადში რამდენი დღეა?!

არა, არ ვიცი რამდენი დღეა,  
 რამდენი წუთი, რამდენი წამი.  
 მე ვიცი, როცა ზეცაში მზეა,  
 მე ვიცი, როგორ ციმციმებს ცვარი.  
 მე ის დღე მიყვარს, პირველად როცა  
 ატმის ყვავილებს დაუვლის ყრყოლა  
 და დედის ხელით შემორწყულ ბოსტანს,  
 როდესაც კვალში წვეთები ჟონავს,  
 მიყვარს დღე, როცა გაბმული წვიმა  
 დამკრავს და შორით გრიალებს მეხი,  
 ამტყდარი ქარის მუხებში გმინვა,  
 როცა ნაყოფი მოწყდება ხეხილს,  
 ოდეს თბილისში შუადღის ალი  
 ასფალტზე დასცემს ბულიან აფრებს.  
 როს ჩაგიჭროლებს ლამაზი ქალი  
 და დაგავიწყებს მთელი დღის საქმეს.  
 მიყვარს დღე იგი, ცხოველი, ვითარ  
 ლურჯი ტალღების დგაფუნი ზღვაზე.  
 თავადმოსული ხასხასა რითმა,  
 როს ეჯახება სტრიქონის ფაცერს.  
 დღე, მეგობარის ღიმილით სავსე,  
 დღე, როცა უმდერ მტკვარსა და რიონს.  
 როს სიყვარულის გახსენებაზე  
 დარდს გამიქარვებს წინანდლის ღვინო.  
 იგი დღე მიყვარს, როდესაც ვერის  
 ბაღში ყვავილებს აპრილი მორთავს,  
 გადამეხვევა ნაცნობი ძველი  
 ხელს დამკრავს, მკითხავს: როგორ ხარ ოთარ!  
 მიყვარს ახალწლის თენება მთაში,  
 მეკვლე ირემის მოვარდნა ბარად.  
 ფოსტალიონი — მოხუცი კაცი,  
 ხელის კანკალით რომ გაწვდის ბარათს.  
 მიყვარს დღე იგი, დიდების ღირსი



პირველ ქალარას რომ აჩენს თმაში.  
როცა ძარღვებში იჩქეფებს სისხლი,  
როდესაც მამას გეძახის ბავშვი.  
დღე წელიწადში რამდენი არი  
თავად მიხვდები, რად გინდა ახსნა.  
როცა ეს დღენი ტკბილიც და მწარეც  
ბოლოს გახდება ერთი დღის ფასად.  
დაგვენანება იგი დღე ძალზე,  
მოგვენატრება ვით ფერი ცისა.  
ვით უცხო მხარეს, სიკვდილის ყამზე  
გულს დასაყრელი მშობელი მიწა.

### მოდის, მოღელავს

შორიდან მოდის, ჯახანით თეთრი ლოდები აყარა,  
ფასის მთით აფეთქებულა შხეფები შემომაყარა.  
მოდის, მოღელავს რიონი, ხან ჯიქი, ხანაც დამცხრალი,  
თმაშევერცხლილი მოხუცი, თეთრჩოხიანი მაყარა.  
ბაგრატის ტაძრის აჩრდილი მიატივტივა ჯებირთან.  
თითქოს იქ დაჭრილ რაინდებს წყალი აპკურა პეშვითა.  
ნოდის, ცისკარი მოჰყვება სხივების ათინათებით,  
მე ჯაჭვის ხიდთან დავხვდები მასავით ღამენათეგა.  
— ეპეი! გადავუძახებ გახარებული მაღლიდან...  
— ეპეი! ჩემი ბალობა ეხოს გამომცემს გაღმიდან...



ზღვა — სიხარული, ამბობენ ჩვენში,  
ზღვა — მწუხარება, ამბობენ კიდევ.  
ამ ორი სიტყვის ფასი მე მესმის,  
ადრეც ვიცოდი მეტყოდნენ ვიდრე.  
ადრეც ვიცოდი, სანამღე ენას  
ამოვიდგამდი პატარა ბავშვი.  
მწყინდა, როდესაც მტუქსავდა დედა  
და მახარებდა წითელი ვაშლი.  
ის წლები უკვე წაიღო ქარმა,  
ვით ამ ნაპირის ფხვიერი ქვიშა.  
სიხარულის დროს უთქვიათ „არა“  
მწუხარებისას „ო, არა გიშავს“.  
ეხლა მარტო ვართ მე და ეს ლექსი,  
თავზე დამკეპრის ეს ზეცა ფართო.  
ზღვა მწუხარებავ! ვიცინი, გესმის  
ზღვა სიხარულო! შემხედე, ვდარდობ!..

## სვანური კოშკები

დგანან და ნისლში ჩაფიქრებულან,  
სათოფურებზე ხელის დადებით,  
მაღალ მთის მკერდზე დაკიდებულან  
ვით გაცვეთილი მუზარადები.  
ათასი წლის წინ, ისრით დახვრეტილ  
ძვლებს შეწყვეტია ჯაჭვი დაშლილი,  
ჩამოქცეულა ძველი თაღები  
ცეცხლში ჩამწვარა, როგორც ნახშირი,  
წამომართულან კოშკნი ახალნი  
მჭექარ „ლილეოს“ ბანით რეკავენ,  
შემდგარან ქიმზე როგორც მაყარნი  
და სვანურ ცერულს ერთად ცეკვავენ.  
უშბაც გუგუნებს მთათა ფერხულში,  
ქვევით უსძენენ ქვანი ღუმლით,  
მთვარე კი გდია გიჟმაჟ ენგურში  
და ტალღებს მიაქვს სვანის ქუდივით...



მოთაჩ ჩიჯავაძე

# ქალაქი

ეს პატარა ქალაქი, თავისი უძველესი, ცადაზიდული კოშკით, წითელი კრამიტის სახურავიანი სახლებით, გოთური სტილის ტაძრითა და საანის სახდელი ქარხნის ჩამქრალი საკვამლე მილით, გაშლილია მზიური პროვანსის შუა გულში — ფიჭვნარით დაფარული ალპიების ნაყოფიერ კალთაზე.

როგორც მთელ თვალწარმტაც სამხრეთ საფრანგეთში, აქაც ბევრია ატმისფერი სახის კანიანი ასული და ახალგაზრდული ცეცხლით მოელვარე თვალებიანი მზემოკიდებული ქაბუკი, ფანჯრებზე ჩამოშვებული ჟალუზების იქიდან მომზირალი მიზნედილი მანდილოსნები და მათი ექსპანსიური, ხუმარა ქმრები; ლოყაწითელი ბავშვები და მთელი ცხოვრების მანძილზე მადლიანი ღვინის სმით ლოყაგაღაყდებული მოხუცები.

მაგრამ ეს ქალაქი, საფრანგეთის ფარგლებს გარეთ უფრო ორი რამით არის განთქმული: აქ დამზადებული შესანიშნავი ზეთით, რომლის დიდებას იწაწილებს ქალაქის მთელი ჩვიდმეტიათასი მცხოვრები... ხოლო შემოსავალს კი რამდენიმე მემკვიდრე იმ მოხერხებული და ფხიანი საქმოსნებისა, რომელთაც ჯერ კიდევ „იმ ომებამდე“ ესპანეთში, აფრიკასა და კორსიკაში დაიწყეს ზეთის შესყიდვა და მისი ოსტატურად შეზავება. მეორე კი იმით, რომ აქ დაიბადა დიდი ნოსტრადამიუსი — კატრინა მედიჩისა და მისი ძის საფრანგეთის მეფის შარლ IX კარის ასტრონომი და წინასწარმეტყველი.

ნოსტრადამიუსმა ორიათასი წლისთვის მსოფლიო კათაკლიზმი იწინასწარმეტყველა, თვითონ XVI საუკუნის ნახევარში მშვიდობით განისვენა, შთამომავალთ კი დაუტოვა სამუდამო შიში, რომელიც დღემდე არ გამქრალა... ნოსტრადამიუსმა ვერ იწინასწარმეტყველა მხოლოდ ის, რომ მისი მშობლიური ქალაქის ქუჩებში ხმაურით გაივლიდნენ ტანკები, ქვემეხეზო, სამხედრო მანქანები და მოტოციკლები, ააღერებდნენ თავის ხორხის მიერ მელოდიებს გერმანელი ჯარისკაცები... და შენობების კედლებზე გაიკვრებოდა ბრძანებები საკომენდანტო საათის შესახებ, მართალია ფრანგულ ენაზე, მაგრამ დამთავრებული წმინდა გერმანული არგუმენტით: დაუმორჩილებლობისათვის დახვრეტა!

მას არ შეეძლო ეს ეწინასწარმეტყველა 400 წლის წინ... მაგრამ როგორც სწავლულმა ადამიანმა, ალბათ, იცოდა, რომ ხალხი თავის ყველაზე მძიმე ისტორიულ მოწინააღმდეგეებს თავისსავე გმირებსა და თავისსავე არამზადებს.

თუ სწორედ გერმანელთა ოკუპაციის დროის ერთი პატარა, შეუმჩნეველი ამბავი მინდა გიამბოთ:

შეეცვლი მხოლოდ მონაწილეთა სახელებს, რადგან ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალია და თავს კარგადაც გრძნობს.

პიერ კოსტანმა მიიბატივა ემილ ფურე რკინისგზის სადგურის პირდაპირ მდებარე კაფეში, დაუყვეთა ერთი ბოთლი ღვინო და ერთბაშად დაიწყო:

— ყური დამიგდე, ფურე!... სისულელეა იჯდე გულხელდაკრეფილი, როდესაც ფულები პირდაპირ ქუჩაში ყრია! — ღვინოს ჭიქიდან წელი ამოწრუბვა დაუწყო, თან მოკუტული თვალით ფურეს აკვირდებოდა. ფურემ თვალი მოარიდა, ღრმად ამოიოხრა და თავის ჭიქას ხელი მოყიდა. დალია, ენა გააწკაპუნა, უნდოდა ღვინის ღირსებაზე რაიმე ეთქვა, მაგრამ კოსტანს ეს არ აინტერესებდა, კვლავ იმავე დამრიგებლური კილოთი განაგრძო:

— კაპიტანი გასელი უკვე მესამედ მავალებს სპეციალისტის მიყვანას.

— სად უნდა მიუყვანო? — კუშტად ჩაიბურტყუნა ფურემ.

— ოტელ „ბო სოლეში“... — და თითქოს ვერ შეამჩნია მისი საყვედურიანი შემოხედვა, — ჰო, იჟ, იმათ კომენდატურაში... ვათობისა და კანალოზაციის შეკეთება უნდათ... და კიდევ იმდენი სამუშაოა, რომ თავს ვერ გაართმე!

— ვიმუშაო გერმანელებისათვის? არასოდეს! იმ ომში ძმა მომიკლეს, ამ ომში კი მე თვითონ ვიბრძოდი მათ წინააღმდეგ!

ღვინის ბოთლი დაცარიელდა, პიერ კოსტანმა მეორე დაუყვეთა.

— ჯერ ერთი, ჩემად ილაპარაკე, აგერ იმან, დახლთან რომ დგას, ფრანგული შესანიშნავად იცის... მეორე ის, რომ ალბათ დაგავიწყდა ჩვენი ერთად ბრძოლა — ათასი კილომეტრის მანძილზე ფრონტიდან დაშორებით რკინიგზას ხიდს რომ ვაკადით!.. და დომინოში წაგებული ქეიფი ჯერაც არ გადაგისდია!

— გადავიხდი, გადავიხდი, არ ეუარობ! ხომ იცი, სახელოსნო დაკეტილი მაქვს... ძველი დანახოვებით ვარსებობთ!.. ცხოვრება კი, ხედავ, როგორ გაქირდა! ემილ ფურემ ტუჩები ძუნწად დამუწა და თავი გააქნია.

— ფურე, შენ გეშინია!.. მოხუცებულობაზე არ ფიქრობ? მე შენ ამხანაგურად გეუბნები!

— რის მოხუცებულობა?! უკანასკნელ კაბიკებს ვხარჯავთ!

„ტყუის ეს ქვაწვივა“, — გაიფიქრა პიერ კოსტანმა, თან ჭიქა ხარის სისხლივით წითელი ღვინით შეავსო.

— იმას კი, რომ ამბობენ, შემდეგ დაიწყებენ გამორკვევას, ვის საიდან აქვს ფულიო, — განაგრძობდა კოსტანი დარწმუნებას, — სისულელეა! იმ ომში შვეიცარიის გზით გერმანიასთან ვაჭრობაში ჩვენმა საქმოსნებმა რა ფულები გააკეთეს!.. მეგრე ვინ ვაბედა მათთვის რაიმეს წართმევა?!.. პირიქით, მილიონები, დიდება და პატივისცემა შერჩათ! ახლა კი, როდესაც გერმანელები აქ არიან...

— პარტიზანების მუქარა? — უნებურად და შიშით დასცდა ფურეს.

— მიქარავა!.. მალე ყველას მწყერებივით დაიჭერენ! ის არაზადები მხოლოდ ხელს გეიშლიან მუშაობაში! — ღვინის სუნი შეაორთქლა სახეში ფურეს და თითქმის შიგ ყურში დაუწყო ლაპარაკი:

— კონენდანტურაში ყურღი მოგკარი, თურმე ალბიებში დიდი ნადირობა მზადდება, — მაგრამ შეამჩნია, რომ ემილ ფურეს შეეშინდა და მსწრაფლ გამოცვილა სალაპარაკო თემა.

— ყური დამიგდე, სხვანაირად დიდი ფულის შოვნა არ შეიძლება! ახლა კი, როდესაც შენ თვითონ გამოგიჩნდა საშუალება, უარობ?!

— რა გამიწყალე გული „ყური დამიგდე, ყური დამიგდე?!“ თითქოს მე მთვარეზე ვცხოვრობდე და უშენოდ არაფერი მესმოდეს! — აღშფოთდა ფურე.

— არა, არ იცი, თორემ ასე არ ილაპარაკებდი. ყველა „დიდები“ უკვე მუშა-



ობენ გერმანელებისათვის, და უამრავ ფულსაც იღებენ! დიურანი და კომპანია კი...

— ის ყოფილი დეპუტატი — სოციალისტი, სენატორობას რომ უმიზნებდა?  
— ჰო!

— მერე რა?

— არაფერი, აი, გუშინ მაგასა და კაპიტან ჰესელს შორის მილიონნახევარზე იყო ხელშეკრულება დადებული პარაზიტების საწინააღმდეგო პუდრი უნდა დაამზადონ... თვით პოლკოვნიკმა მიუღერმა მოუწერა ხელი!

— ვისი საწინააღმდეგო?

— თუ ზუსტად გინდა იცოდე, ტილების საწინააღმდეგო... და ეს მხოლოდ დასაწყისია... კვლავ ჩაიჯიბავენ მილიონებს. ხვალიდან იწყებენ მუშების აყვანას.

— ისინი ხომ საპნის მხარშეელები არიან?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა გონება ჩლუნგი ხარ! განა სულერთი არ არის საიდან და როგორ აიღებენ! ნედლეულს გერმანელებისაგან მიიღებენ. მეტი რაღა უნდათ?

— კი, მაგრამ მე დიურანი და კომპანია არა ვარ! — ცუდად დაფარული შურით უთხრა ემილ ფურემ.

— თუ კი ყველაფერი შეგაშინებს, არასოდეს არ გახდები ისეთი! რას უყურობ იმ უხეირო ხალხს, რომლებიც მთელი სიცოცხლე მუშუბად ან წვრილ ხელოსნებად დარჩებიან! ხომ გახსოვს, გაფიცვის დროს ცემით როგორ დაგაოსეს! არჩვენების დროს კი „გამყიდველ მონად“ მოგნათლეს!

— არც შენ დაგაყენეს უკეთესი დღე!

— მერე, რა! შეიგნე ფურე, რომ ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ მათთან! ჩვენ ისინი ყოველთვის გვძულდნენ!..

— ისევე როგორც მათ ჩვენ...

— მიმიფურთხებია მე მაგისთვის! — პიერ კოსტანმა მაგდას დაარტყა მკერდზე, წითური, ჭორფლიანი მუშტი. ღვინო მაგიდის თეთრ მარმარილოზე დაიღვარა და ზედ სისხლნადენ ჭრილობასავით ალაპლადა.

ემილ ფურეს არ უყვარდა მკვეთრი შეხატები, მთლიანად მოიკუნტა და შეშინებული ლოკოკინასავით შეიკუმშა.

ოციკანტი მოვიდა და ზრდილობიანი პროფესიული ღიმილით მაგიდა გადაწმინდა.

— შემომხედე, — განაგრძო პიერ კოსტანმა, — მე არასოდეს ხუთზე მეტი მუშა არა მყოლია, ახლა კი ოცდათორმეტი მყავს! გერმანელებს ყველაფერს ვუკეთებ! სკამებს, კარებს, კარადებს, კუბოებს, საკიდებს, დიდ ყუთებს გერმანიაში სხვად: სხვა რამის ვასაგზავნად!.. ანგარიშით მისწორდებიან. კაპიტანი ჰესელი ოქრო კაცია, ოღონდ უნდა იცოდე მასთან მუშაობა. როდესაც მე მას წარვუდგინე ცხრაშეტიათასი ფრანკის ასანახლაურებელი ანგარიში, თანხა ცოტა გაბერილი მქონდა, იცი რა მითხრა?

— რა? — ჰკითხა ფურემ, რომელშიაც მსწრაფლ ალაპარაკდა პროფესიული ცნობისმოყვარეობა პატარა მეპატრონისა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ამოდ ნატრობდა დიდი მეპატრონე გამხდარიყო.

ფურე მეტად რომ დაეინტერესებინა თანამოსაუბრე, პიერ კოსტანი წამით გაჩუმდა, ღვინის ჭიქები შეავსო და სკამის ზურგს გადაეყუდა.

— დამიბრუნა ანგარიში, გამიღიმა და მითხრა: „შეადგინეთ ოცდაათათასზე!“ ხოლო მიღების დროს ოცდასამი ათასი მომცა!



პიერ კოსტანმა სულმოუთქმელად დააცარიელა თავისი ჭიქა, დაჩითულმა ცხვირსახოცი თუღაშები გაიწმინდა, აჯიყჯიყდა და ჰკუის დამრიგებლის კილოთი დაუმატა:

— ღიახ, მუშაობას ცოდნა უნდა, ჩემო კარგო!

სიჩუქე ჩამოვარდა. ემილ ფურე ფიქრობდა: როგორ იყიდის მეზობელ უშენ ადგილს და გაიფართოებს თავის სახელოსნოს, კედლებს, რათქმა უნდა, ცალპირი აგურით, ამოაშენებს. ამით ცოტა ყაირათს გასწევს, მოთუთიავებული თუნუქი კი იპდენი აქვს გადანახული, თითქმის ათ სახურავს ეყოფა. მაგრამ აი, როგორ შეხედება ამას მისი მოხუცი ცოლი? ძალიან ეჯავრება მას გერმანელები... და თან ისეთი ჯიუტია! კიდევ კარგი, რომ ვაჟიშვილი მეზობელი ქალაქის კოლეჯში სწავლობს, თორემ იმასაც ამხედრებდა მამის წინააღმდეგ. საერთოდ კი სპორტის გარდა, აბა სხვა რაში ერკვევიან ეს თვრამეტი წლის ბიჭები.

კაფეში ორი გერმანელი ოფიცერი შემოვიდა. ისე იყვნენ გაჭიმულნი, თითქოს ხერხემლის ნაცვლად თოფის ზუძებები ჰქონდათ ჩაწყობილი, გაპარსული ტევტონური კედებით, გააუღრულები და სუნამო მოსხმულნი, ალბად პირდაპირ საპარიკმახეროდან იყვნენ წამოსულები. კაფეს იატაკზე ახმაურდა ქუსლები სიმივით გაჭიმული ჯარისკაცებისა და დაბალი ჩინოსნებისა. ფეხზე მდგომმა ოფიცრებმა კონიაკის ჭიქები ერთდროულად მალა ასწიეს, პირში მოაპირქვავეს და ასევე ერთდროულად ცარიელი ჭიქები დახლზე დააწყვეს, შემოტრიალდნენ და გამარჯვებულთა შესაფერისად გარეთ გავიდნენ.

ახმაურდა სკამები და ჩახშული ფრანგული ლაპარაკი კვლავ აირია გერმანულ ხორხისმიერ ამოძახილებში.

გაუპარსავი მოხუცი ჯარისკაცი თავისთავით მთვრალ, სრულიად ახალგაზრდა, სურათიანი ჯარისკაცს უჩვენებდა შვილებისა და ქერა შვილიშვილების სურათს. ახალგაზრდას აზიდებდა და მოხუცისა არაფერი ესმოდა. კუთხეში, ოთხი ჯარისკაცი ისტერიულად მოხარხარე ორ მეძვ ჭალს ათრობდა. ახალგაზრდა ფრანგები კაფეში არ იყვნენ. რამდენიმე ხანშიშესული რანტიე და პენსიონერი ბანქოს თამაშობდა, მაგრამ ოდნავ აწეულ მხრებსა და დაფანტულ გამოხედვაზე ეტყობოდათ, რომ ვერ იყვნენ თავიანთ კალაპოტში.

კარებში იჯდა დაჩაჩანაკებული მოხუცი ჩამოშვებული უღვაშებითა და მისი ასაკისთვის დამახასიათებელი მოურიდებლობით, ამღვრეული წყლიანი თვალებით ათვალერებდა ყოველ შემოსულ თუ გასულ გერმანელს; და როდესაც მათი თვალები ერთმანეთს ხვდებოდნენ, პროვანსულ კილოზე ბურტყუნით იფინებოდა.

გაიარა ექვსმა თვემ.

ემილ ფურე ღვას კომენდანტურის ღია ფანჯარასთან და გასცქერის ნაწვიმარ ეზოს. აქ იგი უკვე შინაური კაცია. ხშირად დარაჯებიც კი არ სთხოვენ საშვს. საქმეები შესანიშნავად მისდის. კაპიტან ჰესელის საშუალებით „იძულებითი წრომი“ განყოფილებიდან მუშა ხელი მიიღო. ახლა მას თვრამეტი მუშა ჰყავს. ნახევარი მათგანი აეროდრომზე მუშაობს, ქალაქიდან სამი კილომეტრის დაშორებით, მაგრამ ემილ ფურე იქ თითქმის არ მიდის ხოლმე. ზოგჯერ აეროდრომს ზომბავენ, არის მსხვერპლი და ახლა, როდესაც იგი გამდიდრების გზაზე ღვას,



სისულელეა რისკი. საერთოდამ გამბედავი კაცი არ არის: მისთვის მთავარი მტერი ფული. ვერც კი წარმოუდგენია, რომ წინათ რაღაც გროშებს იღებდა. რატომ უნდა. მუშაობას ცოდნა უნდა! ემილ ფურემ კი ეს იცის. იცის, როგორ მოუგოს ყველას გული. საწყობის გამგე ტეპფერი მისგან ყოველდღე თითო ბოთლ კონიაკს ღებულობს და ყველაფერზე, რაც კი ფურეს მუშებს საწყობიდან გამოაქვთ, ხუჭავს თავის ერთადერთ თვალს. გერმანელებმა ხომ თვითონ არ იციან რა აქვთ საწყობში. ვინ, თუ არა ფურე, შოულობს კაპიტან ჰესელისათვის ოქროსა და ბრილიანტებს. ქალაქის საოკუპაციო ჯარების სარდალის პოლკოვნიკ მიულერის ახირებაც კი შეასრულა. ახირება სულელური იყო, მაგრამ ფურეს რა ენაღვლებოდა. მონიდრომა საფოსტო მარკების კოლექცია... უშოვა. რა თქმა უნდა მოხუც დიულენს კოლექციის გაყიდვის გაგონებაც არ უნდოდა, მის გაძვალტყავებულ შინაბერა ქალიშვილს რომ არ დაეჩინებინა, ჩვენებაც არ უნდოდა. მაგრამ ფასზე მაინც ვერ მორიდდნენ. დიულენმა თავისი კოლექცია ძალიან ძვირად დააფასა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, როდესაც დიულენი და მისი ქალიშვილი გესტაპომ წაიყვანა, კოლექცია მიულერს სრულიად მუქთად დარჩა.

\*

როგორც კი ქალაქ მარსელის განაპირას მდებარე ახალი, უზარმაზარი ციხე „ბომეტიდან“ გამოვიდა ავადმყოფი პატიმრებით გაქვდილი ორი საბარგო მანქანა, თავისი პატარა სახლის სარკმელთან მთვლემარე მოხუცი ინვალიდი წამოდგა, გაზეთი გადააგდო და დაძაბვით დაადევნა თვალი მანქანებს, ვიდრე ისინი მოსახვევს არ მოეფარნენ. შემდეგ გაჭირვებით, სკამებზე დაყრდნობით, მიუახლოვდა ტელეფონს და საქალაქთაშორისოს ნომერი აკრიფა.

— „ალო!“ — გაისმა ხმა.

— ჯულიეტა, შენა ხარ?! მამაშენი გელაპარაკება... ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს!

— რაო... დიდი ხანია, რაც შეტევა გქონდა?

— არა. ეს ეს არის! ორი შეტევა... ალო, გეყურება?.. ორი შეტევა!

საანის ქარხნის „დიურან და კომპანიას“ დირექტორის მდივანმა ჯულიეტამ ჩამოკედა ყურმილი და სასწრაფოდ მოისხა პლაშში, ჩაირბინა ეზოში ჩამავალი კიბეები, შემოაჯდა ველოსიპედს და ფეხები პედალებს მთელი ძალდონით დააწვა, ტყისკენ მიმავალი გზით გაემართა.

ალართზე გადმოვიდა, ველოსიპედი ბარდებში შეინახა და ბუჩქებზე ხელის ჩავლებით დაიწყო დაქინებულ ბილიკზე ასვლა. მისმა ნაცრისფერმა პლაშჩმა რამდენჯერმე გაიღვია ხეებს შორის და ბოლოს ტყის ბინდს მიეფარა.

\*

ყოფილი სასტუმროს, ახლა კომენდანტურის ეზოში შემოსულმა ორი საბარგო მანქანისა და შავი „მერსედისის“ ხმაურმა ემილ ფურეს ფიქრები გაუფანტა. მხარზე ავტომატგადაკიდებული გუშაგი კეტავდა პიერ კოსტანის ღურგლების მიერ გაკეთებულ მკვრივსა და სქელ კარს, რომელიც უფრო მაიცივრის კარს წააგავდა.

წვიმა სკრიდა. ოციოდე ავტომატიანი ადამიანი, რაღაც მახინჯი ხვლიკების მსგავსნი, პარაშუტისტების ჭრელი მოსასხამებით მანქანებიდან გადმოვიდნენ და მუხლებში გაიშალნენ, მაგრამ მანქანას არ მოსცილებიან. მხოლოდ ერთი, ეტყობოდა უფროსი, გადმოვიდა „მერსედისიდან“, დაცვას რაღაც განკარგულება მისცა და პოლკოვნიკ მიულერისკენ გასწია.



წვიმისაგან დასველებულ მანქანებში რაღაც ფაჩუნობდა. ემილ ფურე ჯარის უფრო მიუახლოვდა.

საბარგო მანქანაში ფურემ შენიშნა სრულიად ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, გულზე წითელი ჯვრით. გოგონა გაჭირვებით აკვლევდა წვერგაუპარსავ, ლოცვებიანი ავადმყოფურად უხალისო ხალხში.

ყოველთვის, როდესაც კი დაიხრებოდა, რათა მწოლიარეთათვის რაიმე დახმარება აღმოეჩინა, გოგონას ქერა კულულები შუბლზე ეყრებოდა და, წელში გაშლილი, ხელების დაქანცული მოძრაობით კულულებს უკან იწევდა ხოლმე. გოგონამ რამდენჯერმე შეათვალა ირა დიდი, ვენეციური ფანჯრებიანი მაღალი კედლები. ემილ ფურეს მოეჩვენა, რომ მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, რომ გოგონამ იცნო ფურეში ფრანგი და ცოტა არ იყოს ეჩოთირა. შემდეგ ფურეს ყურადღება მიიპყრო მეორე მანქანიდან გადმოსულმა შუახნის ჩაფსკვილი მანდილოსანმა, აგრეთვე წითელი ჯვრით მკერდზე და ხილაბანდზე. მისკენ მსწრაფლ მიმართა თუნუქის ფინჯნებიანი და კონსერვების ცარიელი კოლოფებიანი ხელები. მანდილოსანმა აიღო რამდენიც შეეძლო, ყესტით დაამშვიდა დანარჩენები, გაუღიმა, როგორც დედა უღიმის ხოლმე მძიმე ავადმყოფ შვილს და წყლის ონკანის საძებნელად გასწია.

— რაუს!.. რაუს!..

და ერთმა გესტაპოელმა უხეშად დაუწყო ხელის კვრა მანქანისკენ. ხელიდან გავარდნილი კონსერვის ცარიელი კოლოფი აწკრიალდა მოცეპენტებულ მიწაზე.

— „ეს მიინც რა ღორბაა!“ — წარმოსთქვა ემილ ფურეს უკან მდგომმა შეგირდმა, და პატრონის უცაბედი შეპოტრიალებით შეშინებული, საპირფარეოს ჩამოსარეცხი ჯაჭვის ქლარუნით გაემართა თავისი სამუშაო ადგილისაკენ.

გათქვირებული ღორის ქსიტინით, ფანჯარაში, ფურეს გვერდით ჩაეჩხარა ნიულერის მზარეული — კარლი.

— ავად არიან!.. კომუნისტები ავად არიან!... რამდენჯერმე გაიმეორა მან გააგებული სიხარულით, ფანჯარაში გადაფურთხა და მძიმედ წაათრია სამხედრო შარვალში გამოკრული თავისი სქელი გავა.

პიერ კოსტანმა გამოიხმო ემილ ფურე, რომ ეკითხა როგორ გუნებაზე იყო დღეს კაპიტანი ჰესელი. ანგარიში უნდა წარედგინა ხელმოსაწერად.

— ვხედავ შენც ატრიალებ საქმეებს! რამდენი მუშა გყავს?

— თერამეტი! — უპასუხა ემილ ფურემ გადაქარბებული მორიდებით და გაიფიქრა: „მოიცა! ეს მხოლოდ დასაწყისია“.

— შენი საქმეები როგორაა?

— კარგად, კარგად! ეს კია მივიღე დაკვეთა სამ კუბოზე, ყაზარმისთვის, ძველ ციხე-სიმაგრეში რომ არის!

— რა, პარტიზანებმა დახოცეს?! — შიშით შეეკითხა ფურე და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— არა, თავისით! — და გამვლელ კაპიტან ჰესელს ქუდი მოუხადა, ცალ ხელში ქუდი და მეორეში ქაღალდით უკან დაედევნა.

კაპიტანმა ჰესელმა არც კი მოიხედა, ხელი აუქნია და ცხვირწინ კარი მიუხურა.

— რა ამბავია, დღეს ყველა რაღაც ნერვიულობს?! — წარმოსთქვა პიერ კოსტანმა თითქოს თავის დასამშვიდებლად და სიგარეტს მოუკიდა.

— რამ მოკლა ის სამიო? — ცვლავ დაიწყო ემილ ფურემ.





— ჯანდაბას იმ ხაკიანების თავი! — უნებურად აღმოხდა კოსტანს. ტყვია ითხლიშა პირში, ერთმა კი თავი ჩამოიხრჩო!

— რატომ?

— შიშით!.. რუსეთის ფრონტზე გზავნიდნენ!

— იმაზე უარესი რა დემარტებოდათ, რაც თვითონ აიტყეს?! — გულწრფელად გაიოცა ემილ ფურემ.

— შენ ჯერ კიდევ ბევრი არ იცი!.. მაგათ, ყველას, პანიკური შიში აქვთ რუსებისა! ისინი, ვინც აღმოსავლეთის ფრონტზეა ნამყოფი, ისეთ უღმობველ ბრძოლებს ყევიან, რომ თმები ყალყზე დაგიდგება!



როდესაც ემილ ფურე შინ დაბრუნდა, მის ცოლს გაეკეთებინა სათვალე და წერილს კითხულობდა. კითხვა არ დაასრულა, წერილი წინაფარის ჯიბეში ჩაიღო და სუფრის გაშლას შეუდგა.

— როგორა აქვს ჟაკის კოლეჯში საქმეები? — შეეკითხა ქმარი.

— პატარა კასრში ღვინთ დამყავებულა! — გაისმა პასუხად და ფურემ შეამჩნია, რომ მის ცოლს თვალები დაწითლებული ჰქონდა.

— არა უჭირს, ვიყიდით! — მხიარულად უპასუხა ქმარმა. — ფული ადვილად მოდის!

— ჰო, ადვილად?!.. — თქვა ცოლმა, თან გაურკვევლად რაღაც წაიბურტყუნა.

— რას იწერება? რატომ დავაგვიანეთ წერილი? — გაბრაზდა ემილ ფურე.

— ეს წერილი კი არ არის! ესე იგი ჟაკისაგან არ არის... აბა რა ვიცი?! — და ხელი მაგრად მოიკიდა ჯიბეზე, თითქოს ეშინოდა წერილი არ წაერთმიათ.

— ჰო, ფულის შოვნას ცოდნა უნდა! — ცოლის კილოთი უკმაყოფილომ, მის გასაჯავრებლად ემილ ფურემ გაიმეორა პიერ კოსტანის სიტყვები და ხელის დასაბანად სამზარეულოში წავიდა.

ჭალარა მანდილოსანი გულხელდაკრეფილი იდგა შუა ოთახში და კედელზე ჩამოკიდებულ პატარა ბიჭის დიდ ფოტო-სურათს უცქეროდა.

იგი გაქვავებული იდგა და მშობლიური სიყვარულით მიშტერებოდა საყვარელ სახეს. ტუჩები ოდნავ უთრთოდა, ღმერთს ავედრებდა მის სიცოცხლეს. სურათი ღირსი უდიდესი მხატვრის ფუნჯისა, უკვდავი დედობრივი სიყვარულის უკვდავსაყოფად — ისევე შეუმჩნეველი დარჩა, დაბანილი ხელებით უკან დაბრუნებულ ემილ ფურეს.

— მოიტა, მოიტა, შენი ვახშამი! — საქმიანად, უხეშად მიმართა ცოლს, მიუჯდა მაგიდას და ხელსაწმენდის წვერი საყელოში ჩაიკეცა.



პოლკოვნიკმა მიულერმა დაუკვეთა მზარეულ კარლს ვახშმის მენიუ, რომლითაც აპირებდა პატიმრების კანკლის უფროსის გამასპინძლებას და დაფიქრებულმა თავის კაბინეტის ფაფუკ ხალიჩაზე დაიწყო სიარული.

არაფრით შეიძლებოდა ამოცნობა ამ „წყეული ფრანგული ფსიქოლოგიისა“. მართალია საფრანგეთი დამარცხა დიდი რების არმიამ... მაგრამ მისი დამორჩილება ჰირდა. ეშმაკმა იცის რას არ სჩადიოდნენ ეს ფრანგი პატრიოტები და კომუნისტები. მიულერს გაახსენდა სამხედრო აკადემიიდან თავისი ამხანაგის სიტყვები, რუსეთის ფრონტზე რომ მიემგზავრებოდა. „მტერს რომ შეებრძოლო, უნდა იცნობდე მის არა მარტო სამხედრო სიძლიერეს, არამედ მის სულსაც!“



მას წაკითხული ჰქონდა რამდენიმე რუსი კლასიკოსი, მათ შორის „ომი და მშვიდობა“ და უყვარდა მახვილი სიტყვა: — რუსეთი ეს „ომი და მშვიდობა“ არ არის, ეს ომი და ფულა!

და მართლაც მისი ოჯახი რეგულარულად დებულობდა რუსეთიდან მაგრად დალურსმულ კოხტა ყუთებს ყოველგვარი ძვირფასი ნივთებით...

და ბოლოს, ერთი მოთუთიებული ყუთით თვითონაც ჩამოიტანეს.

მიუღერი ზიზღით დაიღმანჯა. არა, რა თქმა უნდა ასეთ რამეებს გადაურჩა, მაგრამ საჭირო იყო ომის მალე დამთავრება. რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოესპოთ ყველა ებრაელი და კომუნისტი, რომ დაბრუნებოდა სახლს, ოჯახურ სიმყუდროვეს. ხოლო დანარჩენი შრომა — „დაპყრობილ ადგილებში“ „გერმანული წესრიგის“ დანერგვა, დაე, წილად ხედვს შემდეგ თაობას, თუ გინდ მის ვაჟი-შვილებს. მან თავისი უკვე გააკეთა.

მიუღერი მიუახლოვდა საწერ მაგიდას და გადახედა შიკრიკის მოტანილ დოკუმენტების დასტას. შემდეგ, ამაყად შემოუარა მაგიდას, გამოსწია სკამი და დაჯდა, ისე მედიტურად, თითქოს ოთახში მისი ხელქვეითები ყოფილიყვნენ.

მიუღერმა გადახედა რამდენიმე ჩვეულებრივ ქაღალდსა და ბრძანებას და იქიდან ყურადღებით წაკითხა ორი. სარდლობა (ვინ იცის მერამდენჯერ), იუწყებოდა მთელ საფრანგეთში პარტიზანული მოძრაობის გაძლიერებას, მოითხოვდა კომუნისტების წინააღმდეგ მიეღოთ უსასტიკესი ზომები და რეიხის ჯარისკაცებს უკრძალავდა თავისუფალ საათებში თითო-თითოდ სიარულს, გლეხის სახლებში შესვლას და ა. შ. მეორე ბრძანება ნახევრადოფიციალური, მარსელის სამხედრო ციხის უფროსისაგან იყო, რომელიც იტყობინებოდა 57 მოწინააღმდეგეთა სიას და მოითხოვდა კონვოი უკან დაებრუნებინათ, რადგან მისი ციხის ეფექტივი ერთობ შემცირებული იყო. ჯარისკაცთა უმრავლესი ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე იყო გაგზავნილი.

შემდეგი ბრძანება გზის რელიეფის სირთულის გამო, წინადადებას იძლეოდა გაძლიერებინა დაცვა ან და თავისი თვალსაზრისით მიეღო ზომები... მაგალითად თუ იქნებოდა გაქცევის ცდის შემთხვევა...

— ღმერთო ჩემო, რა სულელია! — და მიუღერმა მიიხედა შავ მატერია ჩამოფარებულ ფანჯარისკენ. — ის კრეტინი მიხსნის კიდევ!

შემდეგ მთელი ქაღალდები მაგიდის ნაპირზე გასწია, გაალო სეიფი და ამოიღო რამდენიმე ტყავის ყდიანი ლამაზი ალბომი.

როდესაც პოლკოვნიკ მიუღერს მოახსენეს, რომ დაპატიმრებულთა კონვოის უფროსი როგორც ჰქონდა ნაბრძანები მოვიდაო, იგი ლუბით სინჯავდა საცოდავ დიულენის კოლექციიდან წამოღებულ გვიანის ერთობ ძვირფას მარკას, და ძალიან ცუდ ხასიათზე იყო. მარკას, რომელიც საოცრად ძვირი უნდა ღირებულყო, კაპიკის ფასი არ ჰქონდა. დაკბილული გვერდები შემოხეული ჰქონდა, რაც სრულიად უკარგავდა მას ღირებულებას.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, მის მერე, რაც სქელი მზარეული კარლი ქლოშინით კიბეებზე ქვევიდან ზევით ამოიბოდა და შესასვლელ კარებთან სულის მოთქმით შეჰქონდა სხვადასხვა კერძი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაეხვრიტათ ავადმყოფი პატიმრები.

მანამდე ორმა ოფიცერმა სამი ბოთლი ძველი ფრანგული ღვინო დალია, მოილაპარაკეს ევროპის გაერთიანების შესახებ ჰიტლერის მეთაურობით და მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ ვინც კი ამას წინ აღუდგება, უნდა განადგურებულიყო.

ჰიტლერის ფილოსოფიის უმწიკლო ლოგიკამ მშვიდად მიაღებინა ეს გა-



დაწყვეტილებას... და თანაც ეშელონის შემდგომი გზის პასუხისმგებლობისკენ განთავისუფლა.

საკითხი მარტო ერთს შეეხებოდა. როგორ მოეცილებინათ თავიდან უხერხული მოწიქნი — წითელი ჯვრის ორი და, ავადმყოფებს რომ ახლდნენ. ამ საკითხის გადასაჭრელად კიდევ შეიქნა საჭირო ერთი ბოთლი ძველი ფრანგული ღვინო... და ორი ფრანგი ქალის საკითხი გადაწყვეტილი იყო. ისინიც იმ ოთხ-მოცდაშიდს მიუმატეს.

ამ დროისათვის ჯუღუეტას მიერ გაფრთხილებულმა პარტიზანებმა გააკეთეს ყველაფერი იმისთვის, რომ გადაერჩინათ თავისი ამხანაგები. გეგმა დამუშავდა, დეტალურად დამუშავდა.

საფრანგეთის ცენტრისკენ მიმავალ გზაზე, ქალაქიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით, პარტიზანების პატარა ჯგუფი გაუშვებდა საბარგო მანქანებს სწორედ გზის დღმართთან და მტერს უკან დახვევის საშუალებას მოუსპობდა. ორმოცდაათოდ მტრის დაშორებით განლაგებული დიდი ჯგუფი მოსახვევში მიიტაცა და იერიის. გზიდან ერთი კილომეტრის დაშორებით ფერმაში სრულ მზადყოფნაში დაელოდებოდა ცხენებიანი დახმარება ავადმყოფებისა, დაჭრულებისა და წართმეული იარაღის გადასაზიდვად. ყველაფერი შესრულდებოდა ღამის წყვედიდან, საჭირო იყო მხოლოდ ლოდინი. მაგრამ საუბედუროდ ამბები სხვანაირად დატრიალდა. გერმანელებმა პატიმრები გაიყვანეს პატარა სასოფლო გზით, მივარდნის ქვის სამტეხლოზე, და მათთვის ჩვეული ორგანიზებულობითა და მეთოდურობით, დახვრიტეს.

თავიდანული პარტიზანები კბილების კრაქუნით დაბრუნდნენ მთებში. შორეული ავტომატების გუგუნით მიხვდნენ რაც მოხდა და, რომ მათი ცდა ამოიყო.

ორივე ჯგუფის ხელმძღვანელებს თავისი გაბოროტებული მებრძოლების უკან დასაბრუნებლად დიდი ჯაფა დასჭირდათ.

— ტუტუტუები, ტუტუტუები! — ეუბნებოდა მეორე დღეს, საიდანღაც ყოველთვის კარგად ინფორმირებული პიერ კოსტანი, ემილ ფურეს. ლაპარაკი იყო წითელი ჯვრის დახვრეტის დებზე.

— თვითონ ჩაუვარდნენ მგელს ყბაში! ავადმყოფები... მეერ რა რომ ავადმყოფები იყვნენ... რაში სჭირდებოდათ მაგათი მოვლა?!

ყოველი გერმანელის გავლაზე ემილ ფურე უცნაურად იკრუნჩხებოდა და თავსაც უქეიფოდ გრძნობდა.

შუადღის 12 საათზე მთელმა ქალაქმა იცოდა ეს ამბავი, მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ჩურჩულით, როდესაც ქუჩაში არ ჩანდა არცერთი გერმანელი. დედაკაცები ამ დღეს ბაზარში ნაკლებად ვაჭრობდნენ და მამაკაცებიც კაფეში იშვიათად შედიოდნენ.

ერთი კვირის შემდეგ ცხოვრება წავიდა თავისი გზით, როგორც კი შეიძლებოდა წასულიყო გერმანელების მიერ ოკუპირებულ, პატარა, პროვინციულ ქალაქში. კვლავ დასერილობდნენ კლინიკის მეპატრონისა და ყოველდღიური ფაშისტური გაზეთის რედაქტორის ექიმი პინიოლის ორი ქალიშვილი გერმანელ ოფიცრებთან ღია მანქანებით. კვლავ ლანძღავდა რუს ბოლშევიკებს მათი მამა გაზეთის მოწინავე წერილებში, და მისი თანაშემწე კბილის ექიმი და უიღბლო კარიკატურისტი ხატავდა ზორბა, მუხლებამდე წვერიან ხეპრეებს პირში დანითა და ფაფახზე ვარსკვლავით.

შედეგ ორ კვირასაც საგანგებო არაფერი მომხდარა.

რამდენიმე ღარიბი ახალგაზრდა იძულებით სამუშაოზე გერმანიაში გაიგ-

ზენა... და არ ვიცი საიდან, საკბილოს იოლად საშოვრად, ქალაქში გაჩნდა და ჩემი დენიმი ახალი პროსტიტუტა.

ინგლისურ-ამერიკულმა ავიაციამ მოუხშირა აეროდრომის დაბომბვა... აღმოსავლეთის ფრონტზე კი გერმანელები სულ ართულებდნენ თავიანთ მიერ გამოგონილ სტრატეგიას, სახელწოდებით „ზღარბი“, და ამისთვის თავიანთ ჯარებს ქალაქებიდან და სოფლებიდან უკან ახევიანებდნენ — რა თქმა უნდა დროებით. გაზეთებში აგრეთვე გაიელვა ჰიტლერის დაპირებამ, რომ თავის ძღვევამოსილ არმიას მიაცემდა რაღაც საიდუმლო ზეძალოვან იარაღს.

ხალხი ამას რომ კითხულობდა, ეცინებოდათ... რა თქმა უნდა, მხოლოდ გულში.

და მოულოდნელად, სრულიად ჩვეულებრივმა შემთხვევამ, რომელსაც ადრე არაფერ მიაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, ყველა ააღელვა.

თითქმის მთელი ქალაქი იყო საპნის სახარში ქარხნის ცეცხლფარეშის ცოლის დაკრძალვაზე. დამის 12 საათზე ავადმყოფთან სასწრაფოდ მოწვეულმა ექიმმა ბინიოლიმ დაადასტურა, რომ სასწრაფო ქირურგიული ჩარევა აუცილებელი იყო, რისთვისაც მოითხოვა საკმაოდ დიდი თანხა. ოპერაციის გაკეთება, ვიდრე წინასწარ არ მიიღებდა ფულს, იუარა.

ვიდრე საცოდავი ქმარი ფულის საშოვნელად დილის 4 საათამდე დარბოდა და შეშინებულ ნაცნობებს კარებს უბრაახუნებდა, ცოლი გარდაიცვალა. შემდეგ მართალია ცოტა ხნით, მაგრამ ყველაფერი ძველებურად წარიმართა.

როდესაც ემილ ფურე უახლოვდებოდა რომელიმე ჯგუფს, ხალხი ჩაჩუმდებოდა ხოლმე და აქეთ-იქით გულგრილად იხედებოდა.

— არამზადები! — ავინებდა ხალხს თავის გულში ემილ ფურე, და იმავე დროს უს ზღვრო სურვილს გრძნობდა მისულიყო მათთან და დალაპარაკებოდა. — ვნახავთ, მერე ჩვენ შორის ვინ რა იქნება!

ბერ კოსტანი და ემილ ფურე განაგრძობდნენ ფულების შოვნას. ერთმა მათგანმა კაპიტან ჰესელს მისცა კომუნისტებისადმი სიმპატიურად განწყობილთა სია. ეს ისინი იყვნენ, რომლებმაც გაფიცვის დროს ფურესა და კოსტანს სცემეს.

სიაში მუანოს გვარიც იყო, საპნის სახარში ქარხნის დაქვრივებული ცეცხლფარეშისა.

\*

განსაკუთრებით ლამაზია მზის ამოსვლა საფრანგეთის ამ ბარაქიან კუთხეში. ოქროსფერი სხივები ჯერ ანათებს მთების წვერებს, ალაგალაგ თითქოს აცეცხლოვნებს წიწვოვანი ტყის მუქ სიმწვანეს, ხოლო ალაგ-ალაგ ოქროსფერ აჩაღვამაღვით ეკვრის რუხ, შიშველ კლდეებს. ველიდან ასული ნისლი სიფრიდანა არშისავით თითქოს გარს ევლება მათ. მზის სხივები ეშვება სულ ქვევით და ქვევით, მას თან სდევს ასწლოვანი, გრძელი ლამაზფოთლებიანი ზეთის ხილის ხეების ჭალის ციკადების სიმფონია. მზე ანათებს ფერდობებზე გაფანტულ ფერებს, საიდანაც მოისმის მამლის ყვილი და ძროხების ბლაილი; ანათებენ ახლად გადახული მიწების შავ ზოლებს, ჯერ კიდევ რომ ორთქლი ასდით... და იკარგება წვრილ ბუჩქნარებით მოფენილ ბორცვებში ან რიყის ქვით მოფენილ ველებში.

სამხრეთ-დასავლეთით ღრუბლები, ხმელთაშუა ზღვის მტრედისფერი სილურჯის ანარეკლით, უფრო ღია ფერისა ხდება.



ბრწყინავს გრძელი დაკლავნილი გზის სარტყელი, რომელიც გადის ვიწრო მუდგბილი თეთრ სახლებთან, ბაღებში ჩაფლულ ამ პატარა ქალაქზე.

მაგრამ ემილ ფურე არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ სილამაზეს. გათენებდიანვე დადის ამ უშენ ადგილზე, რამდენიმე დღის წინ რომ შეიძინა და გუნებაში ანგარიშობს რამდენი კუმბოგეტრი მიწა უნდა ამოიღოს საპირკელის ჩასაგდებად. დღეს უნდა მიიღოს მშენებლობისათვის საჭირო აგური და ცემენტი... და ეს ყველაფერი ჰესელის წყალობით!..

მას გაახსენდა თავისი ცოლის დამცინავი სიტყვები: — „ფრანგული ცემენტი და აგური... გერმანელებისაგან!“ ეპ, რა ესმით ქალებს საქმეებისა?! ცხრა საათზე მუშებთან ერთად კომენდანტურაში უნდა იყოს, რომ თუთიით მოაპირკეთონ დიდი მაცივარი, სარდაფში რომ დგას, იმ ოთახის გვერდით, სადაც გესტაპო დაკითხვას აწარმოებს; ემილ ფურეს იქ უკვე უმუშავებია და არაადამიანური კენესა ძალიან მოქმედობს ნერვებზე. მაგრამ განა ფული, სიძნელების გარეშე მოდის?! ეტყობა გერმანელები დიდხანს აპირებენ აქ ყოფნას, რადგან მაცივარზე ფიქრობენ, ეს კი, მას ხელს აძლევს...

შუადღისას, როდესაც სამუშაო მოწესრიგდა, მთელ კომენდანტურაში ერთბაშად აღიაქოთი ატყდა. სარდაფში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა კარების ჯახუნნი, ხმაილალა ისტერიკული ყვირილი. შემდეგ ერთხანს სრული სიჩუმე ჩამოვარდა და გაისმა რკინის ნალიანი ჩექმების ხმა, სიძულვილით საეცე ვინება და რადაცის რბილზე გარტყმის ყრუ ხმაური. ვილაცა დაეცა და იატაკზე მოათრევდნენ. თმაბურძგვნილმა, შეშლილსახიანმა გესტაპოელმა სამოქალაქო ტანსაცმელში, უბრძანა ფურესა და მის მუშებს მოშორებოდნენ თავიანთი ინსტრუმენტებითა და ხე ლაშდე ფეხი არ მოედგათ.

ფურემ ქალაქში გაიგო, რომ პოლკოვნიკი მიუღერი მოუკლავთ. ვილაც ველოსიპედით გავლილ ბიჭს, სასადილოსკენ მიმავალ მიუღერისთვის სამი ტყვია მიურტყავს, და მოსახვევში, ტრანსფორმატორის გვერდით ქვიშა რომ არ ყოფილიყო, აუცილებლივ მიიმალებოდა. ველოსიპედიდან გადმოვარდნილი, თურმე ჯერ სროლით ტრანსფორმატორს მოეფარა, შემდეგ ჰადრიდან ჰადარზე გადაბრუნით, სასიკვდილოდ დაუჭრია მიუღერის თანხლები ლეიტენანტი, რომელიც მას დასდევნებოდა.

როდესაც გარს შემოერთყნენ, თავის მოკვლა სდომებია, მაგრამ ვერ ევარაუდნა. მის ორივე რევოლვერში არცერთი ტყვია არ აღმოჩნდა.

მნახველები სხედასხვანაირად ყვებოდნენ ამ ამბავს, მაგრამ გამოირკვა, რომ როგორც კი სროლა ატყდა, ყველა მიწაზე წაწვა და ის ახალგაზრდა არავის უნახავს.

იმ დღესვე დააპატიმრეს ვიზედაც კი ეპარებოდათ იჭვი, რომ კომუნისტების მიმართ სიმპატურად იყვნენ განწყობილნი. დაქვრივებული ცეცხლფარეში შუანო თავისი თხუთმეტი წლის ვაჟიშვილით შეიპყრეს.

— დასწყევლოს დემრთმა!.. ეს რა ბედი მქონია, რაღა სწორედ მაშინ, როდესაც ვაპირებდი მშენებლობის დაწყებას? — აღშფოთებული ამბობდა ემილ ფურე. — ეს წყევული პარტიზანები, ნეტავი როდის მოსპობენ ყველას?

ექიმი პანიოლი აპირებდა სასწრაფოდ სამგლოვიარო ფურცლის გამოშვებას, მაგრამ არ დასცალდა. იმავე დღეს საღამოთი მასთან მივიდა ერთი ავადმყოფი მუშა, ლურჯი ფერის სპეცტანსაცმელში, არ დაუცდია, ვიდრე ექიმი გამოვიდოდა მოსაცდელ ოთახში, კარებში მდგარ ცოლს გვერდი გაჰკრა, შევიდა კაბინეტში და ექიმს შუბლში ტყვია ახალა.

ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს და როგორც კი შებინდღე-



ბოდა, არავის ჰქონდა უფლება ქუჩაში გამოჩენილიყო. წესრიგის დაკარგვის დახვეწა ელოდა. იმის შემდეგ რაც გერმანელებისათვის მომუშავე ქარხნების წვდომისათვის თავიანთ საფოსტო ყუთებში ნახეს ფიჭვის ტოტიდან ჯიბის დანით გამოთლილი პატარა, თითისოდენა კუბოები, გესტაპოელებმა მათი ბინების დაცვა დაიწყეს.

მეორე დღეს დილით, კომენდანტურაში საშვის მიღების მოლოდინში პიერ კოსტანმა ღვარძლიანად უთხრა ემილ ფურეს:

— ცეცხლფარეში მუანო, თავის ვაჟიშვილით... კაპუტ!

— რა, შვილიც დააპატიმრეს? — გაიკვირვა ფურემ.

— ერთნაირი არამზადები არიან!.. ეს ასწავლის მას, როგორ უნდა მუშტების ტრიალი! — გაავებული შურისძიებით წარმოსთქვა კოსტანმა.

საშუალო კარგად ვერ ეწყობოდა და ფურე დამეუქრა მუშებს, რომ ყველას დაგაპატიმრებინებოთ, მაგრამ ყოველთვის, როგორც კი იმ ოთახიდან, სადაც გესტაპოელები დაკითხვას აწარმოებდნენ, მოისმოდა ხანგრძლივი და გაბმული კვნესა, მუშები ერთმანეთს შეხედავდნენ ხოლმე და დიდხანს არ შეეძლოთ არაფრის გაკეთება.

— უ უ უ!.. უ უ უ!.. — უფრო და უფრო სწირად ისმოდა არადადამიანური, გაბმული ყვარული, რომელიც ბოლოს გადადიოდა მომაკვდავის კვნესაში. ხანდახან იღებოდა კარი და მაშინ ეს კვნესა ავსებდა მთელ იმ ვეებერთელა სარდაფს, სადაც ფურეს მუშები მუშაობდნენ და ძარღვებში სისხლი ეყინებოდათ.

ემილ ფურე გამოიძახეს კაპიტან ჰესელთან. კარების გვერდით გაელისას მან გაიგონა ბრალდებულის სიტყვები:

— „არა!.. არა!.. სულერთია ვერ გაიგებთ ვერაფრ...“

სიტყვა შეუწყდა და კვლავ გაისმა გრძელი, ნახევრად ცხოველური კვნესა. ხმა ეცნო. პო, რა თქმა უნდა! ჟაკის ხმას წაავადა, ბავშვობისას რომ იცოდა გაჭირვებულმა, მაგრამ განსხვავება იმაში იყო, რომ ბრალდებულს ენა ეჩლიებოდა.

კაპიტან ჰესელს შესიებული სახე ყოველი ათი წამის შემდეგ ემანჭებოდა. იგი ყვითელი, მსხვილი კბილების კრეჭით ერთბაშად მივარდა შემოსულ ფურეს.

— რვა საათს გაძლეეთ პოლიციის მიუღერისთვის თუთიის კუბოს გასაკეთებლად. თქვენს წასაყვანად მოვლენ და მიცვალებულს ზომას აუღებთ. თუ დაავიანებთ, დაგხვრეტთ!.. — და კარებისაკენ მიუთითა.

კაბინეტიდან გამოსვლისას ემილ ფურე თავის კეფაზე გრძნობდა იმ თითს. „ყველაფერს თავი უნდა დავანებო და კუბოს გაკეთებას შევუდგე, თორემ ვერ მოვასწრებ“, ფიქრობდა იგი სარდაფში ჩასვლისას. კარები, სადაც გესტაპო დაკითხვას აწარმოებდა სწორედ იმ დროს გაიღო, როდესაც ემილ ფურემ გვერდით გაუარა. ძლიერი ელნათურის შუქმა თვალი მოსჭრა, მაგრამ მაინც შეამჩნია პატარა სხეული ორ ზორზოხა გერმანელის ხელში, როგორ შეკრთა და თითქოს მისკენ გამოქცევას ლამობდა. ფურემ პირი მოარიდა და ნაბიჯს მოუმატა.

— მოიცა! მოიცა! აბა მოდი აქ! — შემოესმა ოთახიდან მკვეთრი ხმა.

— შენ, შენ, მოდი აქ! — გამოეკიდა მას ერთერთი გესტაპოელი.

ემილ ფურე შემოტრიალდა და შიშისაგან ფეხების კანკალით შევიდა.

— ამას იცნობ?

ფურემ დაინახა ტყვიის მილი გესტაპოელის ხელში, მიმართული რალაცა პატარა უღონო არსებისადმი, რომელიც თავჩაქინდრული ორ გოლიათს ეკავა.



ერთმა მათგანმა თავისუფალი ხელი ყმაწვილს ნიკაში მოავლო და კოცხლო თავი მალლა აუწია.

ემილ ფურე საზარელმა. შიშმა აიტანა, სუნთქვა შეეკრა და თმები ყალყზე დაუდგა. იგრძნო, რომ გონება ეკარგებოდა.

ეს ყაი იყო! მისი შვილი ყაი! ცალი ამოშრეტილი თვალით და მთლად სისხლის მასად ქცეული სახით.

რალაც შინაგანმა ძალამ აიძულა ახალგაზრდა წელში გამართულიყო და ჯალათების ხელებიდან გათავისუფლებულიყო. თავს ძალა დაატანა, რის ვაი ვაგლახით ხმა ამოიღო, შესიებული და დასისხლიანებული ტუჩები აამოძრავა და კბილებჩაცევივული აჩურჩულდა, სწრაფად, სწრაფად, რამდენადაც შეეძლო, რომ არავის შეეწყვეტინებინა.

— მე ამ მოღალატეს ფაშისტების დამქაშს, არ ვიცნობ! არ ვიცნობ!

— ვინ არის?! თქვენ იცნობთ ამას? — შეპარვით, რბილად შეეკოთხა ემილ ფურე უფროსი.

ემილ ფურე იდგა, დანარჩენები კი თითქოს უზარმაზარი ბორბლით ატაცებულნი ტრიალებდნენ მის გარშემო და რალაც გაურკვეველნი და ბუნდოვნები გახდნენ. მაოლოდ იმ ბორბლის ცენტრში, ცალი თვალი დიდი და უმოძრაო, უყურებდა მას ზიზლითა და დროდადრო სიბრაღულით.

ცხოველურმა შიშმა გაიმარჯვა მის ყველა გრძნობაზე და სხვისი ხმით უპასუხა:

— მე მაგას არ ვიცნობ!

საშინელი თვალი დაიხუჭა და მას უკვე აღარ უყურებდა.

— მე ამ ქალაქში არავინ არ მიცნობს! აქაური არა ვარ! — ორად მოკეცილი ყაი ცემენტის იატაკზე დაეშვა.

იგი კვლავ აიტაცეს და თმებით აუწიეს მკერდზე დაკიდული თავი.

— საიღ-ნ ხართ? ვინ გამოგზავნათ? ვინაა?! — ხრიალებდა უფროსი და გრძნობდა, რომ მას არ შეეძლო ყოფილიყო ძლიერი სიკვდილზე, რომელიც დაამარცხა ამ ჩია ბიჭუნამ.

კომუნისტებმა გამოგზავნეს მარსელიდან? ჰა, თქვი! თქვი! — და გესტაპოს უფროსის პიროდან გერმანული ქუჩური ლანძღვა-გინება წამოვიდა.

ყაის აგონია ეწყებოდა. ის ალაპარაკდა. მთელი დღე და ღამის განმავლობაში ამ მომენტის მომლოდინე ჯალათები სულგანაბლნი უსმენდნენ. ერთი, მაგიდის განაპირას მჯდომი გახარებული იწერდა.

— დიახ, დიახ, კომუნისტები, არა მარტო მარსელისა, საფრანგეთისა... მთელი ქვეყნისა. მსოფლიოსი! ისინი გაჩენებენ თქვენ სეირს!

და გაისმა საზარელი სიცილი, ჯალათებისადმი მძლეთამძლე ზიზლის გამომხატველი სიცილი... ახლა ყაის სიტყვები ძლივს ისმოდა:

— გაუმარჯოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირს! გაუმარ... — თავი კვლავ მკერდზე ჩამოეკიდა, ცალი, უმოძრაო ღია თვალით.

ემილ ფურე მუჯღუგუნის კვრით გამოაგდეს ოთახიდან და კარი მიუჯახუნეს.

— სადა ხართ? სადა ხართ?.. — მივარდა მას კაპიტანი ჰესელი — საჩქაროდ აულეთ ზომა. გამომყევით!

ფურე მაშინაღურად გაყვა მას სარდაფის კორიდორით და რატომღაც დაეინებოთ ადევნებდა თვალს ჰესელის ოფიცრის ძვირფასი ჩექმების სარკისებრ კანკებზე იშვიათი ელნათურების შუქის ანარეკლს.



შესვლა გააღო ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი კართავანი, ხელისკვეთში შეავლო შიგ ფურე, რაღაცა გაურკვეველი დაიდრიალა და გაქრა. კარგახანს იღგა ფურე დიდსა და ნახევრად ბნელ დარბაზში ვიდრე გონს მოვიდოდა.

პირველი, რაც მან შენიშნა იყო ჭერთან ვიწრო რკინის ხარხებთან დანჯარა, საიდანაც მოჩანდა შუქი, შემდეგ ქვაფენილზე მოსიარულე ავტომატიანი ჯარისკაცის სხეულის ზედა, თავსგარეშე ნაწილი.

შუქის თეთრი ზოლი სარდაფის ბინდს სჭრიდა და ეცემოდა მაგიდაზე, რომელზედაც იდო სვასტიკიანი დროშა გადაფარებული პოლკოვნიკ მიუღერის გვამი.

ფურემ ვერც კი შენიშნა, რომ დაშორებულ მანძილზე, იერარქიის ყველა წესის დაცვით იატაკზე დადგმულ საკაცეზე იდო ლეიტენანტის გვამი.

„ზომა უნდა ავუღო“. დიდი, მტანჯავი დაძაბულობის შემდეგ გაუღევა მას თავში. ფურე მიუახლოვდა და მიუღერს სახიდან გადახადა აბრეშუმის ქსოვილი. ახლა მიუღერს სახე სულ სხვაგვარი ჰქონდა. მშვიდი, იმ მხეცური ამპარტანობის გარეშე, რომლისაც ასე ეშინოდა ფურეს.

— შენ ახლა... ის აღარა ხარ?! მე შენი უკვე აღარ მეშინია!.. ნახევრად სიცილითა და ნახევრად ტირილით წარმოსთქვა მან. შენ გაცილებით უკეთესი ხარ, როცა მკედარი ხარ... მკედარი... მკედარი... და ფურეს უეცრად ყველაფერი გაახსენდა!.. დარბაზის სიჩუმეში სილის გარტყმის ხმა გაისმა.

\*

სიბნელეში, მთვრალივით კედელ-კედელ ბარბაცით მიდიოდა ემილ ფურე ერთადერთ დარჩენილ ადამიანთან — თავის ცოლთან. უეცარი ქარი ზუზუნებდა სხვენში და აჭახუნებდა ღია დარბაზებს. ქუდი უკვე დიდი ხანია გაიტაცა ქარმა და ისროლა სადღაც შორს.

— შეხედე, მოდის ის მთვრალი არამზადა! — ხმამალა თქვა ვიღაცამ, ფანჯრის იქით, სიბნელიდან.

— რა თქმა უნდა, მაგასა და პროსტიტუტებს აქეთ ახლა ბევრი ფული — უბასუხა მას ქალის ხმამ.

უეცრად ელნათურის შუქმა ფურეს თვალი მოსჭრა.

— ხელები მაღლა! — გერმანელმა პატრულმა გაჩხრიკა იგი ვიდრე მოსთხოვდა დაბინდების შემდეგ სიარულის ნებართვას, რაც იშვიათად რომ ჰქონოდა რომელიმე ფრანგს.

— ფრანგულ ღორი!.. საშვი შენ ლოთობისათვის კი არ მოგცეს! — პატრული სიბნელეში გაუჩინარდა.

უშენ ადგილზე, რომელიც მან ახლახანს შეიძინა, დამფრთხალმა, ნეკნებჩაცვიენულმა უპატრონო ძაღლმა კული ამოიძუა და გაიქცა. დიდხანია უნდოდა მისი მოწამვლა, მაგრამ დრო ვერ ეპოვა. რატომ მხოლოდ ძაღლი?! ყველა უნდა მოწამლოს, ყველა, მთელი მსოფლიო, რომელიც მის წინააღმდეგ წავადა! ყველა წავიდა მის წინააღმდეგ, ყველა! ცოლიც კი რაღაცას უმაღლვდა!.. ვაჟიშვილი თავის ქუთაზე გაზარდა, ახლა რა გამოვა მისგან?! და უეცრად გაახსენდა, რომ ის უფორმო არსება, გერმანელებს რომ ეკავათ, მისი ვაჟიშვილი იყო და სიგიჟემდე მიმყვანმა სევედამ კვლავ დაუბნელა მას ბურუსიანი გონება.

ეს ხომ შეუძლებელია, აქ რაღაცა შეცდომაა, განა ახლახანს არ იყო ესაი წლისა რომ გახდა და ფეხს იდგამდა — ესაი!.. ესაი!.. — და ისე დაიყმუვლა, როგორც ხანდახან ამ უშენ ადგილზე ყმუოდა ხოლმე მშვიერი ძაღლი.



სიბერის ქამს, განა ქაკი არ უნდა ყოფილიყო მისი მარჩენალი, მაგრამ აუცილებლად უნდა მოკლას პიერ კოსტანი, რომელმაც მას რაღაცა ცუდი გაუკეთა, ოღონდ რა, ეს კი აღარ ახსოვს — უნდა ჰკითხოს! ჯერ მოკლავს და შემდეგ ჰკითხავს. ფულები! ფულები! ფულებით იყიდის თავის ქაკის, სრულიად პატარაა, ეს უფრო იაფი დაუჯდება, და ქაკი მიეკვრება თავისი თბილი ლოყით, ფუნჩულა თათებით ჩაეხუტება მას!.. არა, სჯობია მოზრდილი იყოს!.. ერთად წავლენ თევზის საქერად!.. ამაში მივცემ მთელ ფულს! მთელს, რაც კი მაქვს!.. დამიბრუნეთ ჩემი ქაკი! დამიბრუნეთ! ჩემი გამბედავი შვილი!.. მეც გამბედავი ვარ, მე პოლკოვნიკ მიუღერს სილა გავაწანი, მაგიდაზე რომ იწვა!.. მე ყელებს დავჭრი ყველას, ყველას!..

ხვალე ვუყიდი ჩემს ქაკის ველსიბედს! დიახ! დიახ! მარტო ერთს კი არა, ათს, ასს, ათასს!.. ფული მაქვს, ბლომად მაქვს!.. დედას კი, შვილს რომ აწყობს მამის წინააღმდეგ ტყვიის მილითა ვცემ! კბილებს ამოვამტვრევ, თვალებს დავთხრი, როგორც ამას გესტაპო სჩადის! — და უსწორო ნაბიჯებით გაემართა სახლისაკენ, მაშინაღუად ჰკრა ხელი ღია კარს.

სასადილო ოთახის კედლიდან მოკლე კოსტუმში, მაქმანის საყელოთი, რომელზედაც ეცემოდა გრძელი კულულები, იყურებოდა ქაკი — სულ დედასა ჰგავს! ნეტავი სად არის ის წყეული?! — და მას კვლავ დაუბრუნდა ჰირვეული და მერყევი გონება. მან გააღო სუფთა სამზარეულოს კარი. მისი ცოლი იჯდა გაზის ქურასთან სკვირადღეო ტანსაცმელში, რომელსაც იცვამდა ხოლმე ქაკის სანახავად რომ მიდიოდა კოლეჯში, და, ეძინა. მუხლებზე წერილი ედო. სათვალე ცხვირის ბოლოზე ჩამოსკურებოდა. ფურე ზურგიდან მიუახლოვდა და არანორმალურის ცნობისმოყვარეობით, წერილი ფრთხილად აიღო.

„იცი დედა, რა მიმძიმს და რა რიგ მრცხვენია, რომ ასეთი მამა მყავს!.. ნაგრამ ვეცდები მისი დანაშაული მე გამოვისყიდო...“

— ხა, ხა, ხა, ხომ დაგიჭირეთ ორივე! — ცოლს მხრებში ხელები სტაცა და მთელი ძალით ჯანჯღარი დაუწყო.

შ. შ. შ. შ... ხმაურობდა ორივე ღია ონკანიდან გამოსული გაზი. სათვალე ჩამოვარდა კაფელის იატაკზე და გატყდა.

— წყეულო! წყეულო! შენც ჩემს ჯიბრზე მოკვდი!

მთელი ღამე ვიღაც გიყი დადიოდა ამ პატარა ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში და ყვიროდა: „მე ჰიტლერი ვარ და ყველას ყელებს დავჭრი!“



## ჯანსუღ ჩაჩქვიანი

### დიდი პაემანი

მე როცა გხედავ ფაქიზს და ნათელს,  
როგორც ტოტებში მზის სხივის კანკალს  
და გაღებული თვალები ფართედ  
თითქოს შენს სახეს ღამეში კარგავს.  
შენი სიშორე ჩამიქრობს ნათელს,  
შენი თვალების სხივები დამშლის,  
როგორც მეწყერი დავჰყვები თავქვე  
და მოვგროვდები ხეების ყბაში.  
მე შენს სითეთრეს ვაჩუქებ ზამთარს  
და თუ ოდესმე რამე ინატრო,  
ო, არ გეგონოს წავედი მართლა,  
ან ჩემი სისხლი დავტოვე მარტო.  
მე მოვალ შენთან გვირილად, ვარდად.  
მწვანე ბალახი ვიქნები შენთან.  
შენ მეტყევი აღბათ როგორ გიყვარდა,  
შენ იტყევი აღბათ, რაც უნდა გეთქვა.  
ტირიფად მოვალ, წყნარად და ობლად,  
მზედ მოვალ შენს წინ სინათლეს  
დავღვრი,  
მე მოვალ შენთან ქალაქად, სოფლად  
და როგორც დიდი ქალაქი — დაგლდი.  
მოვალ სივრცეთა თრთოლვად და  
გზნებად,  
ან ვით წვიმაში ნათელი სახლი,  
და მოვალ შენთან: ქალაქად, გზებად  
და როგორც დიდი ქალაქი — დაგლდი.  
შენი თვალების სიმკაცრეს ვფიცავ,  
როცა დაღლილი მთვარედ მოდგები,  
მაშინ ისევე ვიქცევი მიწად  
და სამუდამოდ დაგელოდები.

### ზეცავ, ნათელო!..

თუ დამანახე მამული მწვანე,  
თუ დამანახე ოქრომზისხივი,  
თუ კი ბიჭები მოდიან, მსვამენ  
და აღარ მრჩება სიტყვა მისხალი.



მაინც თუ ისევ ვივსები მთვართ, მაინც თუ ისევ ვივსები მზითა, არ ამარიდო, ზეცაო, თვალი; არ მომიცილო შორეულ გზიდან. არ მომაშორო ტუჩიდან თასი, მე შენი ხელით ვიქეცი სითბოდ და როცა სხივით ყვავილებს ავსებ ეს მე ამევსო თვალები თითქო... და ვეფერები ჭადრებს და ვაზებს, და მზეს მომავალ დღეების იქით, და იბადება ახალი აზრი, და იბადება ახალი ფიქრი. არ ამარიდო ზეცაო, თვალი, შენი ნათელი გზით მივაბიჯებ და თუ მეც შენი წამყვება ვალი — გადაეხადოს მომავალ ბიჭებს.

**გაცვივება**

მატარებლები მიდიან ხენგშით და მე მგონია ერთერთი გამსრესს. სველი ხელადა მიჭირავს ხელში, შენი წყურვილით პირთამდე სავსე. ყველა ჩარჩოში შენა ხარ ახლა, თითქო მზე იყო, თითქო ცა იყო... მერე კივილმა დახატა სახე, სახე, რომელიც მთებმა წაიღო. და გეხვეწები და გევედრები, რაც მე გაჩვენე, რაც მე განახე, არ დაივიწყო ბალი ეღემის, არ დაივიწყო მწვანე ბალახი. მდინარის პირას ქედები ისხდნენ, მთვრალი ქედები... სხვა არაფერი, შენი სითეთრე წასული ცისკენ და შენი თვალით ზეცა ნაფერი. სახურავებზე მზის ცხელი ხნული, ცისკენ წასული პატარა სევდად... ალავერდივით მაღალი სული — შენს ლურჯ თვალებში ჩადგმული სვეტად. აკისკისება დაპნეულ მძივის, გაბზარულ ხმაში ვერცხლი ჩადვრილი, შენი ცისფერი თვალების სხივი ახლაც მეწევა, როგორც აღვირი. ბორბლებში გზედავ, კივილში გისმენ და გევედრები ჭაბუკი ერთი, თუ მიმამსგავსო ოდესმე ვისმეს, არ დაივიწყო საღამო თეთრი.

## ბეთანია

„ბეთანია — სახლი სათნოებისა და  
სახლი მორჩილებისა და სახლი დიდ-  
ებისა“

ს ა ბ ა

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,  
ჩემი თვალები და ჩემი მხრები —  
გადარეული თეთრი ცხენებით  
და შორეული ზარების ხმებით.  
შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,  
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,  
თეთრი ქარებით როგორ ივსება  
დღეები ლუოჯი ქოისტეს ტანივით.  
შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,  
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,  
პირონის სურნელს როგორ იშრობენ  
ჩემი სხეულის ძველი კედლები...  
შენ არ გინახავს, მოდი და მნახავ,  
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია!..  
სათნოებისა ვარ შენი სახლი,  
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,  
შენი სხეულის ვარ ბეთანია!..

## ლოდინი

როცა მერცხლებით უბეს აივსებ,  
ზეცას თვალებით როცა შედებავ,  
ყველა მაისებს,  
ყველა მაისებს...

გელოდები და თვალი მედღება.  
ო, ასე წერო წეროს დაეძებს,  
ო, ასე დიდი რაღაც იქმნება...  
მავთულზე.

რტოზე,

სახურავებზე,

ბელურებივით სხედან ფიქრები.  
ო, ასე წერო წეროს დაეძებს,  
ო, ასე ტალღა ნაპირთან მოდის,  
მავთულზე,

რტოზე,

სახურავებზე,

მარწყვებით გვგებავ პატარა ლოდინს.  
ვარ უნაპირო და უნიათო,  
და სანამ სული გაიბოლებო,  
ნოდი, მომხედე დიღო სინათლევ  
და დაარღვიე ეს მყუდროება.



# მეგობარი

3. J. ქუქოსკია

იქ ნათელია ცის ლაქვარდი და წყარო წმინდა!  
 იქ ხმატკბილია ჭალა-ჭალა გალობა სირთა!  
 ჰოი, მამულიო! დღითა ყოვლით აღმავსებ ღზენით!  
 სადაც ვარ — შენსკენ, მარად შენსკენ მოვდივარ ფრენით —  
 შენი ვარ, შენი!

ო, მახსოვს, მახსოვს, შუქი მზისა საღამო ხანად  
 ცვრიან ბალახში ციაგობდა, ელავდა მკრთალად,  
 მზე ჩამავალი ვერცხლისფერად სხივებსა ჰღვრიდა  
 და მუხნარებში ეშვებოდა ღუმილი ციდან...

მახსოვს ტბა ლურჯი, ტბა წყნარი და ღუმილით სავსე,  
 შუადღის ხვატი და ტირიფის ჩრდილები ტბაზე,  
 რქენა, ბღავილი, ყიყინა და ძახილი ჩოზნის,  
 ტბაში თავდაღმა ჩახატული სურათი სოფლის...

ეამსა ცისკრისა იქ პაწია გალოიდა იიტი,  
 ენთებოდა და ვრცელდებოდა აისი მშვიდი...  
 ო, იქით, იქით მივყვებოდი ოცნების ბურანს  
 და ყველაფერი, ყველაფერი, მეგონა სრულად —  
 იქ იყო სულა!

1816

## კუჭკინი

ის იწვა უძრავად —  
 მძიმე შრომით დაღლილს და მაშვრალს  
 ძირს დაეშვაო ხელები თითქოს.  
 ვიდექ თავდახრით, მარტოდმარტო,  
 ვიდექ მღუმარი  
 და მიცვალებულს  
 ჩავყურებდი თვალებში დიდხანს —  
 მას დახუჭული ჰქონდა თვალები.  
 ნაცნობი იყო მისი სახეო ჩემთვის ძლიერ,  
 და მე შევნიშნე: რაიც მასზე იხატებოდა,

ჩვენ, ცხოვრებაში,  
არ გვენახა იმისი მსგავსი.  
აწ აღარ ენთო მის სახეზე  
დიადი ცეცხლი ზეშთაგონების!  
აღარ ბრწყინავდა ვეებერთელა  
მისი გონება — ო, არა, მაგრამ:  
რალაც სხვა აზრით იყო იგი შემობურვილი —  
მალალი აზრით, უღრმესი აზრით.  
მეჩვენებოდა, რომ იმა წუთს ეცხადებოდა  
მას მიუწვდომი ჩვენთვის ჩვენება;  
რალაც ხდებოდა მის გარშემო  
შეუცნობელი,  
და მე მისთვის მსურდა მეკითხა:  
— მარკვი, რას ჰხედავ?

1837



## მ. ა. ბარკინსკი

რა იქნა ჩემთა  
ტყუთა შრიალი!  
ყვავილი ველთა,  
ჩქერთა ჩხრიალი!  
გაძარცულია  
ირგვლივ მთა-ბარი,  
გადაჰხურვია  
ფიფქის საბანი...  
ყინულის ხუნდქვემ

დამუნჯდა წყარო —  
აწ აღარ ხარობს  
და აღარ ჩქარობს,  
მხოლოდლა ქარის  
გრიალი ისმის —  
ბლავის და მზარავს  
და ზეცას ჰფარავს  
ჰალარა ნისლით.

1835

## შეშობომა

კვლავ სექტემბერი! მზე ზოზინით ამოდის ცაზე,  
ამოდის გვიან.  
დასცივლიგებენ ელამ სარკეს სხივები ტბაზე —  
უღონოდ კრთიან.  
ჰალარა ნისლი გარე უელის გალუმბულ კორდებს,  
სველია ველი,  
შეყვითლებულან მუხნარები და ვერხვის ფოთლებს  
სიწითლე შვენის.  
არ ყრიალებენ ჰალა-ჰალა ფრთოსნები ღხენით,  
მღუმარებს ზეცა, მღუმარებენ სექტემბრის ტყენი.

კვავ სექტემბერი! კარზე გვადგას საღამო წლისა,  
 სუსხია დილით.  
 ვერცხლისაფერად იხატება — საუფლო მზისა —  
 მთა-ბარი რთვილით.  
 იღვიძებს ქარი, ამტვერებს ფუჩეჩს და ჩალას —  
 გრიალებს ჩქარა,  
 დაითრევს ჭალას, ყვითელ ფოთლებს დაიფრენს ჯარად,  
 დააფენს ბარად.  
 მოეჯარება ზეცას ღრუბლის ნახირი ალყად,  
 ჩამუქდება და აქაფდება მდინარის ტალღა.  
 ეპაობით, მშვიდობით! ბრწყინვალეზე მშობლიურ ცათა!  
 შრილო ტყეთა!  
 ტკბილ-მშვენიერო ზაფხულო და ბუნების კალთაე,  
 ჩხრილო ჩქერთა!  
 აჰა, ჭალაკებს ახლა წალდი ალაპარაკებს —  
 ტყისმჭრელის წალდი,  
 დაათოვს მალე მუხნარებს და ვერხვის ჭალაკებს,  
 და მკრთალი ლანდი  
 იმა მუხების, იმა თეთრი ვერხვების, მერე,  
 აღებეჭდება გაყინულ ღელეს...

1836 — 37



## ა. ნ. მაიკოვი

აქ გაზაფხული, ვითარც მხატვარი  
 საბელგანთქმული, მუშაობს წყნარად:  
 ფერიდან ფერზე გადადის ფრთხილად  
 და თითო კვირით ჩერდება მაინც;  
 დაასრულო სურათი თითქოს,  
 თითქოს ელისო ხალხის განაჩენს...  
 მაგრამ დიდოსტატს იცნობს ქვეყანა,  
 მისი ხელიდან გამოსულ საქმეს  
 ბეგრი სამსჯავრო არა სჭირდება —  
 დგას პანთეონში  
 მაესტროს ძეგლი.

სულ სხვაა ჩვენი სამშობლო მხარე  
 და გაზაფხული მხარესა ჩრდილოს!  
 სწრაფია იგი, ცქაფია იგი,  
 ჯადოქარივით გაჩნდება უცებ,  
 ჩაიგრიალებს სწივთა რიალით,

წაძრობს სტეპებს საბანს თოვლისას,  
აღნოფეთქებს მწვანე ჯეჯილებს,  
ტყეში ტოტებზე დახეთქავს კვირტებს  
და ჰა, ყვავილით აპრელებული,  
დამშვენებული  
ირწევა ველი.

ვერცხი მოასწრებს გლეხკაცი სიტყვას:  
„ე, ბიჭო, დარა გამოსულაო!..“  
რომ უკვე ხნულში ჩადგომის დროა,  
რომ უნდა სახნის-საკვეთი ჰფერო...  
ცაში კი, ცაში, ო, ღმერთო ჩემო,  
გაჩაღებულა დღესასწაული,  
დამწკრივებულან ქარავანები  
და ზღვიდან-ზღვამდე უსაზღვრო სივრცეს  
აესებს, აღვიძებს დაუდგრომელი,  
დაუცხრომელი  
ზრიალი სირთა.

სულო და გულო! რამდენიც გინდა —  
სარჩევადაა ტყე და მდინარე!  
მოშრილებენ გაბაწრულები,  
მოესწრაფვიან გაბმულნი გუნდად  
მწვანე ჯეჯილებს, გასარკულ ფშანებს,  
მდინარეების ვერცხლისფერ სარკეს,  
და, შორიდანვე, რა დალანდავენ  
ნაცნობ უღრანებს, ისლიან ქოხებს,  
ნაგლეჯს კვამლისას ქოხების თავზე —  
გადარეული  
აყვირდებიან...

ჰე, ჯადოქარო, იქ წარმიტაცე,  
იმ საუფლოში წაბიღე ჩქარა,  
სადაც დღე-ყოველ, ცისმარე დილით,  
განთიადი რომ იფეთქებს წითლად,  
მხნედ, ლაღად სუნთქავს ადამიანი  
და სადაც უფლის სასწაულთაგან  
ლხენით აღვსილა  
გული ყოველი!







მგლები

როცა სოფელში ბინდდება  
და ჩქამიც არსით ისმის,  
როდესაც თეთრად ინთება  
ჭაობებსგალმა ნისლი,  
სათითაოდ და წყვილად,  
ტყიდან გამოვლენ ფრთხილად —  
საშოვარზე  
გამოდიან მგლები.

გაბაწრულები მიდიან,  
შვიდია, ხოლო ერთი —  
ის მერვე — სხვებზე დიდია,  
წინ უძღვის რუხებს თეთრი.  
მეცხრე მიჰყვებათ უკან —  
ფეხსისხლიანი ძუენა —  
საშოვარზე  
გამოდიან ცხრანი.

ჯიქურ სოფლისკენ იძვრიან,  
გული საგულეს უღვეთ —  
ლაჯებში — ამოიჩრიან  
სოფლის ძაღლები კულებს;  
ხოლო, თუ თვალი მოჰკრა,  
ვლენჯაცს ხომ შიში მოჰკლავს  
საშოვარზე  
გამოსული მგლების.

ჰა, საყდარს გარე უვლიან,  
დგანან ზევით და ქვევით;

კარები გაღებულია —  
შედიან კულის ქნევით;  
ყურს დააცქევენ ხშირად,  
მიწას ყნოსავენ ფრთხილად —  
საშოვარზე  
გამოსული მგლები.

თვალეები უგავთ ნადვერდლებს,  
კბილები — დაშნებს! მაგრამ  
შენ შიში ნუ გაქვს — საფანტით  
თოფი დასტენე მაგრად,  
და მიაყოლე ერთი:  
ჯერ წაიქცევა თეთრი,  
წაეწყობიან გვერდით  
საშოვარზე  
გამოსული მგლები.

დილით კი, როცა მამლები  
გააღვიძებენ ხუტორს,  
გზისპირ ნახავენ მგზავრები  
სისხლში მწოლარე ურდოს:  
წინ — მეწინავე თეთრი,  
ბოლოში — კოჭლი ერთი...  
წვანან ერთურთის გვერდით,  
სისხლში მოთხვრილი მეკრდით,  
საშოვარზე  
გამოსული მგლები.

1857

\*  
\* \*

ჰოი, ლურჯო მაჩიტებო,  
ყვავილებო ველის,  
აგრე რატომ მაჩერდებით,  
რისთვის შემომცქერით?  
რას შრიალებთ — ხალისიანს,  
თუ სევდიან რამეს?  
ირგვლივ ტურფა მაისია,  
აქანავებთ თავებს...

მომაქროლებს ჩემი ცხენი,  
ტრამალ-ტრამალ მოვქრით,  
ითელებით ქედფიცხელი

ჩემი ცხენის ფლოქვით.  
ჰოი, ჩემო მაჩიტებო,  
მოვქრი ურა ცხენით —  
ნუ დამწყევლით, ნუ მახსენებთ  
აუგით და წყენით.

განა მე კი მიხარია  
თქვენი ფეხქვეშ ფენა?  
მაგრამ აღვირს აღარ ძალუძს  
შეაჩეროს ფრენა.  
მიჰქრის, მიჰქრის ქედფიცხელი,  
დგება ჯანლი მიწით,

მიმაჭროლებს ჩემი ცხენი,  
საით — არ კი ვიცით.

ჩემო ცხენო, არ უწრთვინიხარ  
სწავლულ მხედრებს შენა,  
შენ ქარიშხლებს გაუზრდიხარ,  
გაუწრთვინიხარ ველად.  
ოქრო-ვერცხლით ვერ ხმაურობ,  
შენ, სტეპივით ლურჯო,  
შე სლაურო ბედაურო,  
უბელოვ და ურჩო!

გასჭიხინენ ჰაუ, ტყე-ველს,  
წინ სივრცეა იქით,  
და ჩვენ ახლა გაურკვეველ  
მიზნისაკენ მივჭრით.  
ხოლო რითი დასრულდება  
ჩვენი ქროლა ბოლოს —  
სევდიოთა თუ სიხარულით, —  
ღმერთმა უწყის მხოლოდ!

დავეცემი დაზაფრული  
ხორშაკით და ხვატით?  
თუ სათიბში ჩასაფრული  
გაიეღვებს ლანდი —  
გაიეღვებს ყიზილბაში  
გაპარსული კისრით,  
მშვილდს მოზიდავს და ტრამალში  
დამეწევა ისრით?..

თუ ვიხილავთ ნათელ ქალაქს  
(შევვარდებით ფრენით),  
სამრეკლოთა ლურჯი ტევრით  
და სატახტო კრემლით?  
ხალხი ღელავს ზღვასავით და  
მოლოდინით გასცქერს,  
და ჰა, ხედავს დასავლიდან  
ლაშქარს კარგის მაცნეს.

ღრუბელივით უღვაშებით,  
თვალში ლომურ მზერით,  
ტანზე ჭრელი ჯუბაჩებით,  
ხელში თოფუხებით,

მოირხევა ბუმბერაზთა,  
ცხენოსანთა ჯარი —  
სახელოებს უბერავს და  
ატყავუნებს ქარი.

გადმოდგება მბრძანებელი  
აივანზე მალლით,  
შორის გზიდან ჯარებს ელის,  
ჰქუხს დიდებით ახლით.  
მისი ხილვა ხალხს შიშით და  
სიყვარულით ავსებს;  
მონომახის გვირგვინი  
უელვარებს თავზე...

„კეთილ იყოს თქვენი მოსვლა! —  
ბრძანებს დინჯად ქველი, —  
რა ხანია მართლმორწმუნე  
სატახტოში გელით!“...  
„ვაშა! სისხლით ერთნი ვართო!“ —  
ჰპასუხობენ ლაღად, —  
„და უფლადაც, ქვეყნის პატრონს,  
ძველთაგანვე გასახვით!“

რეკენ ზარებს, დაჰკრებს დაფებს,  
ჟღერს გუსლართა გუნდი;  
ასეველებენ მეფურ ტრაპეზს  
შარბათით და ლუდით.  
ხმა ოსმანთა აულს გასწვდა,  
უნგრეთს გასცდა უცებ  
და წკრიალი სლაეურ თასთა  
ეკლად ხედება პრუსებს!

ჰოი, ჩემო მაჩიტებო,  
ყვავილებო ველის,  
აგრე რატომ მაჩერდებით,  
რისთვის შემომცქერით,  
რასა სწუხართ — ხალისიანს  
რად არ მეტყვიით რამეს,  
ირგვლივ ტურფა მისია —  
აქანავებთ თავებს.





### მერცხალი

მიხარის მერცხლის ყურება —  
სწრაფია, როგორც ისარი:  
ხან ცისკენ მიეშურება,  
ხან ისევ-ისე ძირს არი.

ახალგაზრდობაც ასეა:  
ცათა ლაყვარდებს ენდობა,  
დაჭკრის და მეცხრე ცაზეა,  
მაგრამ —  
არც მიწა ეთმობა.

\*  
\* \*

ო, ეს დილა ნათელი,  
მზე სხივების მფანტველი,  
ლხენა და ჟრუანტელი,  
ლურჯი თაღი ცათა,  
პეპლები და ფუტკრები,  
ცაში სირთა გუნდები,  
დამსხვრეული ხუნდები  
და ჩხრიალი წყალთა,  
ეს ტირიფის ტევრები,  
არყები და თხემლები,  
ეს წვეთები — ცრემლები —  
დინდლი, ნაცვლად ფოთლის,

ეს მთები და ველები,  
ეს ფუსფუსი მწერების,  
ეს ქრიალი ფრთოსნის,  
ეს უღრუბლო დაისი,  
ეს, ბნელში რომ გაისმის,  
შეების ოხვრა სტანიცის,  
ეს უძილოდ დაღლა,  
ეს ბულბულთა წკრიალი,  
ეს ლოგინში წრიალი,  
ყველაფერი ერთად —  
გაზაფხული გახლავს!



### ქ. ჯ. კოდუმოვი

#### ქოხი

წყალგაღმა, მაღალ გორაზე,  
ტყე შესწრაფილებს ცას,  
გორაკის ძირში, წყალგაღმა,  
პაწია ქოხი დგას.

ანაზღად ვინმე მეზადურს  
შეაბნელდება წყალზე  
და, დროის გასატარებლად,  
თან გულის გასახარებლად,  
ქვრივს მიაღვება კარზე.

იმ ტყეში ერთი ბულბული  
გალობს და არას ნაღვლობს,  
იმ ქოხში პირმშვენიერი  
ყმაწვილი ქვრივი სახლობს.

„ჩუ, მეზადურო, ძვირფასო,  
შინ მამამთილი მიზის —  
ლამეს ვერ გაგათევიენებ —  
მერიდებო მისი...“

ამაღამ შეჰპირებია:  
რომ ჩამუქდება ბინდი,  
ერთი მამაცი ჭაბუკი  
ქვრივისას სტუმრად მიდის...

ნუ გაჯავრდები, გაცურე  
შენი ფაცხისკენ მალე —  
დილიდან საღამომდისინ  
თუნდა მესტუმრე ხვალე!“

„ძლიერმა ქარმა დაჰბერა,  
ლაშე იქნება შავი...  
შინ არა — კარში ვიძინებ —  
ჯანდაბას ჩემი თავი!“

შეაგვიანდა ვაჭარსაც,  
შემოღამდა გზაში  
და ახალგაზრდა ქვრივისას  
კარს მისდგომია ჩარჩი.

„შენ, ჩემო ოქრო-ვაჭარო,  
რით გაგიმართო ხელი?  
არ ამინთია კერია,  
არ გამაჩნია ქერი...“

სჯობს ინახულო სოფელში  
ნათელ-მირონი შენი.  
ოღონდ იცოდე, სულიყო,  
ხვალ უთენია გელი!“

„სოფლამდე დიდი გზა არი,  
ისეც გაეტანჯე ცხენი,  
მე ქერი თვითონ ვიგულე,  
არა მინდა-რა შენი.“

რა არ ვევაჭრე ქალაქში,  
კაცი რას იტყვის ენით...  
აი, ზოგართვი, გიყიდე  
შეპირებული ძღვენი“.

„ნუ შეწუხდები, ბატონო,  
თავის ტყვიელმა მომკლა,  
რა დროს ძღვენია... ეწვიო  
სჯობს ნათლიმამას სოფლად!“

„მაგის წამალი ჩირად ღირს, —  
უთხრა ვაჭარმა მაშინ, —  
არ სიტყვას გიტყვი და თავი  
დაგიამდება წამში...“

ქოხში აენტო სანათი,  
უკვე კერიაც ღვივის:  
ორი ძვირფასი სტუმრისთვის  
სუფრა იშლება ქვრივის.

სუფრა გაშლილა, ქეიფობს  
მებაღური და ჩარჩი...  
(სარკმელს კი ჩაშტერებია  
უკვე მამაცი ვაჟი...)

„შენ, მებაღურო, დალიე,  
და ჩვენც დაგვისხი ღვინო!  
თუ ცეკვაც იცი — ვიცეკვო!  
დაბლა ჩამოდი, ლხინო!“

პე ხალხთან სიამტკბილობა  
მიყვარს და კაცაც მით ვარ.  
თქვენი საქმეა — დაჭერა,  
ჩვენი საქმეა — ყიდვა...“

ხელი დაჰკარი! შენ ჩემთან  
გთხოვ, უზოდიშოდ იყავ.  
მე ერთი ვიცი იგავი,  
მე ერთს ვქადაგებ იგავს:

დარდია — გულს ნუ აჰყევი!  
საქმე — მიხედე საქმეს!  
და თუ ლხინს გადაეყარო,  
ღმერთმაც შეგარგოს — გაჰყე!“.

შეეწყო ჩარჩი მებაღურს  
და ჰერს სიმღერა სტყორცნა;  
ხელი გაღუყო მასპინძელს,  
უწყო ხვევნა და კოცნა.

გარეთ გიყდება ჰაბუკი,  
სარკმელს ჩასტკერის მთვრალი,  
სისხლი აემღერა — და წამში  
კედელს მიაწყდა კარი...“

აწ მოჩანს ნამოსახლარი  
წყალგაღმა, ჰალაკს ახლოს;  
იმ დღიდან მოყოლებული  
ზედ აღარავინ სახლობს...  
და მხოლოდ ერთი ბულბული  
გალობს და არას ნაღვლობს.





პუშკინის ძიძას

როდიონოვნავ, ჩემო ყველავ, სინათლევ თვალთა!  
 როდიონოვნავ, დაგივიწყე გეგონა მართლა?!  
 სოფლურ ცხოვრების ოდეს ვივრძენ ბედნიერება,  
 ვტოვებდი მისთვის დიდებას და მეცნიერებას,  
 ვტოვებდი ამა ერთფეროვან დღეების ბანაკს,  
 პროფესორების, მოწყენის და პრუსების ქალაქს,  
 და შენ, გაშლილი გულითა და გაშლილი ხელით,  
 შენს ნეტარ ჭერქვეშ მხვდებოდი ღხენით, —  
 სადაც პუშკინი, მხნე და გული უტეხი მარად,  
 კაცთა ღალატის, მითქმა-მოთქმის ჩამგდები არად,  
 იდგა ქურუმად პოეზიის საკურთხეველთან...  
 გადმოვივლიდი ზაფხულ ტყე-ველთა,  
 გადმოვლახავდი მზიანსა და მწვანეან შორეთს,  
 ვინახულვბდი, ვეწვეოდი განდევნილ პოეტს;  
 თან მოგიყვანდი მეგობარს და ძველისძველ ყონაღს,  
 ეროსის გაზრდილს და ეროსის საქმეთა მონას...  
 როდიონოვნავ! ხელგაშლილი მხვდებოდი ღხენით,  
 რა წმიდა იყო მასპინძლობა, ძვირფასო, შენი!  
 რა სილამაზით ივონებდი ძველთაძველ კერძებს —  
 დასტრიალებდი სუფრას და კეცებს.  
 პური და ღვინო შნოიანად სუფრაზე იდო,  
 ხილსა და არაყს ჩაგვიდგამდი სიფრთხილით თვითონ.  
 რა ტკბილი იყო ის ღიმილი შენთა ბაგეთა,  
 ის სისავსე და სივიწროვე მცირე მაგიდის!  
 ტკბილმოუბარი იხსენებდი ამბავთ მრავალთა,  
 თავგადასავლებს გვიამბობდი ძველთა თავადთა  
 და ჩვენ ვკვირობდით — ოინები ზღაპრებსა ჰვავდა  
 ნეტარხსენებულ მათ დიდთა გვამთა;  
 გვიკვირდა შენი მიაშიტი სჯისა და ფიცის,  
 ხელს არ გიშლიდით, ვიკავებდით მხოლოდღა სიცილს.  
 ვმასლაათობდით უზრუნველად შენს ჭერქვეშ ძმები  
 და მიფრინავდნენ საათები მსუბუქი ფრთებით.

1826

\*  
\* \*

თავისუფლების ნაპერწკალი თქვენ გააჩაღეთ,  
 ჩვენი დღეები თქვენ აანთეთ უჭკნობი ჯილით —  
 დაჰკიდეს კონდრატ რილევი, როგორც ყაჩაღი...  
 ო, გაიხსენე, გაიხსენე, რუსეთო, იგი,





## ანდრო თაყაიძე

### არ გსურს ნახო?

თუ ეს მთები არ გიგრძენია,  
მაშ ჭაბუკი არ ყოფილხარ;  
არ დამტყბარხარ მისი ბალის  
ჩამოთათფლულ ნაყოფითა?

არც ის წყარო გიგემნია,  
კლდის ძირში რომ მოლილინობს?  
ყელში ისე ჩატკბილდინდეს,  
დაგაეიწყოს ყველა ღვინო.

თუ გსურს ქართლმა დაგაუშუქოს  
ცა ფირუზის სიანკარე,  
მაშ, თამარის ნაფეხურებს  
სადმე ფეხი მიაკარე!

კავკასიონს გადახედე,  
რომ აინთოს ელვარებით  
ალავერდის გუმბათივით  
ატყორცნილი მწვერვალები.

ალახნის ველს არ დაივლი?  
წინანდლის ვარდს არ დაყნოსავ?  
ჭაბუკად რომ გარდაგსახავს  
თუნდ ასი წლის ჭადაროსანს.

არაგვს ხევში არ შეჰყვები?  
ჩქერს არ ნახავ საკალმანოს?  
განა ისე დაბრუნდები,  
რომ არმაზი არა ნახო?

მყინვარის მთა არ იხილო?  
თერგის წყალი არ დალიო?  
ჰამ არ გინდა შენი გული  
სიხარულით გადარიო?

ლიხის მთას არ გადაივლი?  
ქვევრს არ მოხლი იმერეთში?

მაშ გურიამ არ ჩაგძიროს  
ხმადაგრეხილ სიმღერებში?

აბა, მესხეთს მგზავრის დილა  
ვარძიაში გაითენე,  
ვეფხვთან შებმულ ვაჟაკების  
სიყვარული გაიხსენე.

გაიხსენე ავთანდილის  
მეგობრისთვის თავდადება,  
სად ძმობის და ტრფობის წიგნი  
იწყება და არ თავდება.

გელათი და ნიკორწმინდა,  
წინაპრების ღწვათა ძალა  
ნახე, თუ გსურს ქვის სიმღერა  
სულს ჩაგენტოს ნალვერდალად.

თუ გსურს ფერთა უღრმეს ზღვაში  
შორს გაგტყორცნოს გრძნობის აფრამ,  
ჩვენი მხარის სანუკვარი  
მთა და ბარი ნახე, მაგრამ

თუ თბილისს არ ესტუმრები,  
მთაწმინდაზე თუ არ ახვალ,  
მაშინ თითქოს არ ყოფილხარ,  
საქართველო არ გინახავს.

და მერე თქვი ვინ ვარ, რა ვარ,  
სად მოვსულვარ, საით მივალ,  
სიხარულის დიდი ზღვა ვარ,  
სიყვარულის რაინდი ვარ.

და თუ გინდა ჩემთან ძმობა,  
ჰა, მობრძანდი, გულით გიწვევ,  
რომ ქართული მასპინძლობა  
არასდროს არ დაგაეიწყდეს...



აკაკი ბელიაშვილი

ვენი ხელისუფალი

ორივენი ძველებური ძელური ხის სახლის წინ შეჩერდნენ. ვასილ ივანიჩმა მავთულზე გამობმულ რგოლს ჩამოჰკრა ხელი და ზარმა სადღაც ეზოში თუ სახლის მეორე მხარეს დაიყვრიალა. კარგახნის ლოდინის შემდეგ გაისმა:

— ვინ ხარ?

— გააღე, შინაური ვარ. ამ წვიმაში რას გვალოდინებ?

— ოო, ვასილ ივანიჩ, შენა? შემოდი, შემოდი!..

კარი ხრავუნით გაიღო და ორთავემ ჭიშკარში შეაბიჯეს. სწორედ იმ წუთში აინთო ქუჩაში სინათლე და ვასილ ივანიჩმა გესლიანად შენიშნა:

— დაგაგვიანდა, ძმაო. უკვე მივედიო. — მერე მასპინძელს მიუბრუნდა და უთხრა — ეს ჩემი შევირდია. ვიცი, ახლა სიხარულით ცას ეწევი, — ახლავეფხაას მიუბრუნდა — ეს, როცა ხმლის მოყვარულ კაცს ნახავს, მეშვიდე ცაზეა სიხარულით.

— შემოდით, შემოდით. — წაიდუღუნა ანიკეი გრიგორიჩმა და სტუმრებს შინ შეუძღვა.

ეს იყო თითქმის ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცი, თუმცა თმაში ერთი ღერიც კი არ ერია თეთრი. ეგ იყო, რომ სახე მთლად ჩამოჰკნობოდა და დანაოჭებოდა. კბილებიც არ აკლდა და ეტყობოდა ისეთი მაგარი ჰქონდა, რკინას გაკენეტდა. სიარულითაც გამართული დადიოდა.

დიდი სასადილო ოთახი, სადაც ისინი შევიდნენ უფრო სახელოსნოს გავდა. შუაში მაგიდა იდგა, რომლის თავზე ეკიდა ძველებური აბაჟურაიანი ნავთის ლამპა, ასაწევე დასაწევე ჯაჭვიანი მოწყობილობით, ხოლო ოთახის კედლები დაფარული იყო თაროებით, თახჩებით, განჯინებით და მუზეუმისებრი საგნე იყო ათასგვარი ყოვლად უცნაური ნივთებით. აქ ნახავდით ორთქლმავლის მოდელს, ბრინჯაოს საათს, გრაფიტის ტიკელებს, ბრჭყვიალა მინერალის ლოდებს, კბილანა ბორბლებს, სხვადასხვა ზომის გირაგებს, ჩამოსასხმელ ყალიბების დაშლილ ნაწილებს, ჭანჭიკების და ქანჩების გროვებს, ბრინჯაოს ქანდაკებებს. ერთ კუთხეში იდგა ხის ყუთში ჩადგმული პალმა. ეს პალმა ფოლადისაგან იყო ჩამოსხმული თუ გაკედილი.

— დასხედით. — მიმართა მასპინძელმა სტუმრებს — ვასია, როგორა ხართ, როგორაა ევბრაქსია ივანოვანა. სულ მინდოდა შემომეველო, ვანიუშას არბალეტო გავუქეთე, ბავშვი მეხვეწებოდა...

\* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 8, 9, 11.





— ეჰ, ერთი შენ მოგცლია — ღიმილით უთხრა ვასილ ივანიჩმა გულისათვის არ მისცე, თორემ ქუჩაში რაც ლაპიონებია სულ დაღეწავენ. ჯერ იმ შურდულისათვის მივარტყი მაგრად. დასდევენ ბელურებს და სულ ჩაუღეწეს ფანჯრები მეზობლებს.

— ბელურა ახლა ხუმრობაც არ არი, ნანადირევია! — ჩაიციხა ანიკე გრიგორიჩმა და მაგარი კბილები გამოაჩინა — ტაფაზე, რომ შეწვა თითებს ჩაიკენეტავ. ბავშვობის დროს, მახსოვს, საფანტით ასობით ვკლავდით ხოლმე, მაგრამ მაშინ საკმელად ვინ მოკიდებდა ხელს. ბეკასებს არ ვკადრულობდით. ეს ყმაწვილი სადაურია, ჩვენებურს არა ჰგავს.

— ოო, ეგ კავკასიელია. მთიელი. ჩამოვიდა, ფოლადის მოდუღება უნდა ისწავლოს.

— კავკასიელი! — აღტაცებით აღმოხდა ანიკე გრიგორიჩს. — კავკასიელებს ბევრს ვიცნობდი. ზლატოუსტში იყო ერთი ინჟინერი გოგავა, გენალი პეტროვიჩი, აჰ, რა კარგი კაცი! სად არის ახლა ნეტავ? შენ არ იცნობდი, ყმაწვილო კაცო?

— არა. — გაიქნია თავი ვეფხიამ.

— შენ, რაო, რა სთქვი, ხმლის მოყვარულიო? — მოუბრუნდა ანიკე გრიგორიჩი ვასილ ივანიჩს — ამას ჯერ ტუჩზე რძე არ შეშრობია, რა იცის ამან ხმლისა, რა გაეგება?

— შენ აჩვენე თუ გაქვს, და, ის ჩვენ ვიცით, გაეგება თუ არა.

— ეეჰ, — გულიანად ამოიოხრა ანიკე გრიგორიჩმა და ოდნავ დამციხავი ღიმილით გადახედა — ხმლების მცოდნე დიდი მთავარი ვლადიმერ სერგეევიჩი იყო, პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოდიოდა ჩემთან ზლატოუსტში, ხმალი იმან იცოდა! ყველაზე უმდიდრესი კოლექცია ჰქონდა ხმლებისა, რაც კი მსოფლიოში მოიპოებოდა. ჩემთვის უთქვამს მოსკოვში, კრემლში „ორუქეინა პალატაში“ ამის ნახევარიც არა აქვთ, რაც მე ეს იარაღი დავაგროვეო. ხმლები ჰქონდა ბათო ყაენისა, სტენკა რაზინისა, ნაპოლეონისა, სულთან მაჰმადისა, ინგლისის მეფის, რა ერქვა, მგონი რიჩარდ ლომგულისა... მან ყოველი სახის ხმალი იცოდა, რაც კი ქვეყანაზე არსებობდა, ძველებური ბრინჯაოს ორღესული მახვილებიდან დაწყებული, ჩვენებური კაზაკური ხმლით დამთავრებული. თქვენში რანაირი ხმლები იციან ყმაწვილო კაცო?

ანიკე გრიგორიჩს თვალები უცინოდა, ვითომ, რა უნდა მითხრას ამ ბავშვმა ან რა უნდა გაეგებოდეს ამ იარაღისო.

ვეფხიამ თავი ჩაღუნა და უხერხულად შეიშმუშნა.

— ხის ხმლები ანგარიშში არ შედის. — წახუმრა ანიკე გრიგორიჩმა — კავკასია, გამიგონია, განთქმული იყო კარგი იარაღით.

— ჩვენში ყველაზე კარგი ხმალი დავითფერულია. — უთხრა ვეფხიამ და ანიკე გრიგორიჩს თვალბეჭეში გაუბედავით შეხედა.

— რაო?

— დავითფერული.

— არაფერი არ მესმის. როგორ, როგორ? დავით...

— ფერული...

— ფერული, ფერული. იქნებ ფერარას მახვილზე მეუბნები. შენ გაგიგონია ფერარას ხმლის პირებზე რამე?

— არა, არ ვიცი. ჩვენში დავითფერული ოცდახუთ ძროხად ფასობს.

— ფიჟუ! ფასი ცოდნათ თქვენებს, მერე როგორია ეს ხმალი?

— არ ვიცი როგორ ავიხსნათ. აი ასე ხელზე დაიხვევ თუ გინდა და ისევ გაიმართება.

— აა, ბულატის ყოფილა. გასაგებია. კიდე?

— კიდე არის ხმალი, რომელსაც ჩვენები „დედალ რუსულს“ უწოდებენ. ისიც ძალიან ძვირია, ოცდამდე ძროხად ფასობს.

— რას ნიშნავს „დედალ“?

— ჩვენებურად ქათამს ნიშნავს.

— არაფერი არ მესმის.

— იქნებ ფერის გამო. — ჩაერია საუბარში ვასილ ივანიჩი — ბულატი ხომ ჭრელია, წინწკლებიანი, სწორედ ჭრელი ქათმის ბუმბულის ფრად დაწინწკლული.

— არ ვიცი. — გაკვირვების ნიშნად გაიქნია თავი ანიკეი გრიგორიჩმა, ადგა, ეტყობოდა ხმლების მოსაძებნად უნდოდა წასვლა, მაგრამ გადაიფიქრა, ისევ დაჯდა და ვეფხიას კითხვა: — კიდე რა ხმლებია თქვენში?

— მერე, ფრანგული.

— ეგ გასაგებია.

— ათ ძროხად ფასობს.

— კიდე?

— კიდე ჭარული, ხუთ ძროხად ფასობს. არის კიდე რუსული ორ ძროხად ფასობს.

— ეგ ალბათ უწინ გოროდოვოებს რომ ეკიდათ ის იქნება.

— არის კიდე ხმალი გორდა, ის ხუთ ძროხად ფასობს.

— გორდა? მდაა! ასეთი სახელები პირველად მესმის. — ახლა კი გადაჭრით ადგა ანიკეი გრიგორიჩი და ფარანს დაუწყო ძებნა — აბა, ერთი ვნახოთ, შენი ხმლების სახელები თუ რომელიმეს მიუღდება!

მოძებნა ძველებური რკინისგზების, თუ რაღაც იმდაგვარი, ფარანი, შიგ სანთლის პატარა ნაჭერს მოუკიდა და სტუმრებს უთხრა, მომეყვითო.

სამივენი სარდაფში ჩავიდნენ. ეს კი მართლაც რომ ნამდვილი საწყობი იყო უცნაური ნივთებისა. აქ ეგდო გადაბრუნებული ნავი, ძველებური სამბორბლიანი ველოსიპედი, რომლის წინა ბორბალი კაცის სიმაღლე იქნებოდა, რაღაც უცნაური მანქანა, ფრთებიანი ბორბლებით, ყოველ ფრთაზე პატარა საბერველებით, რომელიც როგორც შემდეგ გამოირკვა ანიკეი გრიგორიჩის გამოგონილი „პერპეტუმი მობილე“ ყოფილა და ვასილ ივანიჩის სიტყვით, ეს მანქანა, თავისით, მთელი თვეები მუშაობდა თურმე. აქვე ეწყო ლითონის დირიჟაბლის და დიდი თაღიანი ხიდის მოდელები, ძველებური ციხის ჯაზაირი, რკინის უზარმაზარი გალია, რომელშიაც თამამად შეიძლებოდა ლომის დამწყვდევა და ათასი ამგვარი რამ.

ანიკეი გრიგორიჩმა ფარანი ლურსმანზე დაჰკიდა და თავი ახადა ძველებურ, საკმაოდ მოზრდილ რკინით ნაჭედ ზანდუქს, შიგ ხელი ჩაჰყო, რაღაც რკინეულობა აახრავუნა და რამდენიმე ცალი ოდნავ შექანებული ხმლის პირი ამოათრია. თვალდათვალ ერთი მათგანი აარჩია და ვეფხიას გაუწოდა.

— აღარაფერს მიყენებენ. — სთქვა ანიკეი გრიგორიჩმა — სამხარეთმცოდნეო მუზეუმიდან შემომეჩვია ერთი დამთხვეული კოლექციონერი, იური ვლადიმეროვიჩი ბაშკირცევი, დღე არ გაევა, რომ ეს ჩემი სარდაფი არ გადაქექოს. აი იმ გალიაზე მეუბნება, მაგთი ჩაიყვანეს მოსკოვიდან უფაში პუგაჩოვის მონაწილე ჩიკა, რომ მისთვის თავი მოეკვეთათო. ის კი არ იცის, რომ ეს გალია ერთმა ცირკის მსახიობმა შემიკვეთა ვეფხისთვის, მერე აღარ წაიღო და შემირჩა.



ახლა ეს ხმლები რომ ნახოს, არცერთს აღარ დამიყენებს. ესენი კი... ნეტარები რებთ რომ დაქანგულია. ეგ როგორია, ყმაწვილო კაცო?

ვეფხიამ შეათვალეირა მთლად ქანგით დაფარული ხმლისპირი, ღარებს ხელი გააყოლა, ფხას ცერი ჩამოუსვა, სიგრძივ გახედა, დრეკა მოუსინჯა, მერე განზე შებრუნდა და ჰაერში გაასივილა.

— აჰ! კარგია! — აღტაცებით აღმოხდა მას — უკეთესი არც შეიძლება.

— აი, ახლა, მაგას ზუმფარას სახებით გვაპარიალებ და ნახავ, მაგისი ფოლადი როგორი სახისაა. ეგ, შვილო, ბულატის ფოლადია. ახლა ეს სხვებიც ნახე.

ვეფხიამ დანარჩენი ხმლებიც მოსინჯა. ზოგი მძიმე იყო და შამფურით უდრეკი, თუმცა სარკესავით ლაპლაპებდა, ზოგი ძალზე მოხრილი, ერთი თურქული ხმალიც ერია, რომელსაც წვერი ნაჯახივით ფართე ჰქონდა.

— ესენი, საპარადოებია. — მიუთითა ლაპლაპა ხმლებზე ანიკეი გრიგორიჩმა — მზეზე რომ თვალი მოჭრას ხალხს. ნამდვილი საბრძოლო იარაღი ეს არის და აი ეს ძველებური თურქული ხმალი, ბოლოში გაფართოებული და დამძიმებული, რომ მოქნევის დროს მთელი სიძლიერით დაატყდეს მოწინააღმდეგეს. მაშ, შენ, ამას ირჩევ? — მიწვდა იმ ხმალს მოხუცი, ვეფხიამ რომ პირველად აიღო ხელში, დანარჩენები ისევ სკივარში ჩაჰყარა და სამივენი ზემოთ დაბრუნდნენ.

ოთახში მათ ხანშიშესული სქელი დედაკაცი დაუხვდათ.

— ღმერთო ჩემო, ისევ ხმალი! — აღმოხდა ქალს — გამარჯობა ვასია. მა-მაჩემს ნუ აჰმევე, ნუ ასმევე, ოღონდ ხმალზე ესაუბრე.

— არაუშავს რა, ანფისა ანიკეევნა მოყვარული მოვეგვარე, ჩემი შეგირდი. — ღიმილით უპასუხა ვასილ ივანიჩმა.

— დაიცათ, სადაა ზუმფარის სახეხი ქალღი. — იკითხა მოხუცმა — მე მინდა ვაჩვენო ამ ყმაწვილს რა ფოლადია ეს ბულატი.

საღდაც უჯრავში ხელი ჩაჰყო, მოძებნა სახეხი და რამდენიმე წუთში ხმლის ერთი ნაწილი გააპარიალა, სველი ნაჭერი გადაუსვა და ვეფხიას უთხრა:

— დახედე!

ხმლის ფოლადი ხევესურულად ნაქარგი პერანგით იყო ჰრელი, წინწყლები ტალღებთ გადარბოდა ბადისებურ ქსოვილებზე.

— აი ეს არის ნამდვილი ბულატი. ასეთ ფოლადს ძველად, თურმე, თქვენში, კავკასიაში ადღებდნენ. მერე ეს საიდუმლოება დიდმა რუსმა მეცნიერმა ანოსოვმა შეისწავლა და ჩვენ გადმოგვცა, პაპაჩემს. იმისგან მამაჩემმა ისწავლა, მამამ მე მასწავლა. მე აგერ, ვასიას ვასწავლე, მაგრამ...

— ეჰ, ძია ანიკეი, მე რამდენიმე ათეული მარკის ფოლადის მოდულეებ ვიცი. ბულატი ვის რად უნდა ან ვისღა ახსოვს. — უთხრა ვასილ ივანიჩმა.

ვეფხიამ ისევ დახედა ხმლის ამ თავისებურ ჯავარს და მერე მოხუცს უთხრა:

— ძია ანიკეი, მე მასწავლეთ ასეთი ფოლადის მოდულეება.

— უწინ ეს საიდუმლოება იყო. ახლა სხვა დროა. ბულატის მარკა მოდაში აღარ არის, არავის ჰირდება. სწავლით კი რატომაც არ გასწავლი, ჯერ ჩვეულებრივი ფოლადის მოდულეება ისწავლე და მერე ბულატისას მე გასწავლი, მაგრამ რად გინდა? რაში მოიხმარ. ბულატს ახლა კარგახანია აღარ ადღებენ. წაივდა მისი დრო.



— მთაში მოხუცი პაპა მყავს, ასი წლის მკედელი. იმან ხმლების გავაქედვინებო იცის. ფოლადს მოვადუღებ და ხმაღს გავაქედვინებ.

— შენთვის? — ანიკეი გრიგორიჩმა ვეფხიას გაკვირვებით ახედდახედა, ხომ არ მატყუებსო.

— ჩემთვის. ჩვენში ხევსურეთში...

— საღაო?

— ხევსურეთში. — ჩაერია ლაპარაკში ვასილ ივანიჩი — ეს, საქართველოშია ასეთი კუთხე, მთებში, ხევსურეთი ქვეა, ხომ მართალს ვამბობ, ვეფხია?

— მართალს, ძია ვასილ. ჰო და, ჩვენში, ხევსურეთში, მამაკაცი კაცად არ ითვლება, თუ მას ხმალი არა აქვს.

ანიკეი გრიგორიჩმა კიდევ შეათვალღერა ვეფხია, მერე ვასილ ივანიჩს შეხედა და თვალებით ეკითხებოდა, ნუთუ მართალს ამბობსო.

— მართალს ამბობს, მართალს, ძია ანიკეი. — უთხრა ვასილ ივანიჩმა — მაგას კი გატეხია საბრალოს ხმალი, მარტო ქარქაში დარჩენია...

მოხუცი ანიკეი ეტყობოდა აღელდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ ამ მოხუცობის წამს, როდესაც ქვეყანა ასე გამოიცივალა, ტყვიამფრქვევისა, ავტომატებისა და მანქანების ზეიმის ეპოქაში, ის კიდევ ნახავდა ადამიანს, რომელმაც არათუ ფასი იცოდა ხმლისა, არამედ ოცნებობდა, რომ ეს ხმალი ეტარებინა.

ხომ არ მაპამპულღებნო, კიდევ შეათვალღერა ორთავე, მერე მოკიდა ხელი იმ უანვიან ხმლისპირს, სატარე ვადას დახედა და წაიდუღუნა:

— ტარი არა აქვს, მაგრამ ხელათ გავუკეთებ. — წამწამებსქვეშიდან გახედა ვეფხიას — ამ ხმაღში ოცდახუთ ძროხას დაგჯერდება.

— საიდან ეყოლება ამას ძროხები, ერთი ობოლი ბიჭია. ან რა ჭირათ უნდა ეს ხმალი. — უთხრა ვასილ ივანიჩმა.

— შენ არავინ გეკითხება, უნდა თუ არა, — შეუბღვირა მეფოლადე ოსტატს და ისევ ვეფხიას მოუბრუნდა — ოძღვეი თუ არა ოცდახუთ ძროხას? რას გაჩუმებულხარ? ეს ნამდვილი ბულატია. შეხედე, რასაც გინდა იმას გაკვეთს.

მოხუცმა მიმოიხედა, იქვე კედელზე მისობილი ლურსმანი დაინახა, მივიდა და მართალია ხმლისპირი შუაწელით ეჭირა ხელში, მოუქნია და ეს ლურსმანი პატარა ჩხირივით ჩამოსხიდა.

— ხედავ? კარგია, ხომ? მამ ოცდახუთი ძროხა თუ არა გყავს, ოცდახუთი მადლობა მაინც მითხარი. აიღე. მიჩუქნია შენთვის. ნა ლოცვა ი ზვერ ბეეიტ! ამდენი ხანია ზანდუკში მქონდა შენახული. თურმე შენ გელოდებოდა. მხოლოდ ერთი ეს მითხარი, სპინჟაკზე როგორ უნდა ატარო. ხმაღს სპინჟაკი და ჰალსტუხი რომ არ უხდება!

ანიკეი გრიგორიჩს ეშმაკურად გაუცინა თვალბემა. მართალია, ამჟამად ვეფხიას უბრალო ბლუზა და დაბამბული ქურთუკი ეცვა, ისიც საკმაოდ ჭუჭყიანი, მაგრამ მოხუცს სხვაგვარად, ესე-იგი უკოსტუმ-უჰალსტუკოდ ვერც კი წარმოედგინა თანამედროვე ახალგაზრდა კაცი.

ვეფხიამ კი აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. იდგა და არც კი აპირებდა მოხუცისთვის გამოწვდილი ხმალი ჩამოერთმია.

— რა ხათრიანი ხარ, შე გლახა შენა. — დატუქსა ვასილ ივანიჩმა — ჩამოართვი და მადლობა უთხარი ანიკეი გრიგორიჩს. იცოდე, შენზე კარგი მაღარიჩია. შტოფი უნდა ჩამოგდა. ამისთანა ხმალი ასე წელია არ გაქედღლა და აღარც არასოდეს გაიჭედება. ეგ არის, რომ ვერაფერში გამოიყენებ. მარტო კართოფლის მოსათხრელად თუ გამოდგება, ან შეიძლება ხანდახან ზურგოწოიფხანოს ადამიანმა მაგის ტარით.



ანიკეი გრიგორიჩმა ხუმრობით დაუბრაზუნა ფეხები ვასილ ივანიჩს. ანდისამ გადიკისკისა, მადლარას ხელი დასტაცა და სტუმრებს უთხრა:

— მოიცადეთ, ჩაი დავლიოთ.

\*  
\*  
\*

ვეფხიას, ყველაზე უფრო, თავისი ხმალის საერთო საცხოვრებელში გამოჩენის ეშინოდა. ვაი თუ ბიჭებმა საცინლად ამიგდონო. ამიტომ ხმლისპირა ჯერ გაზეთში შეახვია, მერე საწვიმარის ქვეშ ამოიღო და ისე სცადა შეპარულიყო თავის ოთახში, მაგრამ მაინც გაუგეს, გამოსტაცეს და დიდი გულსყურით დაუწყეს თვალღებვა. მოლოდინი არ გამართლდა, ვეფხია პირიქით შეაქეს და ხმალი განსაკუთრებით დიდათ შეაფასეს. ყოველი მათგანი ცდილობდა პირადათ შეემოწმებია ამ ხმლისპირის ღირსება, და, სხვა თუ არა, უბრალოდ ხელში მაინც აეღო. შემდეგ ერთად წავიდნენ, რომ გაესინჯათ, ჩაეტევა თუ არა ვეფხიას ხმლის ძველ ქარქაშშიო. მოსინჯეს, შუამღე წავიდა, მერე გაეჭედა.

— არაფერია, მოერგება. — ანუგეშა აჰმედმა ვეფხია — ამას მე გაგიკეთებ თუ გინდა...

— მე თითონ გავაკეთებ. — ამაყად უთხრა ვეფხიამ და ხმალი ლოგინქვეშ ამოღო.

— არაფერი არაა მაი! — არ ეშვებოდა აჰმედა — შიგნით, ხის ქარქაშს უნდა პაწა გათლა. აუჰ, რა ხმალია. ვინც მაგის ხმარება იცის.

— მოი, თუ ბიჭი ხარ, შენ ხმლით, მე ჯოხით. — უთხრა ბისმარკამ აჰმედს — აფერი არაა ხმალი.

— აი, შენ ხელში არაა აფერი, თვარა ვაჟკაცის ხელში...

— შე კაცო, ვაჟკაცის თითონ ხელია იარაღი. — დასძინა გიგამ.

— ვაჟკაცის, თორემ აჰმედის კი არა. — გაუჭილიყავა ბისმარკამ.

— შენ, ბიჭო, გულში რო გნეყვე ორჯერ ძირს, იი დავავიწყდა?

ორთავენი ხუმრობით შეძიძვილავდნენ, მაგრამ მოულოდნელად თითქო ყველასთვის ელექტროდენს დაერთყას, ერთი კი შეკრთნენ და კარებისაკენ მოიხედეს.

ოთახში ჩახმახა შემოსულიყო და უხერხულად იშმუშნებოდა. ეტყობოდა თავისუფალ საწოლს დაეძებდა, რადგან თავისი აღარ დახვედროდა და ახლა გაუბედვად იხედებოდა იქეთაქეთ. ჩახმახას დერეფნიდანაც შემოყვინენ, მათ, წინ. შურა ნიატილოვა მოუძღოდა.

— ბიჭებო, თქვენთან არ დგას თავისუფალი ლოგინი? — იკითხა შურამ.

— აი, იქ. — მიუთითა გიგამ — მეხუთე, იმ თავიდან, თავისუფალია.

— ჰო და, დაიჭირეთ. — უთხრა შურამ ჩახმახას, გაუღიმა და ოთახიდან გავიდა.

მას შემდეგ, რაც ესტატეს სცემეს, სამ თვეზე მეტი გავიდა და იგი ამ ხნის განმავლობაში სულ საავადმყოფოში იწვა. მართალია, პირველ ხანებში გიგა დარამდენიმე ამხანაგი ხშირად აკითხავდა, მაგრამ, თანდათანობით, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ის ცოცხალი გადარჩებოდა და შემდეგშიაც არაფერი არ გაურთულდებოდა, თავი მიანებეს და ბოლოს სულაც მიავიწყდათ. ახლა, ეტყობა, საავადმყოფოდან საბოლოოდ განკურნებული გამოეწერათ და ის საერთო საცხოვრებელს მოადგა.

ესტატე იღვა და ვერ ბედავდა საწოლთან მისვლას. მთელ მის გარეგნო-

ბაში, არამარტო თვალეზში და ფერმკრთალ სახეზე, მთელ მის ტანზე, თვითონ გამოსახული იყო მონანიების გრძნობა და უსიტყვო შეკითხვა: აი, მტკიცედ თქვენთან და მიმიღებთ თუ არაო. ბიჭებიც ჩუმად იდგნენ, არ იცოდნენ რა ეთქვათ. წაჩხუბების შემდეგ ოფიციალურად არ შერიგებულან და ახლა ვერ გარკვეულიყვნენ, გაეგდით ჩახმახა თუ მიეღოთ ისევ თავიანთ ოჯახში. ყველაზე ბოლოს სიმონა აღფაიქმე შემოიხედა, ატუზული ამხანაგები გასწი-გამოსწია და ესტატე შეათვალეირა. ყველანი შეიშმუშნენ და უნებურად დაძაბული ინტერესით შეხედეს ორთავეს, აბა, როგორ შეხედებთან ერთმანეთსო. სიმონამაც ვერაფერი თქვა, მარტო ესლა მოახერხა, რომ მიამიტად კითხა:

— მოხვედი, ბიჭო?

ჩახმახამ არ უპასუხა, მაგრამ სიმონას ამ უბრალო შეკითხვამ, მოულოდნელად, ეს დაძაბული მდგომარეობა ჩააქრო. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ვეფხიამ ხმალიც კი გაუშვირა და უთხრა:

— მოდი, განახო, რა ხმალი ვიშოვე.

— მართლა? — გაუღიმა ჩახმახამ, მიუახლოვდა, ხმალი ჩამოართვა და დახედა, მაგრამ ახლა მას უკვე დანარჩენები შემოეხვივნენ, ხმალი განზე გადადეს და კითხვები დააყარეს. მკლავები და ფეხები მოუსინჯეს, ცოცხალი ხარო, სიცილით უთხრეს, აი, შე ასეთო და ისეთო, თავი კინაღამ მოგვაკვლევიანო.

— შე უსინდისო, რად არ გამოდი კომკავშირის კრებაზე და გულახდილად რად არ აღიარე ყველაფერი. — უთხრა გიგამ — შენი გულისთვის ცალკე ადმინისტრაციამ გამაძრო ტყავი და ცალკე საოლქო კომიტეტმა.

ამ შეკითხვაზე უნებურად საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ გათანგა ყოველი მათგანი დაძაბული ურთიერთობის ელექტრომაგნიტმა. შეგვგრემანი და თვალეზბრიალა გიგა ზემოდან დასცქეროდა ჩახმახას და მის მშვიდ და აუღელვებელ გამომეტყველებაში იგრძნობოდა ძალაც და ნებისყოფაც. ძალიან სერიოზულად ელაპარაკებოდა.

ესტატემ თავი დახარა, დაბნეულად მიმოიხედა, მერე თავის პატარა შეკვრას მისწვდა და წაიდუღუნა:

— თუ... თუ... — ენა დაება — წავალ.

და კარებისაკენ გაიწია. გიგამ ხელით გზა გადაუღობა.

— დაჯექი. რაკი მოხვედი, საქმე უკვე მორჩომილია. ჩვენ ანგარიშს არ გიყენებთ. გავქვეითეთ. მარტო ეგ არის, რო ვისაც რა მოპარე, დაუბრუნებ. ახლავე არა. შელავათს მოგცემით. ნაწილ-ნაწილ, ხელფასიდან. გასაგებია? შენ ის გვითხარი, რატომ მაშინ არა თქვი. ხომ პატიოსნათ გთხოვეთ კომკავშირის კრებაზე. ვაყვაცურად გთხოვეთ...

— ვერ შემეძლო, გიგაჯან! ვერ ვიტყოდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე ჯიგარი ქურდი ვიყავ. მონათლული. მე რომ რამე არ მამეპარა, ავად გავხდებოდი. ვაი, თქვენ რა იცით ქურდობის გემო! რომ ვიცოდე ორივე ხელს მამჭრიან, მაინც იქით მიმირბის ეს ოხერი ხელი...

— რათა, ბიჭო, რათა, შე შავ დღეზე გაჩენილო? ასეთი მუშა ბიჭი ხარ, ასეთი ამტანი, სარემონტო ბრიგადაში შენზე ამბობენ, ასეთი, როგორც ჩახმახა, ას წელიწადში ერთი არ დაიზადებო. დირექტორს უთქვამს, თუ ასე იმუშავა ორდენზე, წარვადგენო. შენ გესმის, რა არის ორდენი, შრომაში მიღებული ორდენი? კაცი უნდა გამხდარიყავ ქვეყანაზე, მაინცდამაინც ხოჭოსავით ფუნაში მიძვრები, რისთვის?

— გამოშვით რა, წავიდე. — ისევ გაიწია ჩახმახამ.

— სად უნდა წახვიდე?

— რაკი არ მღებულობთ...

— ვინა თქვა, რომ არ გღებულობთ. ავე, ბიჭები როგორ შეგეგებენ, ვეფხია, სიმონა, ყველა. ეგ იმიტომ, რომ რაკი მოხველი, მამასადაძე, შენ ის აღარა ხარ, რაც იყავ, ხომ ასეა?

— ასეა.

— ჰოდა, მორჩომილი საქმეა.

— რაც მოვიპარე, ყველაფერს დავაბრუნებ. მერე ხომ გამიშვებთ?

— გაგიშვებთ, რატომ არ გაგიშვებთ. თუ გინდა, ახლაც გაგიშვებთ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენთან იყო, კაცი გახდეს, არ გინდა, ნუ გინდა. წადი. იმასაც გაპატიებთ რაც მოგიპარია. გინდა გზის ფულიც მოგცეთ. განა მაგაშია საქმე, ბიჭო. განა არ ვიცო, შენ ახლა გწყინს, გეტყინა, ჭრილობები რომ გაგიახლეთ, მაგრამ აბა ახლა ერთი ჩვენს გულშია ჩაიხედ, ჩვენც გეტყინა თუ არა. ჩემს ღვიძლ ძმას რომ ჩემთვის გულში დანა დაეცა, ისე არ შეტყინებოდა და არ მეწყინებოდა, როგორც მაშინ, როცა ვეფხიას ფული დაეკარგა და ყველას ჩირქი მოგვეცხო, ყველას უკლებლივ. მეც, აგერ სიმონას, ასტამურას, აპმელს, ჯემალს, ბისმარკას... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მერე შენ რომ ბიჭებმა გცემეს, განა ის კი არ გეტყინა? სისხლს არწყევსო, მითხრეს, სუნთქვა შემეკრა და გული გამიჩერდა. მოვედით, გნახეთ. გასიებული ეგდებოდა გინზე, ვეფხიამ, აი ამ ვეფხიამ მუდარა დაუწყო ექიმებს, გადაარჩინეთო! შენ იცი, ბიჭო, ეს რა არის! შეგიძლია, გაიგო? ამბობენ, ქურდებს დიდი ძმობა გაქვთ თურმე, ერთმანეთის გატანა იცი. ტყუილია. თქვენი ძმობა ცრუ ძმობაა, ერთმანეთს, აი, ამოდენა დანაშაულს არ აპატიებთ, თუ ბინძურ დავალებას არ შეასრულებთ, ერთმანეთს დანით დაკლავთ. შენ არ გეგონოს, არიფები და ფრაერები ვართ. ჩვენც ვიცით ცოტა რამე. თქვენ გულუხვები ხართ, როცა ნაქურდალს ფლანგავთ, მაგრამ იმას არ კითხულობთ, რომ სხვისი ოფლით მონაგარს ანიაგებთ, რა გენადვლებათ, შრომა მარტო მოპარვაში დავიხარჯავთ...

— მე განა შრომას გავურბობი? — მოულოდნელად ატირებული ხმით იცითხა ჩახმახამ და ლოყაზე ხელი მიირტყა: — აი ეს სიყმე მოკვდეს, ვისაც თქვენზე ნაკლებად შეეძლოს მუშაობა!..

ახლა ცრემლები წასცდა და დაწვებზე დაბალუბით წამოუვიდა. საკინძე შეიხსნა, ბოლმისაგან იღრჩობოდა. მიძიმედ მოითქვა სული და ასევე ატირებული ხმით განაგრძო:

— გიგაჯან, შენ კარგი ლაპარაკი იცი, მე ვერ შემიძლია ჩემი აზრი გამოვთქვა, ჩუღურეთელ ოხრებში გაეზარდე და გინების მეტი არაფერი მისწავლია. მე თუ ვქურდობდი, განა იმისთვის რომ ფული მიჭირდა, ან მინდოდა შემენახა... ოხ, მე... — მიძიმეთ გაქნია თავი, თითქოს ეს თავი უნდოდა ან ერთ კედელზე მიეხალა ან მეორეზე — თქვენ არ იცით, ქურდობის ხოში რა არის, რო მოგივლის, მერე მორჩა... აი რა ვთქო, რას შევადარო... — ჩახმახამ მიმოიხედა, კარებში გოგოები დაინახა და რის თქმაც უნდოდა ვეღარ თქვა, მარტო თვალები მოიწმინდა და შეეცადა სლუკუნე შეეკავებია.

— მერე, თქვი, რად არ გვეუბნები, რა გრძნობაა ეს გრძნობა, რომ ნაშუსს გაეწყობს და კაცობას გაკარგინებს... — ხმადაბლა უთხრა გიგამ, მაგრამ ამ დროს სიმონა წამოვიდა წინ.

— რა ბევრს ელაპარაკებით, თუ წასვლა უნდა, წაეიდეს. მადლობა თქვას, რომ ცოცხალი მიდის... ჩააწყე ბარგი. გზის ფულს მე მოგცემ. — მიუბრუნდა ის ჩახმახს და ჯიბეში დაიწყო ფათური.



— დაიცა, სიმონა, შენ ნუ ერევი. — ისეთივე წყნარი ხმით მოუბრუნდნენ და გიგა ამხანაგს.

— მა რა! ამბობს, კიდევ მაპივლის ქურდობის ხოშიო. ახლა ჩვენ აქ, მაგის ხოშებს ვუყარაულოთ, თუ საქმე ვაკეთოთ.

— არა, აღარ მომივლის. — მტკიცედ თქვა ჩახმახამ და სიმონას თვალებში შეხედა.

— არა? — დაჟინებით კითხა სიმონამ.

— არა.

— რა იცი რომ არა?

— ვიცი. თუ გავიმეორე, მომკლავთ. სხვა ვერაფერი ვერ დამაშინებდა, ვერც ციხე, ვერც თქვენი აგიტაცია... მე დღეს დილას გამომწერეს. მიიხრეს, საერთო საცხოვრებელში ჩვენ მიგაცილებთო, მილიციას გადაყოლებთ და იქ თქვენს ბიჭებს გავაფრთხილებთ, თუ ვინმემ ხელი გახლო, პასუხისცემაში მიეცემთო. არა მეთქი, ეგ რო ჩაიღინოთ, ხვალ დილას ლოგინში მკვდარსა მნახავთ მეთქი. მე თითონ მივალ და მათთან მოვრიგდები მეთქი. შენი ნებააო. მთელა დღე უაზროდ დავეხეტებოდი ქალაქში. მერე სადგურში წავეღ. მატარებლებს ვუტკირე მოსაცდელ დარბაზიდან. რამდენიმე საათი მერხზე გავატარე. ავდექი, ისევ ვიტრიალე. სულ ვფიქრობ, წავიდე ბიჭებთან, არ წავიდე, წავიდე, არ წავიდე. ბოლოს გადაწყვიტე და მოვედი. ახლა რაც გინდოდეთ ის მიყავით.

— რა უნდა გიყოთ. მოხვედი და გიმობთ. ადე წავიდეთ, კინოში „გიორგი სააკაძე“ გადის, მეორე სერია. ყველას მე გპატიყებთ. — მოხვია ხელი გიგამ ესტატეს, ფეხზე წამოაყენა, ბეჭებში ხელი მოჰკიდა და შეანჯღრია — ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია. არ გაგიგონია, რუსთაველს უთქვამს.

ესტატეს ახლა გოგოებიც მიუახლოვდნენ, შემოეხვივნენ და გულწრფელი აღტაცებით მიესალმნენ. შემდეგ ყველამ ერთად მოიყარეს თავი და კინოში წავიდნენ. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, შურამ ღიმილით გააყოლა მათ თვალი, თავისი კასკასა კბილები გამოაჩინა და იკითხა:

— ყველაფერი წესრიგშია?

და მერე ისევ ჩარგო თავი ლოდევით მძიმე წიგნში.

\*  
\*  
\*

მეორე დღეს ვეფხია თავისი ახლად ნაშოვნი ხმლის გაწყობას შეუდგა. ხმლისპირი ჯერ გაფერა. იშოვა სილა, ზუფმარის ნაჭერი და ნახევარ საათში საჩუკეავით ალაპლაპა, როდესაც ჟანგი მოაშორა გარეცხა და გაამშრალა, ზემონაწილში აღამიანის სახე და მის ქვემოთ უცნაური წარწერა შეამჩნია. წვერგაპარსულ მამაკაცს გრძელი უღვაშები ჰქონდა გადაგრებილი და თავზე წოწოლა, რაღაც ქეთლის მაგვარი უკანგადაკეცილი ქუდი ეხურა. ეტყობოდა, ეს მამაკაცი ამ ხმლის ძველი პატრონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ იყო იგი? წარწერა არც ქართულს გავდა არც რუსულს და მისი ამოკითხვა შეუძლებელი იყო. ვეფხიამ ბევრი უკირიკიტა, ამხანაგები მოიშველია, მაგრამ ვერცერთმა ვერ მოახერხა, არათუ წაკითხვა, არამედ იმის დადგენა თუ რა ენაზე უნდა ყოფილიყო ეს წარწერა. იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხმალზე შესაძლებელია გიორგი სააკაძე იყოს გამოსახულიო. ბისმარკას რომელიღაც წიგნში ენახა კასტელის მიერ ჩახატული სააკაძის პორტრეტი და ახლა ფიცით იჭაჭებოდა, ეს ნამდვილად ისაა და ბედმა ვეფხიას მისი ხმალი ჩაუგდო ხელშიო.





— კი გქონია, ძამია, იღბალი. — დაკრა მხარზე ხელი ბისმარკამ ვეფხიას

— კარგი ერთი, რა! — დამცინავე ღიმილით შენიშნა გიგამ — ახლა ამ ბიჭს მთლად კი ნუ გააგიჟებთ. სააკაძის ხმაღს აქ რა უნდოდა? კაცი კაცსა გავს, რა იცი ვინაა გამოსახული!

— აი, რო წაგვაკითხა, რაი სწერის ზედ — სინანულით შენიშნა ბისმარკამ — მარა, ვინაა წამკითხავი.

— მაგასაც ვიპოვით. აი, საქართველოში დავბრუნდებით და იქ ვაჩვენებთ მუზეუმში.

ახალგაზრდებში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა, ვეფხიას გიორგი სააკაძის ხმალი ჩაეარდნია ხელში და ყოველი მათგანი ცდილობდა მაშინვე შემოქმედებია ამ ამბის სინამდვილე. არათუ ბიჭები, გოგოებსაც გაეღვიძათ ცნობისმოყვარეობა. მარტო ლამარამ აიბზუა ტუჩი.

— სსსაზიზლარი. — გესლიანად ჩაისისინა მან.

მაგრამ, როდესაც ვეფხიამ თავისი ხმალი გააწყვო, ტარი დაავო, ქარქაშს მოარგო, მერე თავისი ხევესურული პერანგი ჩაიცვა, ხმალი დაიკიდა და დერეფანში გაიარ-გამოიარა, უკლებლივ ყველანი მოხიზლა. იგი ახლა ისე გამოირჩეოდა საერთო ერთფეროვნებაში, როგორც ყაყაჩო პურის ყანაში. ლამარამაც კი ველარ მითთმინა, იღუმლად გააპარა თვალი და ქაბუჯი შეათვალიერა. მერე ზურგი შეაქცია და გოგოებში ჩამდგარმა ვეფხიას გასაგონად თქვა:

— ქალი მართლა სულელია ამ ქვეყანაზე.

— რატომ, გოგო? — მიამიტად კითხა ზიზომ.

— რატომ და იმიტომ. რატომ! მაგ ხალათს ის უბედური გოგო მთელი ზამთარი უჯდა ალბათ და ქარგავდა, თვალები ამოიღამა, ეგონა... — ლამარამ შედგა.

— რა ეგონა? — არ ეშვებოდა ზიზო.

— ვაი მის ჭკუას, უბედურს. — არ უპასუხა კითხვაზე ლამარამ.

— რა ეგონა? — კიდევ კითხა ზიზომ.

— რაც! — მოკლედ მოუჭრა ლამარამ და თავის ოთახისაკენ გასწია.

ვეფხია აიღეწა. ის კარგად მიხვდა თუ სად გადაუჭრა ლამარამ. მიხვდა და ახლა თითქო უცბათ გაღვიძებოდეს, მოულოდნელად დაინახა შორეულ მთებში, კერიასთან ჩამჯდარი ლოყებლაქდაცა ის პატარა გოგოც, რომელიც თავდავიწყებული სიყვარულით უქარგავდა ამ ხალათს და, ვინ იცის, მართლაც რამდენი დღედაღამე დაუღამებია და გაუთენებია, რომ ასე წარმტაცად მოექარგა ეს ხევესურული ტალავარი, საუკუნეთა მანძილზე ასე რომ უმშვევნელა მხარბიჭს ხევესურ ვეჯაკებს. განა იმისთვის უქარგავდა მზექალა აბრეშუმით ამ სამხედრო პერანგს, რომ მერე ვეფხიასათვის გრუმას აღტაცებით შემოეჭლო მკლავები, თავისი ცხელი ტუჩებით დაელოშნა და საცეკვაო მოედანზე წაეპოწილებია, რომ ყველასათვის დაენახებია. შეხედეთ, რა ბიჭი დავითრიე ამ კაცთანაკლებობის დროსო. არა, ვერ შეუტრაცხყოფს ხევესურეთის მთებში მომლოდინე სპეტაკ გოგონას ვეფხია. მზექლას ხელით მოქარგულ პერანგს სხვისი ხელი ვერ შეეხება!

მაშინვე ოთახში შებრუნდა, ხმალიც და პერანგიც შეახვია და ლოგინქვეშ შეინახა.

— ვეფხია, ვეფხია! — გაისმა დერეფანში ძახილი და ოთახში ბიჭები შემოცვივდნენ.

— ვაი, ტანსაცმელი გაიძრე? — გაკვირვებით შეეკითხა ჰაიკა — ჩაიცვი რა!

— რად უნდა ჩაიცვა?

— წამო ქვევით, კრებაზე გეძახიან. — უთხრა თედომ — ეგეც ჩაიცვი.

— რატომ? — ისევ იკითხა ვეფხიამ და კარისაკენ გაეშურა. დანარჩენებიც გულდაწყვეტილები მიჰყვნენ, თუმცა გზადაგზა კვლავ ელრიჯებოდნენ, ჩაიცვა შენ ხევსურული ბლუზა და ხმალიც გადაიკიდო.

აღმოჩნდა, რომ საერთო საცხოვრებელში სპორტსაზოგადოება „მეტა-ლურგის“ ახალი ინსტრუქტორი მოსულიყო და ახალგაზრდებთან საუბარი სურდა. ბიჭებს კი უნდოდათ, სტუმრისთვის ვეფხია დაენახებიათ თავისი ხმლით და ხევსურული ბლუზით, რომ ამით ეთქვათ, ჩვენ ფიზკულტურა არ გვეჭირდება, ისედაც კარგი ვაჟაკები ვართო. მაგრამ დარბაზში რომ შევიდნენ. უნებურად მორიდებით შედგნენ და ჩუმად ჩამოსხდნენ მერხებზე. მაგიდასთან იჯდა და გიგასთან საუბრობდა ვიღაც სამხედრო პირი. პავონების მიხედვით იგი კაპიტანი უნდა ყოფილიყო. მკერდზე მას ორდენების ფირფიტების მრავალსართულიანი მწკრივები ჰქონდა გადაკიმული. სახეც კრილობებით ჰქონდა დაკულული, მაგრამ ეს მას სულაც არ აუშნოვებდა, პირიქით ერთგვარ ვხსნ მატებდა.

— მგონი ყველა შეგროვდა — იკითხა სამხედრომ — შეიძლება დავიწყოთ?

— შეიძლება. — დაეთანხმა გიგა.

ბიჭები ჩურჩულთი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, სურდათ სამკერდე ფირფიტების მიხედვით გაერკვიათ თუ რა ორდენები ჰქონდა მიღებული ამ ახალ სტუმარს და თითებზე ითვლიდნენ, ლენინის ორი ორდენი, წითელი დროშის ერთი, დიდების სამი, წითელი ვარსკვლავის სამი, დანარჩენი — მედლები უნდა ყოფილიყო.

სტუმარმა ქერა თმებზე ხელი გადაისვა, თვალები და სახე ორივე ხელის-გულით მოისრისა და დაიწყო:

— ჯერ, ამხანაგებო, გავიცნოთ ერთმანეთი. ჩემი გვარია ბუშუევი. თქვენ, ცხადია, უცხო მხრიდან, კაკასიდან მოსულეები ხართ და ეს გვარი არაფერს არ გეუბნებათ. ამიტომ ცნობისთვის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი წინაპრები შთამამავლობით ოსტატები იყვნენ და ჩემი პაპის ხელით გაკეთებული ცივი იარაღი ინახება ლენინგრადში, ერმიტაჟში...

უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა იყო ეს ერმიტაჟი, მაგრამ არცერთს ხმა არ გაუღია და არც უკითხავს, რას წარმოადგენდა იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვების წინაშე არ გამოემქლანებია თავისი უფიცობა.

— ...ასე რომ მე, ადგილობრივი, ასე ვთქვათ, ურალის ღვიძლი შვილი ვარ. მე ცოტა სხვა გზით წავედი და სპორტის მოყვარული ვაგხდი. ომმა მიმატოვებია ჩემი ხელობა, ფეხბურთი...

— უი, მე გიცნობთ, — წამოიძახა ჰაიკამ — მთელმა თბილისმა იცის და ახსოვს ბუშუევის ცნობილი დარტყმა. თქვენ ცენტრს თამაშობდით.

— ჰო, ვეჯობრებოდოთ თქვენს პაიჭაძეს. აჰ, რა კარგი მოთამაშე ვყავთ. მაგრამ ამაზე შემიდეგ. ჰო და, ამხანაგებო, ომმა მიმატოვებია, მაგრამ ომში ძალიან გამომადგა ჩემი ფიზიკური მომზადება. მე სულ ახლახან დავიწყე ჩენი ქარხნის სპორტის სექციის ხელმძღვანელად მუშაობა, გვიგე რომ აქ კაკასიდან ხუთასამდე ახალგაზრდა ყოფილა ჩამოსული და თურმე არცერთი თქვენგანი არცერთ სპორტულ სექციაში არ ვარჯიშობს. რატომ ეს, ამხანაგებო? — იკითხა ბუშუევი და გაიღიმა.

— ჩვენ, სპორტად, მუშაობაც გვეყოფა. — წამოიძახა ბისმარკამ.



ბისმარკას უცბათ სხვები აყენენ და ყოველი კუთხიდან გაისმა:

— რა დროს სპორტია, ქანცი გვაქვს გაწყვეტილი მუშაობით!

— მშიერ კუჭზე სპორტი კი არა და მუშაობას რომ ვახერხებთ, ისიც კარგი საქმეა.

— სპორტი მსუქან ხალხს უხდება თურმე, ჩვენ პირიქით გვაწყენს.

— ვისაც საქმე აკლია, იმან ივარჯიშოს!

ბუშუევი ყურდაცქვეტილი უსმენდა და სახეზე ბავშვური ღიმილი არ შორდებოდა. მერე ისე გაასავსა ხელები, თითქო აბეზარი ბუზის მოშორება უნდოდა და დარბაზში სიჩუმე დაამყარა.

— ამხანაგებო, ნუთუ რომელიმე თქვენგანს ბურთი არ უთამაშნია, ან უბრალოთ ქვასროლიობაში არ გაჯიბრებია ამხანაგს. მე გამიგონია, ქართველები ჭიდაობაში განთქმულები არიანო. თქვენებური ცეკვა ქვეყანას აკვირვებს. საოცარია, ასეთი ტემპერამენტიანი ბუნების ხალხი და ასე გულგრილად ეპყრობით სპორტის საქმეს.

— ამხანაგო კომანდირო, შეიძლება? — ასწია ხელი ბისმარკამ.

— ბრძანეთ. — დაუქნია თავი ბუშუევმა.

ბისმარკა გამოვიდა, პერანგის ნაოჭები უკან მიიხვეტა, ქამარი შეისწორა, მცირე ხანს შეჩერდა და მერე დაიწყო:

— ამხანაგებო, სამამულო ომში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ გააჩაღა მშვიდობიანი მშენებლობა...

— მოკლედ! — მიამახეს ბისმარკას.

— ჩვენი მშობლიური პარტია და მთავრობა — მაინც განაგრძობდა ბისმარკა. იგი არასდროს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ხმაურს და მომართული საკრავივით, სანამ ბოლომდე არ ჩაათვაზებდა სიტყვას, ქვეყანაც რომ დაქცეულიყო არ შეჩერდებოდა — მიზნათ ისახავს არა მარტო ხალხის ეკონომიურ განვითარებას, არამედ მის ფიზიკურ აღზრდასაც. მარქსი ერთერთ თავის წერილში ენგელსთან წერდა (ეს თავის დროზე აღნიშნული ქონდა ბელტოვს თავის სტატიაში), რომ ჩემთვის არაფერი აღამიანური არ არის უცხოო. ავი რას გულისხმობს, ამხანაგებო, ავი რას გვეუბნება, თუ ხედვებით თქვენ? ამხანაგი მარქსი...

— ოპო, პო! — დაიგუგუნა დაცინვით დარბაზმა.

— დიახ, ამხანაგი მარქსი, აბა ბატონს ხომ არ ვკადრებ, ამბობდა იმას. რომ ჩვენ მარტო თიორიები და იდეები კი არ გვეყოფა, ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებას უნდა მივხედოთო.

— მოკეტე! — ბუბუნით მიამახა სიმონა ალფაიძემ.

— ჩვენი პარტია და ჩვენი მთავრობა დიდი სტალინის მეთაურობით — განაგრძობდა ბისმარკა — ახორციელებს კომუნისმის მშენებლობას...

— ვიცით, ეგ ვიცით! — ისევ დაიგუგუნა დარბაზმა.

— ... ამიტომ ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ჯანსაღი, ფიზიკურად გამძლე...

— მაშ წედან რას არაკუნებდი, სპორტი არ გვინდაო? — წამოიჭრა ფეხზე ჭიჭიკო შუბითიძე — ხან ჭრი, ხან კერავ!

— ამხანაგებო, მაი მინდა ვთქვა მეც — ბისმარკა ქართულს და რუსულს ერთმანეთში ურევდა. სიტყვას რუსულად ამბობდა, რეპლიკებზე ქართულად პასუხობდა. რუსულს კი ისე საშინლად ამტვრევდა, რომ კაცი ვერ გაიგებდა, რის თქმა სურდა, მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევდა (აბა ისე როგორ ვისწავლო რუსული თუ შეცდომის შემეშინდაო)... მაი მინდა ვთქვა მეც. ფიზკულტურა



კარგია, გვაჭამეთ და მერე გინდა ლეკურს ვიცეკვებთ, გინდა ბურთს ვიფეხავთ. მთელი დღე გოგირდის ბულში ვტრიალებთ და გარშემო ცეცხლი ვეცხვებ, ამის შემდეგ ნახარში წვენიით რომ გეიბერები, გიმნასტიკა ვის გაახსენდება?

— დამათავრე? — ისეთი კილოთი ჰკითხა ბუშუევი ბისმარკას, რომ მართალია მას კიდევ სურდა ლაპარაკი, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა დრო არ იყო ორატორული ნიჭის გამოჩენისა, ბუშუევს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თავის ადგილზე დაბრუნდა.

ბიჭებმა ბისმარკა ტაშისცემით დააჯილდოეს. ცოტა დამცინავი კი იყო ეს ტაში, განებე გახანგრძლივებული და ისეთი გამოუცნობი თავისებური რიტმით შესრულებული, მაშინვე იგრძნობოდა, რომ ორატორს აპამპულებდნენ.

— ესეც ასე. ორატორიც მოვისმინეთ. — ბუშუევი მიხვდა ამ ტაშის ჰუმორულ ხასიათს — ახლა, უბრალოთ გადავჭრათ საკითხი. ვისაც ფეხბურთი გითამაშიათ, ასწიეთ ხელი.

იმწამსვე ხელების ტყე აიშარათა.

— ოჰო, აქ მგონი რამდენიმე გუნდი ჩამოყალიბდეს. კარგია. სხვა ვის რა სახეობაში გივარჯიშნიათ? გიმნასტიკები თუ არიან თქვენს შორის? არიან? ძალიან კარგი. მოკრივეები?

— მე ვარ. — წამოდგა ჰაიკი.

— თანრიგი გაქვთ?

— მესამე.

— ოჰო! აქ, ვხედავ, მთელ სპორტულ ბრიგადას ჩამოვაყალიბებთ. ჭილაობა?

— მოჭიდავეები ბევრი გვყავს. — გაისმა ყოველი მხრიდან.

— მაშ რაშია საქმე, ამხანაგებო? — წამოდგა ფეხზე ბუშუევი — ჩვენს კლუბში ყოველი სახის სპორტულ ჯგუფს შეუძლია ივარჯიშოს. ვისაც ჭილაობა სურს, ინებეთ, ვისაც ტენისი ინებეთ, ვისაც ფარიკაობა...

— ფარიკაობის ოსტატიც გვყავს, აგერ — უთხრა გიგამ და ვეფხიაზე მიუთითა.

— თქვენ კი ამბობთ, სპორტი არ გვინდაო, სპორტისთვის არ გვცალიაო. არ ვარგა ასე, ამხანაგებო. თქვენ, მართალია, აქ სასწავლებლად ჩამოხვედით. მაგრამ სპორტშიც თუ ჩემპიონები გახდებით, განა ეს ცუდია? ერთი ან ორი წლის შემდეგ მოსკოვში განზრახულია მოეწყოს ფიზკულტურის პარადი. იქ ჩვენც უნდა გავგზავნოთ დელეგაცია. ყოველი თქვენგანი, რომელიც წარჩინებით ივარჯიშებს, გაგზავნილი იქნება მოსკოვს პარადზე. არ გინდათ ნახოთ მოსკოვი, წითელი მოედანი, კრემლი, სტალინი, დინამოს სტადიონი? მაშ ასე, მოვრიგდეთ, ამხანაგებო, ხვალ მუშაობის შემდეგ გელით ჩვენს სპორტულ კლუბში რვა, ნოლ, ნოლზე. გაგანაწილებთ თქვენ-თქვენ ინსტრუქტორებთან და მეცადინობის ცხრილსაც დავაზუსტებთ.

— გოგოებიც მოვიდნენ? — იკითხა ბისმარკამ.

— ცხადია. უგოგოებოთ ჩვენ სიცოცხლე არაფრად გვიღირს.

\*  
\*  
\*

„რვა ნოლ-ნოლზე“ საზოგადოება „მეტალურგის“ სასპორტო დარბაზში ბუშუევიან ქართველ ორ ჯგუფიდან შეიდი ბიჭი და ოთხი გოგო გამოცხადდა. შენობა, როგორც ეტყობოდა, სულ ახლახან გაენთავისუფლებიათ გარეშე



მობინადრეებისაგან. ზოგიერთ გასახდელ ოთახში ახლაც ცხოვრობდა საფარჯიშო დარბაზები საწყობებათ გამოყენებით. მთელი სპორტული ინვენტარი: ორძელები, ტაიჭები, ღერძები, სახტომი ძელები, საფარჯიშო ლიებები, სუყველაფერი ეს, ერთმანეთზე იყო მიყრილ-მახერგილი, დამტვრეულ-დამსხვრეული, ლიებები დაფატრული, ერთი მტკაველი მტვერით დაფარული. ერთ კუთხეში დამპალი კარტოფილის შავი გროვაც კი ეყარა. მუშათა მომარაგების განყოფილების მუშაებს ეთქვათ, საწყობი რაჟი წავკაროთით, ეგ დაძალი კარტოფილიც თქვენ გაიტანეთო და გახვეტეთო. მთელი ოთხი თვე იბრძოდა ბუშუევი, რომ ომიანობის დროს შესახლებული ეს არამკითხე მდგმურები გაეყარა და ახლა მზად იყო თუნდაც საკუთარი ზურგით გაეზიდა ეს ორი ტონა კარტოფილი, ოღონდ ორსის „მუშაკები“ თვალთ აღარ დაენახა. გადაწყვიტა ახალგაზრდებს მოვავლიოვებ, შებათობას გავმართავ და ერთ დღეში ყველაფერს დაეკარიალღებთო. მარტო ერთი კუთხე გაწმინდა, მაგიდა დაიდო და ამ თავის „კაბინეტში“ ღებულობდა ინსტრუქტორებსაც, მწვრთნელებსაც და მომავალ ფალანგებსაც. ქართველი შეგირდების მოსვლის უამს დარბაზი საესე იყო ახალგაზრდობით. ბუშუევს გვერდით მოესვა თეთრხალათიანი ექიმი ქალი და უკვე შედგომოდა საქმეს... მაგიდაზე დაედგათ წნევის საზომი აპარატი, სუნთქვის სიმძლავრის შესატყობი ხელსაწყო სპირომეტრი, ხოლო გვერდით პიკასოს ჩაფიქრებულ ფიგურასავით იდგა სამედიცინო სასწორი.

— სად არიან დანარჩენი ამხანაგები? — იკითხა ოდნავ გაკვირვებულმა ბუშუევმა, როდესაც ქართველი ახალგაზრდები შეათვალიერა — დადქით რიგში სამედიცინო შემოწმებაზე და მერე გვითხარით, ვის რისი ნიჭი და უნარი შესწევს, მაგრამ რატომ ასე ცოტანი მოხვედით? მე მითხრეს საქართველოდან ხუთას კაცზე მეტი მოვიდა ჩვენთან სამუშაოდო. განა თქვენში არ უყვართ სპორტი?

— არ მოდიან. — გულმოსულად წაიბუტბუტა გიგამ — ასე იციან, ჯერ უარზე დადგებიან, მერე კიდევაც შეგვეხვეწებიან.

— ნუჟ... ამხანაგებო, ეს... ეს... — წყენით ჩაიქნია ხელი ბუშუევმა — ეს არაფერს არ გავს. კომკავშირული აქტივი ჩამორჩენილი გყოლიათ. მე შეგონა იმ ქვეყნიდან. სადაც პაიჭაძე, ნინო დუმბაძე, ელენე გოციელი, სანდრო კანდელაკი და რამდენი სხვა სახელოვანი სპორტსმენი გაიზარდა, სულ ცოტა ხუთასიდან ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი კაცი მაინც მოვა მეთქი. თქვენ კი, პირიქით.

— შვადნი ვართ.

— მეც მაგას ვამბობ.

მოვიდნენ მწრთნელები. გოგოები მოციგურე ტანია მალახოვამ წაიყვანა. ძიკი დანელია და ასტამურ ტანტიბა ფეხბურთის გუნდში ჩაირიცხენ. პაიკევანგულოვი ცხვირგასრესილმა კრივის მწრთნელმა აიყვანა, მკლავები მოუსინჯა, ხელისგული, თითები და მჯგები გულდასმით დაუთვალიერა, მერე მკერდზე ხუმრობით ქისტი წაჰკრა და უთხრა:

— ჩემპიონობის კანდიდატი ხარ.

გიგა ბეჟანიშვილი და თედო გაგლოშვილი ბავშვობიდანვე ქართული ჭიდაობის მცოდნენი იყვნენ და ბუშუევმა მაშინვე იხმო ტიმურ კასიმბაევი, თავისუფალი ჭიდაობის სექციას ის ხელმძღვანელობდა.

— ქართული ჭიდაობა აქ არ ვიცი, მაგრამ თავისუფალი ჭიდაობა ხომ სანახევროდ თქვენი ჭიდაობის საფუძველზეა დამუშავებული. მე ფიქრობ, ჩვენ აქ კარგ შედეგებს მივაღწევთ, თუ თქვენგან ცოტა მეტ ამხანაგებს მივიზიდავთ ამ სექციაში. გამიგონია, რომ საქართველოში ჭიდაობა უყვართ, ფრონტზე

ერთი ამხანაგი მყავდა ქართველი, მისურაძე, აბა იმან ჭიდაობა იცოდნენ ხელში ჩასაგდებათ, დაზვერვაში, სულ იმას ვგზავნიდით. ვისაც ხელს მოკიდებდა, გათავებული იყო.

— ჩვენთანაც მოიძებნებთან ასეთები. — უთხრა თედომ და მის სახეზე ოდნევა ღიმილმა გაივლია. მერე გიგაზე თვალით ანიშნა და ბუშუეგს ყურში ჩასჩურჩულა — აი, მაგას, ამხანაგი შემოაკვდა ჭიდაობაში.

— ნუთუ? — გაიკვირვა ბუშუეგმა და გიგას მიუბრუნდა — მართალია?

— იყო ასეთი შემთხვევა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემს სიცოცხლეში აღარ ვიჭიდაო.

— ეგ სისულელეა. რატომ არ უნდა იჭიდაო. განგებ ხომ არ ჩავიდენია, შემთხვევით იყო, ალბათ.

— ასეა თუ ისე, კაცი მოვკალი და მაშინ დავიფიცე. დავიფიცე და მორჩა, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, სხვა სახეობაში ვივარჯიშებ.

სანამ ესენი აქ ლაპარაკობდნენ, ბიჭებმა ველარ მოითმინეს, ვინ რომელზე დაიწყო ქანაობა, ვინ ღერძს მოებლაუჭა, ვინ ტაიჭი გამოაჩინა და ზედ გადაჯდა.

— მოდით, ბიჭებო, დარბაზი ცოტა წესრიგში მოვიყვანოთ. — გასძახა ახალგაზრდებს ბუშუეგმა — გოგოებს ვთხოვოთ, აქაურობა დაგავონ, ჩვენ კი იარაღები თავთავის ადგილზე დავაწყოთ.

სთქვა ეს და თითონ დაუწყო ჯაჯგუთი ერთმანეთზე მიხერგილ იარაღებს. ბიჭებიც მიეშველნენ და დარბაზში ატყდა ერთი ხრიგინ-ხრიგინი. გოგოებიც დატრიალდნენ, ცოცხი და იატაკის საწმენდი ტილი ინათხოვრეს და ერთი საათის თუ საათნახევრის შემდეგ ყველაფერი დასუფთავებულ დაკრიალებული იყო, ხოლო იარაღები თავთავიანთ ადგილზე იდგა. ბუშუეგმა საიდლანაც რაპირები და ბადის ნიღბები გამოაცოცა.

— აქ ვილაცას ფარიკაობის შესწავლის სურვილი ჰქონდა, რომელი ხართ? — იკითხა მან.

— მომეცით, მე ვისწავლი — ჩამოართვა დაშნა ბუშუეგს გიგამ და მერე მიმოიხედა — ვეფხია, აქ მო. სად წაფიდა ის ბიჭი?

— აქა ვარ. — უპასუხა ხევსურმა, გიგასთან განიერი ნაბიჯებით მივიდა და დაშნები შეათვალღერა — ეს რა არის?

— ვერ ხედავ, დაშნებია. აი, შენ რომ ფარიკაობაზე ოცნებობდი, დახე, ამით სწავლობენ.

— ამ შამფურებით? — ჩამოართვა დაშნა, მოდრიკა, იგი ადვილათ გაიღუნა და ისევ გასწორდა — ასეთები მზარეულებს უნდა მისცე ხელში, მწვადებს აასხამენ. წვეროზე ეს ფირფიტა რად დაუკრავთ?

— მაშ მართლა ხომ არ დაეჩხვლეტთ ერთმანეთსა. სპორტული იარაღია. მოგხვდა. ქულა წააგე, მორატყი მოწინააღმდეგეს ქულა ჩაგეთვალა. ნამდვილი დაშნა, ცხადია. წვეტიანიცაა და ასე ადვილად არ იღრიკება, კაცს რომ დაჰკრა, მთლიანად განგმირავ. ანით კი უუნებლად გამოხვალ. გინდა ვივარჯიშოთ?

— მზარეული ხომ არა ვარ, შამფური დავიჭირო ხელში. ფარიკაობა ხმლებით უნდა...

— ბიჭო, ნამდვილი ფარიკაობა ესაა. — ღიმილით გადახედა სხვებს გიგამ, თითქო ეუბნებოდა, შეხედეთ ამ ხიხოსს, რას მიედ-მოედებო. — მოდი, გერ სცადე და, რა მოფარიკეცა ხარ, იმსაც ვნახავთ. აჰა, აიფარე პირბადე!

— არ მინდა. — ჯიუტად უპასუხა ვეფხიამ — დაშნა ჩამოაჩოვა და ჰაერში გაასივლია.



— აიფარე მეტი. ისე შეიძლება თვალი წამოგთხარო.  
 — თუ ისეთი თვალი მაქვს, რომ ვერ ავიცდენ, წამომთხარე. რად მინდა ისეთი თვალი.

— არა, ბიჭო, უამისოდ არ შეიძლება — და თავისი ხელით გაუკეთა ლითონის ბადის ნილაბი ვეფხიას.

— აბა ერთი მე ვნახო ეგ თქვენი მოფარიკავე. — სთქვა ბუშუევმა, თითონაც აიფარა ნილაბი, შებრუნდა, მარცხენა ხელი განზე დაიჭირა, მარჯვენათი დაშნა ვეფხიას დაუმიზნა და უთხრა, შენც ასე დადექით.

ბიჭები ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ გარს მოფარიკავეებს, სეირის საყურებლად.

ვეფხია დაიბნა. სცადა ბუშუევისთვის მიეხადა და ისეთივე პოზა დაეჭირა, მაგრამ თითქო მხარი შეცვლოდეს, დადგომაც ვერ მოახერხა. ბიჭების დამცინევმა ხარხარმა სულ დააბნია. ამასობაში ბუშუევმა ერთი კი აიჭნია თავისი იარაღი და ვეფხიას დაშნა ხელიდან გაავლებინა.

— აიღე, ეგ არაფერი. იარაღს ხელს რომ მოკიდებ, მისი დაჭერაც უნდა იცოდე. — უთხრა ბუშუევმა.

ვეფხიამ ნილაბი მოიგლიჯა და დაშნას მისწვდა.

— ამით არ შემიძლია, ვერაფერს ვერ ვხედავ. ისე ვცადოთ. — გადაჭრით განაცხადა მან.

— აი ეს ჩემი ნილაბი გაიკეთე. — სიცილით უთხრა ბუშუევმა — იქნებ ამით უკეთ დაინახო.

ვეფხია იძულებული გახდა ისევ გაეკეთებია ნილაბი. ცოტა არ იყოს გახელდა და როგორც კი გადააფიქვდა იმაზე შიში, როგორ დავდგე, ან დაშნა ხელში როგორ დავიჭიროვო, მაშინვე ყველაფერი კარგად გამოუვიდა. ბუშუევს თავისი დაშნა შეაგება და ახლა გამოადგა ის, რაც ბავშვობიდან შესისხლხორცებული ჰქონდა, ხის ხმლებით ფარიკაობა. ოსტატურად იცდენდა მოწინააღმდეგის შეტევებს, ოღონდ თითონ გამგმირავი დარტყმის ნაცვლად, დაშნის წვერს ისე სცემდა ბუშუევს, თითქო მისი გააწვრა სურდა.

— უნდა უჩხვლიტო, არ უნდა უღიტიწო, რატომ მიღიტიწებ დაშნას. — კითხა ბუშუევმა, ნილაბი მოიხსნა და ალტაცებით წამოიძახა — ვოტ ეტო ზღოროვო! შენ მართლა კარგი მოფარიკავე იქნები. საოცარი მახვილი თვალი გქონია. ისეთი ზუსტი რეაქცია გაქვს, რომ ვერცერთი მოსატყუარი მოძრაობით ვერ შეგაციდინე. კვირაში ორჯერ სავარჯიშოდ რომ იარო, გაგიჭირდება?

— თუნდაც ყოველ დღე. მუშაობის შემდეგ რა საქმე მაქვს.

— კიდევ უკეთესი. მე და შენ საქმეს გავაკეთებთ. მოვწმენდო ცხვირს მსოფლიო ჩემპიონს, დაიცა!

ბუშუევი პირდაპირ ცაში ფრინავდა სიხარულით. დასაწყისშივე ასეთი ბრწყინვალე მონაცემების მქონე ახალგაზრდა მას ჯერ არც კი შეხვედრია. მაგრამ უნდა გენახათ მისი ალტაცება, როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ საკუთარი თვალით იხილა ასტამურ ტანტიბას მეკარეობა და ძიკი დანელიას ღრბლინგი, როდესაც ჰაიკამ პირველსავე შეხვედრაზე ნოკაუტი გაუკეთა თავის ტრენერს, ხოლო გიგამ და თედომ ვისაც კი ხელი მოჰკიდეს, ყველა მიწაზე გააკრეს.

დადიოდა ბუშუევი, გოაცებული შლიდა ხელებს და იძახდა:

— ჩორტ, პასმატრიტე ნა ნის! ნუ პასმატრიტე ნა ნის! ვიდალი ტაკის პარნეი?



\*  
\*

დიდხანს არ გაჰყოლია ბუშუევეს ეს აღტაცება. მართალია მის სპორტულ სექციებში, შემდეგში, რამდენიმე ასეულმა ქართველმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი, მაგრამ არცერთი მათგანი არ იჩენდა იმ მუყაითობას, რაც საჭიროა სპორტული ფორმის მოსაპოვებლად და შეჯიბრებებში გამარჯვების მისაღწევად. ბიჭები ან სულ აცდენდნენ მეცადინეობას, ან ლუდით გაჰყებოდნენ მოდიონდნენ და უფრო ღლაბუცობდნენ, ვიდრე ვარჯიშობდნენ.

გულდაწყვეტილი ბუშუევი ხან ერთს სტაცებდა ხელს და ცდილობდა ჩეკონებია გულმოდგინეთ ევარჯიშნა, ხან მეორეს.

— გამიგონეთ, ბიჭებო. მე თქვენგან ჩემპიონებს გავზრდი! ასეთი ბრწყინვალე მონაცემები გაქვთ, რად კარგავთ ამ ძვირფას საუნჯეს, რაც თქვენთვის ბუნებას მოუცია. რად სვამთ, რად ეწევი? ამას ყველაფერს მერეც მოესწრებით. ან რად ზარმაცობთ და აცდენთ სავარჯიშო საათებს.

ასე ეუბნებოდა იგი ყოველ მათგანს, მაგრამ ახალგაზრდები ხუმრობით უქილიკავებდნენ სიტყვას:

— ახლა გვაბატიეთ, ძია, მერე ვივლით.

— სულერთია, მაინც ვავიმარჯვებთ...

და მაინც თავისას განაგრძობდნენ.

იმედდაკარგულმა ბუშუევემა ხელი ჩაიქნია ამათგან არაფერი გამოვაო, მაგრამ მოულოდნელად შესანიშნავი თანაშემწე გაუჩნდა ამ საქმეში. შემოდგომის დასაწყისს თბილისიდან ჩამოვიდა არჩილის შემცვლელი ინჟინერი გოგი ბერიძე, თავდადებული სპორტსმენი — მეტხილამურე, გიმნასტი, მოკრივე და მთასვლელი. მან საითთაოდ შეამოწმა ყოველი ახალგაზრდა, ვინ რას აკეთებდა, ან როგორი წარმატება ჰქონდა მუშაობაში და ვინ რას აკეთებდა მუშაობის შემდეგ, თავისუფალ საათებში. მოინახულა ბუშუევი, გაეცნო, და, მათშორის ელვის სისწრაფით დამყარდა ის მეგობრული ურთიერთობა, რაც ერთდღივივე საქმიანობაში შეყვარებულ ადამიანებს ახასიათებს.

— პირდაპირ ცრემლები მაღვება თვალებზე, ასეთ ნიჭიერ ბიჭებს რომ ვხედავ და მათ ასეთ დაუღვევრობას რომ ვაწყვდები. — უთხრა ბუშუევემა გოგის — ყოველ მათგანში ზის მომავალი, საკავშირო, თუ მსოფლიო არა, ჩემპიონი!

— ეჰ, ჩემო კარგო, ეგ ცუდი თვისება სამწუხაროდ ჩვენში ბევრ ქართველ ახალგაზრდას ახასიათებს. — ამოოხვრით უპასუხა გოგიმ და თავისი განუყრელი ჩიბუხის ტენას შეუღდა — სწორედ ეს ზედმეტი ნიჭი გვლუბავს და ესაა მიზეზი, რომ არც ერთ საქმეს არ ვეკიდებით გულდასმით და დიდი ჯაფის დახარჯვით. მახსოვს ერთხელ ერთი ახალგაზრდა მივიყვანეთ, გვართაო ლოლაძე, კრივში უნდა გავაწვრთვინა. ნამდვილი ფენომენი. პირველსავე შეხვედრასვე თავისი მწვერთელი, საკავშირო ჩემპიონი ერთის დარტყმით გაშალა ძირს. სამი თვის ვარჯიშობაც არ დაჭირვებია, რომ საქართველოს პირველობა აიღო და საკავშირო სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. მსოფლიო ფალავნობის უძველესი კანდიდატი იყო, მას ერთი უცნაური თვისება ახასიათებდა, რაც ყველამ აღნიშნა: მოწინააღმდეგის დარტყმა მას სწორედ ერთი სანტიმეტრით ვერ წვდებოდა და ფაქტიურად ხელშეხების ზღვარს იჭით იდგა. ამავე დროს თითონ ჰქონდა ისეთი წარმოუდგენელი ღონე, რომ თავის წონასთან შედარებით, ორჯერ აჭარბებდა უმაღლეს ნორმას, რისთვისაც კი აქამდე მიედწიათ ამ წონის მოკრივეებს. ერთის სიტყვით, ვიფიქრეთ, გვეშველა, მსოფლიო ფალავანი



ხელში გვყავს მეთქი, მაგრამ... ყველაფერი თურმე ჰქუაზე და აღზრდაზე და ფილა დამოკიდებული. ვაქცა ვარო და ბიჭებში თავს იწონებდა იმით, რომ სულმოუთქმელად ცლიდა ორ ბოთლ კონიაკს. ციხეში ვერ ჩავსვით, არა და გაძვრებოდა ბიჭებთან ერთად და ყოველი ვარჯიშობის ან შეჯიბრების შემდეგ გათრიაქებული მთვრალი ეგდო. დაამთავრა იმით, რომ ამხანაგებთან ერთად გალუღიშმა მიახეთქა ასი კილომეტრის სისწრაფით გაქანებული მანქანა სვეტს და ადგილზევე აღმოხდა სული.

— დასანანებელია. — აღმოხდა ბუშუეცს.

— მითუმეტეს იმიტომ, რომ ჩვენში ლოთობა და ღვინის სმა, მიუხედავად იმისა, რომ ღვინის ქვეყანა ვართ, იშვიათია და ლოთი კაცი სანთლითაა საქმნარი. ქეიფი კი გვიყვარს, მაგრამ ლოთობა არა. ის ვის დამეგვანა, ის უბედური, არ ვიცი. მაგრამ იცით რა გითხრათ, ახალგაზრდა ადამიანს საერთოდ ერთი საშიში თვისება ახასიათებს, მაინცდამაინც ის გააკეთოს, რასაც დაუშლი. ესაა ყველაზე დამლუბველი ნიშანი ადამიანის ხასიათში და თუ ეს მანვე ჩვევა ბავშვობიდანვე ძირშივე არ აღმოგფხარით და იგი თან შეეზარდა ახალგაზრდას, მორჩა, მერე მას ვედარაფრით უშველი. მახსოვს ჩვენი ფეხბურთის გუნდს სახელგანთქმული ავსტრიელი ტრენერი მიუყვანეს. როდესაც შეამოწმა ჩვენი მოთამაშეები, სთქვა, ერთ წელიწადში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებს გავზრდიო. ასეთი ფიზიკური მონაცემების ახალგაზრდობა ჯერ მე არ მინახავსო, მაგრამო, სთქვა, ახლავე უნდა დაივიწყოთ რა არის ღვინო, ლუდი, წიწკა, პილილი, იკვებოთ მკაცრი რეჟიმის მიხედვით და არშიყობაზედაც ხელი უნდა ადლოთო. აუუუ... იყვირეს ბიჭებმა. ამას რა გაუძლებსო. ყოველდღე, ტრენერი, დაადებინებდა პირს სათითაოდ ყველას და ყნოსავდა ლუდი ხომ არ დაგიღვიათო. სამი თვის შემდეგ აჯანყება მოუწყვეს და ის ტრენერი მოახსენინეს. ლუდის სმას რატომ გვიშლისო. ლუდი თუ არ დავლიეთ, წიწკა თუ არ ვჭამეთ, ისე როგორ შეიძლება ამ ქვეყანად ან ბუროთ ვითამაშოთ ან ვიცხოვროთო. გააგდეს და რა მოიგეს! თუ ერთ შეჯიბრებას შემთხვევით წესიერად ჩაატარებენ და ისიც უძლიერეს გუნდთან, შემდეგ ხუთ შეჯიბრებას, ისიც სუსტ გუნდებთან, აებენ. მერე რაც ეს წოდებები შემოიღეს, ეს სპორტის ოსტატი, ეს დამსახურებული სპორტის ოსტატიო, ეს რა ვიცი კიდევ რა, ამან სულ უფრო გააფუჭა ხალხი. აუწვევიათ ცხვირი, აქაო და ასეთი წოდება მომანიჭეს, გუნდიდან ვერავინ გამაგდებსო და რას აკეთებენ კაცმა არ იცის. იმას კი არ დაგიღვენ რომ ბურთია და მოუდანი, აქ კი, ვერავითარი ტიტული ვერ გიშველის, თუ მუხლში ძალა არ შეგწვეს და ფეხში სიმარდე. ამას კი მხოლოდ დიდი შრომით შეიძენ ადამიანი.

— ეპ, დიდ შრომას ვინ ეხვეწება. ისე იარონ და ივარჯიშონ. ეს არ ჯობია ლუდხანაში სიარულს?

— როგორ, ჩემი ბიჭები დადიან ლუდხანაში? — გაუკვირდა გოგის.

— რაც ეს ლუდხანები ხელახლა გახსნეს ამ ომის შემდეგ, ყველას წმინდა მოვალეობათ მიაჩნია, თუ ჯიბეში ფული აქვს, ლუდხანაში შევიდეს. ისეთი რიგებია, ვერ წარმოიდგენ.

— კარგი, მაგ საქმეს მე მოვუვლი. — მტკიცედ წარმოსთქვა გოგამ — რაიო უფროსი და ზედამხედველი აღარ ჰყავდათ, აუშვიათ.

ამის შემდეგ გოგი საერთო საცხოვრებელს აღარ მოშორებია. ყოველ დღე სამჯერ ამოწმებდა ვინ სად იყო და რას აკეთებდა.

მისი ნებართვის გარეშე ბიჯს ვერ გადადგამდნენ.

ამ ყაზარმული წესების შემოღებამ პირველ ხანებში ცოტა არ იყოს უკმა-



ყოფილება გამოიწვია და ბიჭები აბუზღუნდნენ. მინდორში გაქსუებული ცეცხლი ცეცხლით ჰყარეს ტლინკები. მაშინვე ატყდა დიდი კამათი იმის შესახებ, რომელი ხელმძღვანელი ჯობდა, არჩილი თუ გოგი. ყველანი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ არჩილი მართლაც რომ ხელმძღვანელის იდეალური განსახიერება იყო. მართალია სიმკაცრე არც მას აკლდა, მაგრამ ასეთ წვრილმან რამეს ყურადღებას არ აქცევდა. არასოდეს არ უთქვამს, უნებართვით არსად წახვიდეთო, ლუდი არ დალიოთო, პაპიროსი არ მოწითოთო, ან მარტო კრებებზე იარეთ და გზეთების კითხვის მეტი არაფერი გააკეთოთო.

— არ გვინდა ასეთი ხელმძღვანელი. — იყვირეს ბიჭებმა და ერთი ღრიან-ცელი ატეხეს.

ბისმარკამ წინადადება წამოაყენა, მოეწვიათ კრება და ამ კრების სახელით დებეშა გაეგზავნათ თბილისში და ქარხნის დირექტორისათვის ეთხოვნათ, უკან გაეწვიათ ეს ახალი ხელმძღვანელი.

ეს აზრი მოეწონათ და გიგას ეცნენ, კომკავშირის ორგანიზაციის სახელით საერთო კრება მოიწვიეთ.

გიგამ ეშმაკურად ჩაიღიმა ახლად აყრილ უღვაშებში და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, კარგით. კრება მოიწვია, თითონ თავმჯდომარეობდა და გამოაცხადა, ვისაც რა გაუწუხებთ თავისუფლად ილაპარაკეთ, ნუ გეშინიათო.

ბიჭებმა მიხედ-მოხედეს, თავისი მკაცრი ხელმძღვანელი ვერ დაინახეს და მოხსნეს გუდას თავი: რაშია საქმეო, იყვირეს. ჩვენ აქ იმისთვის კი არ წამოვსულვართ, ამ თქვენი მეტალურგიული ქარხნისთვის ყველაფერზე ხელი ავიღოთო. გარეთ არ გახვიდე, გოგოს არ დაელაპარაკო, ხმა არ ამოიღო, ღვინო არ დალიო, ჩვენ მონასტერში ვართ თუ საბჭოთა ქარხანაში. აქ, ყველა, ვისაც რა უნდა იმას აკეთებს და არაინ არ უშლის კინოში წავა, ლუდხანაში, თუ რესტორანში, ვისაც რა უხარია, რა ახალისებს, ისე იქცევა და ეს ჩვენი ხელმძღვანელი ვისი ტიკი ტომარაა, რომ ასეთ წესებს გვიწესებსო.

ამ გახურებულ კამათში იყვნენ, როდესაც მოულოდნელად გაიღო კარი და გოგი შემოვიდა.

მაშინვე მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— შეიძლება თქვენს კრებას დავესწრო? — იკითხა გოგიმ, თავმჯდომარის მაგიდასთან სკამი მიიჩოჩა, დაჯდა და თავისი განუყრელი ჩიბუხი ამოიღო — მანტერესებს თქვენი კომკავშირის კრება რა საკითხებს არჩევს, განაგრძეთ, ამხანაგებო!

გიგამ დარბაზში თვალი მიმოავლო და იკითხა:

— ვის უნდა კიდევ სიტყვა, ამხანაგებო?

კვლავ ჩამოდგა ის უხერხული სიჩუმე, რომელმაც ყოველ დამსწრეს ანატრებიანა, ნეტავი ახლა გარეთ ვიყო და ამ კრებას არ ვესწრებოდეთო. კარგახანს გაგრძელდა ეს უხერხული სიჩუმე, ბოლოს ისევ გოგიმ ამოიღო ხმა და იკითხა:

— რაზე მსჯელობდით?

თავმჯდომარემ გიგა ბეჭანიშვილმა ოდნავ ირონიულად გაიღიმა და სიტყვა:

— თქვენს შესახებ, ამხანაგო უფროსო. სანამ თქვენ მოხვიდოდით აქ ყველა ვაჟკაცურად გამოდიოდა და კრიტიკის ცეცხლს აფრქევდა, ახალი ხელმძღვანელის წესები არ მოგეწონსო, ახლა თქვენ რომ მოხვედით, პირში წყალი დაიგუბეს. არ ვიცი კი რატომ.

— მაინც რას მიწუნებენ? — იკითხა გოგიმ მიამიტად, ვითომ არაფერი



იცოდა, ნამდვილად კი ეს კრებაც მისი ნებართვით იყო მოწვეული და ვინაობა გაზრდების პრეტენზიებსაც კარგად იცნობდა — რამ გამოიწვია თქვენს ვება, მითხარით. იქნებ ვცდები რამეში.

გოგი საოცარი მშვიდი, ოდნავ დამცინავი ხმით ლაპარაკობდა. იგი ეკუთვნოდა ახალი თაობის სპეციალისტთა იმ ჯგუფს, რომელნიც თავისუფალნი არიან ისეთი ქვენა გრძნობებისაგან როგორცაა მარტოდმარტო პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა და ამისთვის ყველა პირადი ღირსებების დაკარგვა. გოგის არ ეშინოდა არც სამსახურის დაკარგვის, არც კარიერის კიბეებიდან ჩამოვარდნის, არ ჰქონდა განზრახული იმ არალეგალური გზით სიმდიდრის და ქონების მოპოვება, რასაც არცთუ ისე იშვიათად მიმართავენ მიმიკრიის თვისებების მქონე ადამიანები. გოგი იყო არჩილის ტიპის ის ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც ოცნებობდა, რომ მის ქვეყანაში აგებულყო ყველაზე დიდი ჰიდროსადგურები, რომ აღედგინათ ბაგრატის, კუმურდოს, წრომის, ოშკის-და სხვა შესანიშნავი ტაძრები, რომელნიც საბოლოოდ დანგრევის პირად იდგნენ, რომ მორწყულიყო შუა ქართლის, სამგორის და მესხეთ ჯავახეთის ველები, რომ... განა შეიძლება ჩამოთვლა თავის ქვეყნისათვის ყველა იმ კეთილი სურვილებისა, რომლის განხორციელებაზე ოცნებობდნენ არჩილისა და გოგისთანა ინჟინრები. ჰოდა, ასეთ ახალგაზრდას განა ოდესმე შეიპყრობს შიში ინტრიგებისა, კარიერის გაფუჭებისა, ან დაბეზღებისა. ის ყოველთვის ჯიქურ მიარღვევს ცხოვრების ტალღებს და მოკლედ სჭრის ყველა საჭირობოროტო საკითხებს.

ვინაიდან კვლავ სიჩუმე სუფევდა და ახალგაზრდებიდან არავინ აპირებდა ხმის ამოღებას, ისევ გოგიმ განაგრძო:

— ვიცი, რამაც აგაღელვათ და რისთვისაც მოიწვიეთ ეს კრება. ჩემი განკარგულებები არ მოგეწონათ. მაინც კერძოთ რა? ლუდი და არაყი არ დალიოთ თქო, გითხარით. ვითომ ახლა თქვენ თუ ახლავე ლუდის და არაყის სმა არ გამიჩაღეთ და გარმონზე ვატატაია არ იძახეთ, ისე თქვენს არსებობას შნო და ლაზათი დაეკარგება? ან რა ზრდილობაა, დვახართ და უშვერი სიტყვებით იგონებით. გუშინ დერეფანში მივდივარ, ვხედავ ხუთი ბიჭი დვას და ისეთი ბინძური სიტყვებით უმასპინძლდება ერთმანეთს, ყურში არ შეიშვება. არც იმას უწევენ ანგარიშს, რომ იქვე გოგოები დგანან. რასა ვავს ეს? მე რომ დამინახეს, ცხადია, ეს უშვერი ლაპარაკი შეწყვიტეს, მაგრამ ეს მაინცდამაინც არაა დიდი მიღწევა. ყველგან მე ხომ არ დავდგები ყარაულად და, მერე, რა ვაქაცობათ მივანჩიათ გინება და ბინძური ლაპარაკი?! თქვენზე ნაკლები ვაქაცვი შევარცხვინე, გინდა მუშტი კრივში, გინდა ომში, გინდა ქეიფში და დროსტარებაში, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ერთი ბინძური სიტყვა არ მითქვამს. ლხინიც მიყვარს, ქეიფიც და ამავე დროს არც ვლოთობ და არც იმაზე ვფიქრობ, რახან დღემდე ლუდი იშვიათად იშოვებოდა, ამისთვის საათობით ვიდგე რიგში, რომ ორიოდ დოსტაქანი ლუდი დავლიო. ამაზე მეტი და უკეთესი საინტერესო გასართობი როგორ ვერ უნდა მოვნახო ახალგაზრდა კაცმა ცხოვრებაში. ჯერ ერთი წიგნებს ვიკითხავ. რაც ამ ქვეყნად საინტერესო წიგნია, ათასი წელი რომ იცოცხლო, მეთედესაც ვერ წაიკითხავ. თუ წიგნების კითხვა არ გიყვარს, არ შეგიძლია, ძილსა გვერის, მაშინ სხვა ისეთ გასართობს მოვკიდებ ხელს, რომელიც სულსაც არგებს და ხორცსაც, ვინადირებ, ჭადრაკს ვითამაშებ, ვიცეკვებ, ვიმღერებ, თუ საცოლე ვარ, ქალიშვილს შევიყვარებ, ყვავილებს მივუძღვნი...

თოფისწამალივით იფეთქა სიცილი. გოგიმ ყურადღება არ მიაქცია, თუმცა ამ საერთო სიცილში თავისებური თანაგრძნობა და უფროსთან შერიგების კოლოკავი გამოსჭვიოდა. ღიმილი შეიკავა, რადგან კარგად მიხვდა რასაც ამ-



ბობდნენ ბიჭები ამ სიცილით (სად ჩვენ და სად გოგოების ყვავილების მირონიანი ვაო) და განაგრძო:

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ამ შენს საკუთარ თავს როგორ გაზრდი, როგორ გაწვრთნი და როგორი კაცი გამოხვალ. შეიძლება ისე გაიზარდო, რომ ღორივით ჭამის მეტი არაფერი გახსოვდეს და სულ იმაზე ფიქრობდე, რა შეჭამო და შეთქვლიფო ამ ქვეყნად. არიან ასეთი ადამიანებიც ჩვენში. შეხედავ და კიდევაც რომ არაფერს ჭამდეს იმ წუთში, მაშინვე წარმოგიდგება თვალწინ მისი მადიანი მჭლახა-მჭლუხი, იმ ქოსმენის მსგავსად, რომელსაც ნარეცხით სავსე ვარცლს თუ გობს დაუდგამენ და ისიც ნეტარებით დაუწყებს თქვლეფას ამ თავის შეჭამანდს. განა არ გინახავთ როგორი წრუპუნ-წრუპუნით ხვრებს ამ საჭმელს, აწაწყუნებს ძვლებსა და კურკებს. აუცილებლად იტყვი, ამაზე უდიდესი ბედნიერება მისთვის არ არსებობსო და მართლაც არ არსებობს. მაგრამ ეს ხომ ღორის ბედნიერებაა და განა უბადრუკი არ არის ის ადამიანი, რომელიც ასეთი ნეტარების გარდა, მეტს ვერაფერს ვერ ხედავს ცხოვრებაში და არც არაფერი აინტერესებს ამის მეტი! არიან ისეთებიც, რომელთაც სხვა ინტერესებიც აქვთ ცხოვრებაში. ზოგი მაგალითად ქურდობასაა შეჩვეული...

გიგა ბეჟანიშვილმა უნებურად მოავლო თვალი ამხანაგებს, მაგრამ არცერთი მათგანი არ შეჩხელა და არ მიუხედავს ესტატესაკენ.

— ...ბავშვობიდანვე იმაზე ფიქრობს ვის მოპაროს რამე და ამაში ხედავ ერთგვარ სიამოვნებას და ნეტარებას. — განაგრძობდა გოგი — ზოგი თაღლითობას შეეჩვევა, ზოგს დიდ ნეტარებათ მიიჩნია ხუთი ლიტრა ღვინო თუ ჩაცეცხლა, ზოგისთვის მთელი ცხოვრების მიზანს აზარტული თამაში, ზარი, კარტი და სხვა ამისთანა უბედურება წარმოადგენს. მე ერთი მეგობარი მყავს ინჟინერი. უმადლესი დაამთავრა, დიპლომი დაიცვა, მაგრამ აგერ მეათე წელია მისი არც სანასახური გვინახავს, არც ერთი შაურის რამე აშენებული. ნარდი, კარტი ანუ ბანქო, ზარი. აი მისი სპეციალობა. ფანტასტიური ნიჭი აქვს კარტის ჩაწყობის. შენს თვალწინ აჭრის, აჭრის, კარტს დაგიდებს წინ მთელ კოლოდან და კარტი ჩაწყობილია. დადის, დაეძებს თავისთანა აზარტის მოყვარულ ფრარებს და ესაა მისი მთელი მოღვაწეობა. ერთის სიტყვით, მე ეს მაგალითი მისთვის მოვიყვანე, რომ არ მინდა ცხოვრებაში თქვენც ასეთი პარაზიტები გამოხვიდეთ. მე მინდა თქვენ სანიმუშო ახალგაზრდები იყოთ და ჩემი ქვეყანა ასახელოთ. თუ რომელიმე თქვენგანს არა აქვს სურვილი ცხოვრებაში კარგი კაც გახდეს და ჩემი სამშობლოს სახელს რითიმე შეარცხვენს, ნურას უკაცრავად თუ ეს სირცხვილი ჩემს სამშობლოს უბოდიშოთ მოვხოცო. ისიც უნდა გითხრათ, ყმაწვილებო, რომ თქვენ არავინ გკითხავთ, აქ მე დამნიშნავენ, თუ სხვას გამოგზავნიან. ამიტომ კეთილინებეთ და ჩემს განკარგულებებს დაემორჩილეთ. რაც შეეხება დებუშას, გაგზავნეთ. ამის უფლება გაქვთ, მაგრამ იცით რა გითხრათ, მოდი ცერემონიებს თავი დავანებოთ და ახლავე მოვრიგდეთ. მე და არჩილი განუყრელი მეგობრები ვართ და ერთ ყალიბში ვართ მოჭრილი, რასაც ის გეუბნებოდათ, იმასვე გეტყვით მე, ან რასაც მე გიბრძანებთ, იმასვე გეტყვოდით იგი. დამიჯერეთ, გლახას არაფერს გეტყვით და თქვენთვის კარგის მეტი არა მინდა რა. იმასვე გეუბნებოდათ ალბათ არჩილიც.

— სწორია! — წამოიძახეს აქა-იქ.

— მოერიგდით? — ღმილით მოავლო თვალი დარბაზს გოგიმ — თუ აგრეა დაშალებთ ახლა თქვენი პარლამენტი.

ბიჭები ხმაურით წამოიშალნენ. კონფლიქტი ძირშივე იქნა მოკვეთილი.

მაგრამ გოგის ამ სენტენციებმა დიდი ზეგავლენა მიიწვევს ვერ მოახდინა, ბევრი ახალგაზრდა გუნებაში თავისას ფიქრობდა და მთელი ერთი თუ ორი თვის განმავლობაში კვლავინდებურად განაგრძობდა თვითნებობას. არ დადიოდნენ წრეებში სამეცადინოდ თუ საგარეოში, დაძვრებოდნენ ლუდხანებში და ერთი ორჯერ ჩუმჩუმად კარტის თამაშიც კი გააჩაღეს.

მაგრამ გოგამ მაინც შეძლო მათი ყურადღება მიიპყრო.

პირველად სპორტის დარბაზიდან მოიტანეს ბიჭებმა ამბავი: ჩვენმა ინჟინერმა ისეთი აღმატრიალი შეასრულა ღერძზე და ისეთი ჯგავრი გააქეთა რგოლზე, ყველანი განაცვიფრაო.

ყველამ მოისურვა საკუთარი თვალთ ენახა ეს სურათი და შემდეგ ვარჯიშობაზე, მეორე თუ მესამე დღეს, სასპორტო დარბაზში ტევა აღარ იყო.

მერე მოთხილამურეებმა მოიტანეს ამბავი, ჩვენი გოგი ტრამპლინიდან ორმოცდათხუთმეტ მეტრზე ხტება და ჯერ ვერაფერს ჯობნისო.

ახლა იქ გავარდნენ ყველანი.

მერე ხმა დაირხა, ამ დღეებში ჩამოდის საბჭოთა კავშირის ქვემძიმე წონის ჩემპიონი კრივში და ჩვენ ხელმძღვანელს უნდა შეხვდესო.

ამან უკვე ყველაფერი დაავიწყა ბიჭებს, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ასევე აღაპარაკდნენ გიგას სპორტულ ტანვარჯიშზე, ჰაიკას კრივზე, ვეფხიას ფარიკაობაზე, ზიზოს ციგურებით ცეკვა-ტრიალზე და ამ მხიარულ ფუსფუსში, შეჯიბრებათა შეუწელებელ ინტერესში, ყველაფერს თითქო თავისებური ეშხი და სილამაზე მიემატა. ზამთრის ყინვებიც საამური გახდა, ლოყებს რომ უბრაწავდა ყველას და ზაფხულის მზიანი დღეებიც, როდესაც ფეხბურთის სათამაშოდ გასული ბიჭები ხალისით დარბოდნენ მწვანე ველზე და ამ დაუღამებელ დღეებში განუწყვეტლად ისმოდა მათი სიცილ-ტერციალი და მხიარული ხორხოცი.

ღრო უკვე შეუმჩნევლად მიიპარებოდა.

(გაგრძელება იქნება)



## გაგუ მგუაროვილი

### მე და გაზაფხული

აქ, ამ ყვეილებს თავს რომ ვეველები,  
სულში  
სურნელის იცის ჩაკმევა...  
აქ საახალწლო ჩიჩილაკებად  
ჩამწკრივებულან თეთრი ტყემლები.

საგაზაფხულო ქოლგებად გაშლილ  
ნისლებს მირეკავს ქარი შხივილით...  
დამორცხვებული ქალიშვილივით  
შეწითლებულა ატამი ბალში.

### წ ვ ი მ ს

წვიმს... უხარიათ ყანებს და ვაზებს,  
ერთი თვე არი აგერ არ წვიმდა.  
ქარს მოუგდია ღრუბელი მხარზე —  
წელში გაკრული ელვის ბაწრითა.

წვიმს  
და...

არც მინდა გადაიდაროს...  
მღვრიე ღვარების ვტკებში ყურებით...  
და ცა გრუხუნებს. ახლა იმგვარად,  
თითქოს  
გადიან ხიდზე ურმები.



ყველაფერს ვუმზერ თვალებით  
მუშტრის,  
ტანში მაქრეოლებს სიმღერა მწყვეპის,  
მგონია მთას რომ დავარტყა მუშტი —  
თევზის ბუშტივით გავწყვიტავ წელში.

შემართულია ქარაფზე ჯიხვი,  
რომ გადაეველოს ხრამებს შევარდნად...  
და საუკუნის სიცოცხლედ გიღირს  
ბროწეულის ალში შევარდნა.



სოჯა ახმერ ახასი

# მამეები და შვილები

1

„ როგორც გენებოს! შენ ვერასოდეს ველარ მიხილავ!“

„ვერასოდეს ველარ მიხილავ!“

„ ვერასოდეს! ვერასოდეს! ვერასოდეს!!!“

ეს სიტყვები ჯერ კიდევ ყურში ჩაესმოდა მეომართა კასტის წევრს კრიშენ სინგხს. ექო, რომელიც ამ სიტყვებს იმეორებდა, თითქოს დასცინოდა, აღიზიანებდა და შეურაცხყოფდა. კრიშენ სინგხი სიბრაზემ შეიპყრო და თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ უძლურია ამ არაჩვეულებრივად მძიმე მდგომარეობაში რაიმე მოიმოქმედოს.

კრიშენ სინგხს ვერასგზით ვერ დაეჯერებინა, რომ ღვიძლი შვილი აუჯანყდა და გაიმარჯვა კიდევ. მაგრამ ეს სინამდვილე იყო. დიახ, მან დაამარცხა მეომართა კასტის წარმომადგენელი კრიშენ სინგხი, რომლის წინაშე თრთოლდნენ ყველაზე შეძლებული გლეხებიც კი.

„ ჩემმა შვილმა, — ფიქრობდა გამწარებული მამა, — ჩემმა ღვიძლმა შვილმა... როგორ გაბედა რომ არ დამიჯერა? როგორ გაბედა დაეტოვებინა მამა-პაპათა სახლი, სადაც დაიბადა? როგორ გაბედა ჩემს წინააღმდეგ ამხედრება?“

შვილმა კი არამც თუ გაბედა, წავიდა კიდევ, წავიდა სამუდამოდ. დიახ, ასე თქვა: „სამუდამოდ“. ეს კი ყველაფრის დასასრულს ნიშნავს. როცა უკანასკნელად მიაბიჯებდა მამისეული სახლის მარმარილოს იატაკზე, მის აუჩქარებელ ნაბიჯებში იგრძნობოდა მტკიცე გადაწყვეტილება, გამოწვევა და ომის გამოცხადება.

კრიშენ სინგხი ანგარიშმიუცემლად იწიწკნიდა აპრებილ ულვაშებს და თავის თავს ეკითხებოდა: „საით მიემართება მსოფლიო? გლეხები უჯანყდებიან მემამულეებს, შვილები აღარ ემორჩილებიან მამებს და სახლიდან მიდიან. საუკუნოებრივი კავშირი ირღვევა, დიდი ხნის საზოგადოებრივი ტრადიციები და საფუძვლები მტვრად იქცევა. განხეთქილება მარტო ქვეყნის შიგნით კი არაა, — ყოველი სახლი, ყოველი ოჯახი ორად იყოფა; ვაჟიშვილები სტოვებენ თავიანთ მამებს, ქალიშვილები განზე უდგებიან თავიანთ დედებს, ცოლ-ქმარნი იყრებიან... რატომ? რატომ? რატომ?..“



ამ კითხვით მიმართავდა მდიდრულად მორთულ სასტუმროს კედლებს, ვისი წინაპრების სურათებს, რომლებიც უსიცოცხლო, უმოძრაო თვალებით გადმოპყურებდნენ.

ამ კითხვით მიმართავდა სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილ კრიშნას და საყვარელ განდის, რომლებიც მშვიდად უღიმოდნენ თავიანთი კვარცხლბუკებიდან.

ამ კითხვით მიმართავდა ეროვნულ დროშას, რომელიც ერთ-ერთ კედელს ამშვენებდა.

ამ კითხვით მიმართავდა მოვარაყებულ ჩარჩოში მოთავსებულ ინდოეთის სიმბოლურ გამონახატულებას.

ამ კითხვით მიმართავდა თლილ ქვის სვეტებს, რომლებიც მაღალ ჭერს შესდგომოდნენ.

ამ კითხვით მიმართავდა ტყავის ყდებში ჩასმულ კანონთა კრებულების ფოლიანტებს, რომლებიც მინიანი კარადების თაროებზე ელაგა.

ამ კითხვით მიმართავდა კედლის კალენდარს, რომლის ფურცლები მსუბუქი ნიავისაგან ისე თრთოდნენ, როგორც დროის გამოუცნობი ფრინველის ფრთები.

ამ კითხვით მიმართავდა ბუხრის თავზე მდგარ საათს, რომელიც რაღაც უცნაურად და მრავალმნიშვნელოვნად წიკწიკებდა.

ამ კითხვით მიმართავდა კუთხეში მდგარ ფოლადის სეიფს, რომელშიც ინახებოდა ძვირფასი ნივთები, ფული და მილიონად ღირებული ქონების ნასყიდობის სიგელები.

და ბოლოს მან ამ კითხვით მიმართა თავის უმტკვერო ქაღალდით თეთრ და კარგად გახამებულ განდის ქუდს, რომელიც ჩვეულებისამებრ ისე იდო სეიფზე, ვით გვირგვინი მეფის ტანტზე.

„რა არის მიზეზი უკმაყოფილებისა, შფოთისა და ურჩობისა, რა?“ სწყდებოდა ეს კითხვები მის ბაგეებს.

მაგრამ პასუხი არსით იყო. სდუმდნენ კედლები, სურათები და ქანდაკებები, სდუმდნენ და მასაყვით გაცოცხლდნენ იყვნენ. არა მარტო სასტუმრო, არამედ მთელი ეს უზარმაზარი სახლი დაკარიელებული, მიტოვებული და დაღერგილი ჩანდა. თითქოს ამ უტიფარმა, კადნიერმა, ურჩმა, აჯანყებულმა შვილმა მისი სახლის სიცოცხლე თან წაიღო. ან იქნებ თვითონ იყო ამ სახლის სიცოცხლე? და ახლა, როცა შვილი წავიდა, კრიშენ სინგხის უზარმაზარი, მდიდრულად მორთული სახლი ჩაკვდა, ვით აკლდამა, ვით ფარაონის სამარხი, რომელთან ერთად ჩამარხულია ფუფუნებისა და განძეულის მრავალნაირი ნივთი, — ყველაფერი, სიცოცხლის გარდა!

## 2

ანანდი! ეს ხომ მისი გაფიშვილის სახელია!

ოცდახუთი წლის წინათ დაარქვა კრიშენ სინგხმა თავის სიყრმის შვილს ანანდი — რაც ბედნიერებას ნიშნავს. შვილმა მას მართლაც ბედნიერება და წარმატება მოუტანა. ანანდი რომ დაიბადა, სწორედ იმ დღეს მოიგო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვეჟილმა კრიშენ სინგხმა თავისი პირველი საქმე. ვეჟილთა წრეში პასზე ალაპარაკდნენ. ამის შემდეგ ის ყოველთვის იგებდა მნიშვნელოვან საქმეებს, მაგრამ ხადღვილი სიხარული ამ პირველმა დიდმა საქმემ მოუტანა, — სახარობელას გადაარჩინა ადამიანი, რომელსაც შეცდომით ბრალდებოდა მკვლელობა. მართალია, გამართლებული კლიენტისაგან მცირე გასამრჯელო მიიღო, მაგრამ ამ უბრალო გლეხის თვალბში დანახულმა მადლობამ დააჯილ-





დოვა მთელი მისი გარჯისათვის. სამართლიანობა და ჰუმანურობა — არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთათვის თავის შეწირვაც გადაწყვიტა ახალგაზრდა ვექილმა.

სამართლიანობა, ჰუმანურობა და თავისუფლება!

როდესაც კრიშენ სინგხმა ნაციონალური კონგრესის პარტიის ხნიერი ლიდერისაგან მოისმინა ეს დევიზი, მან ახალგაზრდული აღზნებით იგრძნო, რომ მისი გული ექოსავით გაეხმაინა ამ კეთილშობილურ მოწოდებას.

ანანდი ოთხი წლისა იყო, როცა მამამისი პირველად დააპატიმრეს. კრიშენ სინგხს სამი წლით მკაცრი პატიმრობა მიუსაჯეს მგზნებარე სიტყვისა და იმ კანონის დაცინვისათვის, რომელსაც სასამართლოში ემსახურებოდა. საპყრობილეს საკანში მჯდომი დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ რა მწარედ დასცინა ბედმა.

ნაკლებ ცნობილ ახალგაზრდა ვექილს ციხეში არ ჰქონდა ის ყურადღება და კომფორტი, რომლებითაც ჩვეულებრივ სარგებლობენ აქ მოხვედრილი ცნობილი ადამიანები. არ სიამოვნებდა ბოროტმოქმედებთან ერთად საკანში ყოფნა, მაგრამ ეს მკაცრი ცხოვრება მეომართა კასტისათვის ესოდენ დამახასიათებელი მამაცოვით გადაიტანა.

ცოლ-შვილთან განშორება კრიშენ სინგხისთვის ნამდვილი წამება იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ ათასობით პატრიოტი მასავით იტანჯებოდა. შვებას ჰგვრიდა ისიც, რომ მის ოჯახს არ უჭირდა: აქვთ სახლი, მიწა, და თუმცა მოხუცი მამა არ თანაუგრძნობდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს, მაინც მზრუნველობას არ მოაკლებდა რძალსა და შვილიშვილს.

ერთხელ, როდესაც გაათავისუფლებამდე რამდენიმე თვეა დარჩა, ბავშვური ხელით დაწერილი წერილი მიიღო:

„გამარჯობა, ჩემო ძვირფასო მამიკო!..“

შვილის ტკბილმა მოგონებამ მზის სხივით გაანათა ბნელი და ჭუჭყიანი საკანი. შვილი, რომელიც მამას ჰგავდა, ცოცხალი სიმბოლო იყო მისი მეუღლისადმი სიყვარულისა. უყურებდა ბავშვის ნაჯღაბს და ავონდებოდა ახლობელი, უცოდველი სახე, რომელიც უდიდოდა, თავისკენ იწვევდა და დიდხნის განშორებას უსაყვედურებდა. წამით კრიშენ სინგხის იდეალები თითქოს ჩაიფუშნენ — ცოლისა და შვილის ნახვის სურვილმა ძლიერ აუძგერა გული. ო, როგორ სურდა იმ წუთს გაემტვრია დარკინული სარკმელი და შინ გაქცეულიყო! მაგრამ როცა ბოლომდე ჩაიკითხა შვილის წერილი, შერცხვა წუთიერი სისუსტისა. შვილი სწერდა: „მამიკო, დედის ჯავრი ნუ გექნება. მე აქ ვარ და ვზრუნავ მის ჯანმრთელობაზე. დედა მეუბნება, როცა დიდი გაიზრდები, შენც მამაშენივით რევოლუციონერი იქნებიო“. ეს საკმარისი იყო, რათა პატრიოტი მამის ხული კანონიერი სიამაყით აღესილიყო.

რამდენიმე კვირის შემდეგ კრიშენ სინგხმა გაიგო, რომ მისი მეუღლე ავად გამხდარიყო. ანანდი სწერდა: „დედა ძალიან დასუსტდა და ყოველთვის შენ გივონებს“..

ზოგიერთი მეგობარი კრიშენ სინგხს ურჩევდა, ცოლის ავადმყოფობის გამო შეწყნარება ითხოვეო, მაგრამ რადხამ თავისი დასუსტებული ხელით მოსწერა: „გენაცვალე, ჩემი გულისათვის შენს იდეალებს ნუ უღალატებ, თორემ ამას ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ: არ მინდა, რომ ინგლისის მთავრობას შეწყნარება სთხოვო. თუ ბედი გამიღიმებს, ციხიდან გამოხვალ და კვლავ ვნახავთ ერთმანეთს“.

კრიშენ სინგხმა შეწყნარების თხოვნა დახია, მალე ხელი მოაწერეს განდი-ირვინგის დროებითის ზავს და კრიშენ სინგხი სხვა პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად გაათავისუფლეს.

როცა მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. მაგ-



რამ საკუთარ სახლში შესვლისას ჩვეულებრივ კარის ზღურბლთან აღარ მოგვეჩვენა ბებია რადხა, მას ამ სამი წლის განმავლობაში შესამჩნევად ვაზრდილი და გამწვანარი ანანდი შეეგება. მამის დანახვამ ღიმილც კი არ მოჰგვარა ყმაწვილს. ანანდი ცრემლით საესე თვალებით შეჰყურებდა, ქვითინს ძლივს იკავებდა და ეუბნებოდა: „მამიკო, ძალიან დაგაგვიანდა, დედა აღარაა“.

## 3

იმ დღიდან მამა-შვილი მარტო დარჩა. ყოველ საღამოს სასამართლოდან დაბრუნებული კრიშენ სინგხი სავარძელში ჩაჯდებოდა და შვილს ჰკითხავდა: „აბა, ანანდ, მიაშბე, დღეს თქვენს სკოლაში რა მოხდა?“ ანანდი ყველაფერს უამბობდა: „დღეს ჩვენი მასწავლებლის თხამ ორი თიკანი მოიგო“, „დღეს ხიდან ჩამოვვარდი, აი ნახე როგორ გადამეყვლიფა ფეხი“, „დღეს ჩვენი სკოლის წინ ინგლისელი ჯარისკაცები ვარჯიშობდნენ; ისე გვიბღვერდნენ, თითქოს ჩვენი შექმა სურდათ. ბიჭებს შეეშინდათ და გაიქცნენ, მე კი არ შემშინებია“.

კრიშენ სინგხი კი ეუბნებოდა: „ყოჩაღ, შვილიკო! ვიცოდი, რომ მხდალი არა ხარ“.

ერთხელ, როცა ანანდი ათი წლისა იყო, სკოლიდან დაბრუნებულმა მამას უთხრა: „მამიკო, გამომავდეს, გამომავდეს იმისათვის, რომ განდის ქუდს ვატარებ. დირექტორმა წინათაც გამაფრთხილა. დღეს ჩვენთან სკოლაში ვიღაც ინგლისელი ინსპექტორი მოვიდა. როცა თავზე განდის ქუდი დამინახა, წითელი სახე კიდევ უფრო წამოუჭარხლდა, გამომიძახა და მიბრძანა ჩამომეთვალა ინგლისის მეფის მოწყალეზანი. რა უნდა მექნა, მამიკო? იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ ინგლისის მეფეს ციხეში დაპატიმრებული ჰყავდა მამაჩემი და ისეთი ბელადები, როგორც ჩვენი განდია... ამაზე მეტი წყალობა რაღა უნდა ყოფილიყო? ინსპექტორმა ჩემი პასუხი რომ მოისმინა, გაცეცხლდა და ლერწმის ჯოხი დამარტყა... ექვსჯერ დამარტყა ორივე ხელისგულზე. ხედავ, მამიკო, მისი კვალი ჯერაც მაჩნია. მე კი ინგლისელის წინაშე არ ავტირებულვარ, არ ავტირებულვარ...“

ეს რომ თქვა, ანანდმა მამის მუხლებში ჩამალა თავი და ატირდა. კმაყოფილმა მამამ შვილს თავი ნახად აუწია და აკოცა.

... დღესაც, თხუთმეტი წლის შემდეგაც, გრძნობდა კრიშენ სინგხი თავის ლოყაზე ვაჟიშვილის ცხელ ცრემლებს...

კრიშენ სინგხმა შვილი სასწავლებლად ბენარესში გაგზავნა, თვითონ კი სახლში მარტო დარჩა. უმეტეს დროს სასამართლოში ატარებდა და მხოლოდ იშვიათად მონაწილეობდა ნაციონალური კონგრესის პარტიის ადგილობრივი კომიტეტის მუშაობაში. მალე ფრიად ცნობილი ვეჭილი გახდა. კლიენტს უკვე იმას არ ეკითხებოდა, დამნაშავე ხარ თუ არაო, მას სულ სხვა რამ აინტერესებდა: შესძლებდა თუ არა კლიენტი ჰონორარის გადახდას.

კრიშენ სინგხი სულ წინ მიიწევდა და ყოველ საქმეში ბედი სწყალობდა: პირველი ინსტანციის სასამართლოდან უმაღლესში გადაიყვანეს, ქალაქის მმართველობის წევრი იყო და თავმჯდომარე გახდა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის კომიტეტიდან მთელი პროვინციის კომიტეტში დააწინაურეს. ახლა ხმები დადიოდა, პროვინციის ასამბლეის არჩევნებზე კანდიდატად წამოაყენებენ მთელი პარტიისაგანო.

კრიშენ სინგხს ეგონა, ანანდი არდადებებზე რომ ჩამოვა, ყველა ეს ბედნიერი ცვლილება გაეხარდებო.

აი ვაჟიშვილიც ჩამოვიდა კოლეჯიდან. კრიშენ სინგხმა სიამოვნებით შე-



ნიშნა, რომ შვილის ბარგის დიდ ნაწილს წიგნები შეადგენდა: ეს იყო ლექსები, ზის კრებულები ჰინდურ და ინგლისურ ენებზე, თხზულებანი საფრანგულ, ირლანდიის, ამერიკისა და რუსეთის რევოლუციებზე. ეს იმას მოწმობდა, რომ ანანდი დროს ტყუილუბრალოდ არ კარგავდა, სხვა ახალგაზრდებზე უსაქმოდ არ დაეხეტებოდა.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ პოლიტიკა გაინტერესებს, — უთხრა კრიშენმა შვილს, — დარწმუნებული ვარ, შენც მამაშენივით პოლიტიკური მოღვაწე გამოხვალ.

— მაპატიე, მამიკო, — შეეპასუხა ანანდი, — მე მინდა რევოლუციონერი ვიყო და არა პოლიტიკური მოღვაწე.

კრიშენ სინგხმა ნაძალადევი მხიარული ხმით უთხრა:

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას რევოლუცია გვსურს...

მაგრამ შვილის გამომეტყველებამ დაარწმუნა, რომ მას მამისა არა სჯეროდა. ანანდი რამდენიმე დღის ჩამოსული იყო, როცა ვიღაც მოხუცი გლეხი მოვიდა საჩივრით; გლეხმა უამბო, მემამულემ მიწის უკანასკნელი ნაგლეჯი წამართვა და გამოგვადევა, ბატონის მსახურებმა კი მე და ჩემს შვილებს საშინლად გვცემეს და სახლი დაგვიწვესო. გლეხი ტიროდა, კრიშენს ევედრებოდა, დაიცავი ჩემი საქმე სასამართლოში.

— სულგრძელო ბატონო! დამიბრუნე, ვენაცვალე, ჩემი მიწა და მთელი სიცოცხლე შენთვის და შენი შვილებისათვის ვილოცებ.

კრიშენ სინგხის მდივანმა კი მოხუცს ჰკითხა: გეყოფა თუ არა ფული ასეთი დიდი ვეჭილის გასამრჯელოსათვისო. გლეხმა აკანკალებული ხელებით შეიხსნა წელზე შემორტყმული სარტყელი, იჭიდან ამოიღო დაქუჩქული და ქუჩქიანი ხუთრუბიანი და მდივანს გაუწოდა. ანანდი სწორედ მაშინ დაბრუნდა შინ, როცა მამამისი მდივანი მოხუცს გარეთ აგდებდა.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ კრიშენ სინგხს ახლაც ცხადად ახსოვს შვილთან მაშინდელი საუბარი — დრამის პირველი მოქმედება. რომელმაც დღეს მწვერვალს მიაღწია.

— მამაჩემო, რატომ არ ჰკიდებ ამ უბედური მოხუცის საქმეს?

მდივანმა სცადა საუბარში ჩარევა და ანანდს თავლივით ტყბილი ხმით მიმართა:

— ახალგაზრდა ბატონო, შენ არ იცნობ ამ თაღლით ადამიანებს, მათ სულს იჭით არაფერი გააჩნიათ და ტყუილუბრალოდ გვაწუხებენ...

— მე მსურს გავიგო რას მიპასუხებს მამაჩემი.

— ჩემი მდივანი მართალია, შვილო.

— მაშინ მე თვითონ გთხოვ ხელი მოჰკიდო ამ საქმეს, პირადად გადაგიხდი ისეთ პონორარს, როგორსაც მოითხოვ.

კრიშენ სინგხი გაოცდა და რამდენსამე წუთს ხმის ამოდება ვერ შესძლო. გულისგამაწვრილებელი პაუზის შემდეგ კი უპასუხა:

— ბოლოსდაბოლოს ჩვენც ხომ მიწისმფლობელები ვართ. ახლა რომ ამ მოხუცის საქმე დავიცვა, მაშინ ხვალ ამიჯანყდებიან ისინი, ვინც ჩემგან მიწას იჯარით იღებენ და წაგვართმევენ მიწას ჩვენცა და ყველა მიწისმფლობელს.

— ასეც მოხდება, როდესაც მემამულეთა წყობილება დაემხოება.

— რა ბრიყვივით ლაპარაკობ.

— ბრიყვივით კი არ ვლაპარაკობ, არამედ ისე, როგორც შენც ლაპარაკობდი ოდესღაც.

მეორე დღეს ანანდმა მამას გამოუცხადა:



— გამოცდებისათვის მინდა მოვემზადო, ბენარესში უნდა დავბრუნდეთ არდადეგების უკანასკნელ დღეებში ვიმეცადინო.

შეურაცხყოფილმა სიამაყემ მამას ნება არ მისცა შვილისთვის ეთხოვნა, ცოტა კიდევ დარჩიო.

4

ამ დღიდან მამა-შვილს შორის უფრო და უფრო ღრმავდებოდა აზრებისა და გრძობების შეუთანხმებლობა. როცა ანანდი არდადეგებზე შინ ჩამოდიოდა და რაიმეს შესახებ იწყებდნენ კამათს, კრიშენს ეგონა, შვილს კი არა, უცხო ადამიანს ველაპარაკებო.

კრიშენ სინგხი გავიდა ასამბლეთის არჩევნებში ნაციონალური კონგრესის პარტიის წარდგენით. ათასობით მილოცვა მიიღო. მხოლოდ შვილს არ მიულოცია. ანანდმა პირველი პრემია მოიპოვა სრულიად ინდოეთის საპოლემიკო შეჯიბრებაში, მაგრამ ამას სიამოვნება არ მოუტანია მამამისისათვის. საპოლემიკო შეჯიბრებაში შვილმა თემად აირჩია: „ინდოეთის ხსნა სოციალიზმშია“ და მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა სოციალიზმის დასაცავად.

კრიშენ სინგხი მსხვილ მემამულეთა ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს. ანანდი სოციალისტურ პარტიაში შევიდა.

კრიშენ სინგხმა საზეიმოდ გახსნა მეომართა კასტის კრება. ანანდმა მარქსისტული წრე დააარსა.

კრიშენ სინგხი ინგლისს გაემგზავრა ერთი მსხვილი მემამულის მემკვიდრეობის დასაცავად და ამისათვის ასი ათასზე მეტი რუპია მიიღო. თითქმის იმავე დროულად ანანდი უნივერსიტეტიდან გამოირიცხეს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

როცა ომი დაიწყო, კრიშენ სინგხმა სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად პოლიციის უფროსს განუცხადა, ზოგ შემთხვევაში მთავრობას არ დავემორჩილებიო. პოლიციის უფროსმა მეტად თავზაიანად დააპატიმრა კრიშენი და თავისი მანქანით მიიყვანა ციხეში; აქ კრიშენ სინგხი პრივილეგიებით სარგებლობდა, — ამჯერად ის „ა“ კატეგორიას მიაკუთვნეს. როცა სამი თვის შემდეგ გაათავისუფლეს, გადაწყვიტა: არ ღირს რისკის გაწევა და კვლავ ციხეში მოხვედრო და უფრო მშვიდობიან საქმიანობას მიჰყო ხელი: აგიტაციას ეწეოდა ეროვნული ტანსაცმელის სატარებლად. ამავე დროს ფარულად, სხვისი სახელით, მთავრობასთან ხელშეკრულება დადო არმიის ფეხსაცმელით მომარაგებაზე, ამ საქმიდან კი მისი წლიური შემოსავალი დაახლოებით ორი ათას რუპიას შეადგენდა.

ანანდი ომში ინდოეთის ძალდატანებით მონაწილეობის საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყო. დემონსტრაციის დროს მას ლერწმის ჯოხებით სცემეს, ხოლო შემდეგ ინგლისელმა ჯარისკაცმა რკინით დაქედილი ფეხსაცმელი მაგრა ურტყა. იქნებ ჯარისკაცს ის ფეხსაცმელი ეცვა, რომლითაც მამამისი ფარულად ამარაგებდა არმიას!

1942 წლის 9 აგვისტოს კრიშენ სინგხი სხვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად საგანგებო მატარებლით გაგზავნეს მყუდრო ციხე-სიმაგრეში. იმავ დღეს ანანდის ხელახლა სცემეს ლერწმის ჯოხებით, კინალამ დაახრჩეს ცრემლმდენი გაზით და დააპატიმრეს ეროვნული ღრმის აღმართვის ცდისათვის.

პატიმრობაში მყოფი კრიშენ სინგხი იოგთა ფილოსოფიას დაეწაფა და სა-



სოცებით კითხულობდა რელიგიურ წიგნებს. ანანდი კი ციხეში სწავლობდა მარქსის „კაპიტალს“ და კითხულობდა მარქსისტულ ლიტერატურას.

მთავრობამ კრიშენ სინგხს ნება დართო საპრობლეში ჰყოლოდა საკუთარი მხარეული, რომელიც საყვარელ საქმელებს უმზადებდა. ანანდმა და მისმა საყვარელმა ამხანაგებმა შიმშილობა გამოაცხადეს, რამაც ჩვიდმეტ დღეს გასტანა.

ანანდი ციხიდან გაიქცა და არალეგალური რევოლუციონერი გახდა.

პოლიციამ ერთხელ მიაგნო ანანდის კვალს და კინაღამ შეიპყრო. ფეხში დაჭრილმა ანანდმა მაინც მოახერხა მღევარს გაქცეოდა. დახმარებისათვის ექიმს ვერ მიმართავდა და ჰრილობა დაუჩირქდა. იძულებული გახდა ორი თვე წოლილიყ მევობრის ბინაზე. ლოგინად ჩავარდნილმა გაზეთში წაიკითხა მამის განცხადება: „სასტიკად ვგმობ ჩემი უაყის ტერორისტულ საქმიანობას“.

შემდეგ განახლდა მოლაპარაკება ნაციონალური კონგრესის პარტიასა და მთავრობას შორის და კრიშენ სინგხი სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად გაათავისუფლეს. რამდენიმე თვის შემდეგ ანანდი შინ დაბრუნდა მამის სანახავად და ცოტა ხანს დასასვენებლად, სანამ კვლავ შეუდგებოდა პოლიტიკურ მუშაობას. კრიშენ სინგხი ძალიან შეაწუხა შვილის მეტისმეტად გამხდარმა სახემ. ამ ამადლელებელ წუთებში მამის სრულიად დაავიწყდა მათ შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოება და როცა შვილს გადაეხვია, თვალები ცრემლით ავესო.

1947 წლის 3 ივნისს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ინდოეთის გაყოფაზე. ქვეყნის ტერიტორია ძალდატანებით გაჰყვეს, თუმცა ფორმალურად ინდოეთი თავისუფლად ითვლებოდა. სარწმუნოებრივმა უთანხმოებამ მწვავე ხასიათი მიიღო. პაკისტანისა და ინდოეთის ზოგიერთ პროვინციაში ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ანანდმა მიზნად დაისახა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, შეეკავებინა აბოზოქრებული სიძულვილის ტალღა, ხელი შეეშალა ძალადობისათვის და გადაერჩინა თავისი მუსულმანი ამხანაგების სიცოცხლე და ღირსება. მის მეგობარს სელიმს, რომელთანაც ერთად იბრძოდა ინდოეთიდან ინგლისელების გასაძევებლად, საფრთხე არ ასცდებოდა თავისავე სოფელ ბიხარაში. ანანდი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ბიხარაში და სელიმი ოჯახთანად წამოიყვანა მამის სახლში, რომელიც ყველაზე უშიშარ ადგილად მიაჩნდა. დარწმუნებული იყო, რომ მამამისი, როგორც ნაციონალური კონგრესის წევრი, სიხარულით მიიღებდა მუსულმანებს, რომლებიც ყოველთვის ერთმორწმუნე ფანატიკოსების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამის გამო ყოველთვის დევნას განიცდიდნენ.

კრიშენ სინგხმა კი შვილს ასე მიმართა:

— შენი მეგობარი უკეთესია სადმე სხვაგან მოაწყო, ჩვენზე ისედაც თითო უჩვენებენ, ამბობენ, მუსულმანებს ჰფარავენო.

ანანდმა უპასუხა:

— ისინი ხომ მარტო მუსულმანები არ არიან — ისინი ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლებიც არიან; ყოველთვის ნაციონალური კონგრესის პარტიის მხარეზე იყენენ და მუსულმანური რელიგიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ...

— შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ შენ არ იცი, თუ რა ხდება ახლა პაკისტანში.

— იგივე, რაც ხდება ახლა აქ, იგივე, რაც ხდება შენს გულში, — უთხრა ანანდმა და იმავე ღამეს დატოვა მამისეული სახლი, თავისი მეგობრითა და მისი ოჯახით საღდაც წავიდა...

ახლა ყველაფერი ეს კინოლენტით უელავდა კრიშენ სინგხს გონებაში.

მეგობრები ეუბნებოდნენ:

— ძალზე დიდ თავისუფლებას აძლევ შენს შვილს. ნამდვილი მეამბოხე გახდა.

კრიშენ სინგხი კი პასუხობდა:

— ნუ სწუხართ, მეგობრებო, ჯერ ახალგაზრდაა. მის ასაკში რომელ ჩვენგანს არ უოცნებია ყოფილიყო მეამბოხე და რევოლუციონერი. მეც ასეთი ვიყავი...

კრიშენი დარწმუნებული იყო, რომ ანანდს ახალგაზრდული აღზნება ღრთა განმავლობაში ჩაუქრებოდა და ფიზიკურ მომწიფებასთან ერთად გონებრივადც მომწიფდებოდა; აი მაშინ დაბრუნდება შინო.

მაგრამ ანანდი არ დაბრუნებულა. და როდესაც მოვიდა, მაშინაც მოვიდა არა როგორც მოსიყვარულე შვილი, არამედ როგორც მტერი.

5

კრიშენ სინგხი პირველი მინისტრობისათვის ბრძოლაში არ მონაწილეობდა. თავის პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობაც შეწყვიტა. კვლავ ვეჭილობას დაუბრუნდა. და ახლა მისი შემოსავალი რამდენიმე რუპიას შეადგენდა თვეში. ხოლო როცა ეროვნული მთავრობა შესდგა, გადაწყვიტა ხელი შეეწყო ინდოეთის მრეწველობის განვითარებისათვის, — მისი აზრით ეს ყოველი პატრიოტის მოვალეობა იყო. რა თქმა უნდა, მას მშვენივრად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი კაპიტლის დაბანდვას მრეწველობაში, რადგან მოსალოდნელი იყო მიწის საკუთრების გაუქმება. სწორედ ამ მოსაზრებით რამდენიმე მეგობართან ერთად კანპურში ერთი ინგლისური ფირმისაგან იყიდა ორი ქარხანა, რომლის მებატრონეც სასწრაფოდ სტოვებდა ინდოეთს. თავისი მდგომარეობის წყალობით კრიშენ სინგხს ადვილად შეეძლო ხელსაყრელი შეკვეთები მიეღო მთავრობისაგან და სხვა პრივილეგიებითაც ესარგებლა.

ამგვარად ვეჭილო კრიშენ სინგხი, მეომართა კასტის წევრი, მილიონერ ბატონ კრიშენ სინგხად იქცა.

მაგრამ მისდა საუბედროდ მრეწველობის პროგრესის გზაზე დაბრკოლებად სოციალისტებისა და კომუნისტების ქეები დახვდა. მუშები იფიცებოდნენ. ქარხნები დაიხურა. არც ერთი მილიდან კვამლი არ ამოდიოდა. მმართველი, რომელსაც შტრეიკბრეხერობის მრავალი წლის გამოცდილება ჰქონდა, კრიშენ სინგხს ურჩევდა, რაიმე საშუალება გამოეჩინათ მუშათა ერთიანობის გასატეხადო.

— ერთგულები ხელფასის მომატებით გადმოვიბიროთ, — ურჩევდა მმართველი, — მოპიკეტებები კი დაქირავებული ხულიგნებით დაეაშინოთ. ამას გარდა აუცილებლად უნდა მივიღწიოთ იმას, რომ მთავრობამ დააპატიმროს გაფიცვის პროფკავშირული ხელმძღვანელები, როგორც მშვიდობიანობის დამრღვენი.

მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ გამოუცდიელი კრიშენ სინგხი ვერ ბედავდა ამგვარ ღონისძიებათა გატარებას. პროფკავშირულ ორგანიზაციებთან დაეაში მას უნდოდა ჯერ თავისი იურიდიული ნიჭი ეშინჯა. ამიტომ მმართველს სთხოვა გაეფრთხილებინა გაფიცულები, მათს მთავარ ხელმძღვანელთან მოლაპარაკება მსურსო.

✓ გაფიცულთა ხელმძღვანელის დანახვაზე კრიშენ სინგხს თავზარი დაეცა — ეს მისი შვილი ანანდი იყო!.. რა საშინლად გამოცვლილიყო. გაუპარსავი, ტან-



საცმელდახეული, დალილობისაგან თვალბზავიანი, თუმცა თვალებში მინც უგზავნიდა ცეცხლი, ხოლო მის ხმაში მეტი სიმტკიცე იგრძობოდა, დღეს ანადი „მტრის სახელით“ მოვიდა მასთან მოსალაპარაკებლად. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მინც შეიღია. მოულოდნელობისაგან გრძობამოქარბებულ მამას გული შეეკუმწა.

— მე მოწყალეების სათნოვნელად არ მოვსულვარ, — მისალმების ნაცვლად მიმართა ანანდმა მამას. — შენ შამა ხარ ჩემი, ამიტომ მოვედი როგორც შეილი, რათა გაგაფრთხილო: საფრთხე მოგელს.

— საფრთხე?

— დიას, უშუალო საფრთხე.

კრიშენ სინგხმა გაიფიქრა, ალბათ მუშები მოკვლას მიპირებენ და ამის შესატყობინებლად მოვიდაო. მაგრამ მალე მიხვდა თავის შეცდომას.

— არა, არა, შენს მოკვლას არავინ ფიქრობს. საფრთხე ემუქრება შენს საზოგადოებას, მთელ მის ეკონომიკურ სისტემას, მის მთავრობას.

მამასა და შეილს შორის კვლავ გაჩაღდა ძველი დავა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შესახებ. ამჯერად კრიშენ სინგხმა თავდასხმისათვის ახალ იარაღს მიმართა:

— ანანდ, ნუთუ არასოდეს არ გიფიქრია იმაზე, რომ ეს ქარხანა, რომლის მოსპობასაც შენა და შენი გავიცულები ფიქრობთ, მალე შენი საკუთრება გახდება? — ასტმით დაავადებულივით ჩაახველა და დაუმატა, — ხომ იცი, რომ დიდი დღე აღარა მაქვს.

— შენი საზოგადოებრივი წყობაც დიღხანს ვეღარ იარსებებს, — უპასუხა ანანდმა. — კაპიტალიზმი უკვე მკვდარია. ნუ შეეცდები მიმიტყუო მყარალი ლეშის ნაგლეჯებით.

მამას აღარ შეეძლო რისხვის შეკავება:

— გახსოვდეს, ანანდ, მემკვიდრეობაზე უარს გეტყვი და არც ერთ გროშს არ მიიღებ!

— ჩემთვის ნუ სწუხარ, მამაჩემო! დიდი ხანია უარი ვთქვი შენს მემკვიდრეობაზეც და შენს საზოგადოებაზეც.

კრიშენ სინგხმა რისხვა დაიოკა და კვლავ სცადა შეილის დაყოლიება:

— გამიგონე, ანანდ, ბოლოსდაბოლოს მე მამა ვარ შენი და შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურს. განა მოვალე არა ხარ დამიჯერო?

— განა შენ კი ყოველთვის ისე იქცეოდი, როგორც მამაშენს სურდა? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა ანანდმა და განაგრძო: — მეტად არაბუნებრივი იქნებოდა, რომ შეილები ბრმად ემორჩილებოდნენ მამების სურვილს. შენც კარგად იცი, შეილები, „უკვდავი შეილები“. როგორც პლატონი უწოდებდა, რომ არ აჯანყებულყვენენ მამების წინააღმდეგ, ჩვენ ისევ გამოქვაბულებში ვიცხოვრებდით, ნადირის ტყავით ვივლიდით და ცეცხლს კაპით გავაჩენდით; დედამიწა მთლად ბრტყელი გვეგონებოდა და თყვანს ვცემდით მზეს, ხეებსა და გველებს. დამიჯერე, მამაჩემო, რომ პროგრესი დამოკიდებულია შეილებზე, რომლებიც ბრმად არ ემორჩილებიან და არ ეთანხმებიან მამების ნებას.

კრიშენ სინგხს არ სურდა ფილოსოფიურ კამათში ჩაბმა. მას აწუხებდა მხოლოდ ზარალი, რომელიც ამ შეჩვენებული გავიცვისაგან მოსდიოდა. უზომოდ მძიმე იყო იმის შეგნება, რომ ამ საქმის მონაწილე მისი ღვიძლი შეილი იყო. თანდათან კრიშენ სინგხს ხმა მკაცრი უხდებოდა:

— იცი თუ არა, ჩემო შეილო, რომ მხოლოდ ჩემი მეოხებით არ დაგაპატიმრებს ამ გაფიცვაში მონაწილეობისათვის? არ მსურდა მუშების მოსათვინიე-



რებლად მკაცრი ზომები მეხმარა. მოხარული ვიქნებოდი, თუ ეს არასასიამოვნო საქმე მშვიდობიანად მოგვარდებოდა. მაგრამ ახლა კი იძულებული ვიქნებ...  
 — მოითხოვო, რომ დამაპატიმრონ? — დამთავრა მამის დაწყებული წინადადება ანანდმა. — მალე იმასაც მოითხოვ, რომ ლერწმის ჯოხებით გვეცემონ ან დაგვხვრიტონ! შენ ვერც კი წარმოიდგენ თუ რა საშინელ მოქმედებამდე მიგყვანს კაპიტალიზმი!

ნუთუ ეს უხეში, შეუპოვარი ავტორი, რომელსაც გიჟივით უბრწყინავს თვალები, მისი შვილია? არა! არა! შეუძლებელია!

— გამეცალე აქედან! — დაუყვირა კრიშენ სინგმა. — დღეიდან მე შენი მამა და შენ ჩემი შვილი აღარა ხარ! შენი დანახვაც კი არ მინდა!

— ეგ დიდი ხანია შევიგნე, სწორედ იმ დღიდან, როცა უარი მითხარი დატაკი გლეხის საქმის დაცვაზე; შევიგნე იმ დღეს, როცა მთავრობის სასიამოვნოდ გაზეთში გამოაქვეყნე განცხადება, რომელშიაც ჩემს მოღვაწეობას კიცხავდი; შევიგნე მაშინაც, როცა უარი მითხარი ჩემი მეგობრების დახმარებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მუსულმანები იყვნენ.

— მომშორდი!.. არ მსურს შენი დანახვა, შენი ხმის გაგონება!

კრიშენ სინგხი ისე ყვიროდა, გეგონებოდათ თავისი ხმით მთელი ოთახის ავსება სურსო. ანანდი, პირიქით, ლაპარაკობდა წყნარად, აუჩქარებლად, სამართებელივით მკრეცი სიტყვებით:

— კეთილი! როგორც გინდოდეს! მე კი ვეღარასოდეს მიხილავ...

ამ სიტყვებით ანანდი წავიდა და ეს ნიშნავდა, რომ ყველაფერი გათავდა. „გათავდა“, — ბოროტად ხმიანობდნენ ანანდის ჭუჭყიანი და ქუსლებმოქვეული ფეხსაცმელები, როცა იგი უკანასკნელად მიაბიჯებდა დერეფნის მარმარილოს იატაკზე. მის თანაბარ ნაბიჯებში იგრძნობოდა მტკიცე გადაწყვეტილება, გამოწვევა და ომის გამოცხადება.

„არასოდეს არ დავბრუნდები. არასოდეს! არასოდეს! არასოდეს!“

6

სახლში სიცარიელე და წყვდიადი სუფევდა; სიცარიელე და წყვდიადი სუფევდა კრიშენ სინგხის გულშიც. ყველაფერი, რაც კი ოთახში იყო — სურათები, ქანდაკებები და თვით კედლებიც კი, თითქოს დასცინოდნენ. გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ სახლიდან მტერი კი არ გააგდო, არამედ ერთადერთი თმა-ხუჭუჭა შვილი, რომელიც ოდესღაც მამას წერდა, მეც შენსავით რევოლუციონერი გავხდებო. სახლიდან გააგდო ის ცნობისმოყვარე ბავშვი, რომელსაც თვალები უბრწყინავდა, როცა ხელზე ლერწმის ჯოხის კვალს უჩვენებდა: „მე კი ინგლისელის წინაშე არ ავტირებულვარ, მამიკო, არ ავტირებულვარ“...

დღეს მან სახლიდან გააგდო არა მარტო შვილი, არამედ შვილის დედაც რაღმა, რომელიც საპრობილეში სწერდა, თუ ბედი გამიღიმებს, ჩვენ კვლავ ვნახავთ ერთმანეთს, როცა ციხიდან გამოხვალო. იგი მოკვდა, ქმარს კი ნება არ მისცა ეღალატა თავისი პრინციპებისათვის და შეწყნარება ეთხოვა ინგლისის მთავრობისათვის.

შვილი რომ გააგდო, კრიშენ სინგხი მარტო დარჩა, მარტო მთელ ქვეყანაზე. მაგრამ არა, მას კიდევ ჰყავს მახლობელი ადამიანი, მოხუცებული მამა.

ხარნამ სინგხი, მეომართა კასტის წევრი, რომელიც სოფლად ცხოვრობს, მამაპაპეულ სახლში, თითქმის სამოცდაათი წლისა იყო და მენხიერება ჰქონდა. იქნებ მოხუცებულობის გამოყრუებაც ეწყებოდა! კრიშენ სინგხი მამას იშვიათად ნახულობდა ხოლმე. დღეს კი აუცილებლად წავა და შესჩივლებს.





მხოლოდ მამას შეუძლია გაუგოს კრიშენ სინგხს. გარაჯიდან მანქანას გამოუძახა და რამდენიმე წუთის შემდეგ მტერიანი გზით სოფლისაკენ მიჰქროდა.

როცა კრიშენ სინგხის მანქანა სახლთან შეჩერდა, მოხუცი ხარნამი ჩვეულებრივ თავის საღამოს ლოცვას ასრულებდა. ლოცვის დროს მანქანის ხმამ რომ შეაწუხა, მოხუცმა მსახურებს დაუყვირა:

— ილიოტებო, ათასჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ არ მსურს ჩემს ეზოში ეშმაკის ეტლი შემოვიდეს. თქვენ გინდათ, რომ ჩემი წყევლით მტერად ვაქციო, ხომ?!  
მართალია, ხარნამ სინგხი ჭადარა და უკბილო იყო, მაგრამ მისი ხმა ისე სტეკდა, რომ ნახევარ მილზე ისმოდა. თითქმის ბრმა იყო, მაგრამ მაინც არ სურდა უცხოელთა გამოგონილი სათვალე ეტარებინა. არც ხელოვნური კბილების ჩასმა სურდა.

კრიშენ სინგხი მამასთან შევიდა და წინ გაუჩერდა, მაგრამ მოხუცმა ვერ იცნო.

— ვინა ხარ?

— მე ვარ, კრიშენი.

— დამეკარგე აქედან, მატყუარავ. ბრწყინვალე ღმერთი კრიშნა ეშმაკის ეტლით არასოდეს არ დადის, — უთხრა, თან კრიალოსანს მარცვლავდა და ღვთის სახელს იმეორებდა.

— მამაჩემო, ღმერთი კრიშნა კი არა, შენი შვილი კრიშენი ვარ.

— მე შვილი არა მყავს. მე შენი მამა არა ვარ.

ეს სიტყვები წარმოსთქვა ხარნამ სინგხმა მრავალი წლის წინათ, როცა სახლიდან აგდებდა თავის შვილს კრიშენს, რომელიც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მიემხრო. ახლა, მოხუცებულობის ეაშს, ხარნამ სინგხმა მენსიერებაც დაკარგა და ყოველგვარი წარმოდგენაც დროსა და სივრცეზე. წარსული და აწმყო, ღმერთი კრიშნა და მისი შვილი კრიშენი ერთმანეთში ერეოდა.

— მამაჩემო, გათხოვ მომისმინო. მე შენი შვილი კრიშენ სინგხი ვარ. მიინდარადაცა გითხრა. ჩემი შვილი ანანდი სამუდამოდ წავიდა სახლიდან.

— დიახ, დიახ, — დაეთანხმა მოხუცი. მისი ფიქრები წარსულში ტრიალებდა. — კრიშენი სახლიდან წავიდა. მე თვითონ გავაგდე.

— სოციალისტი გახდა, ჩემს ქარხანაში მოწყობილ გაფიცვას ხელმძღვანელობს, — კრიშენ სინგხი დაჟინებით ცდილობდა მამისათვის შეეგნებინებინა რაც მოხდა და ნუგეში მიეღო.

— დიახ, ვიცი, ყველაფერი ეს განდის გამო მოხდა. ისაა, ახალგაზრდებს რომ აფუქებს და აღიზიანებს. ეს ამბავი თვითონ ბატონმა გადასახადების ამკრეფმა მითხრა.

— მამაჩემო, მე ანანდზე გეუბნები! — უკვე კი არ ლაპარაკობდა, ყვიროდა კრიშენ სინგხი. ნერვები ეშლებოდა, რომ მოხუცის აზრები სულ წარსულში ტრიალებდა.

— გარწმუნებთ, ბატონო გადასახადების ამკრეფო, — ბუტბუტებდა ხარნამ სინგხი, — სახლიდან გაგდებით დავემუქრები და გონს მოვა. მეომართა კასტის ყველა ინდოელი მეშვიდე თაობაზე ინგლისის მეფის ერთგულია. მეომართა კასტის ინდოელის შვილი არ შეიძლება მემამბოხეებთან იყოს...

კრიშენ სინგხი ერთხელ კიდევ შეეცადა უგონო მოხუცისათვის გაეგებინებინა თავისი მოსვლის მიზეზი:

— მამაჩემო, ბოლოსდაბოლოს გაიგე, რომ ეხლა 1922 წელი კი არა, 1950 წელია. შენი შვილიშვილი სახლიდან წავიდა და კომუნისტი გახდა. მას სურს

ჩვენ ყველანი — მემამულეები, არისტოკრატები და კომერსანტები მოგვსპოს მოხუცი კი ისევ ბურტყუნებდა სიტყვებს, რომელთა აზრი ისევ წარსულს შეეხებოდა.

— მეფე ღმერთის ნაირსახიერებაა. მეფის წინააღმდეგ ამხედრებული წყეული იქნება ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც.

კრიშენ სინგხს სწყუროდა თუნდაც ერთი სანუეგუო სიტყვა მოესმინა მაქისაგან, რაც ასე აუცილებელი იყო ამ მარტოობის გრძნობის დროს.

— მამა! — შესძახა მან განწირული ხმით. — განა სირცხვილი არაა, რომ ანანდი თავისი კლასის, თავისი ოჯახის, თავისი მამის მტერი გახდა? მამისა, რომელიც აჰმევედა, აცმევედა და სიყვარულითა და ზრუნვით ზრდიდა მას!

— ეს საშინელებაა! — შეჰყვირა მოხუცმა ხარანამმა.

კრიშენ სინგხს მოეჩვენა, რომ მოხუცს ერთი წამით გონება დაუბრუნდა მაგრამ შეცდა. ხარანამ სინგხი განაგრძობდა:

— ეს ჰემმარიტად საშინელებაა! ინგლისის მთავრობა მშობელივით გვივლის და ჩვენ შვილთაგანს განა ვისმე შეუძლია ასეთი მთავრობის წინააღმდეგ წასვლა? არა, არა, ეს შეუძლებელია...

მხოლოდ ახლა მოაგონდა კრიშენ სინგხს, რომ მრავალი, მრავალი წლის წინათ მამამისი სწორედ ამ სიტყვებს ეუბნებოდა. ეს იყო მაშინ, როცა კრიშენი ნაციონალური კონგრესის პარტიაში შევიდა. მოხუცის ეს მოგონებები კრიშენ სინგხისათვის ახლა დაცინვასავით გაისმოდა.

— რაზე ლაპარაკობ, მამაჩემო? ახლა 1950 წელია. ახლა ინდოეთი დამოუკიდებელია... ანანდი და მისი ამხანაგები არიან სოციალისტები და კომუნისტები...

— მთელი ეს ბოროტება განდისაგან მომდინარეობს. დღეს იგი ხალხს აქეზებს მთავრობის წინააღმდეგ, ხვალ კი გლეხებს მიუსევს მემამულეებს. ამბობებულთა ცეცხლის ჩაქრობა ადვილი როდი იქნება...

— მამაჩემო, კლასთა ბრძოლის შესახებ ლაპარაკით ისინი მთელ ქვეყანას აღაგზნებენ...

— მათ თავისუფლება სურთ, — ჩაიცინა უკბილო მოხუცმა, — გაჰყვირიან: „გაუმარჯოს რევოლუციასო!“ მეომართა კასტის წევრის ხარანამ სინგხის შვილიც კი ამ ხულიანებს დაუჟავებდა.

— მამა! — შეღრილა კრიშენ სინგხმა. გრძნობდა, რომ გაგაყდებოდა, თუ მამამისი არ შეწყვეტდა წარსულზე ბოღვას.

— გახსოვდეს, კრიშენ, — მოხუცს თუმცა ხმა უკანკალებდა, მაინც მბრძანებლურად ეუბნებოდა, — მე უარს გეტყვი მემკვიდრეობაზე და არც ერთ გროშს არ მიიღებ!

ვისია ეს სიტყვები? როდის და ვინ წარმოსთქვა? განა მამამისი არ ეუბნებოდა ამ 25 წლას წინათ? თუ თვითონ უთხრა ეს სიტყვები ამ რამდენიმე საათის წინ ანანდს? კრიშენ სინგხს ერთმანეთში აერია აზრები, წარსული და აწმყო.

ცრემლები უთრთოდა მოხუცს შუქგამოლეულ თვალებში, როცა მდგევა-რებისაგან აჯანკალებული ხმით ეუბნებოდა:

— ყური დამიდგე, კრიშენ. თავი დაანებე კონგრესისა და განდის სულელურ განზრახვებს. ბოლოსდაბოლოს მე მამა ვარ შენი და შენთვის მხოლოდ სიკეთე მსურს. განა მოვალე არა ხარ დამიჯერო?

— მეტად არაბუნებრივი იქნებოდა, რომ შვილები ბრმად ემორჩილებოდნენ მამების სურვილს. შენც იცი, შვილები რომ არ აღმდგარიყვნენ მამების



წინააღმდეგ, ჩვენ ისევ გამოქვაბულებში ვიცხოვრებდით, ნადირის ვიცილებით და ცეცხლს კაყით გავაჩენდით; დედამიწა მთლად ბრტყელი გვექნებოდა და თაყვანს ვცემდით მზეს, ხეებსა და გველებს. დამიჯერე მამაჩემო, რომ პროგრესი დამოკიდებულია შვილებზე, რომლებიც არ ემორჩილებიან და ილაშქრებენ მამების წინააღმდეგ.

კრიშენ სინგხი გაოცდა, როცა მიხვდა, რომ ამ სიტყვებს მისივე ხმა იმეორებდა. მამამისი ყვიროდა:

— მომშორდი! არ მსურს შენი დანახვა, შენი ხმის გაგონება!

— როგორც გენებოს! შენ მე ვერასოდეს ველარ მიხილავ! — უთხრა კრიშენ სინგხმა. მაგრამ მას უცნაური გრძნობა ჰქონდა: ეგონა, რომ ეს ღრამა საღაც უკვე ნანახი ჰქონდა და ზუსტად ასეთი დიალოგიც მოისმინა... იქნებ ისიც ჰკუთხე იშლებოდა?

7

როდესაც კრიშენ სინგხი შინ დაბრუნდა, სინათლე კაშკაშებდა სასტუმროში, მისი კარები ღია იყო, თითქოს ვისმეს ელოდნენ. ყველაფერი ძველ ადგილზე იყო. მოოქროვილი ჩარჩოებიდან გულგრილად უყურებდნენ წინაპრები. კრიშენა და საყვარელი რადხა გატაცებული იყვნენ თავიანთი უკვდავი და მარადიული სიყვარულით. მარმარილოსაგან გამოთლილი ბუდა ყოვლისგამგებად უღიმოდა და ბრიანჯაოს ტუჩებზე განდის ღიმილი უთამაშებდა. თოვლივით უმტვერო, ძლიერ გახამებული განდის ქული ისევ სეიფზე იდო. ყველაფერი სდუმდა. ყველაფერი უმოძრაო და მკვდარი იყო, გარდა კედლის კალენდრისა, რომლის ფურცლებსაც დროის უხილავი ფრინველის ფრთებივით არხევდა მსუბუქი ნიავი, და გარდა ძველი საათისა, რომელიც რაღაც უცნაურად და მრავალმნიშვნელოვნად წიკწიკებდა.

კრიშენ სინგხი ერთიმეორის მიყოლებით აქრობდა ლამპებს. მალე სასახლესავით მდიდრული შენობა ფარაონის სამარხივით ჩაიძირა მუდმივ სიბნელეში.

თარგმნეს ბ. ნახუცრიშვილმა  
თ. სვინტიძემ



## უხანგი ბერი

\* \*  
მე მიყვარს როცა ფეხაქრეფით მოიპარები  
და შენს ღუმელში მეგულება ავიც და კარგატ...

შენ ცა გაქვს ღია, ვარსკვლავები და ცის აილურჯე  
და ზეინაბის უწყინარი თვალები ღია...

მე მინდა მხოლოდ სიყვარული და ეგ ხელები  
ჩემს მაგიდაზე ალაგებდეს მიმოყრილ წიგნებს...

\* \*  
... და ფანჯრების წინ მსხვილი წვიმა ისე ხმაურობს,  
თითქოს ფეხისხმა იყოს შენი ჩემს კარის ზღურბლთან.  
რალაც საოცრად მინაბულან სვია და სურო,  
ისე საოცრად, როგორც ნახვა შენი მე მსურდა.  
გარეთ წვიმაა, სიყვარული და სინოტივე  
და ამ სიცხოვლით გარინდული ყვავილი ბიის.

\* \*  
ისევ ეს წვიმა.  
ისევ ეს ქარი.  
მთა უღრუბლო და  
მთა თოვლიანი.  
ეს ყველაფერი  
ამ ქვეყნად არის.  
მხოლოდ ის, ვისაც  
უყვარდა წვიმა,

მხოლოდ ის, ვისაც  
მოსწონდა ქარი,  
ვინც პირველ თოვლის  
გუნდას ისროდა  
და მაინც არვინ  
არ ჰყავდა მწყარალად,  
დღეს მე ის თვალში  
მაკლია დიდად.





„გზა სსსაფლარსკენ“

ნახატი დ. ეროსთავისა

თომას მანი

გზა სასაფლაოსაკენ

გზა სასაფლაოსაკენ ერთავად შარავზის გასწვრივ მიემართებოდა, მთელ სიგრძეზე მას ვასდევდა, ვიდრე თავის საბოლოო მიზანს, სახელდობრ, სასაფლაოს არ მიაღწევდა. მის მიღმა მხარეს, დასაწყისში, საცხოვრებელი ბინები ჩანდა, ახალი ნაგებობანი გარეუბნისა, სადაც ნაწილობრივ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მშენებლობა, შემდეგ კი მინდორ-ველები იყო გადაქიმული. შარავზის მხოლოდ ცალი მხარე იყო მოკირწყლული, მეორე კი—არა, და აქეთ-იქით ხეები, ნუჯრებიანი, დარბაისლური წიფლები ჩამწყვრივებულიყვნენ. გზა სასაფლაოსაკენ კი თხელი ხრეშით იყო დაფარული, რაც მას საცალფეხო ბილიკის მომხიბვლელობას ანიჭებდა. მათ ერთმანეთისაგან აცალკევებდა მთლიანად ბალახითა და მინდვრის ყვავილებით მოფენილი ვიწრო და ამომშრალი თხრილი.

გაზაფხულის მიწურული იდგა. თითქმის კარზე იყო მომდგარი ზაფხული. სამყარო იდიმოდა. ლაყვარდი ცა ღრუბელთა პაწია, მრგვლოვანი და ფაფუკი ქულებით იყო მოოქვილი, ახირებული მოყვანილობის მქონე და თოვლივით თეთრი ფორეჯებით მოფარდაგული. ჩიტუნები გალობდნენ წიფელთა რტოებში და ნახი სიო ჰქროდა მინდვრებიდან.

შარავზაზე—მახლობელი სოფლიდან ქალაქისაკენ — ოთხთავალა მოიზლაზნებოდა. ცალ მხარეს მოკირწყლულ ნაწილზე მოჯახუნებდნენ მისი ბორბლები, მეორე მხარეს კი — მოუკირწყლავ ნაწილზე გზისა, მეურმეს ფეხები ხელნის გარდიგარდმო ჰქონდა ჩამოკიდებული და უსტვენდა, საშინლად ამაზინჯებდა რომელიღაც მელოდიას. უკან კი, სულ ბოლოში, პატრონისაგან ზურგშექცევით ჩაცუტქებულიყო მოყვითალო გოშია და ენით უთქმელი სერიოზულობითა და დაქინებით ვასცქეროდა უკანმოტოვებულ გზას. ეს შეუღარებელი გოშია იყო ნამდვილად, წმინდა წყლის მარგალიტი, სალბუნი გულისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მის შესახებ არ გვექნება ლაპარაკი და ამიტომ უმჯობესია თხრობის სავანს დაეუბრუნდეთ. ჯარისკაცთა რაზმმა ჩაიარა. ისინი მახლობელი ყაზარმიდან მოდიოდნენ, მდგროდნენ და მტერის კორიანტელს აყენებდნენ. შემდეგ მეორე ოთხთავალა გამოჩნდა, ქალაქიდან მახლობელი სოფლის მიმართულებით მიმავალი. მეურმე სთვლემდა და არც გოშია იჯდა ზედ, ასე რომ ეს ოთხთავალა სულაც არ არის ჩვენთვის საინტერესო. ახლა ორი ქარგალი გამოჩნდა შარავზაზე, ერთი კუზიანი იყო, მეორე კი ვეება ახმახი. ორივე ფეხშიშველა მოაბიჯებდა — ჩექმები მხრებზე გადაეკიდათ. მათ რაღაც მხიარული მიაძახეს მთვლემარე მეურმეს და გზა განაგრძეს. შარავზე ზომიერი მოძრაობა იყო და არავითარი ფათერაკი არ შეინიშნებოდა.



სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ ერთი კაცი მიდიოდა; იგი მიიწევდა წინ, თავჩაქინდრული და შავ ხელჯოხზე დაყრდნობილი. ეს კაცი პიპზამი იყო გვარად, ლობგოტ პიპზამი, მორჩა და გათავდა. მის გვარს ხაზგასმით იმიტომ ვასახელებთ, რომ შემდგომ მის თავზე დიადაც უცნაური ამბავი დატრიალდა.

იგი შავებში იყო ჩაცმული, ვინაიდან ახლობელთა სამარეებს სურდა სწევოდა. თავზე მოუხეშავი, ხაოიანი და რამდენიმე ადგილას ჩაქყლებილი ცილინდრი ეხურა, ტანთ ხანგრძლივი ტარებისაგან გაპარიალებული სერთუჯი და ვიწრო და მოკლე შარვალი ეცვა, ხოლო ხელებს შავი, მთლად გადაქერცლილი ლაიკის ხელთათმანები უფარავდა. მისი ყელი, გრძელი და დამჭლებული ყელი, მოზრდილი „ადამის ვაზლით“ შემკული, მძლავრ ამოშვერილიყო საყვლადან, რომელიც — ეტყობა, კარგა ხნის ხმარების გამო — კიდევში უკვე გაცრეცილიყო. მაგრამ როდესაც ეს კაცი თავს მალა სწევდა — ამას კი იგი ჟამიდან ჟამზე იქმნოდა, რათა დარწმუნებულიყო, შორს იყო თუ არა კიდევ სასაფლაოდან — მაშინ ღირდა მისი შეხედვა, მაშინ კარგად ჩანდა მისი საოცარი სახე, ერთი იმ სახეთაგანი, რომელნიც საკმარისია ერთხელ ნახოთ და შემდეგ ადვილად არ დაგავიწყდებათ.

სახე სუფთად წვერგაპარსული და ფერმკრთალი ჰქონდა. მაგრამ ღრმად შეცვენულ ლოყებს შორის წინ გამოჩრილი და კომბალივით ბოლოში გამსხვილებული ცხვირი უზომოდ გასწითლებრდა და ნაკვერჩხალივით ულაპლაპებდა; თანაც წვრილ-წვრილი მეჭეჭებითა და ბმოებით იყო მოფენილი, რაიც ერთობ ახირებულ და ფანტასტიკურ შესახედაობას ანიჭებდა. ამ ცხვირს, რომლის არაბუნებრივი სიწითლე მკვეთრად გამოირჩეოდა უფერული სახის ფონზე, ჰქონდა რაღაც ხელოვნური და ეგზოტიკური, ასე რომ ზედ განგებ მიდგომულ ნიღბსა ჰგავდა, რაიმე მელანქოლიურ ხუმრობას, განკუთვნილს ნიღბოსანთა საღამოსათვის, — მაგრამ ამ კაცს ხუმრობისათვის არა სცხელოდა. მას ფართო პირი მაგრად ჰქონდა მოკუმული და ტუჩების კუთხეები დაბლა ჩამოსწეოდა. და როცა ზევით აიხედავდა, ის მალა, ცილინდრის კიდემდე სწევდა ჭადარით დათრთვილულ შავ წარბებს და მაშინ კარგად გააჩვენებდა, თუ როდენ აღგზნებული და ავადმყოფური სევდით შემოგარულნი იყვნენ მისი თვალები. მოკლედ, ეს იყო სახე, რომლისთვისაც არ შეიძლებაოდა ხანგრძლივად გეჭვირით და ცხოველი თანაგრძნობით არ გამსჭვალულიყავით.

ლობგოტ პიპზამის შესახედაობა არ იყო სიხარულის მომგვრელი. იგი არ შეესაბამებოდა ამ საამურ დილას და ახლობელთა სამარეების სანახავად მიმავალისთვისაც კი ერთობ მწუხარე იყო. მაგრამ თუ მის გულში ჩავიხედავდით, მაშინ ვაღიარებდით, რომ საკმაო საფუძველი ჰქონდა კეთქნისათვის. მას, რომ იტყვიან, ხელი მოეცარა ცხოვრებაში, — აბა, როგორ ჩასწვდება ამას თქვენებრ უზრუნველი ხალხი! — ცოტათი აუგად მოექცნენ, ცოტათი ბედმა უმტყუნა; დიახ, უმტყუნა და არათუ უმტყუნა, არამედ მრავალგზის მოადორა და დასამარა, ასე რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, იგი ახლა ყოვლად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ჯერ-ერთი, სვამდა. ამაზე კიდევ სავანგებოდ გვექნება ლაპარაკი. მეორეც, დაქვირდა, დაიბღდა, ყველამ მიატოვა და მთელს ქვეყანაზე ძეხორციელი არ ეგულებოდა, რომელსაც ეყვარებოდა და შეივრდომებდა. მისი ცოლი, რომლის ქალიშვილობის გვარი, ლებცელტი იყო, მას ამ ნახევარი წლის წინათ გამოეცალა ხელიდან, მშობიარობას გადაჰყვა. ეს უკვე მესამე ბავშვი იყო, და იგი მკვდარი დაიბადა. წინა ორი შვილიც მკვდარი ჰყავდა. ერთი ყალბთმისაგან

გარდაეცვალა, ხოლო მეორე — კაცმა არ იცის, თუ რისგან, როგორც ჩანს, ჯანმრთელობის საერთო სისუსტის გამო. მაგრამ ესეც არ აკმარა ბედმა. მალე სამუშაო ადგილი დაჰკარგა, ის პატივყარი დაითხოვეს სამსახურიდან, წაართვეს ლუკმაპურის უკანასკნელი წყარო და ეს ყოველივე იმ ვნების გამო, რომელიც პიპზამზე ძლიერი იყო.

წინათ ის ერთგვარ წინააღმდეგობას მაინც უწევდა ამ ვნებას, თუმცა კი პერიოდულად თავდავიწყებით ეძლეოდა ხოლმე მას. მაგრამ როცა ცოლ-შვილი ხელიდან გამოეცალა, როცა აღარავინა ჰყავდა მხარდამჭერი და მანუგეშებელი და ქვეყნად მარტოდმარტო და მიუსაფარი დარჩა, მაშინ ძველი სენი სავსებით დაეუფლა და სულ უფროდაუფრო მეტი სიძლიერით სთურავნიდა წინააღმდეგობის ნატამალსაც კი მის არსებამში. პიპზამი რომელიდაც დამზღვევ საზოგადოებაში მსახურობდა კვალიფიციურ გადამწერად და ოთხმოცდაათ მარკას ლებულობდა თვეში. თითქმის უგონო მდგომარეობაში მყოფმა, რამდენჯერმე სერაოზული შეცდომა დაუშვა და მრავალი გაფრთხილებისა და საყვედურის შემდეგ დაითხოვეს, როგორც უვარგისი ამ თანამდებობისათვის.

ცხადია, ამან არავითარ შემთხვევაში ხელი არ შეუწყო პიპზამის ზნეობრივ ამალეებას, პირიქით, დააჩქარა მისი სრული დაქვეითება და განადგურება. ვინაიდან უნდა იცოდეთ, რომ უბედურება ადამიანში ღირსების გრძნობას ჰკლავს, — ასეთ ამბებზე დაფიქრება არავის აწყენდა. აქ რაღაც თავისებური და მკაცრი კანონი უნდა მოქმედებდეს. რამდენიც არ უნდა არწმუნოს კაცმა თავისი თავი, რომ უდანაშაულოდ, დაუმსახურებლად დაატყდა უბედურება, მაინც უმრავლეს შემთხვევაში იგი განცილებილი უბედურების გამო გულში ზოზონარევი უპატივეცემულობით იქნება გამსჭვალული საკუთარი თავისადმი. ხოლო საკუთარი თავისადმი უპატივეცემულობასა და მანკიერებას შორის ყოველად მსახვრალი ურთიერთკავშირი არსებობს. ისინი ერთიმეორეს ასაზრდოებენ, ისინი ერთმანეთს ხელს უწყობენ შეთქმულებივით და შედეგსაც შემზარავს ვიღებთ. ასევე დაემართა პიპზამსაც. ის სვამდა, რადგან თავისი თავისადმი პატივისცემა დაჰკარგა და მას სულ უფროდაუფრო ჰკარგავდა, ვინაიდან ყველა მისი კეთილი სურვილი, გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან, მარცხით ვეირგვიდებოდა. სახლში მას ტანსაცმლის კარადაში შემონახული ჰქონდა ცოთი, სავსე დამღუპველი სამსალით, მოყვითალო ფერის შხამიანი სითხით, რომლის სახელიც უმჯობესია არ ვახსენოთ. ამ კარადის წინ ლობგოტ პიპზამი ხშირად მუხლიჩოქვით მდგარა და თითები დაუკბენია სიმწრისაგან და ბოლოს მაინც დანებებია ცდუნებას, — ჩვენ არცთუ გვსიამოვნებს ასეთი ამბების თხრობა, მაგრამ ისინი ჭკუისსასწავლნი არიან ფრიად.

და აი, ის მიდიოდა სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე და თავის შავ ხელჯოხს მიაკაყუნებდა. ნაზი სიო მის ცხვირსაც ელამუნებოდა, მაგრამ იგი არ გრძნობდა ამას. მაღლა აწეული წარბებით, გულგრილად და სევდიანად უჭერებდა სამყაროს ეს საბრალო და წყალწადებული ადამიანი!

უეცრად მას უკანდინ რაღაც ხმაური შემოესმა და ყური მიიპყრო; რაღაც სრილის მაგვარი სუსტი ბგერები უახლოვდებოდა შორიდან დიდი სისწრაფით. იგი მიტრიალდა და ადგილზევე გაიჩინდა: ეს ველოსიპედი იყო. ჰაერით დატუმბული მისი შინები ხრეშით თხლად მოფენილ ნიდაგზე რბოლად მოსრიადლებდნენ; იგი ქარივით მოჰქროდა და მხოლოდ პიპზამის დანახვისას, რომელიც შუა გზაზე გაჩერებულიყო, შეანელა სვლა.

ველოსიპედზე ჰაბუჟი იჯდა, ჯერ კიდევ სავსებით პირტიტველა ყმაწვილი, უდარდელი ტურისტი. ღმერთო ჩემო, მას აზრადაც არ მოუვიდოდა ამა ქვეყ-





ნის ძლიერთა და დიადთა რიცხვისათვის მიეკუთვნებინა თავი. მანქანა ცხელიდ საშუალო ხარისხისა იყო, რომელიდაც უცნობი ქარხნის პროდუქციას წარმოადგენდა და, სულ ბევრი, ორასიოდე მარკა ეღირებოდა. ამგვარი სატრანსპორტო საშუალებით ჰაბუკი ქალაქგარეთ გამოსულიყო სასეირნოდ, მოვლევარე პედალებით პირდაპირ ფართოდ გადაშლილ მინდორ-ველებში ვაშა მას ჰრელი პერანგი ემოსა ნაცრისფერი კურტაკის ქვევით, სპორტული გეტრები და მთელს ქვეყანაზე ყველაზე გამომწვევი კეპი, კეპი კი არა, თავათ განსახიერებული სიანცე, ღიაყავისფრად კუბოკრული და ღილაკით თავზე. ხოლო კეპის ქვეშოდან ურჩხად ნაზარდი ქერა და გრუხა ქოჩორი გამოსჩროდა თმისა და შუბლის ზეგარდმო დახეავეებოდა. თვალები ღურჯი ჰქონდა და მოვლევარე იგი დაუდევრად მოჰქროდა, მოჰქროდა ისე, როგორც თავათ ცხოვრება, და ზარს აწკარუნებდა, მაგრამ პიპზამი არ დაძრულა ადგილიდან. იგი გაუნძრევლად იდგა და გარინდებული მიშტერებოდა ხორცშესხმულ ცხოვრებას.

ჰაბუკმა გაჯავრებული მზერა ესროლა და ნელა აუხვია გვერდი, მაგრამ ამ დროს პიპზამაც განაგრძო წინსვლა და როდესაც ველოსიპედმა ოდნავ წინ გაუსწრო, მძიმედ და მკაფიოდ თქვა:

„ნომერი ცხრაათას შვიდას შვიდი“.

შემდეგ მაგრად მოკუმა პირი და დაყინებით დაბლა დაიწყო ყურება, თუმცა კი გრძნობდა, გოცეხული ჰაბუკი მე მიყურებსო.

ჰაბუკი ახლა უკან მოტრიალებულიყო, ცალი ხელი დასაჯდომისათვის ჩაეველო და სრულიად ნელა მიპყავდა ველოსიპედი.

„რაო, რა ს:ქვით?“ — შეეკითხა იგი.

„ნომერი ცხრაათას შვიდას შვიდი, — გაიმეორა პიპზამმა. — ბევრი არაფერი. მე შევატყობინებ თქვენს შესახებ, სადაც საჭიროა“.

„შეატყობინებთ?“ — შეეკითხა ჰაბუკი და კიდევ უფრო შემოტრიალდა და კიდევ უფრო ნელა წაიყვანა ველოსიპედი, თან საჭეს გამალებით ატრიალებდა აქეთ-იქით, რათა წონასწორობა დაეცვა.

„აუცილებლად“, — მიუგო პიპზამმა, ჰაბუკისაგან უკვე ხუთი-ექვსი ნაბიჯით დამორებულმა.

„მერე და რას?“ — იკითხა ჰაბუკმა და ველოსიპედიდან გადმოვიდა. იგი ერთ ადგილას იდგა და გაკვირვებული უცქერდა პიპზამს.

„ეს თქვენ თვითონაც მშვენივრად იცი“.

„ნურას უკაცრავად, მე არაფერი არ ვიცი“.

„თქვენ უნდა იცოდეთ ეს“.

„მე არაფერი არ ვიცი და არც მსურს ვიცოდე!“ — თქვა ჰაბუკმა და თან ველოსიპედს მიუბრუნდა, რათა გზა განეგრძო. იგი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ასეთ შემთხვევაში შიშისაგან ენა მუცელში არ უფარდებთ.

„მე შევატყობინებ, სადაც საჭიროა, რომ თქვენ ველოსიპედი დაგყავთ არა შარავნაზე, სადაც ეს ნებადართულია, არამედ აქ, სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე“, — თქვა პიპზამმა.

„დიდება შენდა, ღმერთო!“ — თქვა ჰაბუკმა და უკმაყოფილებისა და მოუთმენლობის გამომხატველი სიცილით კიდევ ერთხელ მოტრიალდა პიპზამისაკენ. „კი, მაგრამ ამას ვერ ხედავთ? აი, შინების რამდენი ნაკვალევი ატყვია ამ გზას. აქ ყველას დაპყავს ველოსიპედი, ვისაც კი მოესურვება“.

„ეს ჩემთვის სულ ერთია, — მიუგო პიპზამმა, — მე მანც ჩემსას ვიქმ.“

„როგორც იყოს“, — მიაძხა მას ჰაბუკმა და ველოსიპედს სხარტად მოახტა. მხოლოდ ერთხელ გაჰკრა მიწას ფეხი, მარჯვედ გადააღაჯა და დასაჯ-

დომზე გაიჭიმა. მერე გამალეზით აამუშავა ფეხები, რათა რაც შეიძლება სწრაფად გაქანებულიყო, რაიც სრულიად ბუნებრივი იყო ამგვარი ჯეკელისათვის.

„თქვენ ეი! — დაუყვირა პიპზამმა აკანკალებული ხმით. — თუ თქვენ კიდევ ივლით ამ გზაზე, მე უსათუოდ მოვასხენებ ამის შესახებ“.

მაგრამ „ხორცმეხმული ცხოვრება“ უკვე ვერ ამჩნევდა მას და სულ უფროდაუფრო მზარდი სიჩქარით უღარდელად მიჰქროდა წინ.

იმ წამს რომ ლობგოტ პიპზამის სახე გენახათ, უთუოდ დიდად შეძრწუნდებოდით. მას ისე მაგრად მოეკუმა პირი, რომ ლოყები და თვით ნაკვერჩხაღივით გავარდარებული ცხვირიც კი საშინლად დასჩმაჩნოდა და მისი თვალები არაბუნებრივად ზევით აწულ წარბებს ქვემოდან არაღკლეფური გამომეტყველებით მისჩერებოდნენ წინ მიმავალ ველოსიპედს. უეტრად იგი აღგიოდან მოსწყდა და წინისაკენ გაექანა. თვალის დახამამებაში უკან მოიტოვა მოკლე მანძილი, რომელიც ველოსიპედიდან ამორებდა და დასაჯდომს ქვევით ჩამოკიდებულ ჩანთას სწვდა, ორივე ხელებით ჩააფრინდა, პირდაპირ ზედ ჩამოეკიდა და ისევ არაადამიანურად მოკუმული ტუჩებით, ხმის ამოუღებლად და ველური გამომეტყველებით რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავისკენ ეწეოდა წინისაკენ მსრბოლ და აქეთ-იქით მოქანავე მანქანას, ასე რომ გარეშე მკაყურებელს გაუჭირდებოდა გადაეწყვიტა, ამ კაცს ჯიბრით არ სურდა ჰაბუქისათვის გზის განგრძობის საშუალება მიეცა, თუ უნდოდა თვითონაც ზედ აკიდებოდა, თან გაჰყოლოდა და გაენავარდა მოელვარე პედალებით ფართოდ გადაშლილ მინდორ-ველებში, ვაჰა! მაგრამ ველოსიპედმა დიდხანს ვერ გაუძლო ამ სასოებადაკარგულ ტვირთს, იგი გაჩერდა, გვერდზე გადაიხარა და წაიქცა.

მაგრამ ჰაბუქი აქ უკვე გაცხარდა. არც აცევა, არც აცხელა და, ცალ ფეხზე მდგომმა, ერთი ისეთი დარტყმა აგემა მკერდში პიპზამს, რომ რამდენიმე ნაბიჯზე ისროლა. შემდეგ მუქარით აღსავსე და უკმეხი ხმით მიმართა:

„თქვენ ალბათ მთვრალი ხართ, მოწყალეო ხელმწიფე! ერთი გაბედეთ და კიდევ შემაჩერეთ და ისეთს მოგაკერებთ დღურწში, რომ თვალთ დაგიბნელოდეთ. გასაგებია? საითთაოდ ჩაგიმტერებთ მავ ნეკნებს! პოლა, გაფრთხილდით!“ ამ სიტყვებზე მან ზურგით შეაქცია ლობგოტ პიპზამს, აღშფოთებით კიდევ უფრო მაგრად ჩამოიფხატა შუბლზე ქუდი და ისევ მოახტა ველოსიპედს. არა, ის სრულებით არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვისაც ამგვარ შემთხვევაში შიშისაგან ენა მუცელში უფარდებოთ. ამჯერადაც მოხერხებულად მოახტა ველოსიპედს. მხოლოდ ერთხელ გაჰკრა ფეხი მიწას, მარჯვენდ გადაალაჯა დასაჯდომს, უმაღვე დაეუფლა მანქანას და პიპზამი ხედავდა, თუ როგორ იკარგებოდა თვალი:ახედვიდან ჰაბუქის ზურგი.

ის იდგა, ქშინავდა და გარინდებული უჭერეტდა მსრბოლავ ცხოვრებას. ჰაბუქი კი არჩინდ განაგრძობდა გზას. არავითარი ავარია, არავითარი მარცხი; არც შინა დაშვებია, არც ქვა დახვედრია გზაზე. ჩიტივით მსუბუქად მიჰქროდა. და აი, პიპზამმა ანაზლად ყვირილი მორთო, ლანძღვა წამოიწყო. იტყოდით, ნადირი ღრიალეზსო, იმდენად აღარ ჰგავდა მისი ხმა ადამიანისას.

„ახლავე შეჩერდით! — ყვიროდა იგი. — არ გაბედოთ გზის განგრძობა! თქვენი აღგილი შარახეა და არა აქ, სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე. გესმით?! გადმოქვით, ახლავე ძირს გადმოლით! თქვენ ეი, მე მოვასხენებ, სადაც საჭიროა! მე თქვენ გიჩივლებთ! ო, ნეტავი გადმოვარდებოდე, ნეტავი ძირს დაენარცხებოდე, შე თავკეარინო ვიგინდარავ, წიხლებით შევადგებოდი და სახეს მიგინაყვდო, შე შეჩერებულო, შე ლაწირაკო...“

გინახავთ ამის მსგავსი რამ?! სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე დამდგარა



კაცი და ილანძღება, ბღავის პირზე ღუქმორეული, იჭაჭება, იფხვინება ხელ-ფეხს იქნევს აქეთ-იქით და ვერაფრით ვერ დამშვიდებულა. ველოსიპედი დიდი ხანია ცამ ჩაყლაპა და ის კი მაინც განანგრძობდა:

„დააკავეთ! დააკავეთ! მან სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე გაბედა შემოსვლა! გადმოათრიეთ ველოსიპედიდან ეგ წყეული მატრაკვეცა! ოჰ, ოჰ! ერთი ხელში ჩამაგდებინა შენი თავი, რა სიამოვნებით გამოგშვიგნავდი, შე ძაღლის ლეკვო, შე ბრიყვო ქარაფშუტავ, ოტროველავ, გაგრიავ! გადმოდი, ახლავე ძირს გადმოდი! ნუთუ არავის შეუძლია ძირს გადმოაგდოს ეს მხეცი ესა და მტევრში აგორაოს. ჰმ, გასეირნება მოინდომა და ისიც სად — სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე! როგორ, შე არამზადავ, შე თავხედო, შე წყეულო ოინზზო, როგორ გაბედე! ლურჯად მოელვარე თვალების პატრონი ხარ და ამით მოაქვს თავი?! კი, მაგრამ სხვა რა გაგაჩნია ამის მტერი?! ეშმაქსაც წაუღია ისინი, შე ბრიყვო, შე ტუტუტუო, შე ტუტუტუო, შენა!..“

აქ პიპზამი უკვე ისეთ სალანძღავ სიტყვებზე გადავიდა, რომელთა განმეორება ყოვლად შეუძლებელია. ის, პირზე ღუქმორეული და მეტასმეტა დაძაბვისაგან ხმაჩახლეჩილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰყვიროდა ყველაზე უწმაწურ ქუჩურ გამოთქმებს და თან მთელი ტანით ცახცახებდა. შარავზიდან პატარა ბავშვებმა მოირბინეს, კალათითა და პინჩრის ჯიშის ძაღლით. ისინი თბრილზე გადმოლოდნენ, გარს შემოერტყნენ მყვირალ კაცს და ცნობისმოყვარედ მიაჩერდნენ მის შესილლ სახეს. მუშებმაც, რომლებიც იქ, უკან, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ნაგებობათა ირგვლივ ფუსფუსებდნენ ანდა შუადღის შესვენება დაეწყით და ღია ცის ქვეშ სადილობდნენ, მიაქციეს მას ყურადღება და დლიურად მომუშავე დედაკაცებთან ერთად გასწიეს გზაზე შეჯგუფული ადამიანებისაკენ. პიპზამი კი ამასობაში არ სცხრებოდა, პირიქით, სულ უფროდაუფრო მეტის გააფთრებით მძვინვარებდა, ვეღარაფერს ვერ ამჩნევდა ირგვლივ და მუშტებს იქნევდა გაშმაგებით ხან ზევით, ცისკენ, და ხანაც ყველა მიმართულებით. ფეხებს სცემდა დედამიწას, ტრიალებდა, მუხლებში იკეცებოდა, მერე ისევ სწორდებოდა, იჭიმებოდა, იძაგრებოდა, რათა რაც შეიძლება ხმამაღლა დაეყვირა. თან ერთი წამითაც არ სწყევტდა ლანძღვა-გინებას და სულის მოთქმასაც კი არ აცლიდა თავის თავს. გასაოცარი იყო პირდაპირ, საიდან მოსდიოდა ეს სიტყვათა გაუთავებელი ნიაღვარი, სახე საშინლად გასჭარბლებოდა, ცილინდრი კეფაზე მოჰქცეოდა, პერანგის გულისპირი ყილეტიდან ამოსჩროდა. ამასთან, მას უკვე დიდი ხანია დავიწყებოდა, თუ საიდან დაიწყოდა ზოგად მსჯელობებში გახლართული ისეთ რამეებს ქაქანებდა, რომლებიც თვით შორეულ კავშირშიაც კი არ იყვნენ პირველსაწყის მიზნუთან. ის თან თავის თავსაც ჰკიცხავდა აღვირახსნილი ცხოვრებისათვის, თან ღმერთს უხმობდა მსაჯულად სულ ისევ ისეთივე შეუფერებელი ტონითა და ლანძღვა-გინებით აღსავსე გამოთქმებით.

„აქეთ, აქეთ მოდი თყველა! — ღრიალებდა ის. — არა თქვენ, არა მხოლოდ თქვენ, არამედ სხვებიც, ისინიც, რომლებსაც კეპი ახურავთ და ლურჯად მოელვარე თვალები აქვთ. მე თქვენ ისეთ ჭეშმარიტებებს ჩაგძახებთ ყურში, რომ სამარადისო ციებ-ცხელებამ აგიტანოთ, თქვე თაქარიანო ტუტუცებო, თქვენა!.. იცინით და მხრებს იჩეჩავთ, არა?.. ჰო, მე ვსვამ... რა თქმა უნდა, მე ვსვამ! მე ლოთი ვარ, გეთანხმებით ამაში, მაგრამ მერე და რა მოხდა?! განა ეს ყველაფერია? განა ყველაფერი უკვე გათავდა? განა განკითხვის დღე წინ არ გვიდევს? მოვა ეს დღეც, თქვე არარანო, და უფალი ღმერთი განგსჯის ჩვენ, ყველას...“



გარეწარნო, და ამქვეყნიური არ იქნება მსჯავრი მისი! იგი შთააგდებს თქვენს გულმხიარულ მოდგმას უკუნეთში, ჯოჯოხეთის გენიაში, იქ, სადაც სუფევს მოთქმა და...“

პიპზამის ირგვლივ ახლა უკვე ხალხის საგრძნობმა რაოდენობამ პოიყრა თავი. ზოგი იცინოდა, ზოგიც შუბლშეკმუნხული მისჩერებოდა. მშენებლობიდან კიდევ მოსულიყვნენ მუშები და დღიურად მომუშავე დედააკეები. ერთ მეურმეს შარაზე გაეჩერებინა თავისი ოთხთვალა, თხრილზე გადასულიყო და ისიც ხალხში იდგა მათრახით ხელში. ვილაცა მკლავში სწვდა პიპზამს და შეანჯღრია, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა. ჯარისკაცთა რაზმმა ჩაიარა გვერდით. რაზმელები კისერს იღრეცდნენ მისკენ და იცინოდნენ. პინჩერმაც ვეღარ შეიმავრა თავი, წინა თათები მიწას მიბაჯინა და, კულამოძებულმა, პირდაპირ სახეში შეჰყვია პიპზამს.

და აი, უეცრად ლობგოტ პიპზამმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ერთხელ კიდევ დაიღრიალა: „გადმოდ, ახლავე ძირს გადმოდ, შე ბრიყვო, შე გაუთლელი, შენა!“ — შემდეგ მკლავით ჰაერში ფართო ნახევარი წრე შემოხაზა და მოცელილივით ძირს ჩაიკეცა. ანაზღეულად დადუმებული და ცნობისმოყვარე მაყურებლებით გარშემორტყმული, იგი შავი ბორცვივით იყო დამხობილი დედამიწაზე. ცილინდრი თავიდან გადასძვრა, გაგორდა, ერთი შეთამამდა მიწაზე და შემდეგ პატრონივით გაშეშდა ერთ ადგილზე.

ორი ქვისმთლელი დაიხარა უძრავად დაგდებულ პიპზამისაკენ. მათ ერთმანეთთან მოილაბარაკეს ამ უცნაური შემთხვევის შესახებ, მოილაბარაკეს ჰკვიანურად, საქმიანად, როგორც ეს მუშა-ხალხს შეჰფერის. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ფეხზე წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით სადაც გაეშურა. დანარჩენები კი ერთხანს კიდევ დასტრიალებდნენ თავს უგრძნობელ სხეულს. ზოგი რით ცდილობდა ეშველა, ზოგი რით. ერთმა წყალი შეასხურა ტოლჩიდან სახეზე, მეორემ ბადიიდან მუჭაში არაყი დაისხა და საფეთქლები დაუხილა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

ამასობაში მცირეოდენი ხანიც გავიდა. შემდეგ მოისმა ბორბლების ხმაური და შარაზე სასწრაფო დახმარების კარეტა გამოჩნდა, რომელსაც ორივე მხარეს ვეებერთელა წითელი ჯვარი ეხატა და შიგ მომცრო ტანის ორი მოხდენილი ცხენი იყო შებმული. კარეტა სასაფლაოსაკენ მიმავალ გზაზე შეჯგუფული ხალხის გასწვრივ გაჩერდა. კოფოდან ორი ფორმაში გამოწყობილი სანიტარი გადმოხტა. ერთი მათგანი კარეტის უკანა ნაწილისაკენ გაემართა, კარები გააღო და გამოსაწევი საკაცე მოამზადა, ხოლო მეორე თხრილზე გადახტა, ცნობისმოყვარეთა წრე გაარღვია და დამსწრეთაგან ერთ-ერთის დახმარებით ბატონი პიპზამი კარეტისაკენ წაიღო. იგი საკაცეზე მოათავსეს და კარეტაში შესდგეს სწორედ ისევე, როგორც პურს შედგომენ ხოლმე საცხობ ღუმელში; შემდეგ კარები მიკეტეს და ფორმაში გამოჯგინული სანიტრები კვლავ კოფოზე წამოსდნენ. ეს ყოველივე გაკეთებულ იქნა დიდი სიხუსტით, შეჩვეული ხელის მარჯვე მოძრაობით, მარდად და სხარტად, სწორედ ისევე, როგორც ცირკში.

და ლობგოტ პიპზამი წაიყვანეს იქიდან.

გერმანულიდან თარგმნეს ჯორჯანელებმა



## ილია აკოსია

\*  
\* \*

გაწვიმდა უცებ. ამ ავდარშიაც  
მე ჩემი გულის სიმღერა მესმის,  
ახლა ამ სულს რომ შეეფერება  
არ გამაჩნია  
იმგვარი ლექსი.

მამძიმებს ფიქრი, დამცხრილავს დარდი,  
ტარება სევდის ძნელია ერთობ,  
აქ, ახლო-მახლო სიცოცხლე დადის,  
რომ ალალ გულზე ცეცხლივით მენტოხ...  
როგორც ზეიმში, ამ ავდარშიაც  
როგორღაც გულის სიმღერა მესმის,  
ახლა ამ წუთს რომ შეეფერება,  
არ გამაჩნია  
იმგვარი ლექსი.

### 7 ნოემბრის განთიადი

ფიქრების და მოლოდინის  
წუთი მექცა წელიწადად,  
მე ამ ღლეზე სანეტარო, —  
საოცნებო ფიქრი მწვავდა  
და ვარდებად აიფურცლა  
კიდევ ერთი ღამის სუნთქვა, —  
რა მეღირსა, რა სიამე,  
რა ოცნება ამისრულდა!  
უკვე ჩაქრა გარიჟრაჟზე  
საფიცართა სადარდელი,  
რომ გათენდა ნოემბერი —  
საარსებოდ სანატრელი.  
აელვარებს არემარეს  
სიმღერების ხმა დიადი,  
არც ყოფილა უფრო კარგი,  
უფრო ტკბილი განთიადი.



## საგზო კლიაშვილი

### სიტყვის დიდი ოსტატი

გიორგი ლეონიძეს კარგი მკვლევ ჰყავდა თავისი ცხოვრების განთიადზე. ის გახლდათ ჩვენი დიდება ვაჟა-ფშაველა. დამეთანხმებით, სახარბიელო მკვლევა, უკეთესს ვერც ინატრებ. ჯერ კიდევ ბავშვს ვაჟამ თითქოს სოცოვების კარი გაუღო — ლექსი უძღვნა და მომავლის გზა დაულოცა.

რა იყო ეს, დიდი პოეტის წინასწარ განკვერტა თუ უბრალო შემთხვევითობა? შეგვიძლია, რა თქმა უნდა, საერთოდ არ გვწამდეს წინასწარმეტყველება, მაგრამ იმას კი ვერაფრით ვერ ვიტყვით, რომ დიდი წინაპრის ხილვამ ხორცი აო შეისხა, რომ მის დალოცვას არ გაუკრა და მაღლი არ ჰქონია.

გიორგი ლეონიძე პოეტი და პატრიოტი მთელი საქართველოსთვის საამაყო და საყვარელია.

არა ერთ პოეტს დაუწერია კარგი ლექსი. კარგი ლექსი ბევრია. გქონდეს გამართული, მოპირული სტრიქონი, კეთილმოგანი რითმა, ორიგინალური ფორმა — ეს, ხომ, მიღწევად ჩათვლება ყველა შემოქმედს, მაგრამ ხშირად ამგვარი ღირსებაც პოეტს მაინც ანიჭებს მისი ძალას, რომ ერის სულის ჩამწვდომი და გამოშახველი გახდეს. უნდა იყო ხორცი სორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი შენი ხალხისა, რომ შენმა სიტყვამ ერის გულამდე მიადღწიოს და გამოიახილი ჰყოლოს.

ლეონიძეს ბედნიერი ტალანტი აქვს, მის პოეზიას დიდი ეროვნული დალი აკრავს და ეს შარავენდელს აღვამს მთელ მის შემოქმედებას.

გიორგი ლეონიძემ შთაგონებულად უმღერა ჩვენს დროს — სამშულო ომის და სოციალისტური შრომის გმირებს, სამგორს. შთაგონებულად უმღერა ჩვენს წარსულსაც.

რაც უნდა დიდებული იყოს შენი ქვეყნის წარსული, რაღაა მარტო ის, თუ გულგრილი ხარ შენი ქვეყნის დღისდამი ლეონიძემ არა ერთი ლექსი უძღვნა გარდასულ დროს, მაგრამ იქ არსად წარსული თავისთავადი არ არის,

ის ყველგან და ყოველთვის დაკავშირებულია საქართველოს დღევანდლობასთან.

ლეონიძის პოეტური სიტყვის მარაგი უშრეტია, მისი პოეზია მრავალმხრივია, ემოციური და ამავე დროს — ცუდად ნუ გამოგვბთ — ხორკლიანი, ხორკლიანი და უხეშია იმ საოცარი ჯანის გამო, რომელიც ახსიათებს ხალხურ თქმას, ხალხის სიტყვას, მის პირველქმნილ ძალას, მის სინოყვირებს, სიუხუტებს და პატიოსნებას.

ბუნებრივია ლეონიძისთვის, როცა ის მიმართავს და იყენებს ფოლკლორს. ამავე დროს პოეტი ამდიდრებს და ახალ ხმოვანებას აძლევს მას.

„გადამაგედ და დამარგე  
როგორც ჩერქეზმა ისარი“...

ან და:

„ჩოხა წვიმისა მეცმევა  
„და ყაბალახი მთვარისა“...“

შესანიშნავად აქვს ეს გამოყენებული თავის ლირიულ შედევრში.

აქ მთვარე, ასე ვთქვათ, გაქართველებულია... რას იზამ, ცუდად არ მოქცეულა პოეტი. თუ მას, მთვარეს, ჩვენი მიწიდან შეეცქერით, თუ ისიც დაგვეყურებს და მრავალი ქართველი მგოსნის გულის მესაიდუმლე ყოფილა, ახლა თითოხაც კეთილი ინებოს და პოეტის ნებასურვილით ყაბალახად იქცეს და ქართული სახე მიიღოს!.

გიორგი ლეონიძე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, როცა ის ფიქრით და საქმით სამშობლოს წარსულს და აწმყოს დატრიალებდა. ცამეტი წლის ჰაბუჯი უკვე ბეჭდავდა წერილებს ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ ხასიათის ნარკვევებს. ასეთი დასაწყისი რომ შემთხვევითი არ ყოფილა, ეს მომავალმა გვაჩვენა. მისი შემდეგდროინდელი წერილები და გამოკვლევები



ქვირფას მასალას წარმოადგენს ქართული მწერლობის, ხელოვნების ისტორიის და საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად.

ლეონიძე დაუღალავი საზოგადო მოღვაწეა. თავის დროზე ის რედაქტორობდა მხატვრულ ჟურნალებს, უშვებდა საკუთარ ლიტერატურულ გაზეთს, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა; შექმნა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, მოაწყო ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში; წლობით დადიოდა უცნობ და ნაცნობ ოჯახებში, სადაც ძველ ხელთნაწერებს და ნივთებს ეძებდა; თბილისში და თბილისის გარეთ დღეებში და სარდაფებში ნიკო ფიროსმანის მრავალი სურათი აღმოაჩინა და დაღუპვისაგან იხსნა; სპეციალურად გაემგზავრა რუმინეთში ბესიკის საფლავის საპოვნელად; ხშირად ნახავთ მას არქივებში ჩაფლულს, საიდანაც არა ერთხელ საგულისხმო ამბავი ამოუკრეფია და სხვა და სხვა და სხვა...

არაეინ იფიქროს, რომ ის, არქივების მქეჩავი და ძველი ხელთნაწერების მძებნელი, ეინმე პედანტი და დაღვრემილი იყოს. პირიქით! იშვიათად გინახავთ ხალისით სავსე,

ცხოვრებაზე ასე დახარბებული კაც. ის ყოველთვის იპოვის საათებს მეგობრებთან დრო გაატაროს, თამალობა გასწიოს. ისეა, თითქოს მისთვის დრო და დღე სხვანაირად განისაზღვრებოდეს — არა ჩვეულებრივი ასტრონომიული ოცდაათი საათი დღე-ღამეში, არამედ განსაკუთრებულად ლეონიძისათვის გადიდებული. ქეშმარიტად დაუღლელი და დაუცხრომელი კაცია!

გიორგი ლეონიძეს იცნობს და უყვარს ქართველ ხალხს. საქართველოს ყველა კუთხეში მას მრავალი პატივისმცემელი და მეგობარი ჰყავს. გულწრფელი მეგობრები შეიძინა მან რუსეთში, უკრაინაში, სხვა მოძვე რუსპუბლიკებში, აგრეთვე პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთში და სხვაგან, სადაც კი იმოგზაურა. გული გულს სცნობს და შეუძლებელია უცბადვე არ მიგიზიდოს ამ კოლორიტულმა, სიცოცხლის ხალისით სავსე აღმამანმა.

ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ ჩვენი ხალხის საყვარელ პოეტს. ეს იქნება ჩვენი საუკეთესო სურველი. სამაგიეროს კი იმით გადავიხდის, რომ ყოველთვის გავგახარებს თავის ჯადოქარი სიტყვით.



## პიოკვი ნაგროპვილი

### პოეტის გზა

ივ. პაპუაშვილის დაბადებიდან 50 წლისთავის პაშვი

ეს წერილი ირაკლი პაპუაშვილის პოეზიაზე მინდა დავიწყო მისი სულ ბოლოდროინდელი ლექსის განხილვით. პოეტმა ეს ლექსი — „ღამე ცაში“ თავისი დაბადების ორმოცდაათი წლის თავზე გამოაქვეყნა. აი ისიც:

„უხმარ ნობების  
უხედ გაფენა,  
იქით ფანქარი  
აქეთ ოფორტი...  
წყნარ ირალდის  
ასწყდა „საბენა“,  
უკან გაფრინდა აეროპორტი.  
ნუ,  
მაღალ ღრუბლებს,  
ნუმც რამ ეწყინოთ,  
ღრუბლები ჩემი მასპინძლებია,  
ამაღამ უნდა მათთან მეძინოს,  
როგორც ყრმობაში  
დამსიზმრებია“.

აქ რეაქტიული თვითმფრინავია აღწერილი, ზღაპრული სისწრაფით რომ ჰფარავს უზარმაზარ მანძილებს. ეს ადამიანის ინტელექტის სულ ახალი წარმატებაა, ახალი სასწაულია და ბუნებრივია, თუ მან ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გამხდარიყო პოეტისა თუ პროზაიკოსის თემად; ეგეც არ იყო, აქ მარტო დროზე როდია საქმე! ცნობილია, რომ საერთოდ ტექნიკა, მინდვრის ყვავილებითა თუ ბუნების სილამაზესთან შედარებით უფრო ძნელად ემორჩილება ლირიკოსი პოეტის შთაგონებას. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ რასაც არ უნდა მოჰქვიდოს ხელი ჰუმანიტარულ პოეტმა, მას უმალ აქცივს უნაზეს ლირიკად. აქაც ასეა: რეაქტიული თვითმფრინავის მგზავრის განცდა უეცრად გახდა რაღაც მეტად ახლობელი, „ნახული სიზმრად, თუ ბალღობაში“, პოეტმა უეცრად იპოვნა ის კუთხე, ის ასპექტი, საიდანაც ტექნიკის ამ სასწაულმა ახალი შუქით გამოანათა

და დაუკავშირდა ადამიანის ყველაზე სანატრელი წუთის გახსენებას, მთრთოლვარებას მისი სულისა; რა ადვილად გადაედება მკითხველს ეს მღელვარება, გაჰყვება ცხოვრების გზაზე — მის ჰუმანიტარულ თანამგზავრად გადაიქცევა. ის, ვისაც უმოგზაურნია რეაქტიული თვითმფრინავით, ალბათ ბევრჯერ შეუპყრია რაღაც იღუმალ განცდას, როცა ზევიდან გადმოუხედავს ღრუბლებისათვის. დაბლა, მიწაზე შეიძლება წვიმს, თოვს, შეიძლება საშინელი ქარიშხალი აზანზარებს ქვეყანას, აქ კი მზე ბრწყინავს და ანათებს. ჰოდა, აი ასეთ წუთებში იქნებ ბუნდოვნად გიგრძენია ის, რაც პოეტმა გვითხრა ამ ლექსით, მაგრამ ვერ გამოვიხატავს, და რაოდენ სიხარულით გავსებს პოეტს, როცა მიგახედვრებს ამას. თურმე ეს შენი ყრმობის სიზმარია, ბავშვობის ყველაზე დაუვიწყარი წუთია, დამარხული და დავიწყებული, მას ზედ წლები გადაჰფარებინ, მათ ჩუქარავთ ის განცდა საღლაც მივიწყების წყვილიდში, მაგრამ უეცრად ეღვასავით გაჰკრავს გულში სტრიქონი პოეტისა და ნათდება სამყარო, უცებ დაინახავ, რომ ის პროზაული, უფერული და მოსაწყენი კი არ არის, არამედ პოეტურია, რომანტიკული, ლეგენდური.

ასე წარმტყვი და ლამაზი ზღედა ყველაფერი, რასაც ჰუმანიტარული შემოქმედის თვალი შეხედავს ხოლმე. არა ლიტერატურული პარალელისათვის, (ის აქ უდაგლო იქნებოდა), არამედ იმის მიშით, რომ მე შეიძლება ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი ისე, როგორც საჭირო იყო, აქ სწორედ ეკუთვნები მინდა გაეხსენო და მოვიშველო. მისი „გაფრენა ღამით“ ასე იწყება: საფოსტო თვითმფრინავი პატაგონიდან ბუენოს-აირესში მიფრინავს, ზეცა წყნარია და მშვიდობიანი, ირგვლივ მყუდროებაა და ამ სიჩუმეში მფრინავ ფაბიენს ცაში ეჩვენება, რომ ის მწყემსია და წყნარად დაეხეტება მინდორზე. ასე ზღაზღენით, აუნჩარებლად მიმოდინამ მინდვრებზე პატაგონიელი მწყემსები, ერთი





ფარიდან მეორე ფარამდე. ფაბიენი სერავს სივრცეს ერთი ქალაქიდან მეორემდე, ის თითქოს მწყემსავს ამ ქალაქებს. დასცქერის მთციდან, და ხედავს, რომ ქალაქები გამოდიან მდინარეების ნაპირებზე წყლის დასალევად და შემდეგ გაიფინებოდნენ მინდვრებში ბალახის მოსაძოვად. აი მან გადაუარა ერთ პატარა ქალაქს, ცხოვრება იქ ალბათ ჰკავს სიყვარულს, და მფრინავი ფიქრობს მეგობრობაზე, ქალწულებზე, მყუდროებაზე, თეთრ სუფრავადაფარებულ მაგიდაზე, და ყველაფერ იმ თითქოს უბრალოზე, რაც ჰქმნის სიცოცხლის ნათელ ინტიმს.

ირ. აბაშიძის ლექსები შესანიშნავად ასრულებენ ყველაზე მაღალი და ქეშმარიტი პოეზიის ამოცანას — ისინი უჩვენებენ მკითხველს წუთისოფლის სილამაზეს, თვალს უფრო ფართოდ უხილბენ მას ამ სილამაზის დასანახავად; თავის ერთ ლექსში პოეტი ამბობს:

„არა, მე ვიცი ბუნების ენა,  
ენა ამ სიბრძნის, ამ სილამაზის,  
ვიცი, რას ტირის ფოთლების ცვენა,  
ვიცი, რას მღერის ტალა ალაზნის.  
საუბრად მესმის ნიავის სტვენა,  
ფრინველს ნირს ვატყობ ცაში ფრენაზე...  
და ისე ვვედები, —

ეს უცხო ენა  
ვერ მითარგმნია კაცის ენაზე“.

აქ მკითხველი ვეღარ დაუჯერებს პოეტს, რადგან მთელი მისი პოეზია, საერთოდ ნამდვილი პოეზია არის თარგმნა კაცის ენაზე იმ სიბრძნის, ამ სილამაზის, რომლითაც საეცა ეს ქვეყანა. ამაზე მეტყველებენ ირავილი აბაშიძის ლირიკული შედეგები — „ამრიტას“, „მევირ ამ ქვეყნად“, „თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება“, „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე“, „სინავარი განვის ნაპირას“ და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო! აქ ყველა სტრიქონი საქაბუჯის მღელვარე პოეზიით სუნთქავს, იმ სიბრძნით და სილამაზით სუნთქავს, რომელიც ასე კარგად გამოხატა გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ა. ტვარდოვესკიმ, როცა ირ. აბაშიძეს, მისი დახადების ორმოცდაათი წლისთავზე მიამართა: „მომავალ ნახევარ საუკუნესაც იყავი ისეთი ჭაბუკური და ბრძნული, როგორც ამ ნახევარ საუკუნეში გიცნობდიო“.

\* \* \*

ყველაზე ადრინდელი ლექსები, რომლებიც შეტანილია ირავილი აბაშიძის ახლახან გამოცემულ რჩეულ ნაწარმოებთა ვრცელ კრებულში, დათარიღებულია ცხრასოცდაათი წლით, ხოლო ბოლო ლექსების თარიღი კი, წლევეანდელა, ცხრასაოროცდამეცხრამეტე წელია. ამრიგად, პოეტმა ამ წიგნით მკითხველს წარუდგინა თავისი

ეთი თითქმის ოცდაათი წლის ნამუშევრის ნაგებობა, საკმაოდ ვრცელი გზა, გზა განვლილი სიყვარულს, წლებიდან, ჯერ დაუღუღლარი ჭაბუჯის პირველი სიმღერებიდან უკვე სრულ პოეტურ მომწიფებას და დავაქცევაბამდე. პოეტისავე სიტყვით რომ ვთქვათ, მართლაც „ყველა სიმღერას თავის წლები აქვს“, თავისი დროის ცოცხალ მაჯისცემის გამოხატავს; აი, ლექსები „ზღვა“ და „ბრათი ესპანეთის მებრძოლო“. ეს ის წლებია, როცა მადრიდთან და ტერუელთან ქუხდნენ ზარბაზნები და იბარტის ესპანეთი ემბროდა ფრანკოს ურდოებს. პოეტის მგრძნობიარე გულს დასავლეთიდან წამოსული ქარის ზუზუნშიც კი თითქოს ესმოდა „ქალთა შეცხადება“ და ტირილი ბავშვებისა, რომელთაც ფალანგისტები ჩოცავდნენ. დასავლეთიდან წამოსულ შავი ზღვის ტალღებს, რომლებიც აწყდებოდნენ ყირივის, აქარისა და აფხაზეთის ნაპირებს — თითქოს ესპანეთის ამბები მოჰქონდათ. მკაფიოდ ისმის ამ ლექსში ზღვის მღელვარების და ბომოქრობის გამოძახილი: აწყდებია ნაპირებს ტალღები, წამოსული შორი ქვეყნებიდან, ღრიალებენ ეს ტალღები — ცრემლით აღსავსენი, თავშესაფარებლად რომ მოაწყდნენ ხმელეთს, გამოქცენენ უმზეო, უსინათლო სამყაროს.

აი ასე ესმოდა ჯერ ისე ჭაბუჯ პოეტს ენა ბუნებისა, რომელიც მას ხალხთა მღელვარე ცხოვრების გარეშე ვერ წარმოედგინა. აქ უკვე ჩანს სიცოცხლეზე და სილამაზეზე შეყვარებულის პოეტი, რომელსაც ხმა აღუმაღლებია სიკვდილისა და ომის დასათარგუნად; უკვე ამ პირველ ლექსებში გაისმა წრფელი ლირიკული ხმა ირ. აბაშიძისა, რომელიც უშუალოდ, ბუნებრივად უმღეროდა სიცოცხლეს, მშვიდობას, სილამაზეს, კაცობრიობის დიდ გაზაფხულს. მან ჭაბუკობის წლებიდანვე შეიგრძნო სიახლე სამკოთა ეპოქისა, სიღაღე ეპოქისა, როცა ნამდვილად, მართო ბუნებაში კი არა, კაცთა ცხოვრებაში დამკვიდრდა გაზაფხული, როცა „მზეს მზე დაერქვა, ვარდებს — ვარდები, კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი“. პოეტმა კარგად იცის, რომ ეს გაზაფხული კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება იყო, და მხოლოდ ჩვენმა დრომ აქცია იგი სინამდვილედ: „მან მოიტანა ქვეყნად მართალი თავისუფლება და გაზაფხული“; პოეტი ამბობდა:

„გაზაფხულია,  
რად არ მიყვარდეს  
მისი გაჩენა, მისი აპრილი,  
მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს  
ვეამბოროტე მე თავდახარლი“.

პოეტის ლექსებში თავიდანვე ჩანდა ეს შესანიშნავი, ხალხის, გულის წილიდან წამოსუ-



ღი გრძნობა ოპტიმიზმისა, სიხარულისა, გამო-  
თქმული ხან დამშვიდებული, დინჯი, ეპიკური  
ტონით, როგორც ლექსში „გაზაფხული“, ხა-  
ნაც რომანტიკული მგზნებადებით და პოეტე-  
რობით, როგორც ლექსში „თბილისი“. ამ ლექს-  
ში მართლაც კმაშუკური მღელვარება და ენ-  
თულები იხმის:

„შენ ჩემს მაგიერ მტევარს მოახსენე,  
შორით რომ შენსკენ მოვხარება,  
რომ შენი მიწა და სისახლენი  
მის ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.  
აპრილს უთხარი (ძველად იციოდნენ  
ჩვენში მისგვარი ნაჭრის სახანი):  
შენს სიყვარულში ვერ გამისწორდეს,  
ბევრიც მოგართვას ისამანნი.  
დღეს შენს გაზაფხულს სად გავვირდო,  
ყველა უბანს და გზას ახურია.  
რა დამდღერაეი და რა ფერადი,  
რა ცეცხლიანი გაზაფხულია!  
ვერ შევიმარგებ მე თავს და მორჩა...  
როს აყვავდება ბაღში შეგინდები,  
ჩამოვიფხატავ ცხვირ-პირზე ქაჩორის  
შუა ქალაქში აყვირნები.“

რა მძაფრად იხმის აქ ყოიანი სიციცხლისა  
და სწორედ აქა სცემს მთავარი ძარღვი ირ. აბა-  
შიძის პოეზიისა; ვფურცლავთ მის წიგნს და  
ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ პოეტი მუდამ მე-  
ბრძოლთა მოწინავე რიგებში იყო; როცა მშვი-  
დობას და სიციცხლეს უმდარის, ის როდი  
მიმართავს დეკლარაციულ ფერხას. არა, მის  
ლექსში ნამდვილად იგრძნობა ცოცხალი გუ-  
ლისცემა, უიტმანის სიტყვით რომ ვთქვათ,  
იგრძნობა იმ „ნალისფერი სისხლის“ მღელვარ-  
ება, რომელიც დღეს ადამიანის ძარღვებში  
„დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“. ირ. აბა-  
შიძე მრავალფეროვანი ინტონაციების პოეტი.  
მისი ლექსი ხან ნაზი და ინტიმური სიმღერაა,  
როგორც „პირველი თოვლი“ და „ყვავილები  
ქალაქში“, ხან მძაფრი მოწვევებაა, როგორც  
„შეიქენ გმირი“ და „ქართველბო, ვკაფთ  
მტერი“, ხან გამანადგურებელი მხილვება, რო-  
გორც „შენ კვლავ ცოცხალი ხარ“ და „ლია  
წერილი ამერიკელ მწერალს“, ხანაც მშველი,  
აკვარელისებური ფერებით ნახატი პეისაჟი,  
როგორც „ნახე, გახედე“ და „გრემი მკაში“.

ომის წლებში ირ. აბაშიძე ძალზე ნაყოფიე-  
რად მუშაობდა. ისიც აღსანიშნავია, რომ იმ  
წლებში პოეტი ფრონტზე, უშუალოდ ეცნობო-  
და საბჭოთა მეომრების ლეგენდარულ ბრძოლას.  
მის ლექსებს, რომლებიც სამაჟლო ომის წლებ-  
ში ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე  
იბეჭდებოდა, ბოლოში წარწერილი ჰქონდა ხან  
„1942 წელი, მოსკოვის მახლობლად“, ხან „ყი“

რამი, აკ-მონაი“, ხან „ქერი“, ხანაც „ნაღი“  
და „ვლადიკავაი“. იქ, იმ ადგილებში ბოდა  
პირველი სახეები და პირველი სტრიქო-  
ნები ამ ლექსებისა. ეს აშკარად იგრძნობა  
ირ. აბაშიძის ლექსებში, იგრძნობა თუნდაც იმ  
მართლი ვაკეკურ ლექსში, რომელსაც „კაპი-  
ტანი ბუხაიძე“ ეწოდება. ამ პატარა, ხუთდღეიანი  
ლექსზე დღემდე იმდენი დაიწერა, რამდენიც  
ზოგჯერ უხარმზარ პოემებზე არ დაწერლა.  
ბუნებრივად იბადება კითხვა: სად უნდა ვეძე-  
ბოთ ამ ნაწარმოების ასეთი პოპულარობის მი-  
ზენი?

მაქსიმ გორკი ამბობდა: „უნდა სწვროთ სა-  
დად, თითქოს გულწრფელად ესაუბრებით საყ-  
ვარელ მეგობარს, რომელსაც არაფერი არ გინ-  
დათ დაუთმავთ, რომელიც თქვენს ხათქვამში  
ყველაფერს გაიგებს, ყველაფერს დააფასებს —  
ნახევარი სიტყვითაც რომ იყოს ის ნათქვამი.  
სიტყვის სისადავეში ყველაზე დიდი სიბრძნეა.  
ანდაზები და სიმღერები ყველაზე მოკლე და  
სხარტი, მაგრამ მათში იმდენი სუკა და გრძნო-  
ბაა, რომ მთელ წიგნებს ეყოფა“. გორკის  
ეს სიტყვები, ჩვენი აზრით, კარგად ხსნის  
ირ. აბაშიძის ფართოდ გახმარებული ლექსის  
„კაპიტანი ბუხაიძის“ წარმატების მიზეზებს. ამ  
ლექსში ყოველი სიტყვა მართლაც ისე ბუნებ-  
რივია, როგორც სუნთქვა, როგორც გულისცემა  
და აქ არის ადამიანის ყველაზე წმინდა გრძნო-  
ბა — სამშობლოს უკუდავი სიყვარულის გრძნო-  
ბა. აქაა სიკაბუის ენთუზიაზმიც, თავგანწირუ-  
ლებაც, აქაა გულის შემძგრელი ტკივილი —  
ნახევარი სიტყვით, ნიუანსით, სადაც სტრი-  
ქონებსა და სტრიქონებს შუა ნათქვამი:

„მე სიციცხლეს ზღმეოვრედ  
შევიწირავდი მშობელ მხარეს,  
შევიწირავდი იმავ მწფას  
დღეს რომ გულზე დამაყარეს“.

სულ უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვებია...  
„მე, ქართველი ბუხაიძე“, „მე საფლავში არა  
მწვეარი“ — მაგრამ როგორ შეძრა და ააბლღე-  
ვარა ამ უბრალო სიტყვებმა ქართველი ჰაბუ-  
კების გული იმ ქართველიან წლებში და ეს  
იმიტომ, რომ აქ ადამიანის ყველაზე მაღალი  
მისწრაფება იყო გადმოცემული — სამშობლო-  
თვის თავდადება. და ყველაფერი ეს ნათქვამი  
იყო მოკლედ, სადად. ყველაზე მაღალ გრძნობას,  
ნამდვილ ადამიანურ სიხარულს თუ მწუხარებას  
არ ეგუება მაღალფარდოვნება, ზეაწეული ტო-  
ნი, დახლოართული ფერხა. ამ ლექსში გაუბრა-  
ლოება კი არ არის, არამედ ნამდვილი სისადა-  
ვეა. ზელოვნებაში, კერძოდ პოეზიაში ყველაზე  
ძნელია იპოვონ სიტყვები და დალაგონ ისინი  
ისე, რომ ცოტათი თქვა ბევრი, რომ „სიტყვებს  
ვეიწროვებოდეთ სტრიქონში, ხოლო აზრებს  
ფართო გასაქანი ჰქონდეთ“, მხატვრული პოე-



ზიის ამ ძირითად მოთხოვნებს არ. აბაში-  
ძის ლექსები კარგად ასრულებენ.

პოეტის ომისდროინდელ ლექსებში გვესმის  
სახელები სოფლებისა და ქალაქებისა, რამე-  
ლიც აღბეჭდილი იყო საბჭოთა საინფორმაციო  
ბიუროს ცნობებში... ამ ლექსების გადაკითხვა  
გვარწმუნებს, რომ ომის მძაფრი შთაბეჭდილე-  
ბანი ღრმად და ძალზე მკვეთრად შეჭრილან  
ირ. აბაშიძის პოეტურ ბიოგრაფიაში. აი პატარა  
სურათი, რომელიც პოეტს რომელიღაც გადა-  
მწვარი სოფელში უნახავს: ხის სახლები თით-  
ქოს დეღამითა და ზევეით წაშლილან, მხო-  
ლოდ ოდნავ-ღა ბოლავნე ცივი და დანაცრე-  
ხული ნაშთები ამ სახლებისა, ტრამალის ნამ-  
ქერში მტრის თვითმფრინავი გდია, რომელიც  
მამაც საბჭოთა მფრინავებს დაუნარცხებიათ  
მიწაზე. და პატარა ბავშვები, გუშინ რომ ერთი-  
მულით აღზენდნენ სოფლის ქუჩებსა და ჩი-  
ხებს, ახლა ფოლადის სვავს შემოპხვევიან და  
ტირილით უშენენ მას სიცივისაგან გალურჯე-  
ბულ პატარა მკვიდებს. ყველაფერი ეს ნათქვამია  
სულ თორმეტ სტრიქონში, მაგრამ შთაბეჭდი-  
ლება დაუვიწყარია — ეს ტრამალის ნამქერში  
გახვეული ნასოფლარი, დაღწილი თვითმფრი-  
ნავი, ატირებული ბავშვები — ომის საოცრად  
მართალი პეიზაჟია.

პლასტიკური ხატოვნებითა და მგზნებარე პა-  
თოსითაა აღბეჭდილი „როცა ბრანდენბურგს  
უახლოვდება“. ნაღიკთან ომის დროს, პოეტს  
გადამწვარი სოფლის ბოლოს ექვსი მოკლული  
გერმანელი უნახავს, რომელთაც სამხრებზე  
ეწერათ: „ბრანდენბურგელო“. ისინი ყოყონობ-  
დნენ, ქედმაღლობდნენ იმით, რომ ბრანდენ-  
ბურგელები იყვნენ, ახლა კი ყრიან მიწაზე.  
სიკვდილის მომტანთ სამკლავებზე თავისქა-  
ლები ახატიათ; პოეტი წერს:

„ჩვენ იქ ისინი ომში გავიცნეთ  
ნაღმთა გრიალში, ტანთა სრიალში,  
მათ შუბითიძე და ბუხაიძე  
მოაკლეს ჩრდილოეთ კავკასიაში“.

და იმ დღეებში, როცა საბჭოთა ჯარები ფა-  
შისტური მხეცის ბუნავს მიუახლოვდნენ, პოე-  
ტი მოაგონებდა საბჭოთა მებრძოლს:

„მრავალ ქალაქის მოსპეს ძირ-ფესვი,  
დაწვეს, დასტოვეს მხოლოდ ლოდები...  
ეს გაიხსენე ახლა, ძვირფასო  
როცა ბრანდენბურგს უახლოვდები“.

საბჭოთა პოეზია, როგორც ყოველთვის, ისე  
ომის წლებშიც განამტკიცებდა სოციალისტური  
სამშობლოსადმი სიყვარულის წმინდა გრძნო-  
ბას, ნერვოზა და განამტკიცებდა სიძულვილს  
შემოსული მტრებისადმი. ფაშისტური ურ-  
დოებისადმი, სიკვდილისადმი, ბნელეთისადმი

სიძულვილი — ფრიალ მაღალი და  
გრძნობაა. მტრისადმი ღრმა სიძულვილი აღე-  
ვებდა ირ. აბაშიძე ლექსში „მრისხანე ცხრა-  
ასორმოცდაორი“. იგი წერდა ქართველა მე-  
ბრძოლების მისამართით:

„მრისხანე ცხრაასორმოცდაორი,  
შემოგრაილდა წელი ახალი;  
თქვენი ნაღმების მესმის ხმაური,  
ატოტებულნი ტანების ჯახანი.  
ასე სჩვევია ჩვენს ჭურვს მოსხლეთა,  
ასე სჩვევია ხმალს მოხმარება,  
შემოსეული მტრის ამოყლეთა  
არის პირველი კაცთმოყვარება“.

უფრო ძლიერადაა გამოთქმული ეს გრძნობა  
ირ. აბაშიძის „დაჭირლის ლექსში“, რომელიც  
თავისი მტიკაზე შეკრული ფაშულით და თბრო-  
ბის სისადავით ძველბურხა ხალხურ ბალადებს  
მოგვეგონებს.

\* \* \*

ხშირად იბეჭდება ლექსები, რომლებიც ამე-  
თხველზე ემოციურ ზემოქმედებას ვერ ახე-  
ნენ, თუმცა მათში ენაც სუფთაა, რითაც კარ-  
გია, თითქო ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წაი-  
კითხავ და გულს არ ეკარება. რით აიხსნება ეს?  
იმიტომ, რომ ისინი ზოგადნი არიან, ცხოვრების  
გამოძახილი არ ისმის მათში, პოეტის ბიოგრა-  
ფიის ნაწილს არ წარმოადგენენ. ასეთი პოეტი  
იღებს თემას, ვთქვათ ჩაის პლანტაციას და ამ-  
ბობს იმას, რაც საერთოდ კაცმა შეიძლება  
თქვას პლანტაციაზე — თქვას ისე, რომ მას  
შეიძლება ეს პლანტაცია არც ენახოს; უნახა-  
ვდაც ხომ შეიძლება თქვა, რომ ის ვრცელია,  
ლამაზია, რომ ბუჩქები პორიზონტამდე ლურ-  
ჯად ჩამწკრივებული არიან, შემდეგ, მეორე  
ლექსში შეიძლება იგივე სახეები გავიმოროო  
ვენახზე, ისიც ასევე ვრცელია, ვახუტი ჩამწკრი-  
ვებული არიან და ა. შ. მაგრამ ეს ლექსები,  
ერთიც და მეორეც, ცივი იქნება იმიტომ, რომ  
მათში არ გამოხედება ის წუთი, როცა პოეტი  
მოხიბლა ამ სილამაზეზე, ჩვენ ვერ ვიგრძნობთ  
მას, რადგან ლექსი არაა დაკავშირებული პოე-  
ტის ბიოგრაფიასთან, მისი გულის ნაწილი არა  
დევს მის სტრიქონებში, ცოცხალი სული არ  
უღვას ნაწარმოებს. კარჩაკეტილ კაბინეტში კარ-  
გი ლექსი არ იწერება. ვერაფრითაი კარგი რით-  
მა, გაკრიალებული ფრაზა ამ დანაგლის ვერ  
შეავსებს. ავიღოთ ახლა, მაგალითად, ირ. აბა-  
შიძის „სამი ციხე“. კითხულობ ამ ლექსს და  
ასე გგონია, რომ შენც იქ იყავი, როცა პოეტი  
იღვდა მურის ძველ ხილთან, ჩუმად მოვლდარჯ  
ქედების გარემოცვაში და თითქოს შენც გეს-  
მოდა ის ყვირნი — „დაპკარ“, „დაუხვიდო“ და

საქართველო  
საბჭოთა  
საქართველო

„არ გაუშვა“, რომელიც მას მოესმოდა ამ ციხეების ხაყსიან კედლებიდან. როცა კითხულობთ ირ. აბაშიძის ლექსში გომბორის მქროლავ ნიაჭე, ალანის ველის მუქ სიმწვანეში რომ შოიანებს და ჩაივითხავთ სტრიქონებს: „სიო იმგვარი, როგორც მაშინ — ორმოცდაერთში“, — გრძნობთ ცოცხალ შთაბეჭდილებას ამ ლამაზი წუთისას, რომელიც ათი წელი შენახული ყოფილა პოეტის გულში, ორმოცდაერთიდან ორმოცდათერთმეტამდე, შენახული ყოფილა როგორც ძველი, მივიწყებული ტბილი სიმღერის პანგი, რომელიც რაღაც შემთხვევით ისევ ცოცხლებდა და გაიხმარებდა ადამიანის ცნობიერებაში. ამიტომაც, რომ აქ ემოცია ასე ადვილად გადაღის ლექსის სტრიქონიდან მკითხველის გულში. ახლა ომგადახდილი ინგილო ლაზარე გაიხსენეთ („ინგილოები“). რატომ ხდება, რომ გვიჩვენებთ თითქოს ამ ლაზარეს თქვენც იცნობთ და გესმით მისი დინჯი ქართულიც:

„რაც გამოვილა, რაც თავს მომსვლია,  
სიხმრად ნახავდენ მამა-პაპანი?  
ხელისგულით ვიცი პრუსია,  
ვით ზაქათალა და ბელაქანი.  
ჩემს თვალწინ გატყდა მისი ბრესლაუ —  
ციხე-ქალაქი ქვეყნის ოდენი,  
მე ინსტენბურგის ვარ შერმუსრაივი,  
მე გადავტურე მისი ოდერი“.

და აქვე, როგორც ფერწერულ ტილოზე, ხედავთ კოცონის ირგვლივ შემომსხდარ, მკერდზე დილიყო შეხსნილ ინგილოებს, ასე დაფიქრებით რომ უსმენენ მებრეს, რომელმაც „ხელის-გულით იცის პრუსია“. ირგვლივ კი შეუღამე ჩამოწოლილა, თვის ბულულზე თავმიდებულ მყეფარებსა სძინავთ, წიფლის კუნძები ბოლავენ, უღრანი ტყის სინელეში კი, შორს მგლის ბრილა თვალი გაივლებს — ნადირმა გაირბინა სადღაც; რაღაც ლაწა-ლუწი ისმის — დაჭრილი ტახი სადღაც შორს, თასმანლუსთან, ბერძუხის ძირში ხმელ ფესვებს ჰგლეჯს. რა მართალი, პირდაპირ ქართული სურათები! აქ ყველაფერი ცოცხლობს, მოძრაობს. „ინგილოები“ და „მონადირის ღამე“ ქართული საბჭოთა ლირიკის შედევრებია. აქ სრულიად ახალი სახეებია.

ირ. აბაშიძის ლირიკა უაღრესად ღრმაშინაარსიანი და ფართოდ დამტყვია. მას მართლაც სრულყოფილად შეუძლია გადმოცეს ადამიანის სულის მდიდარი შინაგანი; თვისის ლირიკის ყოვლისმომცველობაზე, რომელიც ირ. აბაშიძემ „ლიტერატურაია გაზეტას“ ფურცლებზე წამოაყენა და რომლის გამო მას შეედაუნენ რუსი კრიტიკოსი ი. სუროვეცი და ტაჯიკი პოეტი მირზო ტურსუნ-ხაღე, ყველაზე უფრო ვსავგები მაშინ გახდება, როცა ჩვენ გავითვალისწინებთ მთელი საბჭოთა პოეზიის გამოცდილებას,

კერძოდ თვით ირ. აბაშიძის პრაქტიკას. ირ. აბაშიძის მოკამათებს შეეშინდათ — როგორ, ნუთუ ლირიკამ ასე ვთქვათ, უნდა შთანთქას პოეზიის სხვა სახეობანი, კერძოდ ეპოსი. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ რომელიმე ეპოსის უფლებათა ხელყოფაში კი არ არის საქმე, არამედ იმაში, რომ გაფართოებულ და გაანტირებულ იქნას პლიტრა ლირიკული პოეტისა. აბა ახლა ამ ასპექტში განიხილეთ ირ. აბაშიძის „ინგილოები“. ზემოთ მე ვახსენე ეს ლექსი, აქ კი ხელახლა ვუბრუნდები, რათა აღვნიშნო, რომ აქ ინგილო ლაზარე დახატულია ისე ცოცხლად, ისე სისხლსავსედ, რომ ამაზე მეტი აღარც პოემას და აღარც თუნდაც მითხრობას, არ შეეძლო. თანაც ეპიკურ სახეს აქ ლირიკული მღელვარება გასდევს თან და ეს კიდევ უფრო ამაღლებს ამ ნაწარმოების ემოციურ ძალას. ზემოხსენებულ ლექსს გარდა ამავე ტიპის მიეკუთვნება ლექსი „გიო“, რომელშიც გლეხკაცის მთელი ცხოვრებაა გადმოცემული. მე მაგალითისათვის მხოლოდ ამ ორ ლექსს ვიღებ, და მინდა აღვნიშნო — მათი კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ აქ ფონიც, ეპოქაც, რომელშიაც ეს ადამიანები ცხოვრობენ — მეტად შთამბეჭდავად არის ასახული.

ირ. აბაშიძის ლექსი ძალზე მელოდიურია. პოეტმა იპოვნა ის სულში ჩამწვდიომი მელოდი, მოძებნა სიტყვები იმ სუბიერის სითბოს და ინტიმის გადმოსაცემად, რომელიც თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულის სიმებს ეხება. „ამდგრებულ ლექსს“, ისეთ ნაწარმოებს, რომლის სტრიქონებში შინაგანი მუსიკაა ჩაქსოვლი, საქართველოში შესანიშნავი ტრადიცია აქვს; ამ ტრადიციამ ირ. აბაშიძის სახით შენანიშნავი გამგძრელებელი ჰპოვა. ამავე დროს, პოეტის ლექსში ეს მელოდია შერწყმულა პლასტიკურ ნახატთან. ეს არის ირ. აბაშიძის ლექსის თავისებურებაც და პოეტის წარმეტყველების მიზეზიც. მართლაც ბედნიერებაა პოეტისათვის ასე შეაერთოს „ხედავც“ და „სმენაც“. ამ ლექსებში კი ეს უთუოდ იგრძნობა და პოეტობა ამასაკენ შეგნებულად ისწრაფვის. ვითრეულობთ მის ლექსებს და ჩვენ ვხედავთ ხან ოქროს ფერებით განათებულ სუფსის ხეობას, ხან წარმეტყველებით აყვავებულ მიწას, ხანაც ლურჯად მოვლავარ ჩაბურულ პლანტაციებს, ჩვენ თითქოს ჩვენე თვალით ვხედავთ სოფლის გზის პირებზე ჩარიგებულ ალვის ჩრდილებს და მგზავრის სამხერად ღობეზე აცოცებულ ტყის ყვავილებს, ვხედავთ ალანის ველს და ბახტრიონთან მობუბუნე კომპანის.

საბჭოთა პოეზიაში პიუზიონ არ შეიძლება იყოს განყვებულე და ირ. აბაშიძეც სწორედ საბჭოთა მიწის სილამაზესა და საბჭოთა ადამიანის შრომის სილამაზეს უმღერის, შრომის,



რომელიც ხელახლა ჰქმნის მიწასა და ბუნებას ხალხის ინტერესების შესაბამისად, პოეტმა კარგად იცის, რომ ეს სილამაზე მშვიდობისა და თავისუფლების მაღლია; კარგადაა ეს გამოთქმული ლექსში „მშვიდობა ჯუჯაანში“:

„სულ თვალწინ მიდგას მე ჯუჯაანი,  
ტყილ შემოდგომის ღინჯი დარები,  
ხის აივანზე ბევრი მტევანი,  
ყვითლები, როგორც სკოლის ზარები.  
სულ თვალწინ მიდგას მე ჯუჯაანი —  
ქარვის, ლაევარდის, მზის შეხამება,  
მშვიდი, სულ მშვიდი დილა სავანის  
და უფრო მშვიდი შემოდამება.  
მე ვაკვირდები თვით ცის კიდეში  
კავკასიონის მთელემაჩ ალმასებს  
და ამ დუმილში, ამ სიმშვიდეში  
გზედავ ამ ქვეყნის მთელ სილამაზეს.  
გზედავ ბუნებას როგორ ანახებს  
სოფლის მშვიდობა, მუწურის სოფელი,  
გზედავ სიმშვიდე და სილამაზე  
როგორ ყოყლან განუყოფელი.  
როგორ ერთპირად და დაწყობილად  
სუნთქავს ეს ორი ბედნიერება...  
დასტურ, მშვიდობის ნიჭი ყოფილა  
სილამაზე და მშვენიერება“.

საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედებითი ამოცანა ასახოს და ადიდოს საბჭოთა ხალხის შრომითი გმირობა; შრომის პოეზია ფართოდ არ განუვითარებიათ და არც შექმლთ განუვითარებინათ წარსულის დროის მწერლებს და თანამედროვე ბურჟუაზიულ მწერლებს, რადგან შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უსასტიკესი ექსპლოატაციის პირობებში, წარმოადგენს მხოლოდ მიძიმე მოვალეობას და აღამიანის შეჩვენებას. სულ სხვაა ჩვენს ქვეყანაში, სადაც შრომა განთავისუფლებულია ექსპლოატაციის ხუნდებისაგან და მიმართულია მთელი ხალხის — ქვეყნის ბატონ-პატრონის კეთილდღეობისაკენ, სადაც შრომა წარმოადგენს ღირსების, დიდების, სიამაყისა

და გმირობის საქმეს. ამ თავისუფალმა შრომამ წარმოშვა ახალი აღამიანები — თავისუფალი აღამიანები, რომელთა სტლიერი სამყარო უმაგალითოდ მდიდარია.

მშვიდობა და სილამაზე განუყოფელი არიანო. ამბობს პოეტი; მან კარგად იცის, რომ ეს ყველაფერი შრომის მაღლია, ის ჰქმნის და აშენებს ქვეყანას. თავის ერთ ლექსში. პოეტი ჰიშნს უმღერის გუთანს და პურის პატარა მარცვალს უწოდებს „ბუმბერაზს“, „გოლიათს“, „გულმართალს“ და „უწყინარს“. ლექსებს მთელ ციკლში „სიმღერა მკის დროს“ პოეტი უმღერის გუთნისდედების საქართველოს; აქა სიცოცხლის დიდი პოეზია და ყველაზე მაღალი მოქალაქეობრივი ელერადობა ირ. აბაშიძის შემოქმედებისა. ხორბლის ერთი პატარა მარცვალს პოეტენციურად შეიცავს ოკეანეებივით თვალგადაუწვდენელ ჯუჯილებს, რომელთაც შეუძლიათ დაჰვარონ მთელი დედამიწა. ეს არის სიცოცხლის ყველაზე დიდი სიადუმილება, მაუწყებელი მისი საზღაპრო ძლევამოსილება. იმ პატარა მარცვალში მშვიდად სძინავთ ყანებს მომავლისას, რომელთაც ძალუბთ მისცენ კაცობრიობას პური მისი არსობისა, აცოცხლონ ის, შეინახონ, კერა არ ჩაუქრონ კაცთა მოდგმას; ამიტომ არის ხალხში მაღლმოსილი ის მთესველი, რომელიც ამ მარცვალს მიწაში გადააგდებს და გზას გაუხსნის, რათა გაღვიდეს ის, ფესვი გაიდგას, დაბუნქდეს და მუხლი ამოიყაროს. იმ მოსავალს შემთხვევით არ უწოდა ბიბლიამ „თესლი კეთილი“ და არც ის არის შემთხვევითი, რომ ოდითანვე თავიანთ სიმბოლოდ სწორედ მთესველი აქციეს იმ აღამიანებმა, ვისაც მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა სიცოცხლე გაეწირა კაცობრიობის თავისუფლებისათვის. დიახ, სწორედ აქ დაუწყობენა აღამიანმა სახეს, სიმბოლოს თავის ყველაზე სანუკვარი მისწრაფების გამოსახატვად.

ამ დიდი სიკეთის მაღლით არის აღსახე ირ. აბაშიძის მთელი პოეზია, რომელშიც გამოხატულია ახალი საბჭოთა საქართველოს აღამიანების ყველაზე უგულთაადესი მისწრაფებანი და სტლიერი ლტოლენი.



კონსტანტინე გამსახურია

Ad honorem Saba Orbeliani

I

ჯერ კიდევ მეთუ საუკუნეში წარმოითქვა ქება დიდებულისა ქართლისა ენისი.

ძნელად სარწმუნოა, თითქოს ცნობილ ბოლნისურ წარწერას და პირველ პროზაულ ქმნილებას იაკობ ცურტაველიას მრავალსაუკუნოვანი განვითარება წინ არ უძლოდეს.

ხანგრძლივობა კულტურისა მისი გამძლეობის მაცნეა. მრავალი ენა წარისოცა და მრავალი ერი დაემხო იმ დღიდან მოაქამამდე, რაც პირველმა ოსტატმა საპრეტლით ამოკეთა პირველი ქართული ასო ქვაზე, რაც პირველმა ქართველმა მწერალმა გადაიტანა გულისნადები ერთატე.

თვით ჩვენი ეპოქის უდიდესი ფილოლოგთაგანი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ენათა უებრო მცოდნე — ნიკო მარტი, „Eremding“-ს — უცხო სტუმარს უწოდებს ქართულს. იგი მართლაც უცხო იყო და მარტოხელა, როგორც ზღვათა უფსკრულებში მოპოვებული მარგალიტი.

და ეს მარგალიტი ვერ წალეკა ორი ათასი წლის გამუდმებულმა შემოსევებმა, ქართული ასოები დღესაც ამშვენებენ განა მარტო ჩვენს მწერლობას, ჩვენი არქიტექტურის უბრწყინავლეს შედევრებს გულგულადან ანისამდე, იერუსალიმის, პალესტინის და ბალკანეთის სხვადასხვა ძეგლებს.

იგივე მარტი, რომელიც ხშირად უყვლმართ თორიებს წამოისროდა ხოლმე ჩვენდა სამტროდ, ეწევა აღტაცებულ ამოლოგიას სორბონის უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში და მისი „ქართული ენის კულტურული შუბლი“ იყო ერთგვარი ქება დიდებულისა ქართლისა ენისა, ათი საუკუნის შემდეგ კვლავ აღუღწეო.

ქართული ენა იყო ქართული სახელმწიფოს ფუძე, რადგან აგრე იტყოდნენ — ქართლად ფრიალი ქვეყანაა აღირიცხვის, სადაც ქართუ-

ლით ენითა ენაში შეიწირვის და კირიელისონ ბერძნულად ითქმის.

ქართული ენა, ქართული მწერლობა და ქართული ეკლესია — ეს იყო სამი მედიუმ ქართული კულტურისა. ქართული ნაციონალური სახელმწიფო — მათი მაღალი ციტადელი. ბერმანენტული შემოსევები თავზე დაგვაშობდნენ ქართულ სახელმწიფოს და ისევ ის სამი რჩებოდნენ მატარებელი ჩვენი ნაციონალური იდეალებისა.

არასოდეს ერების ლიტერატურათა სიდიადე იმით არ შეფასებულა, ვის რამდენი დივიზიები გამოჰყავს.

ძველ ათინას ექირა დაახლოებით ათჯერ მეტი ტერიტორია, როგორცაა რომელიმე მოსკოვეური, ან ტფილისური მოედანი, მაგრამ ბერძნებმა ისეთი საფუარი მისცეს მსოფლიო კულტურას, რომლის მსგავსი არც რომის იმპერიას წარმოუშვია და არც ბიზანტიას.

ეს განვაცხადე მე ქართული ლიტერატურის დეკადანზე მოსკოვში, ჩაიკოვსკის დარბაზში.

თანამედროვე ამერიკა ხომ დიდი და ტექნიკით წინ წასული ქვეყანაა, მაგრამ როგვეყავს ლიტერატურა არ ჩამოუვარდება ამერიკისას.

საქართველოს ტერიტორიაზე ათჯერ მეტი დივიზიები გადაუტარებიათ ცეცხლითა და მახვილით სელაჯუკებსა და მონღოლებს, ვიდრე პიტლერმა წარმოგზავნა, მაგრამ ამ ურდოებს ერთი ასონიზანი არ წაუწერიათ თუნდაც რომელიმე ხიდის ყურესთან ჩვენს ქვეყანაში. არც თავიანთ სამშობლოში წარმოუშვაო მათ რუსთაველის ანდა საბა ორბელიანის რანგია მწერალი.

ამხანავ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ მწერალთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მე განსაკუთრებით მომეწონა ერთი ფრაზაც: „Не важно кто где родился и где живет: важно кто как мыслит“.

საქირთა ზოგეირთებმა ისმინონ ეს სიტყვაბი.



არც ევროპაში, არც აზიაში დიდი მასშტაბის პროზა არ შეუქმნია არც ერთ ერს, რომელსაც დიდი ფეოდალური და სასულიერო კულტურა არ გააჩნდა. სასულიეროს გამობო, რადგან მთელი შუა-საუკუნეთა კულტურის კერა იყო იმჟამინდელ მონასტრებში. ეს ეხება არა მარტო საქართველოს და სომხეთს, მთელს ევროპას.

ზემოხსენებული ქვეყნების პროზის აღორძინებას ბიძგი მისცა ორმა ქმნილებამ: ვათას ერთი ლამის ზღაპრებმა და ბიბლიამ, იგივე ბიბლია მრავალი საუკუნის მანძილზე შთაგონებას აძლევდა მთელი ევროპის პოეზიასა და მხატვრობასაც. საქმარისია ვახსენოთ დანტე, მიქელანჯელო, რაფაელი, ბაირონი და გოტე.

ა. წ. ქრისტიანულ სამყაროში ბიზანტიის შემდეგ მხოლოდ საქართველოს და სომხეთს გააჩნდა უძველესი თარგმანი ბიბლიისა და პატრისტიკული ლიტერატურისა. ჩვენ მოგვეპოვება უბრწყინველესი თარგმანები ბიბლიისა V, IX, X საუკუნეებისა, სადაც ქართული პროზაული თხრობა აყვანილია უმაღლესი დაოსტატების რანგზე.

ჩვენ, ქართველებს, შთაგონების სხვა წყაროებიც გვაგაჩნდა — ჰინდური და ირანული... ცნობილია, სიბრძნე ბალავარის ქართულმა ვერსიამ ბერძნულისა და ლათინურის მეშვეობით მოწოდებულ ვერსიას უწია. არაა გამორიცხული, რომ ფრანგული გალექსილი რომანი დოლოფატოს, რომელიც ბარლამისა და იოსაფატის ლეგენდას ემყარება, სიბრძნე ბალავარის ქართული ვერსიიდან იყოს ნასესხები. (Windsor af Balawar).

II

როგორც ჩვენი დიდი და მკლავმაგარი მეფეები — ვახტანგ გორგასალი და ბაგრატ III, გიორგი I და დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე და დიდი თამარი, რომელნიც მარტოდენ მეფენი როდი იყვნენ, არამედ ნაციონალური გმირები, ხმლით იცავდნენ მამულისა და აერთიანებდნენ მტრების ხელიდან წაგლეჯილ ქართულ მიწებს, ისე სიტყვა იაკობ ცურტაველისა და გიორგი მერჩულესი, რუსთაველისა და საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის, აჯაი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასი, ცეცხლს ინახავდა ქართული გენიის ადგილის დედის ბალავარში.

ბარბაროსებმა შელექსეს ჩვენი ცხებები და ტარებები, მფეთთხა პალატები იავარყვეს, სამღატებში მოშალეს და სეფე დროშანი თავზე გადაკეცაბეს, მაგრამ უტრები სულ ქართველი

ხალხისა, ქართული გენიის მესიტყვეთა პირით განცხადებული, მარად აფხიზლბდა ჩვენი გენების ნაციონალურს და სამერმისო იმედებს უღვიძებდა ქართველ ხალხს.

ასეთი დიდი მეურვე ქართული სულისა, ქართული სახელმწიფოს იდეისათვის თავადებული, იყო საბა ორბელიანი, რომელიც მარტოდენ მწერალი როდი იყო, არამედ ერისმთავარი, კანონმდებელი ენისა. მე ვიტყვოდი — რეფორმატორი და განამაპლებელი იმ გენერალური გეზისა, რომელსაც დასაბამი მისცეს დიდმა პოეტებმა და ჰაგიოგრაფებმა, დიდმა მთარგმნელებმა და ფილოსოფოსებმა გიორგი მთაწმინდელმა და პეტრეწონელმა.

III

მეხუთე საუკუნეში ევროპის არცერთი ერის მწერლობის არ მოეპოვება ისეთი მალაზარისხივანი პროზაული ქმნილება, როგორიცაა იაკობ ცურტაველის წამებში წ. შუშანიკისი. ჩვენთვის ცნობილია მთელს საქრისტიანოში გავრცელებული ქანრი, რომელსაც „ვიტას“ უწოდებდნენ, ე. ი. ცხოვრებათ. მაგრამ ბიზანტიისა და თვით საფრანგეთის „ვიტა“, წ. გრალის და „ქრისტეს ენებათა“ შესახებ დაწერილი ნაწარმოებნი და სხვა — გამომშრალი ქმნილებებია.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში განსაცვიფრებელი რეალისტური სიციხეებით მოთხრობილია ადამიანური ენებების შესახებ, რაც საერთოდ აღკვეთილი იყო „ვიტას“ ქანრის ლიტერატურაში.

რაც შეეხება სტილს, ბევრი თანამედროვე რომანისტი ინატრებდა იაკობ ცურტაველისა და მერჩულეს ლაპიდარობას და ოსტატობას ენებათა გამოსახვისას.

XII — XIII საუკუნეებში თვით დიდი პროზის სამშობლოში — საფრანგეთში რომანები იწერებოდა ლექსად. რუსთაველმა მოსძენა პროზაული თხრობისათვის მისდაგებული ფორმა ლექსისა და მასვე მოუხდა დაეწერა პირველი და უბრწყინველესი ქართული რომანი. პროზაული თხრობის იკავშირედეგელი ოსტატია „ვისრამიანის“ პროზად მთარგმნელი.

ზოგ მწერალს შეხვდება დიდი პატივი ამა თუ იმ ქანრის დაფუძნების მშობლიურ ენაში, ზოგსაც არანაღლები მოვალეობა დაეცისრება: ნაციონალური ენის რეფორმატორობა და მისი განახლება.

ასეთი რამ დაეცისრა საბა ორბელიანს. ნამდვილი და დიდი მწერლის მოვალეობაა მიძღვარება საკუთარი ენისადმი და მისთვის სასურველი გეზის მიცემა. ცხადია, ამის ნება ყველას როდი აქვს.

დაუკვირებელ ადამიანებს არ ესმოთ, რომ

გენიოსების მიბაძვა ყოველთვის მარცხით თავდება; მეტწილად სასაცილონი ხდებიან გენიოსების მიბაძველნი.

ამოდ დაშვრენ რუსთაველის მიბაძველთა შორის თვით გვარგენოსანანიც. შესაძლოა თეიმურაზისა და არჩილის პოემები ლიტერატურის პესიტორიფიკაციის ინტერესს არ იყენენ მოკლებულნი, მაგრამ მათ ეს ყოველივე პროზად რომ დაეწერათ, ჩვენი მწერლობა მეტს მოიგებდა.

გურამიშვილის გარდა თითქმის ყველა პოეტი მე-17-18 საუკუნეებისა იმყოფებოდა დევიანობის ორმაგ ფარვატერში; ისინი ერთის მხრივ რუსთაველის გავლენას განიცდიდნენ, მეორე მხრით ირანული პოეზიისას...

სხვა მხრივაც დაქინებული იყო საბას თანამედროვე ქართულ ენა. ეს ეტყობა ქართულ ქრონიკებს და სიგელ-გუჯარებსაც. ჩვენში ბევრს არ ესმის, რომ ზეგავლენა — ეს ინტელექტისმიერი მონობის შედეგია.

აშა თუ იმ ხალხის მწერლობა მხოლოდ მაშინ ხდება ნაციონალური, როცა იგი ზეგავლენას თავს დაადწვევს.

თავის დროზე კლოპტოკმა, გოეტემ და შილდერმა გაააზრეს გერმანული ლიტერატურა ფრანგული ლიტერატურის ზეგავლენისაგან, ხოლო ფუკოკი, პუშკინმა და ლევ ტოლსტოიმ ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ლიტერატურათა ტყეობისაგან გაათავისუფლეს რუსული ლიტერატურა.

ასეთი დიდი როლი შესატლეს თავის დროზე საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმაც.

ირანული მწერლობა უბრწყინვალესი იყო თავის დროზე, მაგრამ მისი ზეგავლენა ისე გაძლიერდა მე-17-18 საუკუნის ქართულ მწერლობაში, ამ უკანასკნელს უკვე ნელ-ნელა ეყარგებოდა ნაციონალური ნიშანი. ამ ირანული მუხამაზებისა და ვარდ-ბულბულიანებისა გაუთავებელი კაჟაფონია, მეცხრამეტე საუკუნეშიაც არ აღმოიფხვრა საკვებით.

საქმე ისაა, რომ ეპიგონი არც იმ მწერლობას შესძენს რაიმეს, რომელსაც იგი ბაძავს და არც იმას, რომელსაც იგი ემსახურება.

საბა ორბელიანმა თავისი ძალოვანი მკლავით შემოაბრუნა ტიმონი ქართული მეტყველებისა და ქართული ენა კვლავ აზიარა თავის პირველად სათავეებს.

ცი იქნებოდა საბა ორბელიანი, უგანანტყველნი ულესი ფეოდალი, უღამაზესი რაინდი.

როცა ქვეყანა განსაცდელშია, ორი გზა დარჩენილი ყოველი ადამიანის წინაშე: ერთი — გამარჯვებული მტრის მიმხრობა და მისგან მიღებული წყალობით პირადი ბედნიერების მოწყობა, ხოლო მეორე — სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლა.

პირველ გზას ირჩევდნენ სპარსეთის ხალხებს დანატრებული კონდოტიერები, რომელნიც თუქერანში გარბოდნენ და თანამემამულეთა დაბეზლებით საკუთარ კარიერას იკეთებდნენ.

XVII — XVIII საუკუნეებში კულმინაციურ წერტილს მიაღწია რენეგატობამ. ისინი უწინარეს ყოვლისა რელიგიას დალატობდნენ. დღეს ამბავი ასეთია: ყოველ კაცს პირველად უბრის უღალატოს იმას, რაც წმიდათა წმიდად შიანია. თუ ეს მოხდა, ის ყოველივეს უღალატებს — სამშობლოს, თავის და საუთარ თავსაც. ამ დებულების ნათესაყოფად კმარა კონდოტიერების მთელი გალსტრეა: კონსტანტინე ალი ყული ხანი, ნუზარი ხანი და სხვანი.

ამ რენეგატებს ებრძოდნენ ისეთი კეთილშობილი რაინდები, როგორიც იყვნენ ვახტანგ VI და თეიმურაზ I.

საბა ორბელიანმა აირჩია გზა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლისა და თავისი ბედი დაუჯავშირა სვედამწარებულ ვახტანგ მეექვსეს.

ჩვენ უდიდესის პატივისცემით უნდა ვახსენოთ ამ სახელოვანი მწიგნობრის სახელი, მაგრამ მის მრავალ სიქველთა მიუხედავად, იგი უნაითო პოლიტიკოსი იყო და შორსუვრეტის უნარს მოკლებული. ამიტომაც მისმა არც თუ დიდად გამჭრიახმა პოლიტიკამ დაამხო კიდევაც მისი სამეფო.

ნაპოლეონი ამბობდა — პოლიტიკა თავით ხედისწერააო. არაგინ იცის, თუ რა არის ბედისწერა, მაგრამ ერთი რამ ცხადია — პოლიტიკა ჰქუაა და არა უსაზნო გრძნობების აყვლა.

ბატონიონების დინასტია ოდესღაც უგანათლებულესი და უბრწყინვალესი იყო ფეოდალური ქვეყნების დინასტიათა შორის. დიდი მასშტაბის გონივრული პოლიტიკით მათ გამარჯვებულად მოიყვანეს ქართველი ხალხი არაბთა ბატონობიდან მონღოლთა შემოსევამდის.

ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის დარად მათ ერთმორწუნეობის დროგა როლი ჰქონდათ აკვიტებული. გიორგი პირველმა ომი გამოუცხადა ბიზანტიის კეისარს ბასიანის პრინცივის ვაჟს, ბოლოს სარკინოზების ხალიფას ალ ჰაქიმს დაუჯავშირდა სამშობლოს

სევბედნიერ სამშობლოში უბედნიერესი კა-





გადასარჩენად. ბაგრატ IV ერთმორწმუნე ბიზანტიას შეებრძოლა მრავალჯნის, დავით აღმაშენებელი მამულის სიყვარულისათვის უსჯულო ყოფნალებს დაუყოყნა და ჩრდილოეთის ჯგუფის თურქები სამხრეთის თურქებთან აბრძოლა.

ეს იყო პოლიტიკა არა უსაზნო გრძნობებს აყოლოდა, არამედ ჰეგემონი...

უსაზნო რაინდულ გრძნობებს აყოლილმა გიორგი ბაგრატიან-ქემ თემურ ლენგი ვადაიციდა. ცნობილია, გიორგიმ შეიხიზნა თემურ ლენგის მტრის, სულტან ახმედ ჯალაირის ვაჟი ტაჰერი, თემურმა მოსთხოვა გაეჭევიზინა იგი საქართველოდან. გიორგიმ არა ქნა და ამის შემდეგ ბაგრე რვა ვაჟის შემოესია თემური საქართველოს და მოაოხრა.

ამ გვიანების და უსაზნო რაინდობის გრძნობებს აყენენ ვახტანგ VI და გიორგი სააკაძე, და ბოლოს ერეკლე მეორეცა, და ქართველი ხალხი მრავალჯნის ზედმეტჯერ დაარბევინეს ამის მეოხებით.

თავისთავად ცხადია, ჩვენი შეფუძების სწრაფვა რუსეთთან შეერთებისაკენ სრულიად ბუნებრივი იყო. თვით იმპერატორების რუსეთი უფრო პროგრესული მოიგონა იყო, ვიდრე ის ბნელიყო, როგორც იყო იმპერატორი ირანი და ოსმალეთი. მაგრამ, მათ პოლიტიკის გონიერული წარმართვა აკლდა.

პეტრე პირველმა შეაგულაოან ვახტანგ მეფე სპარსეთის წინააღმდეგ ომი დაეწყო ყოველივე გარანტიის გარეშე. 1722 წელს ვახტანგი 30 000-იანი ჯარით განჯას ჩაივდა. ამასობაში პეტრემ სპარსეთთან ზავი შეკრა, დარუბანდიდან უკუიქცა და ორი წლის შემდეგ ოსმალეთის ხელი გაუხსნა და საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი თურქეთის პროტექტორატის ზონად იქნა.

••

უსაზნო რაინდობის პოლიტიკამ დაამხო ერეკლე მეორის სამეფო. ერეკლეს სახელი დღის სიყვარულით შემოსა ქართველმა ხალხმა, მაგრამ მას გადააიწყდა თავისი დიდა წინაპრებმა—ბაგრატ მესამის, გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის პოლიტიკა ფეოდალური პარტიკულარიზმის დაარგუნვისა. პირიქით, თავის თავგეტილსა და უგუნურ შეილებს საფეონი დაურიგა. მან ხელიდან გაუშვა იმერთა დეუგაციის წინააღმდეგ საქართველოს გაერთიანების. ანალოგიურ შემთხვევაში ბაგრატ III თვალბს დასთხრიდა სოლომონ მეფესა, დადიანს და გურიელს და ასე შემტყი-

ულყო ერთობლივით მოგლაპარაკებუნი ტერიტორიები შეორეს. უსაზნო რაინდობის მიზნით ისიც, რომ, ვიდრე რუსეთიდან რეალურ დახმარებას მიიღებდა, ალა მოჰამედ ხანის ცნობილ ფირმანს ყური არ ათხოვა და ხუთი ათასი კაცი აშარა შეება გამძვინვარებულ შაჰს. დიდი ვაკე იყო ერეკლე II, მაგრამ იგი შორსსკრეტას მოკლებული პოლიტიკოსი იყო. ყოველ შემთხვევაში იგი სპასალარად თუ გამაიდგებოდა დავით აღმაშენებელს. ვაკერი ითქვა ხელახალ შეფასებას მოითხოვს როგორც საქართველოს ისტორიის გვირგვინი, ისე გასული საუკუნეების მწერალთა რანგების ტაბულა.

უსაზნო ილუზიებიდან გამოდიოდა დასავლეთ ევროპისა და რომის პაპის დახმარებაზე დამყარებული პოლიტიკა.

წარმოსადგენია, თუ როგორი დაბნეულობა სუფევდა იმეამინდელ საქართველოში.

თვით ქვეყნის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, რომ ის უდღეური რომის პაპი პიუს ისე ძლიერი როდი იყო, როგორც პაპები გრეგორ მეშვიდე და ურბან მეორე, ევროპის მეფეებისათვის ებრძანებინა ჯვარი აეღოთ ხელში და საქართველოს მისაშველებლად ირანი დაელოშქრაო. ტელიონის სასახლეში ისიც არ იცოდნენ, სწორედ იმ ხანებში ლუი XIV წაყიდა რომის პაპს საფრანგეთის ელჩების ექსტერიტორული უფლებების გამო და ბრძოლით აიღო ქალაქი ავინიონი.

1700-1714 წლებში ლუი XIV. ვახვეული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან ომებში. ეს ბრძოლები ბატყდა ლუის შეილიშვილის, ფილიპ ანტუეს ესპანეთის ტახტზე ასაყენად. საფრანგეთის ჯარები ზედიზედ დაამარცხეს მოკავშირეებმა. 2 მილიარდი ოქროს ლივრი ვალდდაედო საფრანგეთს.

ესეც არ აკმარა ბედმა ლუი მეოთხემეტეს. 3 წლის მანძილზე ხუთი ვაჟი ზედიზედ მოუყვდა.

ასეთ დროს წარუდგა ლუი მეოთხემეტეს საბა ორბელიანი ვახტანგ მეექვსის სახელით კრედიტების სათხოვნელად.

ლუი მეოთხემეტესის სასახლე ითვლებოდა ევროპის ბომონდის უბრწყინვალეს რეზიდენციად, არისტოკრატულ გალანტობას და ეტაქეტებს არასოდეს ასეთ სიმაღლემდე არ მიუღწევია.

სულხან საბამ თავისი სიღარბისლითა გონებამახვილობით მოხიბლა საფრანგეთის მეფე, ასეთივე შთაბეჭდილება დასტოვა ფლორენციის არისტოკრატიაში და ვატიკანის სასახლეში.

3

დიდი მწერალი იგი როდია, ვინც ბევრსა სწერს, უმგებნოსა და შორიშორს, არამედ იგი, ვინც თავათაა როგორც პიროვნება დიდი; დიდი იდეებისა და ტყვილების მატარებელი. ორგანიზაციის ტიპი მწერალი არსებობს ამ ქვეყნად: ერთნი, რომელთაც რაიმე დიდი იდეა, ან სატივიზო შესძრავს და წერად დასხდებიან, რადგან მათ ასე ჰგონიათ, მათ გულში ნატარები ტყვილები ღირსია მოყვასთათვის გაზიარებისა, ხოლო მეორენი სწერენ იმისათვის, რომ სწერონ, ცოლშვილი არჩინონ, ან ფული იშოვნონ.

ამიტომაც არასოდეს დიდი მწერლები არ გახდნან ისინი, ვისაც ფულის ან ამქვეყნიური დიდების მოსახვეჭად აუღიათ კალამი ხელში. მხოლოდ ისინი დარჩენილან როგორც კაცობრიულ ვნებათა დიდი მესიტყვენი, ვისაც დიდი იდეებისათვის შემოსცევითა ახვარი, უბრძოლიათ და უღვაწიათ და ბოლოს, ცხოვრების მიმწუხრზე დამხდარან წერად, როგორც ომადამდილი ცეზარი და გულიდან ჟანგის გადასაცლელად დაუწერიათ თავიანთი სათქმელი და საუწყებელი.

მხოლოდ ასეთ აღმზინებს თუ შესძლებიათ თავიანთი თანდროული თაობების ვნებათა და გულის ტყვილითა გავლება საკუთარ განცდათა სახმარში და არც არაოდეს გამხდარა იგი დიდი მწერალი, ვისაც დიდი ბიოგრაფიის ნიშბი არ დასდგომია თავზე.

საბა ორბელიანი, როგორც დიდად განათლებული კაცი, კარგად ხედავდა, რომ ქართული ორტოდოქსული ეკლესია გაკატრდა იდეურად. ცნობილია, კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ მოიზალა ორტოდოქსული ქრისტიანობის ცენტრი. ამ დიდი ფაქტორის გაუქმებამ გავლენა მოახდინა მთელი აღმოსავლეთის ორტოდოქსულ ეკლესიებზე და დეგრადაციის გზაზე დააყენა ისინი.

ალბათ ამ მომენტსაც ანგარიშს უწყევდა საბა ორბელიანი, იმიტომაც ვახდა კათოლიკე. საბოლოოდ იმ დროისათვის საქმოდ გაზედნა ნაბიჯმა საბა ორბელიანის უბედობას კიდევ ერთი ბიძგი მისცა.

ცხადია, ეს ჩაიდინა საბამ თავის სამშობლოს გადასარჩენად.

ქართულმა ეკლესიამ და კლერიკალურად განწყობილმა არისტოკრატებმა საბას ღვენიისათვის ახალი საბაბი მიოვნა.

ცხადია, ყოველივე ამის გარეშეც საბა ორ-

ბელიანი უხერხული კაცი იქნებოდა თავისი უკუნისათვის, რადგან რევენთა და განუხრავლად იღუშალი ღვარძლი ეღოთ გულში ამ რჩეული კაცის მიმართ, ხოლო ქვები ჯიბეში ეწყობთ მის ჩასაქოლავად.

საფრანგეთში ვოლტერმაც ისე გაახელა დოგმატიკოსი და კლერიკალები, ეკლესიებზე ეწერა: ღვთით ამოინერწყვოს ვოლტერი. რადგან ვოლტერის System de la natura — სისტემა ბუნებისა, ათეისტების ევანგელიად იყო მიჩნეული.

არც ისეა შეუძლებელი, რომ თავის სარკასტულ ივაებში მოღუბისა და ხოჯების გამო, საბა ამაშულელდა ქართულ სამღვდლოებას, ხოლო სამღებროს ქვეყრში ჩავარდნილი მეულის იერუსალიმს გამეზავრება ხომ შეუფარველი დაცივება კლერიკალი ფილისტერებისა, რომელიც მოჩვენებითი ღვთისმოსაეობით ლამობდნენ თავიანთი მუცელღმერთობისა და მსუნაგობის შეფარვას.

ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორი სასოწარკვეთილი დაბრუნდა საბა ორბელიანი ევროპიდან. უუქველია, მისი გაკათოლიკების საფუძველთაგან მისი დიდი პატრიოტიზმიც იქნებოდა.

სანამდის საბა თავით არ დარწმუნდებოდა, რომ ვერც რომის პაპი და ვერც საფრანგეთს მეფე ვერას უშეილოდნენ მის უბედურ ქვეყანას, მას სწამდა; რომ კათოლიკური ქვეყნებში მოეშველებოდნენ მუსულმანთა ტირანისაგან ეგზომ შევიწროებულ საქართველოს.

თავის ეპოქის უბრწყინვალესმა კაცმა დასთმო ყოველივე პირადული და ბოლოს იგი ისევე გაუბედურდა, როგორც მისივე ქვეყანა. შემოიარა მაშინდელი მსოფლიოს დიდი ქალაქები.

შინ დაუხვდა ლეკებისაგან, ირანელებისაგან აობრებული სამშობლო. ბედისწერამ კიდემდის საეხე ფილა შეასვა საბა ორბელიანს. მან განიცადა კატასტროფა ოჯახურ ცხოვრებაში, კატასტროფა პოლიტიკურ და რელიგიურ იდეალებში.

მან მოინახულა ვატიკანის, ფლორენციის, ვერსალისა და ისპანის ბრწყინვალე სასახლეები, იცხოვრა დავით გარჯჯის ბნელ სენაკებში, იმსახურა უმადურ მეფეთა კარზე და მათივე რისხვის სიმწარე იგემა კიდევაც.

შეიერო სიბრძნისა და სიბრძნისაგან მონაბერი სუსხი და ამსოფლურ ამაოებთაგან გულგასენილმა დესეკიატსკიას ცეც მწას მაბარა თავისი გაწამებული სხეული. რაც ამ გამუდმებულ ტანჯვასა და წვას გადაჩა, ეს არის მარადის შეუმუსერელი მისი შემოქმედება.



საბა ორბელიანი თავისი უნივერსალური განსწავლულობით ძლიერ მოვკავონებს ფრანგ ენციკლოპედისტებს.

თუმცა იგი გვაუწყებს, რომ მას თითქოს ქართული მეტი სხვა ენა არ სცოდნოდა, მაგრამ, სხვას ყოველივეს რომ თავი დაენებოთ, ყოვლად წარმოუდგენელია მართოდენ ქართული ენის ცოდნით საბას თუნდაც თავისი ლექსიკონი შეედგინოს. ამ შრომაში ისინი მისი დიდი ერუდიცია ფილოსოფიის, ასტროლოგიის, ალქიმის, ბოტანიკისა, ენათმცოდნეობისა და სჯულის დარგებში.

ცხადია, ეს განცხადება მისი დიდაკტური თავმორდუკილების ამბავი იყო.

გარდა თავმდაბლობისა ერთი მომენტიც საგულსხმოა: ყოველი ენა ისეთი რთული ფენომენია, ერთი სიცოცხლის შანძილზე კაცს შეუძლია მხოლოდ ერთი ენა შეისწავლოს ზედმოწევათ.

ალბათ, ასეთ ცოდნას გულისხმობდნენ ის მეცნიერები, რომელნიც ამტკიცებდნენ: ჰომეროსმა მხოლოდ ბერძნული იცოდაო. საბას სხვა ჩვენებანი არღვევენ ამ განცხადებას.

საბა თვითონვე გვაუწყებს, რომ მას ერთი სომხური ლექსიკონი გადაუციხავს „ხოლო სამღვთო წერილთა და პოეტულს, პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირისა კატეღორიათაჲან გადმოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონურ სიტყვის საქცევები აღესწერე“.

ამავე დასტურებს მისივე ჩვენება:

„ამ წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძნულად სიტყვა სწერია, რომელი წიგნით შევიტყვე სწორედ დაესწერე და ერთა მღვდელმონაზონი იყო ბერძენი, ცოდნას ჩემობდა, რამდენიმე მისის სიტყვით დაესწერე, შემდგომ ესცან: არა იცოდა რა“.

საიდან ვაიგო საბამ, რომ ამ ბერძენმა ბერძნული კარგად არ იცოდა?

იქვე: „მე უწინარეს ლათინური და ელლინური ლექსიკონი ვერა ვნახე, თვრა უკიოესის რავით აღესწერდი, ზოგი რამ იმით გავმართე და რიცხვებიც წერითლთან თან ჩართვით დავესხი“.

როგორც ამ ჩვენებათაგან, ისე საბას მთელი მემკვიდრეობიდან ნათლად სჩანს, რომ საბა ორბელიანს თავის სიცოცხლის მიმწუხრზე სცოდნია როგორც ბერძნული, ისე თურქული, ლათინური, რუსული, სომხური, იტალიური და არაბული.

ამის გარეშე იმ დროს, როცა თარგმნილი ლიტერატურით ასე ღარიბი იყო კულტურული

კაცობრიობა, საბას არ შეეძლო „ქილევად და მანას“ თარგმანში დაეღო წილი, დაეწერა „საბა ბრძენ სიერისა“, შეედგინა თავისი ლექსიკონი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს განსაკვირვებელი უნივერსალიზმის დოკუმენტს.

ბოლოს საესებთ წარმოუდგენელია: ისეთ განსწავლულ მეფეს, როგორც იყო ვახტანგ VI, რომის პაპის და ლუბა XIV კარზე წარგზავნა ისეთი ელჩი, რომელსაც ქართლის გარდა სხვა ენა არა სცოდნოდა, ისეთ ეპოქაში, როცა ყოველმა დიკავანმა იცოდა ბერძნული და ყოველმა მეციანიბუმ არაბული, სპარსული ან თურქული.

ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, საბასაც ეპოთა სიკვამ არ დაეცალა უფრო დიდი მემკვიდრეობა დაეტოვებინა ჩვენთვის.

საიუბილეო ვითარებაში მისი მემკვიდრეობის შეფასებაც ძნელია.

როცა ასეთ დიდაკეს იუბილეუმს ვუხდით, შესაფერი დასკვნებიც უნდა გვაშევიტანოთ. ამ ოთხ ათეულში მრავალ დიდ მწერალს გადავუხადეთ იუბილე, მაგრამ უნდა ითქვას ჩვენს თანადროულ ლიტერატურას დასკვნები არ გამოჰქონდა, არც არაფერი დასტუბოდა მას.

ოცდაათნი წლებში მე გამოვედი დეკლარაციით, რომელშიაც ვაცხადებდი მივხედოთ საბა ორბელიანისა და მერჩულეს გეზს. ამ დეკლარაციამ ზოგიერთებს საბაში მისცა ემტიციუნა, თითქოს მე ამით შეთქვას: საბას ენით ვწეროთ მეოქი. ამავე წლებში ჩემგან დამოუკიდებლად სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლებიც გამოვიდნენ თითქმის ანალოგიური დეკლარაციებით, ე. ი. ძველ მემკვიდრეობას მივხედოთ.

საქმე ისაა, რომ დღეს საერთაშორიო კომუნიკაციების გაძლიერების მეოხებით იგრძნობა უსასტიკესი ჭიდილი ენებს შორის, თვით ისეთი ბუნდინერი პოზიციების ენაზე მომუშავე მწერალმა, როგორც იყო ანატოლ ფრანსი, რომანი დასწერა მე XVII საუკუნის ფრანგულზე და გერმანულზე პოეტმა არნო პოლცმა დაახლოებით ამავე საუკუნის ენას მოუსადავა თავისი პოემები „დადნის და სხვა სიმღერები“. ინგლისელ რომანისტს ჯეკს ჯოისს თავის რომანების მეტყველებაში შემოაქვს უძველესი ინგლისური და ირლანდიური სიტყვები. ამგვარად ჩვენს საუკუნეში თითქმის ყველა დიდ ლიტერატურათა წიაღში იგრძნობოდა ერთგვარი ანაბაზის, უკუქცევა ნაციონალური ენების ძველ მარაგისაკენ.

XIX საუკუნეში ილიამ და აკაკიმ განაახლეს ქართული ენა, მათ, რა თქმა უნდა, დიდი ღვაწლი დასდეს ქართულ მწერლობას, მაგრამ

თავიანთი მუშაობის პირველ პერიოდში მოუხდათ ნამეტანავად გამარტივება ლექსიკური ინვენტარისა.

მე აგრე მგონია, ქართული ლიტერატურული კრიტიკა ამაოდ აძაგებს გრიგოლ ორბელიანს, რომელიმე საყვედლო აჟადრა ჰაბუტებს.

ცხადია, აჯაის არ ეკადრებოდა მისგან „აკაკიები, ბაკაკიები“, მაგრამ იმის იქით რაც იყო თქმული: „მესხი, მეველე, მიღქაღები“ და მივეშაბებდი: გიორგი ერისთავები, ანტონოვები და კიდევ სხვანი, უპეველად რყვნიდნენ ქართულ ენას და მიაქანებდნენ მას პროვინციალიზმისა და ქარგონისაყენ. ქარგონიზება ქართული ენის და დიალექტიკური ლიტერატურისკენ ლტოლვა გრძელდება იმ დღიდან ამ დღემდე.

ვაჟა-ფშაველა ზოგჯერ განზე გაუდგებოდა ხოლმე გენერალურ ხაზს ქართული ენისას, მაგრამ ვაჟა გენიოსი იყო და რაც იუბიტერს მიეტყვება, ხარს არაჟინ აბატებს.

განა მარტო ქართულს, თვით ისეთ სვებედნორ მსოფლიო ენას, როგორცაა ფრანგული, ხელს უშლიდა მრავალგზის უნიჭო მწერლების მიღრეკილება დიალექტიკური მერტყელებისადმი.

ფრანგულ კლასიკურ ენასთან შედარებით მის დიალექტიკურ განშტოებას უწოდებდნენ Patois, რაიცა ნიშნავს „ათას“, ლაყბობას, დიალექტს.

ასევე ქართული მეცხრამეტე საუკუნისა და ნაწილობრივ ჩვენი ეპოქის მწერლობაც დაავადებულია ამ პატუას სენით.

ნიყო მარტი იყო არა მარტო უდიდესი ფილოლოგი, უარესად უპრინციპო კაციცა. თავის შრომაში, რომელიც მან გერმანულად გამოსცა „Die georgische Sprache“, რომელიც რატომღაც ჯერ არ გაუკრიტიკებიათ ჩვენს ფილოლოგებს, ლაპარაკობს ქართული ენის „გადემოკრატების საპირობის“ შესახებ.

დემოკრატიზმი პოლიტიკაშია კარგი და არა ენასა და უმაღლეს მათემატიკაში. ამ უბადლებულ დემოკრატიზმის შედეგი იყო ის ეპონურთი ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა მეოცე საუკუნის ზღურბლზე.

ეს თეორია მარჩისა ისე როგორც ზოგიერთი მისი ოცობედა თეორიები, რომელნიც სამართლიანად გააკრიტიკა აკადემიკოსმა არ-

ნოლდ ჩიქობავამ, გამოდინარობს მიერ აკვირებულ ველგარული მარქსიზმის პოზიციებიდან.

ამავე ბუდიდან აფრენილია მარჩის მიერ გამოგონილი „სამი ქართული ენა“, „დრამი გეორგიში შპრახენ“ უძველესი, საშუალო და ახალი. იგი აღარებს ამ მხრით ქართულ ენას ფრანგულსა და გერმანულს. ესეც უპეველად ტლანქი ანალოგიაა, ძველი ფრანგული, არც საშუალო არც „ალტლოიჩ“ არც მიტელოიჩ არ ესმის არც ერთ არა ფილოლოგ ფრანგსა და გერმანულს, ხოლო იაკობ ცურტაველს სკოლების მოწაფეებიც უღეშკიკონოდ კითხულობენ დღესაც.

ენა ისეთი რთული ფენომენია, როგორც თემატიკა, ან მუსიკა. სასაცილო იქნება ჩვენს აკადემიკოსებს მუსხელიშვილსა და კუბრაქეს მოვთხოვით ისე მარტივად სწერონ თავიანთი ფორმულები დიფერენციული ინტეგრალებისა, როგორც ამას ჩადიან შრომის სკოლის მასწავლებლები, რომელნიც A+B-ს ასწავლიან ბავშვებს.

გამოთქმის ტექნიკა, ისე როგორც ყოველი ტექნიკა, მარტივიდან რთულსაყენ წინსვლია და არა პირუტყუ.

ქართული ენა ამჟამად შეჭიდებულია უდიდეს ამოკანებს. მან უნდა გამოსეპნოს ჩვენი ინდუსტრიული ეპოქის ყოველივე ნიუანსის შესაბყვისი. ქართულ ენაზე დღეს იწერება შრომები ადამიანური ცოდნის ყოველი დარგიდან. სად უნდა ეიოს მან კრედიტი? მხოლოდ და მხოლოდ მის ძველ მარაგში და დიალექტურ განშტოებებში, რადგან ჩვენ სხვა კრედიტორები არა გვყავს.

ამითაც საგულისხმოა ჩვენთვის საბა ორბელიანი, რომ მან ეს მარაგი შემოგვინახა.

ძველი და ახალი პირობითი ცნებებია, კაცობრიული კულტურის ფორმირებას ალბათ მრავალზე მრავალი ათასი წელი დასჭირდებოდა. ჩვენ უნდა ვიამყოთ იმითაც, რომ ქართული ენა სულ ორი ათასი წლის ვაყაცია და ამ ვაყაცის დიდი მზრდელი და მეურვე იყო საბა ორბელიანი, რომლის ცხოვრება იყო წამებაი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის განცდილი, ხოლო შემოქმედება მისი — ქებადი დიდებულისა ქართული ენისა.

ტფილისი. 1959 ოქტომბერი



## მოხია პაჭკორია

### „ნისლი ნახატარის ტყეში“

ლევან ვოთუას ახალი მოთხრობის „ნისლი ნახატარის ტყეში“ — პირველი გვერდიდანვე ნათლად გამოიკვეთება ძირითადი თემა, — შემოქმედის დამოკიდებულება რეალობასთან, ზღვარი გამოგონილსა და ნამდვილს შორის, რომელსაც მოყვება პარალელური თემები: ხელოვანი და სიყვარული, ხელოვანი და ბუნება, ხელოვანი და ცხოვრება; და მაინც ძირითადი მოთხრობაში შემოქმედებითი პროცესის გახსნაა, — შემოქმედში არსებული ორი საწყისის, შემოქმედებითი ინსტიქტის და ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მისწრაფებათა ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანების ცდა.

როგორ იწერება მოთხრობები? საკითხი იჭრება სუბიექტურ ძიებათა და მიგნებათა განზოგადობის, ერთგვარ დებულებებში ჩამოყალიბების გზით.

ეს თემა მოითხოვს უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიზმს, ღრმა, ანალიტურ წვდომას, ყოველ წვრილმან რეაქციას, ქვეშეცნულ განცდათა და აღქმათა ამოზიდვას და ყოველივე ამის ბუნებრივად ჩაწენას მოთხრობის ქარავში ისე, რომ მან არ მიიღოს პუბლიცისტის ხასიათი. ავტორი ირჩევს სწორედ ამ გზას. იგი საკუთარ განცდათა და რომანტიკულ, რამდენადმე ტრაგიკული ამბის ფონზე შლის და აყალიბებს თავის წარმოდგენებს შემოქმედების, სინამდვილისა და გამოგონილის შესახებ, ცდილობს პარამონულად შეათავსოს ადამიანი და შემოქმედი პიროვნებაში და აღნიშნოს, რა სავალალო შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი პასიურმა დამოკიდებულებამ ცხოვრებისადმი, როდესაც იგი თავის აქტივობას ილუზიისა და თუნდაც მხოლოდ დაკვირვების სფეროში გამოეკეტავს.

„ახალგაზრდა მწერალმა შექმნა მოთხრობის „პირველქარავა“, როგორც მას ავტორი უწოდებს, გამოიგონა გმირები, ამბავი, კვანძი, ერთი სიტყვით გააკეთა ყოველივე ის, რაც შემოქმედის ფანტაზიაში წარმოსახება. შემ-

დეგ აიღო თავისი მოთხრობის „პირველქარავა“, თავისი გამოგონი, აღიჭურვა ტურისტის რეგალიებით და გავიდა გზაზე, რომ რეალური, ე. ი. ცხოვრება მოერგო თავის გამოგონისათვის. იგი წინდაწინვე განუწყობ დაენახა. მხოლოდ ის, რაც მწერლის ფანტაზიამ ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად წარმოსახა. აღქევა მხოლოდ ის, რაც უკვე ფორმა შესხმული იყო მის წარმოდგენაში. ერთი სიტყვით მოხდა პირუტყ, მწერალმა თავისი შემოქმედება ცხოვრებაში გაიტანა და წინასწარ განსაზღვრა სინამდვილესთან დამოკიდებულება.

პირველივე ნაბიჯებისთანავე ცხოვრება თავისი რეალობით იჭრება შემოქმედებაში და მწერალი იბნევა. მისდა უნებურად მის წინაშე დგებიან პრობლემები შემოქმედების შესახებ და იქნებ პირველად თავის სიცოცხლეში იგი უფიქრდება, თუ როგორ იწერებთან მოთხრობები. ყოველდღიურობაზე დაკვირვებით მწერალი აღწევს აზრის სიმაღლეს და ადგენს, რომ გზა ღრმა წვდომათა და მიხედვრათა არ ყოფილა განყენებულ მსჯელობათა ანალიტური კომბინაციები. მის შემოქმედებაში იჭრება გამოცდილება, მაგრამ სანამ იგი ჩამოყალიბებდეს თავის კონცეფციას, ცხოვრება იწირავს მსხვერპლს და არა ერთს.

დაუბრუნდეთ „პირველქარავს“, პირველ პირს მოთხრობისა, რომელიც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. პირველივე სურათი, რომელშიც მისი წარმოდგენა უპირისპირდება სინამდვილეს, მნიშვნელოვანია. შეხვედრა შოფერთან, რომელმაც იგი არ წაიყვანა, უკვე არღვევს ჩაფიქრებული მოთხრობის არაერთ დეტალს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მომავალი ნაწარმოების თემას. ამ წერტილიდან იწყება მისი შეხვედრები სინამდვილის ვითარებებთან, ადამიანებთან, ბუნებასთან. მწერალი თავს აღწევს თავის ილუზიითა გარეს და შედის ცხოვრების სიღრმეში, წააწყდება ცხოვრების ხეს, მოხუც მეტყვევის მიერ დარგულ კაკლის ხეს და „აქ-



ლების თავზე მტერევა“, ახალ-ახალ ცხოვრებისეულ კემპარტებთან აღმოჩენაში, თანდათანობით ამირკვევებს მის წარმოდგენებს. თანდათანობით იბადება მწერლის არსებობაში გაურკვეველი შიში მომავლის წინაშე, შიში აღამიანთა ბედისადმი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის მოზაღებელი ერთი ხელის მისმით უარეოს თავისი ილუზია, ჯერ კიდევ ებღუშება თავის წარმოდგენებს და იმეორებს თავს ცრუ აზრით, თითქოს შემოქმედი განსაკუთრებული, განყენებული პიროვნებაა და იგი კი არ უნდა დავიდეს ცხოვრებამდე, ცხოვრება უნდა ამაღლდეს მწერალამდე, ამოვიდეს თუნდაც აქ, ნახატარის ტყეში; და ასეც ხდება, სინამდვილეს თავისი კანონზომიერება ახასიათებს, მისთვის ძნელი არ არის ხელყოს ილუზიებით გართულ პიროვნების თვითდამშვიდება, იგი მიიღის შემოქმედთან, მაგრამ ბოლომდე არა, მზროლოდ ირანე გადისწევს მწერლის ირგვლივ შემოხვეულ ცრუ წარმოდგენათა სუსტ აბლაბუდს და დააყენებს მას გადაფასებთა და დასკვნათა წინაშე.

ავტორი თანდათანობით იწყებს. ჩამოყალიბებას თავის გმირის კონცეფციისა, იგი არ სტოვებს თითქმის არცერთ მხარეს შემოქმედებითი პროცესისას იმ საზღვრებში, რომელიც აინტერესებს, ამომწურავად ამუშავებს მოთხრობის შექმნის სურათს და მოთხრობა იწყება ცხოვრებასთან ერთად. ეს იგივეა, რაც ავტორისტული — „გულწრფელად რომ ვთქვა, აღარ ვიცი სად თავდება სინამდვილე და სად იწყება თავისუფალი შემოქმედება“. — ზღვარი მათ შორის არ არსებობს. მაგრამ ვრცელი და მტივიწუნული გზა ამ დასკვნამდე; იგი არ მოიძიება ისე უბრალოდ, როგორც ოდესღაც დამწყებ მწერალს ეგონა. „პირველქარგის“ ავტორი კი ფიქრობდა, რომ მის მიერ გამოგონილი რეალობაა, რადგან რეალობას განსაზღვრავდა საკუთარი არსებობის ემპირიული შეგრძნებით და ფიქრობდა, რომ მის წარმოდგენაში მთლიანად იყო ჩატეული ობიექტური გარემო, მას ცხოვრება ეგონა თავისი წარმოდგენის პროდუქტი, იგი ზოგჯერ პრიმიტიულადაც კი უღგებოდა საკითხს — „ბოლოსდაბოლოს ცხოვრება ერთ თარგზე აპრილი და შეეკრის ფეხსაცემლია, დაბადება, მოკლე ახალგაზრდობა, გრძელი სიბერე და სიკვდილი... მე თითქმის ყველაფერი ვიცი... თითქმის ყველაფერი შემოძლია...“ ასეთ კლასიფიკაციას ახდენს და ასეთ შეფასებას აძლევს თავის შესაძლებლობებს იგი.

მაგრამ ამ ემოციურ შეცდომას სინამდვილე მალე შეაჩყვეს, მას აზროვნებაში ჩნდება წმიდა ინტელექტუალური ხარევი — მე არ ვიცი, მე ყველაფერი არ შემოძლია. მაშინ იგი

მთელი სიღრმით იწყებს ფიქრს შემოქმედების შესახებ.

მოთხრობის გმირის შეხედულებანი მწერლობის შესახებ განფენილია მთელს ნაწარმოებში და მათი ამოკრევა საკმაოდ ძნელია, თუნდაც იმიტომ რომ მოთხრობას ახასიათებს განცდათა აღწერათა და მსჯელობათა სიუხვე, ზოგჯერ ზედმეტი გადაამიმბედაც, მეორე მხრივ თავისებური დამოკიდებულება ავტორისა სიტყვისადმი ხშირად აძნელებს მეთხველისთვის არსის წვდომას; საჭირო ხდება ჯერ ლექსიკურ და სტილისტურ სიბრუნველთა დაძლევა და აზრის სადალ წარმოდგენა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენიათა გამართლებული ავტორის მანერა სიტყვიერი მასალის გამოყენებისა, ერთგვარი სიტყვაუხვობა, რამდენადაა ბუნებრივი მოთხრობის ენა და გამართლებული სტილის თავისებურება. მაგრამ დაეუბრუნდეთ ძირითად თემას.

ავტორი მოთხრობაში აყალიბებს თვალსაზრისს მწერლის დანიშნულებასა და როლზე, იგი ეხება ზომიერების გრძნობას, როგორც აუცილებელს, რომელიც შემოქმედს აძლევს საშუალებას გაწმინდოს მოთხრობა ზედმეტი დეტალებისაგან, არ დაარღვიოს მხატვრულობის საზღვრები, არ გადააქციოს დრამატული სენტიმენტურად, დაიცვას შინაგანი წონასწორობა, რომელიც საჭიროა მწერლის ზომიერსათვის და მოვლენათა ობიექტური შეფასებისათვის. სულ რაოდენ გვერდის შემდეგ არღვევს თავისი გმირის მცდარ შეხედულებას, ცხოვრების ერთ თარგზე აპრისა და შეეკრვის შესახებ.

„ყველას თავისი გზა და გაუმეორებელი თავგადასავალი გააჩნია“ — აცხადებს მოთხრობის გმირი და ეს იგივეა, რაც ცნობილი დებულება — ყოველი გზად გამვლელი თემა და სიუჟეტი — ამდენად ერთი თარგი არ არსებობს, არსებობს ზოგადი კანონზომიერება და ბადების, „მოკლე ახალგაზრდობის“, „გრძელი სიბერის“ და კვდომის შესახებ და მწერლისათვის არსებობს მხოლოდ „მოკლე ახალგაზრდობა“ და „გრძელი სიბერე“, — „თავისი გზა და გაუმეორებელი თავგადასავალი“, — რომლიდანაც იგი შეეფასებს დაბადებასაც და სიკვდილსაც.

იქვე ქვევით იგი სწერს — „აი მწერლის ადგილი — ყველგან გგრძნობდნენ და არსად ჩანდი! — შენ კი სახადე, წუდებოდე ყველაფერს, მაგრამ სასიკეთოდ“. — და შეგონება: — „მე მივხვდი რომ ყოველი სიტყვა ქვეყნივით არის, რითაც აავსებ იგივე დაღვირვება“.

მოთხრობაში უხვალაა ამგვარი შეგონებანი და შეხედულებები, ეს წარმოდგენს მოთხრობის წმიდა შემეცნებით ნაწილს და თან დაერ-



თვის გმირის პიროვნების ჩამოყალიბებას. გარკვეული სურათი, განწყობა თუ ნაფიქრი ლოგიკურად შეიკვრის ამდაგვარი დასკვნებით. ყოველივეს რასაც გმირი გრძნობს თავის მდგარ შეხედულებებს, გარდაფასებათა აუცილებლობას და სხვა, უბრალო მოხუცი, ჩვეულებრივი ტყის მცველი ბარათა ნათლად აყალიბებს.

— „შენ შევიღოსა... სხახზე და შენი ამბისთვის ცხოვრების მისადაგება გწავს. ნამდვილად კი სწორედ უკლამა ხდება — ყოველი ჩვენთაგანის ბედი და ამბავი ცხოვრების კლავოტში ითხზება და მას ესადაგება თავიდანვე. შენს კალამს ერთი ფერი და კვალი გააჩნია, ცხოვრების თითო ამბავში კი ათასი ცისარტყელა და გველქრელი თავს იყრის, ერთად იფრინება...“

შემოქმედებითი პროცესის წედომა და გააზრება რთულია, ხოლო ყოველი შემადგენლის პოვნა და უბირველეს ყოვლისა რეალობასთან მწერლის დამოკიდებულების საბოლოოდ დადგენა დიდ გამოცდილებას მოითხოვს, აღრევა ილუზიურ და რეალურ სამყაროსი, რაც ბუნებრივია შემოქმედისათვის მყარი იდეოლოგიისა და გამოუმუშავებელი მეთოდის გაჩემ შესაძლოა წინააღმდეგობის სათავედ იქცეს. რასაკვირველია, არსებობენ დებულებები მწერლის მოვალეობისა და სინამდვილესთან დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ დასკვნა მიღებული შინაგანი ევოლუციის, წინააღმდეგობათა დაძლევის, შეცდომათა აცილების და საკუთარ დემო სათანადოდ გარკვევის შედეგად უფრო დამაჯერებელია და სწორედ ამ გზით არის მიღებული მოთხრობის გმირის დანასკნვი: „მწერლობა კი მარტო ნიკი როდია, არამედ ხასიოდა და გამბედაობაც“. სწორედ აქამდე მისივე საკვირობისა მოთხრობის გმირი, რომელიც კარგახანს ვერ ბედავდა აქტიურად ჩართულიყო მოვლენათა მსვლელობაში, ფიქრობდა, რომ მისი მოვალეობა საბოლოოდ ქვრეტა და თვალის დევნებაა.

„შემოქმედება თავთან ბრძოლაა, სხვასთან ბრძოლა, სინამდვილესთან ბრძოლა! ერთილა გამომჩხა, მაგრამ მაშინ ეს არ ვიცოდი — მარტო ბრძოლა რა ბედენაა... თავიდანვე უნდა იყო ახლის მეტყველი, მართლის მეტყველი, ცხოვრების გაკეთილების მცველი და მღალა-დებელი... და არც ეს ქმარებულა — შეგნება კიდევ არ ნიშნავს შეძლებას, თუმცა მისი ნახევარი კი მუდამ არის!“

მწერლისათვის აუცილებელია მოვლენათა სიღრმეში ყოფნა და მონაწილეობა, მაგრამ აუცილებელია მოვლენისადმი ობიექტური მიდგომის შენარჩუნება.

მოთხრობის გმირი კი დასაწყისში მეორე უკიდურესობას ირჩევდა, იცო ეძებდა თავის

გმირებს თავისი წარმოდგენის მიხედვით. მწერლობდა რომ მოთხრობის დაწერა რამდენადმე ლაბორატორიული მეთოდით შეიძლებოდა, იგი აყენებს ცდებს, უთავისუფლებს რეაქტივებს და ახდენს მხოლოდ ფიქსაციას, თვით კი იზოლირებულია. მისი კონცეფციის სიმცირაგს მტკიცეული შედეგი მოყვება, ხოლო იმ აზრის საუკეთესო ილუსტრაცია, რომ — „შეგნება კიდევ არ ნიშნავს შეძლებას“ თვით მოთხრობის გმირია.

ყოველივე ზემოთ მოყვანილთან მჭიდროდა დაკავშირებული სიყვარულის თემა. მოთხრობის გმირი ერთგან აცხადებს — „მაყვალა კი გაბედულად შე არასოდეს არ მყვარებია... მაგრამ გაუგებარი სიყვარული უფრო ძნელია, უფრო მძაფრია, უფრო უბედურია...“

რამი მღგამარობს „გაგებული სიყვარული“, ანდა „გაუგებარი სიყვარულს“ სიმენული? მოთხრობის მიხედვით „გაგებულ სიყვარულს“ ერთგვარი ტრევიალიური სახე აქვს, ხოლო „გაუგებარი“ აყენებს საკითხს — ხელოვანის დამოკიდებულებას სიყვარულისადმი.

ძნელია იმის მტკიცება, თითქოს მაყვალას შეგნებული ქონდა ამ „გაუგებარი“ სიყვარულის სირთული, მაგრამ მისი ურთიერთობა ჭაბუკ მწერალთან ნაწილობრივ მაინც ვანსაზღვრა სწორედ ფსიქოლოგიურმა ელემენტმა, მაყვალა ხდებდა, რომ იგი მწერლისათვის არა რეალურად არსებულ, ჩვეულებრივ ქალს წარმოადგენს, არამედ მისი ოცნებისა და რეალობის სინთეზს და რომ რეალური, ჩვეულებრივი მაყვალა ვერასოდეს ვერ დაიმორჩილებს ამ კაცის გრძნობას, თუნდაც იმიტომ, რომ ძნელი მისახვედრია, ვინ უყვარს მოთხრობის გმირს, ქალი თუ თავისი ილუზია ქალის შესახებ!

„...ის მოთხრობას სწერდა, გმირებს დაეძებდა, მე კი ბუდაზე ვფიქრობდი და არც გმირი ვიყავი...“ — ეუბნება მაყვალა ავტორს. ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭაბუკი მწერლის მეთოდმა. იგი ცდილობს მაყვალა „მოარგოს“ თავის წარმოდგენის ქარგას და ვიდრე გაერკვევა თავის გრძნობებში, იპოვნის გზას ჩვეულებრივი, რეალური ქალისკენ.

მკითხველისათვის ძნელია მაყვალას ფსიქოლოგიური არსი წარმოიდგინოს და თვალის გაადენოს მის გრძნობათა ლოგიკურ განვითარებას.

მეტად თუ ნაკლებად გასაგებია მისი დამოკიდებულება მწერლისადმი, რომელიც გრძნობის, სენტიმენტალურ-რომანტიკულისა და რეალობის ჯანსილი შეგრძნების შორის დგავა, გაუგებარია ურთიერთობა მახათოლთან, პირველივე შეხვედრისათანვე ურთიერთობაში იჭრება ძალადობა, იძულება და შანტაჟი, მაგრამ



რატომ ემორჩილება ქალი ყოველივე ამას უღრტივინელად, გაურკვეველია იქნებ ეს გამართებელი ქალური ინსტიქტია, რომელიც თვით მყავალამ გამოხატა — „მე კი ბუდეზე ვფიქრობდი...“ — და მოეჩვენა, რომ „ცხოვრების ნიჭით“ დაჯილდოვებული, საქმოსანი ტუხა მახათელი უფრო შესაფერია მისთვის და ცხოვრებისათვის, ვიდრე მეოცნებე ჰაბუკი შეყვარებული ბუნებაზე, სიყეთის ზოგად ცნებაზე და თავის ფანტაზიაზე.

მაყვალა ელის აქტიურ მოქმედებას, ელის ავტორისავე თქმით „გაგებულ სიყვარულს“. მაგრამ მწერალი იგვიანებს, იგი უფრო შემოქმედების ავ-კარგინაობის გარკვევითაა გართული, ვიდრე ცხოვრებით. მართალია ზღვარი შემოქმედებასა და ცხოვრებას შორის თანდათანობით იმუღება, მაგრამ სანამ ჰაბუკი საბოლოოდ გაერკვევა, აღამიანები იღებენ მსხვერპლს, მარცხდებიან და ისევე დგებიან ფეხზე, რომ განახლონ და განავრძონ თავისი საქმე.

მაყვალა და ჰაბუკი მწერალს აერთიანებთ ანკარა წყაროსთვალს, სიწმიდის სიმბოლოური გამოხატულება, რომელშიც ტუხა მახათელი ქვას ავლებს და ამღვრევს. წყაროსთვალ მიწის ქვეშა დინებად იქცა, ნახატარი ნატყუვარად, მაგრამ ჰაბუკი მწერალი, რომელსაც ცხოვრებამ თავზე „ბუდე“ კაკალი დამატერია“, კვლავ პოულობს წყაროსთვალს, მისი შიში მომავლისადმი ქრება. ნახატარის ნერგები იმეორებენ ნახატარის ტყეს. ოღონდ ერთია: ხელოვანი სხვის მიერ ამღვრეულ წყაროს გასუფთავებით ვართული პალიტრად უცქერის როგორ ამღვრევს ვიღაც ცხოვრების დინებას, ვერ პოულობს ძალას აღუდგეს წინ ბოროტებას, რადგან ბოროტების არსი მისთვის გაურკვეველია.

შემთხვევითაა როდია ის გარემოება, რომ ჰაბუკი მოხუც ბარათს ოჯახში და პატარა ნუკრიასათვის ზღაბრად იქცა, თქმულებად კაცის შესახებ, რომელიც დიდ სიკეთესა და სამართლიანობას ატარებდა თავის თავში. მას ელის მოხუცი ბარათაც, რომ უჩვენოს, როგორ განახლდა ტყე, როგორი უსუსურია ტუხა მახათელი დარღვევის სიციცხლის დინება, და, თუ გარკვეულ მონაკვეთზე ახერხებს ამას, ეს დროებითია, რადგან დროებითია მგლის კანონისა და „მეგლკაცის“ გამარჯვება.

სიკვლისხმოა მოთხრობის გმირის წერილები, აი იგი „გაუგებარი სიყვარული“, სიყვარული საერთოდ, მოკლებული კონკრეტულ საგანს.

— „მე ნახატარის დაბურული, იქნებ განწირული ტყე ვარ.. შენ კი — არავი!“.

— „შენ არავი ხარ, მე კი ნისლი, რომელიც გარს გებურე და ჩემსვე ბურუსშივე მკარგებოდი“.

— „შენ ძირფესვიანი, მსხმოიარე ნაკვალავი იყავ, მე — მშრალი ხევი“. სიმბოლოურმა სათქმელის ჩინებელი ნიმუშია ჰაბუკი ჯერ კიდევ არ არის მისული სისადავის სიბრძნემდე. მისთვის სიყვარული ბუნდოვანია, ხოლო მისი გამოხატვის ფორმა მალაფარდოვანი, რა უფრო უყვარს ჰაბუკს, თავისი წერილები თუ თავისი სიყვარული? რასაკვირველია, თავისი წერილები და ილუზია. აქ თავს იჩენს ტრადიციული და მცდარი გაგება ხელოვანის ბუნებისა, როგორც რაღაც განყენებულის, ობიექტურ გარემოს მოწყვეტილის და ამიტომ თავისებური, გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ენიჭება ავტორისეულ მიძღვნას ახალგაზრდა მწერლებისადმი:

— „შენ არავი ხარ, მე კი ნისლი, რომელიც გარს გებურე და ჩემსვე ნისლში მკარავებოდი“ — ნათლად გამოხატავს „გაუგებარი“ სიყვარულის სიმამფრესა და ტყივოს. ამ სიტყვებით გმირი თვითვე ხსნის თავის ბუნებას. „ჩემი ბურუსი“ — ძიებნა, განცდათა და წინააღმდეგობათა არეა, რომელიც გამოცდილებამ და ცხოვრებამ უნდა დაწმინდოს, დახვეწოს, აღადგოს წყაროსთვალზეთ ანკარა და გააქირავლე.

აღმაფრენით და რომანტიკითაა საცხე მოთხრობის გმირის დამოკიდებულება ქალისადმი, მალაი პოეზია მძლავრ ნაკადად ჩქეფს ამ ურთიერთობაში. პარალელურად ვითარდება მეორე თემა — ტუხა მახათელი, პრაქტიკოსი.

მაშინ, როდესაც იქნებოდა „პირველქარგა“, ცხოვრება სქემას გავდა. „პირველქარგა“ თანდათანობით ფარავს ნამდვილი ცხოვრება და მოთხრობა იწერება არა ქაღალდზე, არამედ შეგნებაში და გულში.

ტუხა მახათელი ცხოვრების ბნელ მხარეთა გამოხატველია, ავტორს ახასიათებს ყოველი წერილმანი მოვლენის სიმბოლოურად გამოხატვის ტენდენცია. მახათელი კი ბოროტების სიმბოლოური ხატია, ამ კაცში არ არის არაფერი ისეთი, რომ მიუთითებდეს აღამიანურ ღირსებებზე. მკითხველმა პირველი შეგნებისთანავე იცის, ტუხა მახათელი ბოროტებაა და იქნებ ეს გარემოება ნაწილობრივ უშლის ხელს მას მახათელის რეალურად წარმოადგენაში. ყველაფერი, რასაც კი მოიმოქმედებს ეს კაცი მკითხველისათვის ავკაცობის ნიშნის ქვეშ ვითარდება და მიუხედავად ავტორის ცდისა მისცეს მას გარეგნული ხილამაზე, შექმნას ერთგვარი წინააღმდეგობა მის ბუნებასა და მის გარეგნობას შორის და ამით გააბუნებრივოს იგი, — შთაბეჭდილებას ვერ ცვლის. გრძნობა სქემისა მაინც რჩება.

ტუხა მახათელი გასაგებია როგორც ბრაკონიერი, მომხვეჭი და მიმტაცებელი, მცხოვრები





მგლის კანონით, რომლისთვისაც ადამიანური მორალი არ არსებობს, მაგრამ როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მაყვალასა და ტუხას ურთიერთობა, როგორც ავტორი უწოდებს, მათი „გაგეზული“ სიყვარული გაუგებარია. რატომ ვხვდებით ასეთ წინააღმდეგობას სურვილისა და მოქმედებას შორის, ძნელი ასახსნელია, რადგან სათანადოდ არ არის გაშუქებული ფსიქოლოგიური მხარე ურთიერთობისა.

მოთხრობაში წარმოიშევა სამკუთხედი — მწერალი-მაყვალა-მხატველი. ურთიერთობათა ძაღები ვრცელდება ორი მხრივ. მაყვალა და მწერალი, — ამალღებულო, ნიადაგს მოკლუბული, „გაუგებული“ სიყვარული. მაყვალა და მხატველი, — პასიური დამორჩილება, მორალური ძალადობა და მცდარი სწრაფვა „მყუდრო ბუღისაკენ“.

მხატველი იმთავითვე აღტურვილია მგლური თვისებით პარმონიის დარღვევისა, ადამიანების ყოფაში მოძალადობრივი შეტრისა. „ცხოვრების ნიჭი“ აძლევს მას უნარს გახდეს აუცილებელი იქაც კი, სადაც მის მიმართ ანტიპატიურად არიან განწყობილი. ეს კაცი კინოდარბაზში სხვის ადგილზე დამჯდარს ვაგს, რომელიც თავისი თავზიანი ღიმილითა და გარეგნობით განაიარალებს ადგილის პატრონს და აიძულებს უდრტიენეულად შეურიგდეს ადგილის დეკარვას.

რაციფთა პაქრობას ოღნავ გულბრყვილო იერი დაკრავს.

ბროლის ტოლისა და თიხის კოკის დავა თითქოს რაციფთა ხასიათს გამოხატავს. გარეგნული ელვარება, რომლის მიღმა ძნელია დანახვა ქეშმარიტი ბუნებისა, ხელოვნურად შეთვისებული ცივილიზაცია და თავის მიწაზე შეყვარებული, თიხის კოკასათუ სანდო და ქართული სულით აღსავსე ჭაბუკი, მათი ურთიერთობა სიმბოლურ გამოხატულებას პოულობს როგორც კოკასა და ტოლის დაპირისპირებაში, ასევე წყაროსთვალთან დამოკიდებულებაში, ან ნახატარის კურდღლისა და ძეირის დაქრის სცენაში.

სცენა არაგვის პირს, ორი მამაკაცის ჯიბრი ერთი და იმავე დროს ღრმა აზრისა და ერთგვარი ინფატილობის შემცველია. ამ ჯიბრისას მთლიანად იხსენება გმირების ხასიათები. ტუხა მხატველი ნათლად გამოხატავს თავის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას — „მზგელთან მგელი ვარ, ირემთან ირემი“. — მხატველი დამარცხდება არაგვთან ბრძოლაში და ჩაითრევს მწერალს მორკეში, ხოლო ჭაბუკი მწერალი მას ვადაარჩენს, ამოათრევს წყლიდან. აი, მათი ხასიათის თავისებურება და სხვაობა მათ შორის. ერთი მთელი თავისი არსებობა სიყვითისთვისაა გამზადებული, მეორე, ეგოიზმის, ქიშპისა და გზის

გაკაფვის შინითაა აღტყინებული და არაფერს არ თაკილობს არაფერს. ამ კაცს უბრინცილობა პრინციპად ვადაუქცევი“ და „ორკენკინი“ ხელებით მხოლოდ მოგებაზე ზრუნავს. მისთვის არ არსებობს მორალი, ხოლო ამორალიზა უყიდვავია, მას შეუძლია იყოს ქვებუდანი, ფრთხელი, ალერსიანი, თუ გრძნობს, რომ მისთვის ბუნებრივი უხეშობითა და ძალადობით ლელოს ვერ გაიტანს. მხატველი მოხერხებულადაა მიტმასნილი საზოგადოების ნაძირალებს, არ არსებობს ბოროტება, რომლის ჩაღნაც არ შეეძლოს. მწერლი ვერ შერიგებია აზრს, რომ ბოროტებას შეუძლია თუნდაც ცხოვრების მცირე მონაკვეთზე იხვიმოს. ტუხა მხატვლისთვის არ არსებობენ ადამიანები, პატრონება, სამშობლო, მას არ ძალუძს იგრძნოს შმობლიური მიწის სილამაზე და შეუძლია მოკლას იგი, მოკლას ადამიანი, ბუნება, სიყვარული. მას ატროფირებული აქვს პატივისცემის გრძნობა ადამიანებისადმი. ტუხა მხატველი იწირავს მსხვერპლს. ბოროტება, რომლის არსებობა დაუშევს ადამიანებმა, იწირავს ადამიანებს. ბოროტებას სანაცლო მიუზღვის, მაგრამ ფაქტი მისი არსებობისა თავისთავად უკვე ტრაგიკულია და ტრაგიკულ შედეგსაც გამოიღებს.

მთელი მოთხრობა, ყველა კენამ, ფსიქოლოგიური წიაღსევა, „ბრძოლა სინამდვილესთან“, ოცნება და სინამდვილე, იშლება ბუნების ფონზე, სცენა, რომელზედაც მიმდინარეობს მოქმედება ნახატარის ტყეა, ქართული ბუნების წიაღი, წუხილი ადამიანთა ბედის შესახებ შერწყმულია წუხილითა ბუნების შესახებ. მოთხრობის გმირის დამოკიდებულება ბუნებასთან თავისებურია. აქ არ ვაქვს არც ვაპიროვნება, არც ფილოსოფიურ კატეგორიათა ბუნებაში ავშლა, ბუნება მოთხრობაში ცოცხალია და მაინც დეკორატიული, იგი იძლევა მასალას სიმბოლიკისათვის, როგორც კაკლის ხე — ხე ცხოვრებისა, ადგილის დედა, არაგვი, წყაროსთვლი, ნახატარის კურდღელი, ყოველი მათგანი გამოხატავს გარკვეულ სიტუაციას, განწყობას ან სიმბოლოს. ბუნება არსებობს იმდენად, რამდენადაც აქტიურია მისადმი გმირთა მიმართება. მოხუც ბარათასთვის იგი სიცოცხლის ნაწილია, მაყვალასთვის წიაღი, რომელშიც იგი წარმოიშევა და გაიშალა, ჭაბუკი-მწერლისათვის ესთეტური ტუბობის სავანი, შმობლიური მიწის გამოხატულება, ტუხა მხატვლისათვის შემოსავლის წყარო, მოქმედების არე, რომელშიც, აღმაველი ტექნიკის ლოზუნებს ამოფარებული, უხეშად იჭრება. ავტორის ჩინებულად აქვს გამოხატული თავისი შმის ცივილიზაციის და ტექნიკის მინაღწევართა, ზოგჯერ უფუნერთა ხელში მოხვედრის წინაშე, როდესაც ტექნიკის განვითარება წინ უსწრებს



ადამიანის შეგნებას, ამდგომარ წინააღმდეგობას შეუძლია სავალაოდ შედეგის გამოღება.

„მართლაც ტექნიკურმა განვითარებამ ბევრად გააღწირო სულიერ კულტურის სითანადო მომწიფებას... აქ დაირღვა დიდი ზნეობრივი წინასწარობა და ბევრი მანქანაში თუ თვითმფრინავში მჯდომი, თავისი სულიერი განვითარებით და შეგნებულობით ჯერ კიდევ ქვის ხანაში იმყოფება.“ — ტუხა მახათელის თქონს „ტექნიკის განვითარებამ ბევრად გააღწირო სულიერი კულტურის სითანადო მომწიფებას“.

სამშობლოს სიყვარული მისი ბუნების სიყვარულია, ბუნების გულზე დაღვლილი გეგმაზომიერი და გაიმზინელი გამოყენებაა. ბუნებასთან ურთიერთობაში კი ზოგჯერ თავს იჩენს ორგვარი დამოკიდებულება: ტურისტული, რომელიც ჰაბუტ-მწერალს ახასიათებს მანამ, სანამ უშუალოდ არ შეეხება ტყვიისა და ხიფათს. რომელიც ბუნებას ემუქრება, და ანგარიშისანი, გულგრილი და დამღუბელი, როგორც ეს ტუხა მახათელს ახასიათებს.

ავტორისათვის ბუნება ჩანადიერის ხატებში გაშლის დაუმრეტელ მასალას იძლევა და იგი ოსტატურად იყენებს მას, ყოველი ვანწყობის, შექმნილი სიტუაციის, გმირის ხასიათისა და წინათგონობის შესატყვისის ბუნებაში პოულობს და შემოაქვს ნაწარმოებში, როგორც ილუსტრაციები. იგი ბუნებასთან დამოკიდებულებას გარკვეულ მსოფლმხედველობად აყალიბებს.

მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი ბუნებაზეც ვრცელდება. მისთვის ადამიანების ყოფა და გარემო, რომელშიც ცხოვრება მიედინება, პარონულია და განუყოფელი. მოხუც ბარათას სიბრძნე, ქართული მიწის სიბრძნეა, იგი ისევე ფესვგადგმული მიწაში, როგორც მის მიერ დარგული კაკლის ხე, ისევე აჩერებს ზეაფსა და მოშვებებს, როგორც მისი მუდღის მიერ გაშენებული ადგილის დღეა. იქ სადაც ბუნება, ადამიანს არ ემუქრება მართობა, აი მოხუცის სიბრძნე. მისთვის ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ადამიანით აბლობელია, რადგან იცის, რომ ხეები და ბუჩქები ადამიანს ბედნიერებას ანიჭებენ.

გზაზე კი მოძრაობა, მანქანების ქარავანი, ახალი ცხოვრება მალა და მალა მიიწევს და ბარათას არ ეშინია მისი, იგი თავისი ბუნებით კონსერვატორი არ არის, მან იცის ამ გზით ამოსული დახვედრილს უნდა შეერწყას, რომ ამ გზით მოდიან ჰაბუტ მწერლისა და მეოცნებე მძღოლი გავას მსგავსნი. ბარათას ტრაველია ღრმა და მძაფრი, ტუხა მახათელს მოაქვს განადგურება და ტყვილი. მაგრამ ბუნება უკვდავია და მასთან ერთად უკვდავია ბუნების კაციც, რომელიც თავის ტყეს მკვდრე-

თით აღადგენს, ხოლო მწერალს უბრუნებენ მანქანაში გატეხილი ხალხს სანაცვლოს, რომელიც მძღვარმა, მაგრამ უცოდნელმა ხელემა გადასტეხეს.

ნახატარის ტყე გადააშენეს, მყავალა არავებე წვიდა და აღარ დაბრუნებულა, ჰაბუტ მწერალს ცხოვრებამ ბევრზე ბევრი კაიალი ამტერია თავს, მან მოიარა შორეთი, გზებზე ხეტიალმა და ცხოვრების გაცნობამ შესძინა გამოცდილება. თუმცა ცხოვრების გაცნობა კითხვის ნიშნებს არ ამცირებს, პირიქით, ამრავლებს მათ. მაგრამ მწერალმა უკვე იცის, რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება, როგორც მწერლისა და როგორც ადამიანის. იგი უბრუნდება ნახატარის ტყეს. მახათელი გაქრა ცხოვრების გზიდან, მყავალას არსებობა კი არ შეწყვეტილა, იგი გრძელდება პატარა გოგონაში. ასევე ტყეც, მოხუცი ბარათა კვლავ შეესწრო თავის ნახატარის სიბუბუქეს, ისევე დარგეს მეოცნებე, გზებზე ხეტიალით დღელილმა და ბედმრუდობისგან გაქალარავებულმა მწერალმა და მოხუცმა სიცოცხლის ხე — კაკლის ნერგი. ისევე გაიდგამს ფესვებს ადგილის დედა და გადმოჩქვეს ანკარა ყუაროს-თვალს. ისევე ჩამოიბრუნეს ნახატარის სიბუბუქე, დაიბუდებს ზღარბი და ნუთუ ისევე შეკრავს თავის ირაროს ცის კამარაში ძერა, აი დიდი წუხილის ნაშთი, რომელიც ადამიანში დარჩა.

— „მამ თქვენ ნამდვილი, ცოცხალი მწერალი ხართ, ცხოვრების წიგნსაც დასწერთ“ — ეკითხება მწერალს გოგონა.

— „...ნეტავ ახლა შენი უშუალობა და მეოცნებობა მომცა და უსათუოდ დავწერთ“.

უშუალობის დაკარგვა ძნელია შემოქმედისათვის, უშუალობა ინტელექტუალური გულუბრყვილობა როდია, იგი აუცილებელია სავანათა და მოვლენათა შეხებისას, მათი რეალური სიცხადითა და ხატოვანად წარმოდგენისათვის და მხცოვან მწერალს არც უშუალობა, არც „მეოცნებობა“ არ დაუკარგავს. მან წარმოდგენით გააერთიანა ცხოვრების დანდნული ეგენები, აკინძა ერთ ძაფზე, მიანიჭა კომპოზიციური მთლიანობა და ხალხური სიბრძნის წიაღში იპოვნა გამოგონილისა და რეალურის შერწყმის, სინამდვილისა და თვისუფალი შემოქმედების შეთანხმების გამომატველი ფორმა — „იყო და არა იყო რა“.

შემოქმედებითი პროცესი ძიება და წუხილია. ვის შეუძლია თქვას ამის შესახებ უფრო მეტი, ვიდრე თვით შემოქმედს.

ამავე, სიტყვასთან დამოკიდებულება, ფერთა გრძნობა, გრძნობა ნახევარ ტონებისა, მწერლის დამოკიდებულება სინამდვილესთან, ყველაფერი ეს, იმდენად, რამდენადაც ამის საშუა-



ლებას მხატვრული ნაწარმოები იძლევა, — მოთხრობაში შექმენილია.

ვინ არის მწერალი და როგორ იწერებთან მოთხრობები, საკითხი იმდენად ვრცელია, რომ ამომწურავი პასუხის მიღება არც იყო მოსალოდნელი, თუმც ძირითადი ნათლადა გადმოცემული. წუხილი ადამიანის ბედისათვის, აქტიური მონაწილეობა ცხოვრებაში, ურყევი ჰუმანიზმი, შემოქმედების სიძნელეთა ფსიქოლოგიური მხარის გაშუქება, თვითანალიზი, ყოველივე ეს მოთხრობაში გადმოცემულია.

საინტერესოა ავტორის განწყობა, როდესაც მის „პირველქარგას“ ქალიშვილი წაიკითხავს. ის რაც მასში იყო, რაც მან მიანდო ქალღმრთელს ჯერ კიდევ არ იყო მნიშვნელოვანი. მაგრამ როდესაც ხელნაწერი მისგან წავიდა და წაიკითხა სხვამ, ნაგრძნობსა და ნათქვამს დიდი მნიშვნელობა მიეცათ. განცდილი, ნაფიქრი და ასახული გადაეცემა თუ არა სხვას, იგი უკვე ავტორის აღარ ეკუთვნის და ქუშმარიტების სიდიადე ენიჭება. ამდენად შემოქმედმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აკისრია და

გაერკვეს, აქვს თუ არა უფლება თავისი ნაფიქრი და ნაგრძნობი ადამიანებს გადსცეს, გახადოს საყოველთაო საკუთრებად.

ლ. გოთუას მოთხრობა „ნისლი ნახატარის ტყეში“ პრობლემატურია, იგი აყენებს საკითხთა მთელ რიგს და ხსნის მათ, იძლევა დასკვნებს, შეგონებათ და მორალურ სენტენციებს. მოთხრობისათვის დამახასიათებელია დიდი შინაგანი წუხილი ადამიანების ბედისადმი, მორალურ-ეთიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბება და რაც მთავარია, დიდი ჰუმანიზმი.

დასასრულს ავტორი მოხუც ბარათას პირით აკეთებს დასკვნას, ადამიანურს, უბრალოსა და დიდმნიშვნელოვანს:

— „ახალ ცხოვრების კანონი ყოფილა — სადაც ინგრევა — ყველაფერი უნდა დაინგრეს, ახლებურად უნდა აიწყოს, თორემ ნახევრად დანგრევა, ნახევრად აშენება — ისეთივე პირფერობა ყოფილა, როგორც ნახევრად სიკეთე და ნახევრად ბოროტება! — მწერალ-კაცო, შენსასაც გეტყვი — სიტყვაც ფესვმეზარ მცენარესავით არის. კარგად დარგული სიტყვიდან ისევ ამოდის ნახატარის ტყე!“



## ერეკლესი თხუხუდი ოთარ ბეჟანიძე

### ერთხედ კიდევ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებზე

არის თემები, რომლებიც ყოველთვის იქნებიან აქტუალური და ყოველთვის მიიპყრობენ სპეციალ-სტატა და მკითხველთა ფართო ფენების ყურადღებას. ასეთ თემებს განეკუთვნება — „რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული საზოგადოება“. ყოველ ახალ სიტყვას ამ დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხის შესწავლის საქმეში გარკვეული წილი შეაქვს, თავის ნაშრომში ოთარ ლორთქიფანიძე ამ თემის მნიშვნელოვან პრობლემას იკვლევს: „როგორ იქნა აღქმული, გამოყენებული და შეფასებული ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკა მთავრადი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ლიტერატურული მემკვიდრეობა“<sup>1</sup>.

წიგნში სულ 5 თავია: „რუსული რევოლუციონერ-დემოკრატიული მოძრაობა და ქართველი სტუდენტობა“, „რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოძღვრების შემოქმედებით გამოყენება „თერგდალეულთა“ თაობის მიერ რეფორმამდელ საქართველოში“, „რუსი რევოლუციონერი დემოკრატების და საქართველოს ახალი ახალგაზრდობა“, „ტიფლისი ვესტნიკისა“ და „ოზორის“ ფურცლებზე, „რუსი რევოლუციონერი დემოკრატები XIX ს. 80—90-იანი წლების ქართულ პრესაში“. დიდ ფაქტურ მასალაზე დაყრდნობით ავტორი გვიჩვენებს, რომ რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობას ფართო გაქანებამ, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მიღწევა დაიწყო ქ. პეტერბურგში მიზიდვის ახალგაზრდობა, ქართველი სტუდენტები სწავლობენ მონაწილე რუსული მეცნიერების მიღწევებს, მონაწილეობენ მჭიდვარ საზოგადოებრივ ცხოვ-

რებაში და ითვისებენ იმ დროის პროგრესული იდეებს, იმუშაებენ საკუთარ მსოფლმხედველობას და რუს სამოციანელებთან ერთად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან. „ამ დროიდან მოყოლებული, — აღნიშნავს ოთარ ლორთქიფანიძე, — ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის მიმდინარეობდა რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან ერთიანობის ნიშნის ქვეშ“<sup>1</sup>.

ავტორი აღნიშნავს, რომ იმ დროის მონაწილე იდეები, რომლებიც ყველაზე უფრო მკვეთრად გამოვლინდნენ ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენის, ნეკრასოვისა და სხვათა ნაწარმოებებში, ორგანულად შეერწყმენ პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა „თერგდალეულთა“ და სხვათა შემოქმედებას, მართალია, პოლიტიკურ საკითხში ისინი ვერ ამაღლდნენ რუს სამოციანელთა მოძღვრების მწვერვალამდე (მაგალითად მოძღვრება რევოლუციის შესახებ), მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხში ისინი ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეურ სიმაღლეზე იდგნენ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრება და ქართველი ხალხის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები იყო ძალიანადი წყარო, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში ახალი თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ნაყოფიერი ათვისება ყოველივე მონაწილეს, მათ შორის რუსი სამოციანელების იდეებისა, ხელს უწყობდა „თერგდალეულებს“ რეალისტური ლიტერატურისა და ახალი სალიტერატურო ენის, კარდინალური საკითხების (ხელოვნების დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ხალხურობის, ტიპიურობის, დადებითი გმირისა და სხვა) ახლებურად გადამუშავებისათვის ბრძოლის დროს.

1 ო. ლორთქიფანიძე — „რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები ქართულ პუბლიცისტიკასა და კრიტიკაში“. „ზარია ვოსტოკა“, თბილისი, 1959 წ. გ. 5.



ო. ლორთქიფანიძის შრომას მთელი რიგი ღირსებები აქვს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წიგნში წარმოდგენილია ს ა კ ი თ ხ ი ს ო ს ტ ო რ ი ა ც.

ო. ლორთქიფანიძე მიუთითებს გ. აბზიანიძის, ლ. ასათიანის, დ. გამეზარდაშვილის, გ. ჯიბლაძის, მ. ზანდუელის, გ. კიკნაძის, გ. კილაძის, ა. მახარაძის, ზ. რატიანის, ჯ. კუმბურიძის და სხვადასხვა შრომებზე, რომლებიც ეხებიან მისთვის საინტერესო საკითხებს, სარეგულირებო შრომის ავტორი მიუთითებს აგრეთვე საგანგებო გამოკვლევებზე — ე. ჩარკვიანის საკანდიდატო დისერტაციაზე „რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და თერგდალულები“ და ა. ნიკოლაძის წიგნებზე: „რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული ლიტერატურა“ და „რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“.

ო. ლორთქიფანიძის შრომაში ბევრი ახალი საკითხია დასმული და გადაწყვეტილი. ასე მაგალითად, ჟურნალ „კრებულის“ 1870 წლის № 1 მოთვსებული იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის გ. წერეთლის მიერ ნათარგმნი ნაწარმოები „ეკამ კრუპოვის ჩანაწერებიდან“, რომლის ავტორი საცენზურო პირობების გამო არ იყო მითითებული.

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში<sup>1</sup> ავტორად შეცდომით არის დასახელებული... კრუპოვი. ოთარ ლორთქიფანიძემ დაადგინა, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი ხსენებული ნაწარმოები წარმოადგენს ა. გერცენის მოთხრობა „ეკამი კრუპოვის“ თარგმანს და რომ თარგმანი შესრულებულია 1847 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, რომელიც შემდგომ პერიოდის — 1854 წ. გამოცემასთან შედარებით უფრო სრულია. თარგმანში შენარჩუნებულია პირველადი სათაური, სრული ტექსტი და ა. შ.

გარდა ამისა, ავტორი აზუსტებს მთელ რიგ ცნობილ ფაქტებს, ნახულობს ახალ, მკვეთრ დეტალებს.

1829 წელს ცნობილმა რეაქციონერმა ა. კოლინსკიმ ჟურნალ „სვეცრნი ვესტნიკში“ მკაცრად გაილაშქრა ნ. გ. ჩერნიშევსკის ცნობილი სადისერტაციო ნაშრომის წინააღმდეგ.

ო. ლორთქიფანიძემ მიაკვლია და გააანალიზა სპასსუხო სტატია, რომლის ავტორიც იყო გ. მ. თუმანიშვილი და რომელიც ნ. ნიკოლაძის გავით „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე დაიბეჭდა. გ. თუმანიშვილი ამ სტატიაში აღნიშნა

წავდა დიდი რევოლუციონერი დემოკრატული აღნიშნული ნაშრომის მნიშვნელობას რუსული კრიტიკული აზროვნებისა და მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ამ სტატიამევე მწვევედ იყო გაკრიტიკებული ვოლინსკის იდეალისტური კონცეფციები.

წიგნის ავტორის მოტანილი აქვს ახალი მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე და გ. თუმანიშვილი იცავენ ნ. ა. დობროლოვოვის რეაქციონერთა თავდასხმებისაგან და აბოლებულთა (პანაევა-გოლოვანევისა და სხვ.) მიერ დობროლოვოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მხარის არასწორი შეფასებისაგან.

ეს ახალი მასალები ცხადყოფენ, რომ რეაქციის მძიმე პერიოდში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები რუსეთის ინტელაგენციის პროგრესულ ნაწილთან ერთად თავგამოდებით იცავენდნენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა სახელსა და მათ მემკვიდრეობას.

ო. ლორთქიფანიძეს თავის წიგნში დაზუსტებული აქვს ზოგი ფაქტი. ასე მაგ. ნ. ა. დობროლოვოვის დღიურებში მოხსენებულია ვინმე ყიფიანი. ავტორის აზრით, იგი არის დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რომელიც ი. ჰევკვიასის „საქართველოს მოამბის“ — აქტურის თანაშრომელი და მოწინავე იდეების მქადაგებელი იყო.

მასალები, რომლებიც რუსეთისა და საქართველოში კულტურულ ურთიერთობაზე მეტყველებენ, მეტად ბევრია, ხოლო სამოციანელთა მნიშვნელობა ქართველი საზოგადოებრიობისათვის იმდენად დიდია, რომ თემის რამდენიმე სრულად ასახვა შესაძლოა მხოლოდ მრავალი მკვლევარის შრომის შედეგად. ო. ლორთქიფანიძის წიგნი მნიშვნელოვანია წვლილია ამ საკითხების შესწავლის საქმეში.

ავტორის კონცეფციას საფუძვლად უდევს ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი პოლიტიკური დებულებანი — ლენინის მოძღვრება რუსეთში გამთავისუფლებლური მოძრაობის სამ ეტაპზე, რევოლუციის დიდი ბელადის გამოჩენაზე, რომელიც პერიოდის დამახასიათებელ ნიშნებზე, ცალკეულ რევოლუციონერ-დემოკრატთა, ხალხისათა, რუს საზოგადოებრივ ლიტერატურულ მოღვაწეთა დახასიათება, გამონათქვამები მათი მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეზე და ა. შ.

ამიტომაც გამოკვლევა გამოირჩევა ძირითადი დებულებების სიზუსტით. ასეთივე გამოკვეთილობა ახასიათებს, როგორც ცალკეულ თავებს — ასევე შრომის დასკვნებსაც მთლიანად.

ნათელი ჩანაფიქრი, კომპოზიციის სისადავე ო. ლორთქიფანიძის გამოკვლევის დიდი ღირ-

<sup>1</sup> ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, გამ. 1 (1852 — 1877 წწ), თბილისი, 1940 წ., გვ. 137, №2068.



სენაა. მეთხველისათვის ნათელია რა ამოცანე-  
 ბი დგას მკვლევარის წინაშე. ყოველი თავი  
 მთავრდება მოკლე დასკვნით, ხოლო მთლიან-  
 ნად შრომა განზოგადოებული დასკვნით, რომ-  
 ლითაც ავტორი აჯამებს თავის დაკვირვებებს.  
 განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნაშრომის  
 პირველი და მეორე თავების მთელი რიგი  
 აღგილები. ყურადღებას იმართებს კარგად შე-  
 რჩეული მასალა — ნ. ნიკოლაძის, ი. ჭავჭავაძის,  
 ი. მანსვეტაშვილისა და სხვათა გამონათქვამე-  
 ბი, ცნობები რუსეთში მყოფი ქართველი  
 სტუდენტების: დ. ჭიქიანის, ბ. ლოლობერიძისა  
 და სხვათა შესახებ. კარგად და სრულადაა  
 გაანალიზებული ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლა-  
 ძის აზრები რუსული კულტურის და განსა-  
 კუთრებით რუსული ლიტერატურის მოღვაწე-  
 თა (გოგოლის, ნეკრასოვის, პუშკინის და სხვა-  
 თა) შესახებ.

კარგადაა დამუშავებული თემა „ჩერნიშევს-  
 კი და ნიკო ნიკოლაძე“. ავტორი ლაბარაკობს  
 კრებულს „ჩონგურის“, რეაქციის წინააღ-  
 დგე ქართველი საზოგადო და ლიტერატურულ-  
 ლი მოღვაწეების გმირული ბრძოლის, მათ მი-  
 ერ საქართველოში სამოციანელთა იდეების  
 დაცვის შესახებ და აღნიშნავს, თუ რა დიდი  
 პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ლიტერ-  
 ატურული და აღმზრდელი მნიშვნელო-  
 ბა ჰქონდა ყოველივე ამას იმ დროს, როდესაც  
 ყოველ საღ, ცოცხალ აზრს და სიტყვას მკაც-  
 რად სდევნიდნენ.

მიუხედავად ი. ლორთქიფანიძის ამ ნაშრო-

მის უდავო ღირსებისა, ჩვენ გვინდა რამდენი-  
 მე შენიშვნაც გამოთქვათ მის მიმართ.

შრომის ბოლო ნაწილში, ჩვენი შეხედულე-  
 ბით, რამდენადმე მეტი ადგილი აქვს დათმო-  
 ბილი ცალკეულ მოღვაწეთა სტატიებიდან  
 ამოღებულ ციტატებს.

ჩვენ გგონია, რომ ნაშრომში უფრო მეტი  
 ადგილი უნდა დათმობოდა „ექიმ კრუპოვის“  
 თარგმანს, ასევე მისი აღმოჩენისა და თარგმა-  
 ნის გამოქვეყნების ისტორიას, იმ საქურნალო  
 სტატიების ანალიზს, რომელთა გვერდითაც  
 იყო დაბეჭდილი გვერცენის ნაწარმოები და  
 სხვა.

შრომის ამავე ნაწილში (გვ. 65 — 68)  
 ასევე რამდენადმე გაკვირთაა ნათქვამი ქარ-  
 თულ ენაზე თარგმნილ დობროლუბოვის პოე-  
 ტური ნაწარმოებების შესახებ.

იქნებ უკეთესი ყოფილიყო დობროლუბოვის  
 ნაწარმოებებისა და გვერცენის „ექიმი კრუპო-  
 ვის“ ერთად გაანალიზება, ხოლო დანარჩენი  
 ფაქტების გადატანა შრომის სხვა ნაწილში?

ავტორი ერთხელ არღვევს თავის „ტრადი-  
 ციას“ და მესამე თავში ნათელ დასკვნებს არ  
 აყალიბებს.

ნაშრომის სტილი უბრალოა, ლაკონური და  
 სავსებით შეეფარდება თავის დანიშნულებას.  
 ასეთი და მსგავსი შენიშვნები უმთავრესად  
 მეორე ხარისხიან დეტალებს ეკუთვნიან. ზო-  
 გი უზუსტობის გასწორება კიდევ უფრო ამა-  
 ლლებდა ისედაც კარგი და სასარგებლო წიგ-  
 ნის ღირსებას.



## თეატრის იხსნა

### საბავშვო წიგნები და მთარგმნელები

ცული ენით რომ კარგი აზრის ნათლად გადმოცემა შეუძლებელია, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ე. ჩარუშინის წიგნის: — „დიდებსა და პატარებზე“ ქართული თარგმანი (მთარგმნელი — თ. სულაქველიძე).

ე. ჩარუშინი წერს შესანიშნავი, მხატვრული. ბავშვებისათვის გასაგები ენით. მისი წიგნი პატარებს აცნობს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს და, საერთოდ, ყველაფერ იმას, რაც მათ ასე იზიდავთ და აინტერესებთ.

სამწუხაროდ, იგივე როდი ითქმის თ. სულაქველიძის მიერ შესრულებული თარგმანის გამო. მთარგმნელმა არამც თუ არ იცის ქართული ენა, ქართული ენის ელემენტარულ საკითხებშიაც კი ვერ ერკვევა. ამასთან მას ვერ გაუგია მწერლის სტილი და მხატვრული თავისებურებანი. იგი თარგმნის (თუ ამას თარგმნა ჰქვია) სიტყვა-სიტყვით, რუსული ენის გამოთქმები და ფორმები უცვლელად გადმოაქვს ქართულ ენაზე. ვერ ახერხებს საჭირო სიტყვების შერჩევას, არ გააჩნია ლექსიკური მარაგი, ვერ იყენებს ილიომურ გამოთქმებს, მრავლად უშვებს გრამატიკულ შეცდომებს, ყოველივე ეს იწვევს როგორც ჩვენი ენის შერყენას, დაზოკლიანებას, გადაგარებას, ისე მწერლის აზრისა და სტილის დამახინჯებას.

ამის დამადასტურებელი მაგალითი უამრავია. მართალია, შეცდომების ხასიათის მიხედვით მათი დახარისხება ძალიან ძნელია, რადგან ერთსადიამვე წინადადებაში შეიძლება შევხვდეთ როგორც სიტყვა-სიტყვით თარგმანს (რუსულ ფორმებსა და გამოთქმებს), ისე არასწორად თარგმნილსაც, უაზრობასაც, ჩართულსა და გამოტოვებულ ადგილებსაც, გრამატიკულ შეცდომებსაც.

ამჯერად ყურადღება გვაქამხვილით სიტყვა-სიტყვით თარგმანის ნიმუშებზე. მთელი წიგნი რუსული ფორმებისა და გამოთქმების პირდაპირ გადმოღობას წარმოადგენს: „წყლიდან ამოაძრო ანკისი“ (გვ. 59), „ცხენ-იჩრემი იყო ლმო-

ბიერი“ (გვ. 82), „ზეწარი ხალათივით გადაიცევა“ (გვ. 7), „საჯდომთან სიცარიელე სუფედა“ (გვ. 66), „სიდილით კატას ნახევრამდე მოსწვდებოდა“ (გვ. 93), „კატამ აიღო კატლეტი და პარმალზე დასდო“ (გვ. 45) „იჩრემი იკლანებოდა“ (გვ. 111), „ბელურას ფრთებმა უმტყუნა და წაიქცა“ (პერში გვ. 12), „ო, ისეთი რბილი თათები ჰქონდათ, თითქოს ნაბლებივით დაიარებიანო“ (გვ. 15), „ორი ნაფორით მოიმწყვდია და გარეთ გამოიღო (გვ. 39).

„ოჰ, ეს ბუზი, — წარმოთქვა მან, — რა გამოუსადეგარი ქმნილებაა, მოსვენებას არ იძლევა!“ (გვ. 52). რუსულად Негодная вещь კარგად ჟღერს და იხმარება კიდევ ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ბუზის ბუზილითა და კენით შეწუხებული ქართველი არასოდეს არ იტყვის: „რა გამოუსადეგარი ქმნილებააო“.

ან კიდევ: „შავი იყო, მძიმე, ყვავილივით წითელწარბა“ (გვ. 72), ენახოთ როგორ აქვს ავტორი: „Косач черный, тяжелый, красная бровь, как цветок“ (გვ. 110). მთარგმნელს „красная бровь“ „წითელწარბა“ ჰგონია და ის კი არ იცის, რომ ესეც, ისე, როგორც „красная девица“, „красное солнышко“, „красный денёк“ და სხვა მრავალი თავისებური რუსული გამოთქმაა.

„Фу! Фу! это свой. Фу!“ (გვ. 170) ამ სიტყვებით დატუტსა მასინძელმა ძალი, რომელიც მასთან სტუმრად მისულ მეგობარს სამხარეთლოდან აღარ უშვებდა. „Фу! Фу! ეს ჩვენი ფუა“ (გვ. 114) ვკითხულობთ თარგმანში. სხვა რომ არა იყოს რა, მთარგმნელს რუსულ ტექსტში წერტილი მაინც შეენიშნა, იქნებ ეს დახმარებოდა აზრის სწორად გადმოცემაში და მეგობარს მეგობარზე აღარ ათქმევინებდა — „ეს ხომ ჩვენი ფუაო“. გარდა ამისა, ქართულ ენაზე ამ სიტყვებით არ უწყობიან ძალს.

ან კიდევ: „ძველისძველ ჩანაწერებში სწორედ ასეც არის თქმული, რომ ნიჩაბი მდინარე-

ში გაჩერებული იდგა და დინების აღმა მიდიოდაო“ (გვ. 63). დედანში ვკითხულობთ: „В старинных записях так и сказано, что весло в реках стояло и против течения шло „пошыя“ (გვ. 96).

რუსულ იდიომურ გამოთქმათა ცოდნა როგორ მოეთხოვთ მთარგმნელს, როცა ის ქართულ იდიომურ თქმებსაც არ იცნობს!

„მაგიდაზე ქოთინიანი კარტოფილის გვერდით თეთრბუნეიანი კატა იჯდა“ (გვ. 58). ნაცვლად რუსული ტექსტისა: „На столе рядом с горшком картофеля сидит белый-белый пушистый кот“.

ე. ჩარუშინის წიგნის მთარგმნელმა არც რუსული ენა იცის კარგად. წინააღმდეგ შემთხვევაში „ფუნთუშას“ (булка) „ორცხობილად“, „თეფშს“ (тарелка) — „ლამბაქად“, „ჰაველს“ (рябс) — „კაკაბად“, „ტროროლას“ (жаворонок) — „წეროლად“, „ბზეს“, „ჩელსს“ (мякина) — „ნაკაზმად“, „კირს“ (извест) — „ცნობილად“, „ზაფხულს (лето) — „ზამორად“, „ცირიკელს“ (рябина) „ტყის ქათამად“, „შეჰვამანსს“ (варево) — „მოხარშვად“, „გორგალს“, „მორგესს“, „ბურტს“ (шарик) — „არგოლად“, „ზულტრბლს“ (порог) — „გასაელად“ არ თარგმნიდა.

ერთი შეხედვით ასეთი შეცდომები თითქოს მთარგმნელის დაუდევრობაა და მეტი არაფერი. მაგრამ არა. ასეთი თარგმნის შედეგად ერთი საგნისათვის დამახასიათებელი თვისებები მეორე საგნის კუთვნილებად იქცევა, რაც მკითხველს ამა თუ იმ საგნის შესახებ არასწორ წარმოდგენას უქმნის.

გადახედილი არასწორად თარგმნის შედეგად დამახასიათებელი აზრის შემცველ წინადადებებს: „Вдруг в сенях вдоль стены кто-то как пробежит в угол.. Пробежал и свернулся в углу шариком“ (გვ. 72).

„როცა წინაქარი შევიდნენ (ლაპარაკია დედასა და მამაზე, რომელთაც ოთახი და ყველა კუნძული დათვალიერებულა ჰქონდათ, — თ. ი.), კედლის გასწვრივ კუთხეში უცხად რალაცამ გაიბრინა, მიიკუნწა კუთხეში და რგოლივით მოეხვია“ (გვ. 48).

საგანი, რომელიც „კედლის გასწვრივ კუთხეში რგოლივით მოეხვია“, არის ზღარბი. ამის წამკითხველმა ნორჩმა მკითხველმა უნდა იფიქროს, რომ ზღარბს შეუძლია „მოხვევა“ და ისიც „რგოლივით“.

«Хотели его убить на вареве, да уж больно в нем мало корысти-то мясной» (გვ. 91).

„მისი დაკვლა და მოხარშვა მოისურვეს, მაგრამ ამაღ არა ღირდა, სახეირო ხორცი მაინც და მაინც არა ჰქონდა“ (გვ. 60).

„Соберут выручку, картошку купят, мякина, сварят пойло для зверей. Голодно (გვ. 92).

„ამ ფულით კარტოფილსა და ნაკაზმს ზღარბსა და მკითხველსათვის სალაფავს აკეთებდნენ. შიმშილობა იყო“ (გვ. 60).

„Мякина“ არის ბზე, ჩელბი. მთარგმნელი მას „ნაკაზმად“ თარგმნის, რის შედეგადაც შეიძლება იფიქროს ნორჩმა მკითხველმა, რომ სალაფავის დასამზადებლად უშეკველად „ნაკაზმია“ საჭირო.

„დაუფიქრო, კარბოლის მყავა დაქვეით კიბზე და აი, მე თითქოს მეტყობამეტე წალში გადავდექი, მატარბლით მივდივარ; მაგონდება სიმღერები, ფარაჯები, შაშხანები და ყველასათვის ტიფით ცნობილი სადგურები“ (გვ. 69).

დედაში კი ასეა:

„Пролита на лестнице карболка... И вот мне девятнадцатый год. Я еду в поезде. Песни, шинели, винтовки. Станции все в извести — тиф!“ (გვ. 106).

აი ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე — სასაცილოა, რომ სატირალი არ იყოსო. როგორ უნდა ეცადოს ადამიანი, რომ ენის სხვაგვარი დამახინჯების გარდა აღნიშნული რუსული ტექსტიდან „ყველასათვის ტიფით ცნობილი სადგურები“ ამოიკითხოს?! ასეთი რამის არსებობა წარმოუდგენელია და მით უფრო პატარებს ნუ წარმოვადგენინებთ!

„А там чисто, просторно. Только крыши, дождем вымытые, только небо и лес дальний. Да шум наверху слышишь какой-то другой, особенный, звонкий шум. Жаворонок прямо над головой висит, будто на ниточке подвешенный“ (გვ. 133).

„იქ კი სისუფთავე იყო, ხალვათობა, სახურავებს წვიმა ასუფთავებდა. მხოლოდ ცა და ტყე იყო შორეული. ზევით ხმაურიც სხვანაირად მოისმოდა, განსაკუთრებულად მეტრი. ზედ ჩემს თავზე წერო ისე ეკიდა, თითქოს ძაფით არის ჩამოშვებული“ (გვ. 88). იქვე ვკითხულობთ: „წეროები არ სჩანდნენ, მხოლოდ საღვლე კი გაისმოდა მათი ხმა“.

განვავარძოთ შედარება:

„Стеной вокруг смородина растет, в смородине рябина, под рябиной опять малина. А дальше настоящий лес обступил поляну. Еловый лес. Иду я с ружьем по лесу. Увидел эту гушнину — малину, смородину, рябину — полез в кусты“ (გვ. 142).

„კედლის გარშემო მოცხარი იზრდებოდა. მოცხარის ტუის ქათამი მიმალულოყო, ცოტა ქვემოთ ვრო ჰყვოდა. უფრო შორს ნამდვილი ნაძვის ტყე შემორტყმოდა მინდორს. ტყე-ტყე თოფით მივდიოდი. დავინახე მოცხარი, ტუის ქათამი და შევეკვირა ბუნქებში“ (გვ. 93).

მთხრობაში ლაპარაკია პატარა მინდორის შესახებ. ავტორმა ამ მინდორს, რომლის სიგრძეც ათი და სიგანეც ხუთი ნაბიჯი იქნება, აღარებს



ოთახს, რადგან მას გარშემო კედელივით შე-  
მორტყმული აქვს მოცხარი და სხვა მცენარეე-  
ბი. მაგრამ მთარგმნელს კონტექსტში სრუ-  
ლიად არ ჩაუხედია და ამიტომაც ასეთი არეუ-  
ლარევა შეუტანია ტექსტში; სად „კელდა“ და  
სად „კედლის გარშემო“, სად ცირცელი და სად  
„ტყის ქათამი“, რომელიც „ბუჩქებში მიმალუ-  
ლიყო“.

მთარგმნელის მიერ „შეთხულო“ ტექსტის  
მიხედვით ნორჩ მკითხველს შეიძლება ეგონოს,  
რომ მინდორს კედელი აქვს, რომ ამ კედლის  
გარშემო იზრდება სხვადასხვა მცენარე, რომ  
კაცს ტყის ქათამის ეშინია და მიუხედავად იმი-  
სა რომ სანადიროდ არის წასული და თოფიც  
ხელთა აქვს მისი დანახვისთანავე ბუჩქებში  
ძვრება.

კონტექსტის მიხედვით ბუჩქებში მიმალულმა  
ჯერ კიდევ არ იცის, არის თუ არა იქ გარეული  
ფრინველი ან რაიმე ნადირი („А нет ли тут  
дичи?“).

როგორც ქართულის, ისე რუსულის არცოდ-  
ნის ამქვეყნის მთარგმნელი შემდეგ მაგალითებ-  
შიაც: „Самый маленький — самый угрю-  
мый...“

А другие веселые: борются, по клетке ла-  
зят, барахтаются, кричат, пыхтят — мох-  
натые, пузатые, большеголовые, косопаные  
медвежатка“ (გვ. 48).

მაგრამ თარგმანში ასე არ არის;  
ყველაზე პატარა მოწყენილი და კუჭტი იყო.  
სხვები კი უღამაზონი იყვნენ — ხანჯველია-  
ნები, მუცელგამობერილნი; დათვის ბელები  
მხიარულდნენ; ჭილიაზდნენ, გალის მავ-  
თულზე ცოცვდნენ, კობრიალებდნენ, ყვი-  
როდნენ, ხენწუოდნენ“ (გვ. 31).

განა „მოწყენილისა“ და „კუჭტის“ დასაბი-  
რისპირებლად „უღამაზონი“ იხმარება? ან ავ-  
ტორი ასე ახასიათებს დათვის ბელებს?

შემდეგ: Так и есть — два патрона в голе-  
нице застряли“ (გვ. 149).

„ასეც იყო — ვკითხულობთ თარგმანში —  
ორი ვაზნა წვივიზი ჩარჩენილიყო“ (გვ. 97).

მთარგმნელის აზრით გახუდული ჯიბიდან ვაზ-  
ნები „წვივიში“ ჩაყრილა და რომ იხვევს ესრო-  
ლონ, წვივიდან უნდა ამოიღონ და არა ჩექმის  
ყელიდან (Голенище).

გარდა იმისა, რომ მთარგმნელი არასწორად  
თარგმნის, არის შემთხვევები, როცა ის „ახერ-  
ხებს“ ტექსტის თავისებურად გადაკეთებას, წი-  
ნადაღების ჩამატებას, ან ადგილების გამოტოვე-  
ბას, რაც ისევე და ისევე ჩვენი ენისა და ავტორის  
აზრის დამახინჯებას იწვევს.

„უცბად კაქკაის შავი ბარტყი დაინახეთ,  
თეთრი ბუმბულით შემკული. დიდ კაქკაქს  
გაედა, მხოლოდ ბოლო უფრო მოკლე ჰქონდა  
და თეთონაც პატარა იყო“ (გვ. 9).

სიტყვა „შავი“ თეთონ ჩაურთო მთარგმნელ-  
მა და ამით შეუსაბამოა შეიტანა ტექსტში. თუ  
„შავი“ ბარტყი იყო, მაშინ როგორღა იყო  
„თეთრი ბუმბულით შემკული“?

ტყის ქათამმა ძალიანთის, რომ გააკვალი  
აენნია და ბარტყები გადაეჩინა, ხერხს მიმარ-  
თა: „მოწაზე თავივით გაცოცდა, მერე წამოდ-  
გა, სვეტივით აიმართა, კისერი წივიჩქელა და  
უფრო ხმურით რამდენჯერმე შემოიკრა ფრთა-  
ფრთას; ავადყოფივით აიბუზა და საღლა გაქ-  
რა“ (გვ. 18). ნიკიტას შეკითხვაზე, თუ რატომ  
მოიქცა ასე ტყის ქათამი, მამამ უპასუხა: „ეშმა-  
კობს, ეშინია ტომკამ წიწილები არ შეუტყამო-  
სო“. მაგრამ მთარგმნელს აღარ ახსოვს ავტორის  
ნათქვამი და მის მიერვე თარგმნილი სიტყვები  
და იქვე წერს: „ავად იყო თუ თავს იკატუნებ-  
და არ ეიცო“. ავტორმა კი ძალიან კარგად  
იცის: „Рябчиха прихрамывает, подлетывает,  
еле бежит, будто она совсем больная. При-  
творяется“.

„ბეშვებმა შეამჩნიეს, რომ კატას ერთი თათო  
სველი ჰქონდა, მამსადამე, კატას თევზები  
დაუჭერია. ქილიდან კლანჭებით ამოუთრეგია,  
მოწითალო ოქროსფერი თევზი შეუსანსლია,  
მერე ვერცხლისფერი პატარა თევზი და ჩვეუ-  
ლებრივი გოჭა თევზიც ზედ მიუყოლება“  
(გვ. 56).

ცხოველთა და ფრინველთა ბუნების შესანიშ-  
ნავი მცოდნე ე. ჩარუშინიც კი ვერ მიიხვდარა,  
თუ კატამ პირველად რომელი შეჭამა, „მერე“  
რომელი და „ზედ“ რა დააყოლა, მაგრამ მთარგ-  
მნელი რაღაც მანქანებით ახერხებს ამის გაგებას  
და ამბობს: ჯერ ოქროსფერი, მერე ვერცხ-  
ლისფერი თევზი შესანსლა და გოჭა თევ-  
ზიც ზედ დააყოლო. დედანში კი ასეა:  
„Красных золотых рыбок съел, и малень-  
ких серебрянок съел, и простого караса  
съел“ (გვ. 85).

„დათვის გრძელი და ვიწრო გალია ერგო, ისე  
რომ ვერ ბრუნდებოდა შიგ — ვკითხულობთ  
61-ე გვერდზე — ერთ კუთხეში წყლიანი კასრე  
იღვა. მეორეში — ჩალის კონა ეგდო, დათვი  
კასრში ჩაძებებოდა და შიგ იჯდა ხოლმე, როცა  
მოხებრდებოდა, გალიაში მოუბრუნებლივ წის  
და უკან დაიარებოდა. ასეთი ბოლისციემის  
დროს კასრს ხან შუბლს მიატრყამდა და ხან  
უკანა ნაწილს, საჯდომზე და შუბლზე კოპები  
გაუჩნდა“.

აქ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. თუ  
დათვი „მოუბრუნებლივ“ დადიოდა წინ და  
უკან, მაშინ როგორღა „მიატრყამდა“ კასრს ხან  
„შუბლსა და ხან უკანა ნაწილს“?

გადახედეთ შემდეგ მაგალითებსაც:  
„Жили там уже четыре медведя, ревели в  
четыре глотки.“

Бухались в воду с разбегу. Забавлялись. Один другого в воде топили. Потом по широким ступеням на площадке выполняли и опять бух, бух в воду“ (გვ. 93).

„ამ აუზში ოთხი დათვი ბინადრობდა, ოთხივენი კარგ ღროს ატარებდნენ, წყალში ჩაჯდებოდნენ, ჭყუმალაობდნენ, ერთიმეორებს ბიზავდნენ, როცა დაიღლებოდნენ, ფართოსაფეხურებიან მოედანზე გამოცურდებოდნენ, დაისვენებდნენ და ისევ ხელახლა ტყავ — წყალში ზღართანს შიდადნენ“ (გვ. 61).

შეიძლება ითქვას, რომ დედანსა და თარგმანს შორის საერთო არაფერია, გარდა დათვების რაოდენობისა. არსად რუსულ ტექსტში არ წერია, რომ დათვები „აუზში ბინადრობდნენ“. ცოტა ზემოთ მთარგმნელიც ამბობს: „თეთრ დათვს მთელი მოედანი გამოუყვეს თავისი აუზით, სადაც თავისუფლად შეეძლო ბანაობაო“, არც ის წერია, რომ დათვები „იღლებოდნენ“ და დასასვენებლად აღიოდნენ „ფართოსაფეხურებიან მოედანზე“. პირიქით, ავტორს უნდა პატარებს გააცნოს თეთრი დათვი და მისი ოინები. ხოლო რაც შეეხება მოედანს, ის „ფართოსაფეხურებიანი“ კი არ იყო. არამედ ფართო საფეხურებით ამოზობდებოდნენ ხოლმე დათვები მოედანზე, რათა იქიდან ტყავანი მოედნით წყალში.

ახლა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ შეცდომებზე, რომლებიც მთარგმნელს კი არა, მოწაფესაც არ ეკადრება: „გალიაში ორი დედა-მაიმუნი თავიანთ შვილებს ძეძუს აწოვებდნენ“ (გვ. 35); „ყველა ერთად შეჭურბულიყენენ“ (გვ. 96); „ყველა მხეცები თამაშობდნენ“ (გვ.

120); „მას იცნობს და აფსებს დიდი ბავშვები“ (გვ. 121); „წინა ფეხები მუხლთან ერთმანეთს უახლოვდებოდნენ“ (გვ. 34); „მიმგზავებოდა ქალაქიდან ხოლმე“ (გვ. 117); „შემეშინდა, რაშია-თქო საქმე, — გაიფიქრე“. ყოველ ცისპარე სიღამოს“ (გვ. 115); „უცბად ჩემს ახლოს ვიღაცამ გაიკრიახა“ (გვ. 90); „მე-ლიამ გაქუსლა“ (გვ. 64); „კატამ დაიწყო გარეული მხეცივით ანჩხლობა“ (გვ. 73); „ლოჯებ-გადმოყრილი სპილო“ (გვ. 8); „ბარტყი ვაროდა“, „ბარტყმა მოკურცხლა“ (გვ. 11), „ტყის ტოტებისაგან თვალებს ხელით ვიფარავდი“, „წყალზე კაკები დაიარებოდა“ (გვ. 95); „ორივენი ზედ შავი ხარის წინ წავაწეინე“ (მონადირემ ესროლა გაფრენილ ქორებს, მოკლა და „წაწვინა“); „წიროებს ხუჭუჭი ბოლოები აქვთ“, „ბელურა ამოეფარა ბნელ კუთხეს“ (გვ. 40); „კატამ აიღო კატლეტი და პარმალზე დასდო“ და „მეორე დღეს პარმალს ეცა, უნდოდა შეემოწმებინა შეჭამა მხეცუნამ მისი კატლეტი თუ არა“ (გვ. 45); „კარი დაეკაქუნე“ (გვ. 90); „ისინი ხორციანები არიან“ (გვ. 4); „უზარმაზარი ჯოჯი იყო, სხვადასხვაფერის ძროხებისაგან შედგებოდა, მათში მხოლოდ ერთი შავი ხარი ერია“ (გვ. 100); „კიდევ კარგი, რომ კატუნისა ცოცხალი გადაურჩი და ფეხებმა არ მიმტყუნა“ (გვ. 94); „ალბათ მისი დედაც იქვე ახლოს დახეტებოდა“ (გვ. 94) და სხვ.

ასეთი სერიოზული შეცდომებით გამოცემული თარგმანი სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს ნორჩ მკითხველებს.



## ნიკოლოზ კიძიბავიძე

### ივანე სეჩენოვი—რუსეთში ფიზიოლოგიის ფუძემდებელი

რუსეთში მეცნიერული ფიზიოლოგიის საძირ-  
კვების ჩაყრა დაკავშირებულია ივანე სეჩენოვის  
სახელთან, რომელსაც რუსული ფიზიოლოგიის  
მამას უწოდებენ. ეს სახელი მას იმიტომ როდი  
შეარქვეს, თითქოს რუსეთში მანამდე ფიზიო-  
ლოგიის სარბიელზე არავის ეღვაწოს. სეჩენო-  
ვამდე იყვნენ რუსეთში ფიზიოლოგები, რომ-  
ლებმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლიც  
შეასრულეს, მაგრამ მათი სახელები მხოლოდ  
იმ შემატანიეთა მეოხებით თუ შემონახულა,  
რომელნიც რუსეთში მეცნიერული აზროვნების  
ჩასახვასა და განვითარებას შეისწავლიდნენ.  
სულ სხვაა ივანე სეჩენოვი: მისი სახელი მის-  
სავე ნაშრომებს შემოუნახავთ, და კარგი მეკლე-  
ვარისა და საღად მოაზროვნე მეცნიერის ამ  
სახელს ფიზიოლოგნი დღესაც მოკრძალებითა  
და პატივით მოიხსენიებენ, ხოლო მის მეცნიე-  
რულ სინდისიერებასა და მოქალაქეობრივ შემ-  
მართებლობას ყველა პატიოსანი ადამიანი შე-  
ასხამს ხოტბას.

ი. სეჩენოვის ნაშრომებმა გზა გაუკვლიეს  
მეცნიერული, მატერიალისტური ფიზიოლოგიის  
განვითარებას და იქამდე გაბატონებულ იდეა-  
ლისტურ შეხედულებებთან დაუცხრომელი  
ბრძოლით რუსული ფიზიოლოგია მოწინავეთა  
ასპარეზზე გამოიყვანეს. სეჩენოვი იყო ფიზიო-  
ლოგიაში იმ ტრადიციათა პირველი დამნერ-  
გავი, რომელთათვისაც ჯერ კიდევ წარსული  
საუკუნის 40-50-იანი წლებიდან ესოდენ თავ-  
გამოდებოთ იღვწოდნენ რუსი რევოლუციონერ-  
დემოკრატები და პირველ რიგში — ნიკოლოზ  
ჩერნიშევსკი.

ი. სეჩენოვი 1829 წლის 13 აგვისტოს დაი-  
ბადა. ბავშვობა მან სოფლად, სამხედრო სამ-  
სახურიდან გადამდგარი მამის, მიხეილ სეჩენო-  
ვის ოჯახში გაატარა. პატარა ივანე, რომელიც

რვა და-ძმთა შორის ნაბოლარა იყო, იმთავითვე  
გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და ცოდნის შექ-  
ნის დაუცხრომელი სურვილით. ამ სურვილს  
გარჯისა და შრომის უნარიც მოსდევდა. ივანემ  
ბავშვობიდანვე შეისწავლა ფრანგული და გერ-  
მანული ენები, რომელთა ცოდნაც დიდად გა-  
მოადგა მომავალი მეცნიერული მოღვაწეობის-  
თვის.

14 წლისა იყო ივანე, როცა მიაბარეს პეტერ-  
ბურგის სამთო-საინჟინრო სასწავლებელში, რო-  
მელიც 4 წლის შემდეგ დაამთავრა. იგი კიევის  
მახლობლად განამწესეს მესანგრე ოფიცრად.  
ამ სასწავლებელში ყოფნამაც უნაყოფოდ როდი  
ჩაიარა ახალგაზრდა სეჩენოვის მომავალი მეც-  
ნიერული მუშაობისთვის: აქ მან საფუძვლიანად  
შეისწავლა მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია, რაც  
შემდეგ დიდად გამოადგა.

1850 წელს ი. სეჩენოვმა სამხედრო სამსა-  
ხურს თავი დაანება და მოსკოვის უნივერსიტე-  
ტის სტუდენტად ჩაირიცხა სამედიცინო ფაკულ-  
ტეტზე. მაგრამ მედიცინით გატაცებულ ჰაბუქს  
მესამე კურსზე, როდესაც სპეციალური სამედი-  
ცინო საგნების მოსმენა დაიწყო, გული ოცნრე-  
ვდა ლექტორებსა და ლექციებზე: ჰემოზინი  
მეცნიერული აზრის ძიებით გატაცებულს სპრო-  
ფესორო კათედრიდან მეცნიერული, ცოცხალი  
სიტყვის წილ სქოლასტიკურ ყაიდაზე აგებულ  
უსიცოცხლო ემპირიკულ სქემათა და დებულე-  
ბათა მოსმენა უხდებოდა მეტწილად. ამის გამო  
იყო, რომ 50-იანი წლების მოწინავე იდეებით  
გატაცებული მედიკოსი-სტუდენტი უფრო ხში-  
რად ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუმარი  
გახლდათ: იგი განსაკუთრებული გულსისყუით  
სმენდა ისტორიკოსების — კურიაევიცისა და  
პრანოვსკის ლექციებს. ამავე დროს ახალგაზრდა  
ივანე ფსიქოლოგიის გულგაგულ შესწავლასაც  
შეუღდა.

საქართველოში  
დაბადდა 1812 წელს

მრავალმხრივი იყო ამ ახალგაზრდის ინტერესები: მას ხშირად ხედავდნენ მუსიკოსთა და ლიტერატორთა წრეებშიც, სადაც ცხარე კამათი იმართებოდა ხოლმე ხელოვნების, ლიტერატურისა და პოლიტიკის საკითხთა ირგვლივ.

ქინებ ვინმე იფიქროს, სეჩენოვს განვლუბოდეს მედიცინისადმი ინტერესი. არა. მართალია, მან სამედიცინო ფაკულტეტის ლექციებზე სიარულს უკლო, მაგრამ გამოცდებს მინც წარმატებით აპირებდა და, რაც მთავარია, ხარბად ეწაფებოდა ყოველსავე ახალსა და მოწინავეს მეცნიერებაში.

ფიზიოლოგიისადმი ინტერესი სეჩენოვს სტუდენტობის პერიოდშივე გაელვია. თუმცა მეოთხე კურსზე იგი ვატყვიებით ისმენდა ცნობილი დოსტაქრის ფ. ინოზემცევის ლექციებს და საერთოდ კლინიკური მეცადინეობით მეტად იყო დაინტერესებული, მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი უმუშაოობა მოწოდებდა თეორიული მედიცინა იყო.

უნივერსიტეტის დამთავრებისას სეჩენოვს დედა გარდაეცვალა. ახალგაზრდა მეცნიერს დედისგან მცირე რამ სამკვიდრო დარჩა, რამაც შეაძლებინა საზღვარგარეთ გამგზავრება. სანაშენებარი წელი დაჰყო მან საზღვარგარეთ. მუშაობდა ბერლინში, ლაიპციგსა და ჰაიდელბერგში გამოჩენილ მეცნიერებთან — დუმბუ-რაიმონთან, ჰელპოლცთან, ლუდვიგთან და ფუნკესთან, ფიზიოლოგიური ქიმიის საკითხებზე დაამუშავა ჰოპე-ზაილერის ლაბორატორიაში, მოისმინა იოჰანეს შუელერის, ფიზიკოს მავნუსის, ქიმიკოს ბუნზენისა და სხვათა ლექციები. საზღვარგარეთ ყოფნის დროსვე გაეცნო იგი ჩარლზ დარვინის ახალგაშობულ ეპოქალურ ნაშრომს — „სახეობა წარმოშობა“. ასე ყალიბდებოდა შესანიშნავი მოაზროვნე, მატერიალისტი ფიზიოლოგი, სამავალითო მოქალაქე და ადამიანი.

ივანე სეჩენოვმა საზღვარგარეთ ყოფნისას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი. როცა თავი საქაოდ მოწიფულად იგრძნო, სადისერტაციო ნაშრომის დამუშავებასაც მიჰყო ხელი. სადისერტაციო თემად მან ალკოჰოლით დათრობის ორგანიზმზე გავლენის შესწავლა აირჩია. დასახული პრობლემის მრავალმხრივად შესასწავლად სეჩენოვმა სხვადასხვა ლაბორატორიაში იმუშავა. სადისერტაციო თემას ერთ-ერთი საკითხი იყო იმის დადგენა, თუ როგორია სისხლის მიერ ყანებადის მიერთების უნარი სიფხიზლისა და სიმთვარის დროს. ამ საკითხის შესწავლის პროცეს-

ში იგი მეთოდოკურ სიძნელეებს მაგრამ გამოჩენილ ფიზიოლოგთან, ლუდვიგთან მუშაობით ეს დაბრკოლება წარმატებით გადალახა. სახელდობრ, მან გამოიყენა იმჟამად ხმარებული მთავარი ხელსაწყო, რომლითაც ქიმიკოსები ვაზთა შინთქმის განსაზღვრავდნენ, და გამოიმუშავა ახალი ტიპის აბსორბციომეტრი, რომლითაც კარგად ხერხდება ცხოველთა სისხლში გაზების განსაზღვრა. ამან სეჩენოვს საშუალება მისცა გულდასმით გამოეყვლია სისხლის მიერ ნაზშირორქანგის მიერთებისა და სისხლიდან მისი გამოყოფის საკითხი. ეს საშუალო მან საბოლოოდ მრავალი წლის შემდეგ მოათავა. ამ ნაშუშუერის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათს აღწერას დღევანდელ ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოებშიც შეხვდებით.

შესანიშნავი ადამიანისა და მეცნიერის, ჰელპოლცის ლაბორატორიაში სეჩენოვი გაეცნო თვალის დიოპტრიული აპარატის — სინათლის სხივთა გამტარი ნაწილის — ავებულებას და აღმოაჩინა თვალის კაცლის ბროლის ფლუორესცენციის (გამოსხივისების) მოვლენა. ეს გამოკვლევა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ფრანგი მეცნიერის რენიოს ნაშრომის შემდეგ. ამისთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერი განაგრძობდა სადისერტაციო თემის დამუშავებას, რომელიც მალე მოათავა და წარმატებით დაიცვა კიდევ პეტერბურგში 1860 წელს.

1858 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრის გამგეობაზე პროფესორმა თ. ინოზემცევმა ი. სეჩენოვის კანდიდატურა წამოაყენა. პროფესურის ერთმა, რეაქციულად განწყობილმა, ნაწილმა მხარი არ დაუჭირა ამ კანდიდატურას. ჯერ კიდევ არჩევების ჩატარებამდე ერთმა პროფესორმა განაცხაო: სიჩნოვი ფიზიოლოგიათ არ არის დაინტერესებული, იგი ფსიქოლოგი არისო. სეჩენოვს კანდიდატურა გააშავეს. ამის შემდეგ მას რუსეთში სამოღვწეო პერსპექტივა აღარ გააჩნა და კვლავ ჰაიდელბერგს გაემგზავრა ჰელპოლცთან და ბუნზენთან სამუშაოდ.

დოსტაქციის დაივის შემდია, 1860 წელს, ი. სეჩენოვი პეტერბურგის მედიკურ-ქირურგიულ აკადემიაში მიიწვიეს ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორად. მან აქ პირველ ჯერში რუსეთისთვის იმჟამად სრულიად უცხო კურსის — ელექტროფიზიოლოგიის კითხვა დაიწყო. ფიზიოლოგიის ეს ნაწილი, რომელიც იმ დროისთვის სრულიად ახალი სიტყვა იყო (დღეს ეს დარგი მეტად განვითარებულია; კერძოდ, ქართველ ელექტროფიზიოლოგთა



ნაშრომები საქვეყნოდ არის ცნობილი), სეჩენოვმა ამ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებელთან, ლუბტა-რაიონთან შესწავლა გერმანიაში. ლექციებში გამოთქმულ დებულებათა დემონსტრაციას სეჩენოვი სათანადო ცდებით ახდენდა. რთული მასალის სადად, ვასაგები ენით გადმოცემა, საინტერესო ცდების დემონსტრაცია და თვით ლექტორის პირადი მომხიბლობა გახდა იმას საწინაღობი, რომ ამ ლექციებს დიდი გულსყურით ისმენდნენ არა მარტო მედიკოსი სტუდენტები, არამედ გარეშე პირნიც: ლექციების დროს აუდიტორიაში ტყეა არ იყო ხოლმე. ხალხმრავალი და ესოდენ დინამიკურსებული აუდიტორია, ცხადია, კარგ ნიადაგს წარმოადგენდა მატერიალისტური იდეების სავრთავანდოდ. ვარდა ამისა, ახალგაზრდა პროფესორი მუდამ დიდი ხალისით კითხულობდა საჯარო ლექციებს, რომლებსაც ხალხი ძალიან ეტანებოდა. აკადემიურმა და საჯარო ლექციებზეც სეჩენოვს მალე გაუთქვეს სახელი.

მატერიალისტურ ნიადაგზე მკვიდრად დგომა მთელი სიცხადით გამოქვივის ჯერ კიდევ ახალგაზრდა სეჩენოვის სადისერტაციო ნაშრომში. ამ ნაშრომის თეზისებში ავტორი ხაზს უსვამს ერთი მხრით იმ დებულებას, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედება რეფლექსური ხასიათისაა და მეორე მხრით იმას, რომ ორგანიზმში მოქმედებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გარესამყაროს. ორივე ეს დებულება კიდევ უფრო მეტად არის განვითარებული და დასაბუთებული მის მომდევნო ნაშრომებში, განსაკუთრებით კი მის სახელგანთქმულ ტრაქტატში — „თავის ტვინის რეფლექსები“.

„თავის ტვინის რეფლექსები“ შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ პირველ წიგნად ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგიაში. ამ წიგნში განვითარებული დებულებები დღესაც მრავალმხრივ არის საინტერესო; ხოლო თავის დროისთვის ამ ტრაქტატმა რევოლუცია მოახდინა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო მეცნიერული აზროვნების ისტორიაში. სეჩენოვმა მრავალი მეტყველო მავალით დასაბუთა, რომ აღმართისა და ცხოველთა ყოველგვარი მოქმედების საფუძველს მატერიალური, ფიზიოლოგიური პროცესები შეადგენს. ფსიქიკური მოქმედება, ცნობიერი თუ ეგრეთწოდებული არაცნობიერი სულიერი საწყარო თავისი წარმოშობით რეფლექსური ბუნებისაა. თუ არ მრავალფეროვანი შინაგანი და გარეგანი გაღიზიანებანი, რომლინიც გამოდებიან მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე და მის უმაღლეს განყო-

ფილებაზე — თავის ტვინზე, ფსიქიკური მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა. მრავალი ფაქტის მეცნიერული ანალიზის ნიადაგზე სეჩენოვი მიდის იმ დსკენამდე, რომ გარესამყარო გადაწყვეტს როლს თამაშებს ფსიქიკური ცხოვრებისა და ცნობიერების ფორმირებაში. ამ დებულების ავტორი დაჯერებულია, რომ „ზანგს, ლაპლანდიელს, ბაშკირს ევროპული განათლება ევროპელთა საზოგადოებაში ისეთი აღამიანად ვარდამენის, რომელიც თავისი ფსიქიკური შინაარსით მეტისმეტად მცირედ თუ განსხვავდება განათლებული ევროპელისგან“. აღსანიშნავია, რომ ივანე პავლოვი, უმაღლესი ნერვული მოქმედების მოძღვრების შემქმნელი, მუდამ ვარძობდა სეჩენოვის იდეათა სსსოვეთო გავლენას. 1906 წელს იგი წერდა: „ჩვენი გამოკვლევის გამოსავალ წერტილად მე მიმაჩნია 1863 წლის მიწურული, როცა გამოქვეყნდა სეჩენოვის ცნობილი ნარკვევი „თავის ტვინის რეფლექსები“.

აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სეჩენოვმა დაამტკიცა ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ძირითადი პროცესის — შეკავების არსებობა. იმხანად ფიზიოლოგთათვის ცნობილი იყო ძმების ვებერების აღმოჩენა, რომ გულთან დაკავშირებული ე. წ. ცოთილი ნერვის გაღიზიანება იწვევს გულს მოქმედების შეჩერებას, შეკავებას. სეჩენოვმა დაამტკიცა, რომ თავის ტვინის განსაზღვრული მიდამოს, ე. წ. შუამდებარე ტვინის გაღიზიანებაც, ცოთილი ნერვის შეკავებელი გავლენის მსგავსად, იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის (ტვინის) მოქმედების დაკნინება-შეკავებას. სეჩენოვმა ისიც დაამტკიცა, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების შეკავება აღმოცენდება არა მარტო შაშინ, როცა ტვინი უშუალოდ ღიზიანდება, არამედ მაშინაც, როცა პერიფერიულ, ე. წ. მგარნობიარე ნერვებს ვაღიზიანებთ. ორგანიზმის ესა თუ ის მოქმედება განსაზღვრება იმის მიხედვით. თუ როგორია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე ორი ძირითადი პროცესის — ავზნებისა და შეკავების ურთიერთობა. ეს დებულება სეჩენოვის შემდეგ ივანე პავლოვმა განავითარა.

შეკავების პრობლემა კარდინალური პრობლემაა ცენტრალური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიაში. ამ პროცესის ბუნების ამოხსნას მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა მსოფლიოს სხვადასხვა ლაბორატორიიდან. ამ პრობლემის შესწავლას დღეს უახლესი და ზუსტი ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევებით აწარმოებენ. კვლევის ამ დარგში, სხვათა შორის, მნიშვნელოვანი ამაგი აქვთ გიწუ-



ლი ქართველ ფიზიოლოგებსაც ივანე ბერიტა-შვილის მეთაურობით.

გადაკარგებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდელი ნეიროფიზიოლოგიის (ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის) ძირითად პრობლემათა უმეტესობა სეჩენოვიდან მომდინარეობს — მისგან იყო თავის დროზე წამოჭრილი და, იმდროინდელი ცოდნის შესაბამისად, ნაწილობრივ მისგანვე იყო გადაწყვეტილი. ძნელია წინამდებარე წერილში ამ საკითხთა დაწვრილებით განხილვა. დაეკმაყოფილებით მათი სქემატური აღწერით.

დღეს ყველა ფიზიოლოგისთვის უდავო ფაქტს წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ავზნებადობის — ავზნების წარმოების უნარის — ცვალებადობა სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად. ამ საკითხის პირველი მკვლევართაგანი სეჩენოვი გახლდათ. მან დაამტკიცა, რომ თუ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს ესა თუ ის გაღიზიანება, იქნება ის ტენიის მოქმედების აღმქრელი თუ მასზე უფრო სუსტი ძალისა, ყველა ამ შემთხვევაში ხდება ტენიის ავზნებადობის აღმატება: ტენიში მოქმედების გამოწვევა გადავილდება. სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად ცვალებადობს ცენტრალური ნერვული სისტემის საპასუხო რეაქცია: ერთი და იმავე გაღიზიანების პასუხად შეიძლება სხვადასხვაგვარი რეაქცია მივიღოთ იმის მიხედვით, თუ როგორია თითო ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობა.

ცენტრალური ნერვული სისტემის ბევრნაირი მოქმედების გამოვლინებაში სეჩენოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კუნთში არსებულ სპეციალურ ნერვულ დაბოლოებათა გაღიზიანებას. ამ მგრძობიარე დაბოლოებათა გაღიზიანების შედეგად, სეჩენოვის გამოკვლევით, სათანადო სიგნალიზაცია გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რაც ე. წ. „კუნთური შეგრძობების“ საფუძველს წარმოადგენს. ამ სიგნალიზაციას, სეჩენოვის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკური მოქმედებისთვისაც, რამდენადაც ფსიქიკურ აქტთა შედეგად ჩვენ ბოლოსდაბოლოს ვღებულობთ ამა თუ იმ მოძრაობას, მოძრაობა კი კუნთთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. სეჩენოვმა პირველმა აღწერა ის ელემენტარული ეფექტები, რომლებიც თავის ტენიის ღეროვან ნაწილში აღმოცენდება. მანვე დაამტკიცა, რომ ეს ფაქტები წარმოიშვის „სპონტანურად“, ე. ი. რაიმე თვალსაჩინო გარეგანი ზემოქმედების გარეშე. დღეს ეს ფაქტი საყოველთაოდ არის აღიარებული ტენიის ყველა ვანყოფინების მიმართ. თუ ელექტროფიზიოლოგიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა მკვლევარის ხელთ

არის უზუსტესი და მოხერხებული ხერხები, ამგვარი გამოკვლევა ჩვეულებრივი მოვლენაა, სეჩენოვის დროს ეს დიდ გამკრიზიანებას და ენებისყოფას მოითხოვდა. ის ფაქტები, რომლებიც სეჩენოვმა აღწერა შედარებით პრიმიტიული გალვანომეტრის გამოყენებით, ნამდვილ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს.

სეჩენოვის სახელთან არის დაკავშირებული ე. წ. აქტიური დასკვნების ცნებაც. ჩვენ რომ, ვთქვათ, ცალი ხელით ვიმუშაოთ და ეს ხელი დაგვეღალოს, დაღლა უფრო სწრაფად გაივლის იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელის მოსვენებასთან ერთად მოქმედებს რომელიმე სხვა კიდური. თუ პირქითი, დასვენება ისე ხდება, რომ მთელი სხეული უმოქმედოდ არის და მთელი სხეული „ისვენებს“, მაშინ დაღლილი ხელის მუშაობისუნარიანობა უფრო ძნელად და გვიან აღდგება. ეს ერთი შეხედვით პარადოქსული მოვლენაა დღეს მრავალი მკვლევარის გამოკვლევის საგანს შეადგენს. ამავე დროს თვით ამ ფაქტს გამოიყენებენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, აგრეთვე საწარმოებსა და ფაბრიკა-ქარხნებშიც: დაღლილ სპორტსმენთა და მუშა-მოსამსახურეთა შრომისუნარიანობა თვალსაჩინოდ იზრდება, თუ დასვენების ქაშის ისინი გარკვეულ ფიზიკურ ვარჯიშს აწარმოებენ. „აქტიური დასვენების“ თეორიული ასხნა დღესაც ძირითადად სეჩენოვისეულ ასხნას შეესაბამება.

თითქმის 25 წლის განმავლობაში შეისწავლიდა სეჩენოვი სისხლში გაზთა განაწილების ფიზიკურ-ქიმიურ კანონზომიერებებს. ამ გამოკვლევებით მან მარტო ფიზიოლოგია კი არ გაამდიდრა, არამედ ერთგვარი წვლილი შეიტანა ზოგადად ხსნართა თეორიაშიც. სეჩენოვის სიკვდილის შემდეგ მართებულად აღიარეს მისგან შემუშავებული ემპირიული ფორმულა, რომლის თანახმადაც ელექტროლიტის ხსნარში გაზის ხსნადობა დამოკიდებულია ხსნარის კონცენტრაციაზე. ეს ფორმულა „სეჩენოვის განტოლების“ სახელითაა ცნობილი.

60-იანი წლების მიწურულს პეტერბურგის მედიკურ-ქირურგიულ აკადემიაში მომძლავრდა რეაქციული განწყობილი პროფესორა. აკადემიის დირექტორი ყუველწინაროდ ცდილობდა შეეზღუდა მეტად პოპულარული და „დაუდგრომელი“ პროფესორის, ღვიმისმგომბილი ი. სეჩენოვის მოღვაწეობა. მას სულ უფრო და უფრო აუტანელი პირობები შეექნა სამუშაოდ. და აი, 1870 წელს იგი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა აკადემია.

უმუშევრად დარჩენილი სეჩენოვი ოდესის



უნივერსიტეტში მოწყობას შეეცადა. მაგრამ განათლების მინისტრმა არ დაამტკიცა „საშიში პროფესორის“ კანდიდატურა. უმოკლესდ ყოფნას სეჩენოვის ბუნება ვერ ეკუთვნოდა. მან დაიწყო მუშაობა თავისი მეგობრის, ქიმიკოს დ. მენდელეევის ლაბორატორიაში, სადაც მოახდინა აზოტოვანი მეთილის ეთერის სინთეზი და შეისწავლა ამ ნაერთის თვისებები. ერთი წლის შემდეგ მინისტრმა „მოწყალემა მიიღო“ და სეჩენოვი დაამტკიცეს ოდესის უნივერსიტეტის პროფესორად. 5 წელს იმოღვაწევა მან აქ და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში გადავიდა.

„დაუდგრომელი“ პროფესორის წინააღმდეგ დევნა არ შეწყვეტილა. შემონახულია საბუთი, რომლის მიხედვითაც სეჩენოვი არც ოდესაში ყოფილა მოკლებული პოლიციის „მზრუნველ“ მეთვალყურეობას. ამავე მეთვალყურეობის შედეგი იყო, რომ სახელგანთქმული მეცნიერი აკადემიკოსის წოდების ღირსიც არ ვახადეს, თუმცე სამჯერ წამოაყენეს მისი კანდიდატურა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. ერთხელ თვით განაცხადა უარი კენისყრაზე, ორჯერ კი, შვარჯშელ აკადემიკოსთა, განსაკუთრებით კი აკადემიის პრეზიდენტის გრაფ ტოლსტოის გულმოდგინე მეცადინეობით, იგი გააშვეეს. უფრო მეტიც: განათლების მინისტრმა 1887 წელს სეჩენოვისთვის დამსახურებული პროფესორის წოდების მინიჭებამხედაც კი უარი განაცხადა. შეურაცხყოფილმა და ილაგაწყვეტილმა, უკვე ჰარმაგმა მეცნიერმა პეტერბურგი მიატოვა და ერთი წლით სოფლად გაემგზავრა დასასვენებლად.

1888 წელს სეჩენოვი მოსკოვის უნივერსიტეტის პრეზიდენტად მიიწვიეს, ხოლო 3 წლის შემდეგ პროფესორად აირჩიეს ვარდაცვალობო პროფესორის შერემეტეისკის აღგელზე. მას აქყო იგი მოსკოვის უნივერსიტეტს აღარ მოსცილობია.

მოხიცი სეჩენოვი 1904 წლის დეკემბრის დამლ-ს. სიციხის უკანასკნელ წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპტიო წევრად აირჩიეს. 1905 წლის დამდეგს სეჩენოვმა ირონიით აღსავსე სამადლობელი ბარათი გაუგ-

ზავნა აკადემიის მდივანს და თარიღდა 1905 წლის ნაცულად, ვითომ შეცდომით, 1895 წელად დააწერა.

ივანე სეჩენოვი ყოველივე პროგრესულისა და ხალხისთვის სასიკეთო იდეის თავგამოდებული მოსარჩლე იყო მუდამ. იგი ქალთა თანასწორუფლებიანობის დიდი ქომავი იყო, მან დიდი ამაგი დასდო ქალთა უმაღლესი განათლების შემოდების საქმეს. სეჩენოვი ცდილობდა მუდამ ახლო ყოფილიყო ხალხთან. ამისთვის იყო მისი ცალკეული ნაშრომები ესოდენ გასაგები მდაბიო მკითხველისთვის. ამის საუკეთესო ნიმუშია თუნდაც იგივე „თავის ტინის რეფლექსები“ და პოპულარული „ფიზიოლოგიის ნარკვევები“. ამ ნარკვევებში იმდენად სხარტად და გასაგებად არის გადმოცემული ფიზიოლოგიის სხვადასხვა დარგის საფუძვლები, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მიზნიდევლობა.

თავმდაბალი, კდემამოსილი და გულისხმიერი სეჩენოვი მეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო თავის მოწაფეთა და თანამშრომელთა მიმართ. იგი ვერ იტანდა აღამიანებს, რომლებიც პირადი კეთილდევობით იყვნენ დაინტერესებულნი და მეცნიერულ შრომას საშემოსავლო წყაროდ მიიჩნევდნენ. გულმოდგინე წვრთნისა და გარჯის, მეცნიერებისადმი ალალი და სინდისიერი დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ მან გამოზარდა შესანიშნავი მეცნიერები: პირველი ქართველი ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგი ნიკოლოზ ვედენსკი (ი. ბერიტაშვილის მასწავლებელი), ცნობილი ფიზიოლოგები ბ. ვერიგო და მ. შატერნიკოვი, სახელგანთქმული ფარმაკოლოგი ნ. კრავოვი, მიკრობიოლოგი გ. ნანსონი, ჰიგიენისტი გ. ხლოპინი და მრავალი სხვა.

1905 წლის 15 ნოემბერს ი. სეჩენოვი გარდაიცვალა. უტუმრად მისავენეს მისი ცხედარი სასაფლაოზე, უსიტყვოდ ჩაასვენეს სამარეში კუბო, რომელიც გვირგვინით არავის შეუმკია — ასეთი იყო დიდი აღამიანისა და მეცნიერის უკანასკნელი სურვილი.



## აღიქსანერე გეგეკერიძე

# გედგიედი მეცნიერი გედვეერიანის ერთი საკითხის შესახებ

ბელგიელმა მეცნიერმა, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ერარა გარიტმა, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ბელგიური ჟურნალის „Muséon“-ის 71-ე ტომში (1958 წ.) დაბეჭდა საყურადღებო წერილი სათაურით „გიორგი მთაწმიდლის ცნობა ბერძნული „ვარლამის“ წარმოშობის შესახებ“ („Le Témoinage de Georges L' Hagioprite sur l' origine du «Barlaam» Grec“).

წერილის ავტორი ჯერ მოკლედ განიხილავს ბერძნული—„ვარლამის“ წარმოშობის საკითხის კვლევის ისტორიას, ხოლო შემდეგ კი აღნიშნავს, რომ სახელგანთქმული ბელგიელი ქართველოლოგის პ. პეტერსის მიერ მხარდაჭერილი და საერთოდ მიღებული თეზისი — ამ ძეგლის ავტორი ქართველი ექვთიმე ათონელიაო, ამ რამდენიმე წლის წინათ უარყო ცნობილმა გერმანელმა ბიზანტილოგმა ფ. დელგერმა და მის ავტორად იოანე დამასკელი გამოაცხადა. პროფ. გ. გარიტის თქმით, თავისი შეხედულება ფ. დელგერმა „საფუძვლიანად დაამტკიცა ხელნაწერთა ჩვენებების ამომწურავი შესწავლით და თხზულების შინაარსის კრიტიკული ანალიზით“. ე. ი. გოთლის, რომ პროფ. გ. გარიტს დამტკიცებულად მიანია ფ. დელგერის თეზისი. შემდეგ დასძინს, დელგერის წიგნმა ბალეაირიანის შესახებ კვლავ გააცხოველა ამ პრობლემის გარშემო კამათი და მიზეზი შეიქნა მრავალი ახალი ნაშრომის გამოქვეყნებისა და საკითხების კვლევის კიდევ უფრო გაღრმავებისაო.

თვითონ პროფ. გ. გარიტი ამ თავის ნაშრომში ფაქტურად მხოლოდ ერთ საკითხს ეხება. იგი უბრუნდება გიორგი მთაწმიდლის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ იმ ცნობილ პასაჟის თარგმანისა და ინტერპრეტაციის საკითხს, სადაც გამოთქმულია აზრი, რომ ექვთიმემ არა მარტო ბერძნულიდან თარგმნა წიგნები ქართულად, არამედ „ბალაპავარა და აბუკურაბ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილინი ქართლისაგან თარგმნნა ბერძნულად“. პროფ. გ. გარიტს მიზნად დაუსა-

ხავს, კიდევ ერთხელ შეუწამოს დედანს პ. პეტერსის მიერ ლათინურად ორ ვარიანტად ნათარგმნი ეს ტექსტი („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“, თ. 5) და მისი, როგორც ის ამბობს, ზედმიწევნითი თარგმანი და განმარტება წარმოდგინოს. პ. პეტერსს ეს ადგილი ჯერ 1923 წელს აქვს გამოქვეყნებული ერთ ნაშრომში, შემდეგ კი შესწორებული და უფრო დაზუსტებული სახით 1931 წელს — თავის ცნობილ წერილში „ვარლამისა და იოსაფის“ პირველი ლათინური თარგმანი და მისი ბერძნული ორიგინალი“ (ყურნ. „ანალიკტა ბოლანდიანა“, ტ. 49).

პროფ. გ. გარიტს მოჰყავს პეტერსისეული ლათინური თარგმანის ორივე ეს ვარიანტი, შემდეგ — ქართული ორიგინალის შესაბამისი ადგილი აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1946 წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით და ბოლოს საკუთარ თარგმანს ურთავს, რომელშიაც ასწორებს პეტერსის თარგმანის იმ ადგილს, სადაც პეტერსს ქართული ტექსტი: „ამის ღირსისა მოლუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლათა, სიბრძნითა...“ უთარგმნია, როგორც „(vir) ille venerabilis ingenti suo labore... universas disciplinas edoctus est“. მეორე ვარიანტში კი — „(vir) colendus labore suo omnem sapientiam perdidicerat“. ე. ი. პეტერსის ისე გაუგია და უთარგმნია ეს ტექსტი, თითქოს ქართული სიტყვა „ამის“ გულისხმობდეს ექვთიმეს, მაშინ როდესაც აქ იოანე იგულისხმება, ექვთიმეს მამა, რომელმაც თავისი „მოლუაწებით“ განსწავლავოველი სიბრძნით“ შეილი ექვთიმე ქართული მწერლობის ასპარეზზე გულმოდგინედ მუშაობისათვის. პროფ. გ. გარიტი განსაკუთრებით უსევამს ზახს იმ გარემოებას, რომ აქ „ცხოვრების“ ავტორს იოანეს და არა ექვთიმეს საქებად აქვს ნათქვამი ეს სიტყვები.

ამისთან დაკავშირებით პროფ. გ. გარიტი ყუ-





რადღებებს მიაქცევს გიორგის ნათქვამს — „ვი-  
თარცა წამებენ მის (ე. ი. ექვთიმეს) მიერ თარგ-  
მნილთა წიგნთა შინა აღწერილიან ანდერძნი“ —  
და წერილის ავტორი მოიგონებს კიდევ იოანეს  
ცნობილ ანდერძს, რომელიც დართული აქვს  
მათს თავის სახარების თარგმანების ექვთიმე-  
სეულ თარგმანს, სადაც იოანე ჩივის: სახარების  
თარგმანებები („თარგმანება“ განმარტებას, ახს-  
ნას, კომენტირებას ნიშნავს) აქამდე არა გვექონდა  
ქართულ ენაზე, საბერძნეთსა და რომს კი მრავა-  
ლი იყო და „და არა ესოდნე წიგნი აკლდეს  
ენასა ჩვენსა, არამედ სუფანიცა მრავალნი“, და  
შემდეგ — „მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვის,  
რომელ ესრეთ ნაყლულევან იყო ქუთუყანა ქართ-  
ლისა წიგნთავან, და დიდი ხარკება და მოღუა-  
რება ვაჩვენე და შვილი ჩემი ფთოვზე განსწავ-  
ლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამო-  
თარგმანებად წარკჳართე წიგნთა ბერძულისა-  
ვან ქართულად“.

პროფ. ე. ვარიტი ლათინურად თარგმნის ან-  
დერძის ამ ნაწილსაც და ხაზს უსვამს, რომ გი-  
ორგის გამოუყენებია ეს ანდერძი, — ეს მართ-  
ლა ასეც არის, — მაგრამ განსაკუთრებულ ყუ-  
რადღებებს მიაქცევს იმ ვაჩვენებებს, რომ იოანეს  
ანდერძში მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად  
თარგმანება ლაპარაკი და რომ ანდერძში ჩა-  
მოთვლილ წიგნებში ქართულიდან ბერძნულად  
ნათარგმნი „ბალაჰვარი“ და აბუკურა არ ჩანს,  
მაშინ როცა გიორგის თხზულებაში სრულიად  
მკაფიოდ და გარკვევითაა ლაპარაკი ამ საქმეზე.  
ამით პროფ. ე. ვარიტი ერთგვარი ემვის ქვეშ  
აყენებს გიორგი მთაწმიდლის ცნობილ დამოწმე-  
ბას ბერძნული „ბალავარიანის“ ექვთიმესეულო-  
ბის შესახებ და ბოლის აცხადებს: გიორგის ამ  
ანდერძით კი ნამდვილად უსარგებლოა, მაგრამ  
„ბალაჰვარის“ ბერძნული თარგმანის შესახებ  
ამბავი საიდან ამოიღო — უცნობიათ.

ფრიად სამწუხაროა, რომ ბელგიელი მეცნი-  
ერი აღარ აგრძელებს ამ საკითხზე სჯას და არ  
აღნიშნავს იმისაც, რომ, მართალია, გიორგის  
ამჟრად ხელთ ჰქონია იოანეს ეს ანდერძი, მა-  
გრამ ვარდა ამ ანდერძის ბევრი სხვა ანდერძი,  
საბუთი და დამოწმებაც გაუთვალისწინებია თა-  
ვისი მუშაობის დროს და, როგორც თვითონვე  
აღიარებს, ექვთიმემ „თარგმნა წიგნი საღმრთ-  
ონი, რომელთა აღრიცხუებაა კინიდა-და შეუძლე-  
ბელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიტყენ-  
ეთ“. ე. ი. თვით გიორგის მიერ ჩამოთვლილ  
ნუსხაში, რომელიც დასაწყისში თითქმის ზუს-  
ტად მისივეს იოანეს ანდერძის ნუსხას, იოანეს  
ნუსხაზე გადამტკბეთი ოცნე მერტი თხზულებაა  
ჩამოთვლილი და ხაზგასმულია — ქოველივე  
ეს მხოლოდ ნაწილია ექვთიმეს ნამუშავეისაო.  
სრული ქვეშარტებაცაა, რადგან ბევრი მისი ნა-  
შრომი, რომელიც დამტკიცებულია, რომ მას  
ეკუთვნის, აქ არ არის მოხსენებული და ეს შეეხე-

ბა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად ნათარგმ-  
ნებს, არამედ თვით ბერძნებისათვის სრულ-  
ლად დაწერილ შრომებსაც, რომელთაგან ერთის  
ქართული თარგმანი აღმოაჩინა კიდევ აჯად-  
კ. კეკელიძემ (იხ. მისი „ეტიუდები ძველი ქარ-  
თული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. III,  
გვ. 9-11 შდრ., აგრეთვე, უფრ. „ციცხარი“, № 3,  
1956, გვ. 153). ეს უკანასკნელი ვაჩვენებია იმა-  
საც მოწმობს ერთხელ კიდევ, რომ უძველესი  
ქართული მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობის  
მთელი სისრულით შესწავლისათვის ჯერ ისევ  
ბევრი დრო და შრომა დაგვირდება და საკმაოდ  
ბევრი ახლის მოლოდინიც უნდა გვექონდეს.

გიორგი ათონელი არ არის ისეთი მწერალი,  
რომ თვითონ უსაბუთოდ მოეგონოს რაიმე, რა-  
დგან მას კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი ნა-  
შრომის მნიშვნელობა და დანიშნულება — იგი  
უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ ერთგვარი ფარი  
მოძალბებულ ბერძენ ბერთა შემოტევის საწინა-  
აღმდეგოდ და ყველაფერი თუ მტკიცედ, საფუძ-  
ვლიანად და სანდოდ დასაბუთებული არ იქნე-  
ბოდა თხზულებაში, ამას შეიძლებოდა მთელი  
ათონის ქართული კოლონიის საერთო ბედზეც  
მეტად უუკუღმართი გავლენა მოეხდინა.

ამიტომაც, რომ თხზულებს პირველსავე  
გვერდებზე გვამცნობს: მართალია, იოანეს და  
ექვთიმეს გარდაცვალებიდან საქაიო ხანი იყო  
გარდასული, როცა მე ხელი მოვიღე მათი ცხოვ-  
რების აღწერას, მაგრამ „ურწმუნომცა ნუ ვინ  
არს, რამეთუ ჩუენ თავით თვისით არარაჲ  
აღკვერია, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სა-  
რწმუნოთაგანო“ (თ. 4, ივ. ჯავახიშვილის გამო-  
ცემა, გვ. 14.) და აგრეთვე: „თუთ მებრ-  
მათ საქმეთავან, რომელნი-იგი ღუმილთა წამე-  
ბენ და კჳა-მალლად ქადაგებენ ღუაწლთა და  
შრომათა მითთაო“ (იქვე).

გიორგის რომ ბევრი წერილობითი საბუთი  
გამოუყენებია, მათ შორის თვით ექვთიმეს ხე-  
ლიდან გამოსულიც, კარგად ჩანს ეკლავ მის-  
სავე ნათქვამში: „ესე ყოველი თუთ წმინდისა მა-  
მისა ეფთოვებს ქელთა ნუსხისგან დაგვეწრია,  
ვინაჲცა ქეშმარტ არს და უტყუველ“ (თ. 31,  
გვ. 22) და კიდევ — „ესეცა ყოველი მამათავე  
ჩუენთა დაწერილისაგან დაგვეწრიაო“ (თ. 32,  
გვ. 23) და სხვ.

საერთოდ გიორგი ათონელი თავის თხზულე-  
ბაში არ ჩამოთვლის ათონელ ქართველთა ძმობის  
ყველა ღვაწლს, მხოლოდ ზოგ ამბავს გადმოგე-  
ცემს. ამას იგი სრული შეგნებით სჩადის, რა-  
თა, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს (იხ. მისი  
გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 7), „თხზულება  
ავღილი და სისამიონო წასაკითხავი და მოსას-  
მენი ყოფილიყო და მეტის-მეტად ვაჰინარტე-  
ბული, გრძელი არ გამოსულიყო“. როცა ავტო-  
რი მოგვიხიბრობს, რა ქონება შესწირეს იოანემ  
და ექვთიმემ ათანასეს ღიდ ლავრას და ათონის



სხვა მონასტრებს, „რომელნი-იგი მის ჟამსა წუთდა გლახაკ იყვნეს და არა განმრავლებულ ესოდენ“ (თ. 30, გვ. 22), თვითონვე დასძენს: „ყოველთავე ზოგად და თვითოეულად კაცად-კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს, რომელთაგანი რაოდენიჲმე მოვიტყსენოთ და სხუა იგი დავაცადოთ, რაძთა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთაო“ (იქვე). მერე ჩამოთვლის გაცემულ ქონებას: სხვადასხვა მამულების შემოსავალს, სამოსელს, წიგნებს და სხვ., რომელთა ნაწილი მართლაც სიტყვა-სიტყვითა მოხსენიებული თვით დიდი ლავრის დამაარსებლისა და იოანესა და ექვთიმეს გულთაღი მეგობრის ათანასეს ანდერძშიაც, რომელიც 985 წელს, სამივე მოღვაწის სიცოცხლეშივე, არის დაწერილი ბერძნულად და ჩვენამდე მოაღწია კიდევ (შდრ., А. Натров, Иверский монастырь на Афоне, Тифлис, 1909, стр. 206 — 207).

შეიძლება კიდევ ბევრი მაგალითი მოგვეძებნა იმისა, რომ გიორგი ათონელის ნათქვამი სხვა დოკუმენტური მასალითაც შესანიშნავად დასტურდება.

ასე, რომ მართო იოანეს ანდერძში „ბაღაჩის“ მუხსენებლობა არაერთარ შემთხვევაში არ უნდა აძლევდეს საბუთს პატივცემულ მკვლევარს, თუნდაც ირიბად და მოარაკებით ეჭვის ქვეშ დააყენოს გიორგის ცნობა, რომელიც თავისთავად ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მქონე საბუთია ბერძნული ბალაგარიანის წარმოშობის პრობლემის გარკვევის საქმეში. ცხადია, გიორგის სარწმუნო წყარო ჰქონდა, თორემ ბერძენ ბერებთან გაცხარებული დევა-კამათის ხანაში თუნდაც ოდნავ საეჭვო და სადავიდარაბო ცნობას თავის თხზულებაში ვერ შეიტანდა, რადგან, აშკარაა, მოწინააღმდეგეს არ გამოეპარებოდა ეს გარემოება და უთუოდ დააღალატებდა იმ საქმეს, რასაც გიორგის თხზულება მიეძღვნა.

პროფ. ჟ. გარიტის ამ პატარა ნაშრომზე შედარებით ასე ვრცლად იმიტომ შეეჩერდით, რომ ავტორის ერთგვარი მოარაკებით გამოთქმულ მოსაზრებებში გამოსკვივის უნდობლობა ბერძნული „ბალაგარიანის“ ექვთიმესეულობის დამამტკიცებელი საბუთების მიმართ და თანაც მის ეჭვებს, ჩვენი აზრით, საკმაო საფუძველი არ გააჩნია.



როდინე ქოჩიძე

მეოთხე ჩემპიონის მოლოდინი

მირიან რამ ქველი ნათქვამიდან

წლებადელ გაზაფხულზე ჟურნალ „კინ-კარში“ (უფრო კონკრეტულად — № 3, მარტი) დაიბეჭდა წერილი „ჩვენ ტრიბუნებზე ვახედვართ“.

მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ დრო იყო დარჩენილი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე და გულშემატკივრები, როგორც იტყვიან, „ზამთრის ძილში“ იმყოფებოდნენ: არაფერს ამზადებდა ცხრილებს, „დინამოს“ სტადიონის წინ არ ისმოდა „აბტორიტეტთა“ ხმაალაღი და გაუთავებელი დავა ძველი თუ ახალი საფეხბურთო პრობლემების თაობაზე, ჯერ არ იყო ამტყდარი საბილეთო ციებ-ციხელება.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის ზღვა ჯერ არ დღვლდა.

სწორედ მაშინ, იმ წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა დღეს ასაკვადაცილებული უბერსპექტივო ფეხბურთელთა გუნდი კი არაა, რომელიც ზეალ კიდევ უფრო დაბლა დაქანდება და სრულიად დაკარგავს თავის ძველ სახეს, არამედ იგი წარმოადგენს ახალგაზრდულ კოლექტივს, საიმედო მოთამაშეთა ანსამბლს, რომელსაც წინა აქვს კარგი მომავალი, უტყუარი, სასახელო გზა.

მოგახსენებთ, 1958 წელი ჩვენმა გუნდმა ერთობ მოკრძალებულ შედეგით დაამთავრა (შეცხრე ადგილი) და ბევრს (მათს შორის სპეციალისტებსაც კი) არა ჰქონდათ იმის რწმენა, რომ დინამოელები ასე მალე შეძლებდნენ თავის დაღწევას მუშვიდ-მეცხრე ადგილების ქრონიკული ტყუობისაგან.

კიდევ მეტიც. ერთ-ერთმა უიმედო, ეტყობა, მეტისმეტად დადარდინებულმა და გაჯავრებულმა გულშემატკივარმა აღნიშნული სტატიის ავტორს საკმაოდ მოურიდებულ და „გულახილი“ ფორმებში მისწერა რომ...

მეგრამ, დაეანებოთ თავი იმას, თუ რას

წერდა მარტში ვიღაც ურწმუნო თომა. ახლა დეკემბერია, პირველობის გრძელი გზა განვლილია და ჩვენმა სასიყაადლო გუნდმა ჩემპიონატში დაიკავა მესამე ადგილი. ხოლო თანის გათამაშებაში მეოთხედფინალში გავიდა. უმჯობესია ამაზე ვილაპარაკოთ.

11 მოწინააღმდეგე

როცა ლაპარაკია „ა“ კლასის გუნდებზე, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მოსკოვის „დინამო“. თუნდაც ის ფაქტი, რომ დინამოელებმა სსრ კავშირის 21 პირველობიდან 9-ჯერ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული, სადავოს ხდის ამ შესანიშნავი კოლექტივის უძლეველობას, მის პრიორიტეტსა და სახელოვან ტრადიციებს. ესაა ყველაზე გამოცდილი სატურნირო მეგრძოლი გუნდი, რომლის სახელთანაც მკიდროდა დაკავშირებული სამამულო ფეხბურთის ისტორია და პროგრესი. „დინამოს“ რიგებში ყოველთვის თამაშობდნენ ექსტრა-კლასის გამოჩენილი ფეხბურთელები, შესანიშნავი ტალანტები, რომელთა ინდივიდუალური შესაძლებლობანი და ტექნიკური სრულყოფა ფეხბურთის სახელმძღვანელო გამოდგებოდა. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ამ გუნდის თამაში დამყარებული ცალკეულ „სოლისტთა“ საკონცერტო განწყობილებაზე. აქ ყველაფერი დამორჩილებული და დაქვემდებარებულია გონივრულად გაზრებულ, მკაცრ სამოქმედო გეგმას, ერთიან მიზანს, სადაც მაქსიმალურადაა გამოყენებული თვითთული ფეხბურთელის ყოველი თავისებურება და ინდივიდუალური დეტალი. სათადარიგო ძალებში დინამოელებს არასოდეს უგრძმენიათ ნაკლებობა, ამიტომ მათ საშუალება აქვთ სხვა გუნდებზე უკეთ გადაიტანონ გრძელი და დამქანცივი საფეხბურთო მარათონი.

რა შეიძლება ითქვას გუნდზე. რომელმაც ჩემპიონატში ყველაზე მეტი თამაში მოიგო (13), ყველაზე ნაკლები წააგო (4) და ბურთე-

ბის ყველაზე უკეთესი შეფარდება აქვს (42:21)? შეიძლება ითქვას, რომ იგი სამართლიანად ფლობს უმღირესის ტიტულს.

მეორე ადგილი ჩემპიონატში დაიკავა მის-კოვის „ლოკომოტივმა“. რკინიგზელებს ორჯერ ახსოვთ ისეთი ტრიუმფი, როგორცია სსრ კავშირის თასის მოგება, მაგრამ ამჯერა მალალ სიფხურზე პირველობის გათამაშებაში გუნდი დღემდე არ ასულა.

რით მიადწინს ლოკომოტიველებმა ესოდენ დიდ წარმატებას? შეიძლება ითქვას, რომ გუნდს განსაკუთრებული და აშკარად გამოკე-თილი არაფერი ჰქონია. უბრალოდ, „ლოკომო-ტივი“ — ესაა უადრესად შრომისუნარიანი, ენერჯული, დაუღალავი კოლექტივი, რომლისთვისაც ყოველი მატი გადაწყვეტი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა და ბრძო-ლა წარმატების მისაღწევად აქ წარმოებს ძალ-თა დაუზოგავად, სრული სიმძლავრით. მინ-დორზე გატარებული 90 წუთის გარდა გუნდის წევრებს მჭიდროდ აკავშირებთ საერთო ინტე-რესები, ახლო მეგობრობა. თუ ამას დაემა-ტებთ ცალკეულ მოთამაშეთა შესანიშნავ თიზა-კურ მომზადებას, მაღალ მორალურ თვისებებს, დიდი სისწრაფით თამაშის უნარს, საკმაო ტექ-ნიკას და აგრესიულობას, ცხადია, რომ მთ-თვის ვერცხლის მედლები დამსახურებულნი ჯდებიან.

ნამდვილი ფუტბოლი მოახდინეს წელს „ა“ კლასში როსტოვის არმიელებმა, რომლებაც ყოველგვარი შიშისა და „მოზოდიშების“ გარე-შობა; როგორც თანასწორნი თანასწორებთან, ჩაებნენ ბრძოლაში უძლიერესებთან და ვა-თამაშების პირველივე ტურიდან შეუდგნენ ქუ-ლების მოგროვებას. შეიძლება ითქვას: გვიან-ხავს „ა“ კლასში მისული დებუტანტები, რომლებსაც მთელი თავიანთი ძალა შეუღე-ვიათ ასეთი ძღვევამოსილი მგზავრობისათვის ერთი საფეხბურთო მინდერიდან მეორისაკენ, მაგრამ ხელ მალე იმეფე გზას სწავნიან დეგო მხარეს გაყვლიანი (აქ, რა თქმა უნდა, მოკ-ყვით მინკის „სპარტაკის“ კლასიკური ნემე-ში). მართალია, ასეთი მაგალითები ყოფილა სიფხურთო პრაქტიკაში და ალბათ მომავალ-შიც იქნება, მაგრამ სწორი არ იქნებოდა როს-ტოველთა წარმატება მხოლოდ მათს ენთუ-ზიანს, თავგამოდებასა და „შეე მუშობას“ მიეწეროთ. ყველა ზემოზამოთვილის გარდა როსტოველ ფეხბურთელებს კარგი ურთიერ-მოქმედება და ზუსტი გადაცემები აქვთ. შეუქ-ლიათ კონტროლის დაწესება მინდგრას შუა-გულზე და თავდასამხებლთა შორის ჰყავთ შედეგაანი. ძლიერი ფეხბურთელები (პონდელ-ნიკი, მოსალიოვი). მიუმატეთ ამას დაუღალავი, ძლიერი დაცვა და მიიღებთ იმ გუნდს, რო-

მელსაც 1959 წლის სეზონის შედეგებში ჩემპიონთა რისხეა უწოდეს.

გაცილებით უფრო ცუდად, ვიდრე შარშან, ჩაატარა გათამაშება მოსკოვის „სპარტაკმა“. მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვო-დით, რომ სპარტაკელებმა ცუდად ითამაშეს ჩემ-პიონატის პირველი ნახევარი, როცა მწვრთნე-ლები თითქმის ყოველ თამაშში ცვლიდნენ შემაღდენლობას, ახდენდნენ ექსპერიმენტებს, სინჯავდნენ მოთამაშეებს. მე არ ვიცი, რატომ არ გამოყავდა გუნდის ხელმძღვანელობას მინ-დორზე „ძველი გვარლია“, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ახლის ძიებაში გუნდი ერთიანს სამარცხ-ვინო მდგომარეობაშიც კი იმყოფებოდა. საბო-ლოლოდ მდგომარეობა გამოასწორეს ისევე ძველ-მა ოსტატებმა (რასაკვირველია, პროგრესის გზაზე მდგარი ახალგაზრდობის დახმარებით) და „სპარტაკმა“ მეორე წრეში წააგო მხოლოდ ერთი შეხვედრა (თბილისის „დინამოსთან“).

თავის ძველ ჩვეულებაზე წელსაც მტკიცედ იღვდა მოსკოვის „ტორპედო“, რომელსაც საო-ცარი არათანმიმდევრობით ატარებს მატჩებს. ტორპედოელებს შეუძლიათ დღეს ბრწყინვალე სტილში დაამარცხონ ძლიერი მოწინააღმდეგე და ზგალ უადრესად სუსტად, ყოველგვარი მონდომებისა და აღმაფრენის გარეშე ითამა-შონ. ამისდამიხედვით გუნდის შედეგებიც არა-მდგრადი და მერყეობა.

შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად დაუცლეს თამაშის კლასს კიევის „დინამომ“, ლენინგრადის „ზენიტმა“ და სტალინოს „შახ-ტორმა“. არავითარი პროგრესი არ დატყო-ბიათ კლიბიშვიის „რილია სოვეტოვსა“ და კიშინიოვის „პოლოდოვას“, მაგრამ ეს არაფე-რი ამ არიერგარდს წელს შეუერთდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი გუნდი — ცსკ მო, რომელმაც მესამე ადგილი-დან მეცხრეზე გადაინაცვლა.

ამ გუნდზე ღირს ცალკე საუბარი. თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში საყვედურობ-დნენ არმიელებსა და მათს მწვრთნელს ბ. არ-კალიევს, რომ ისინი ზედმეტად არიან გაართუ-ლი ე. წ. ათლეტური ფეხბურთით, სიადე არა თუ მთავარი, არამედ უბოყრესი ყურადღება ექცევა გამძლეობას, სისწრაფეს, ძალისმე-რბობლას, ხოლო რბილ. უმაღლესი კლასის ტექნიკაზე აგებული თამაში, ტაქტიკური მან-ვილგონიერება, ნატივი ხელოვნება უყანა ბლანზეა გადაწვეული „ერთ გალაყნაზე“ თა-მამის ლოზუნგის მიღმა ფაქტიურად იმაღებო-და ნამდვილი „ურტყი და ირბნე“. ამგულე-ბმა ერთბაშს სცადეს გამოეყინონათ ბრაზი-ლიური 4+2+4, მაგრამ არ რთულ ტაქტიკის სკირდება რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხ-ბურთელი, გუნდს კი არც დიდი ჰყავდა, არც



ბელ და არც გარინა. ამიტომ არმიელთა თამაშის სქემა თანდათან პრიმიტივამდე დავიდა და საბალოდ მეტრებ ადგილის სახე მიიღო.

11 მზირო

შეთანხმდეთ თავიდანვე, რომ ასეთი სათაური არაა სწორი. რა თქმა უნდა, 11 მოთამაშეს არ შეუძლია დიკციონის მესამე ადგილი საკავშირო ჩეპაიონატში და აღადგინოს თითქმის ხელიდან წასული ტრადიციები (ჩვენ კი ეს მესამე ადგილი სწორედ ამ მინიშნელობით გვესმას). გულის ფეხზე წააოყენება ეს იყო რთული, უპირატესად რთული და შრომატევადი სამუშაო, რაშიც მონაწილეობდნენ ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც, საზოგადოებრივი თუ სააღმოსადა სპეციალურად მოწოდებული ორგანიზაციებაც და მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა. მაგრამ საფეხბურთო გუნდში 11 მოთამაშეა და ეროვნული ფეხბურთის სახეს მაინც ისინი ქმნიან.

ახლა უკვე ცხადი და ნათელი შეიქნა, რომ ჩვენ არ გვპირდება მოწვეული სპეციალისტები და მპაბათიებელი ფეხბურთელები. საქართველოში ფეხბურთი უყვარს, საქართველოში ფეხბურთს თამაშობენ და ჩვენ შეგვწევს იმდენი ძალა, ნიჭი და უნარი, რომ „ჩვენს თავსვე ვეყუდნოდეთ“.

პირველი სიტყვა, რასაკვირველია, ეკუთვნის მწვრთნელებს — ანდრო ჟორდანიასა და ნესტორ ჩხატარაშვილს. მათი უდიდესი, დაუფასებელი ღვაწლია ის, რომ დინამოელთა პოტენციური შესაძლებლობანი გაიშალა მთელი თავისი ბრწყინვალეობითა და მომზიბელობით, რომ ნამდვილი ქართული, სამხრეთული ფეხბურთი — ლამაზი, ტემპიანი, ცეცხლოვანი — დღეს კვლავ განიცდის აღორძინებას და დიდ საფეხბურთო სტადიონებზე მაყურებლები კვლავ ხედავენ იმას, რასაც წლობით იყენენ დანატრებულნი.

მე ჩემი თვალთ ვნახე მოსკოვში (როცა თბილისელებმა დაამარცხეს დედაქალაქის თანაკლებლები) როგორ გრიალებდა ტრიბუნები სამხრეთელთა ყოველი შტურმისას, როგორ გაიძახოდნენ რომელიღაც ფრანგული დღეღამის წევრები — „ბიენ, ბიენ“, როგორ იტრიაკეს სელში მაყურებლებმა ჩვენი მოთამაშეები მატჩის დამთავრების შემდეგ.

ა. ჟორდანიას და ნ. ჩხატარაშვილის დამსახურებაა ის, რომ მათ გუნდის წარმატება ააგეს ეროვნული ფეხბურთის თვისებებზე, სადაც უხედავად გამოყენებული დრბლონიც, მოძრაობა, ტემპიკამენტი, სისწრაფე, ეფექტური ფინტები, სადაც ყოველთვის იგრძნობა ინდივიდუ-

ლური ოსტატობა და ძალადუტანებლობა. ვისუფლეს, გაბედული და თამაში წამოწყებაში. მწვრთნელთა გეგმა — ესაა ძირითადი ღერძი, ტილო, რომელზეც მოთამაშეებმა საკუთარი ნიჭისა და ინდივიდუალობის შესაბამისად, ზედმეტი შეზღუდვის გარეშე უნდა შექმნან ერთიანი კომპოზიცია, დასრულებული ნახატი. ყველაფერი ამასთან ერთად გუნდს აქვს თავისი, განეკრძალებული სპეციფიკური სახე, რაც ესოდენ ღირსშესანიშნავი და დასაფასებელია ფეხბურთში.

და ამიტომ, მე ვფიქრობ, XXI საკავშირო ჩემპიონატის მთავარი მოვლენა იყო არა როსტოველთა მიერ დაკავებული მოთხე ადვალა, არამედ თბილისის „დინამოს“ თავისებური, ლამაზი, მაღალტექნიკური ფეხბურთი.

ქრუხესა და ეხოვში მოთამაშე ბავშვებს უყვარს, თავიანთ მისურებზე ნომრების მიყვარება. ეს თავისებური ბარომეტრია: აპას მზუნველეთ შევიძლიათ იმსჯელოთ, თუ აქედნამდვილ გუნდში ვინაა საუკეთესო მოთამაშე. იყო დრო, როცა ბავშვების ორ მესამედს ზურგზე „9“ ეწერა. მაშინ თბილისის „დინამოში“ ბორის პაიჭაძე თამაშობდა. შემდეგ ეს ნომერი შეცვალა „ათიანა“ (დოლობერაძე), შემდეგ გამოჩნდა „11“ (მესხი), „16“ (იამანიძე) და ბოლოს, როცა ს. კოტრიკაძემ კიევი ორი პენალტი ზედიზედ აიღო, „ერთიანებს“ თვალა არა ჰქონდა.

თბილისელთა მეკარემ ღირსეულად დაიმსახურა ეს პოზუტარობა. იგი თავისი გუნდის კარის ერთგული და უშიშარი დარაჯია, სწრაფი რეაქციის მქონე დაუღალავი მოთამაშე, მაგრამ დინამოელთა მეკარის ნაკლია ის, რომ იგი ზოგჯერ წინადაუხედავად ტოვებს თავის პოსტს და უდროოდ გამოდის საჯარიმო მიუდანხე. ამ ნაკლის გამოსწორება ს. კოტრიკაძისათვის გადაუდებელი ამოცანაა.

გაცილებით უკეთ, ვიდრე წინა წლებში, თამაშობს დღეს დინამოელთა დაცვა. აქ უკვე აღარ სუფევს ის ქაოსი, როცა მოწინააღმდეგე ფორვარდებს სულ უბრალოდ, არა თავიანთი დამსახურების, არამედ დაცვის უხეში შეცდომების წყალობით შეეძლოთ გაეტანათ დაუმსახურებელი გოლები. ახლა ესაა ორგანიზაოლი, შეთანხმებული ხაზი, სადაც ინდივიდუალური ბრძოლისუნარიანობის, პირისპირ „ანგარიშსწორების“ გარდა უდიდესი მნიშვნელობა ექცევა საერთო ურთიერთმოქმედებას, დაზღვევას, პოზიციურ განლაგებას. „თეთრი ლაქები“ საჯარიმო მოვლანხე თანდათან ისპობა, ყოველი მოპირდაპირე თავდასხმელი სავანგებო აღრიცხვაზეა აყვანილი.

კარის უენებელყოფისათვის ბრძოლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ცენტრალურმა მცველ-

მა ვ. თორაძემ. შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები, ენერჯია, სისწრაფე მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს ვრცელ ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში გადაინაცვლოს ფლანგზე ან მიწისქვეშა პარტიზოლების დახმარებულად. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორად მან შეგნაბა დაცვას ის მორალური ძალა და „სიბრავე“, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოპირდაპირე თავდასხმასთან ბრძოლაში.

ნელნელა, თანდათანობით, მაგრამ დამაჯერებლად ჩამოყალიბდა როგორც გარკვეული ტიპის მოთამაშე მარჯვენა მცველი გ. ჩოხელი. მისი წინასწარიზიდან გამოყვანა თითქმის შეუძლებელია, ამიტომაც, რომ გ. ჩოხელი მატჩებს ადარებს სტაბილური სიძლიერით, ჩაგარდნების გარეშე.

ამჟამად არ იყო ფორმაში სეზონის დასაწყისში მარცხენა მცველი გ. ხოქოლაეა. გარდა იმისა, რომ მას შესაძლებელი აქვდა სისწრაფე, ხოქოლაეა ხშირად უშვებდა ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს, ვერ იცავდა ზომიერებას მოწინააღმდეგესთან უშუალო „დუელის“ დროს, მაგრამ პირველი მატჩების შემდეგ ეს ძლიერი მცველი შევიდა ფორმაში, როგორც იტყვიან, მოქებას საკუთარი თავი და „დინამოს“ კარის უხეფათობის ერთ-ერთ ბურჯად იქცა.

ნამდვილი შენაძენი გამოდგა თბილისელთა გუნდისათვის მარჯვენა ნახევარმცველი ჯ. ზეინკლიშვილი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ შუა სეზონიდან იქნა შეყვანილი. მისი თამაში პირველ ხანებში ადვანტილიან შემფოთუნას იწვევდა, ვინაიდან ყოფილი თავდასხმელი სათანადოდ ვერ ეგუებოდა მცველის ფუნქციების შესრულებას, ამოვარდნილი იყო საერთო სამოქმედო სქემაში; მაგრამ ბუნებრივი მრავალფეროვანი ტალანტის წყალობით, მწვრთნელების მზარუნველი ხელმძღვანელობით ზეინკლიშვილი შეეწვია თავის ახალ ადგილს და მაშინაც კი, როცა მისი უახლოესი მეზობელი შ. იაშანიძე თავის ხანგრძლივ რეიდებს ახდენდა მოწინააღმდეგეთა დრმა ზურგში, ზეინკლიშვილი იმდენ სათამაშო ტაქტს იჩენდა, რომ არ მიეტოვებინა დაცვის ხაზი და საკუთარის გარდა ვერცერთი ზონისთვისაც ეყარაულა. ეს მეტად საჭირო იყო ჩვენი გუნდისათვის.

რაც შეეხება შ. იაშანიძეს, ეს უკვე საჯანგებო თემაა. შ. იაშანიძე კარგა ხანია თბილისის „დინამოს“ თავდასხმაში თამაშობდა, მისი სახელი საკმაოდ ცნობილია საფეხბურთო მიწდვრებზე, მაგრამ ის, რაც იაშანიძემ გააკეთა წელს, შორსა სკდება შეფასება „კარგს“. მოხდა იაქ, რომ მწვრთნელებმა იგი გადაიყვანეს ნახევარ-

დაცვაში და აქ ამ შესანიშნავი ფეხბურთელი ნაბი მოილო თავისი ბაწყინეალებით გამოჩნდა.

უწინ მას თითქოს არ ჰყოფნიდა ინსაიდისათვის განკუთვნილი სივრცე და ზედმეტი ინდივიდუალური თამაშის წყალობით არახელსაყრელ შედეგულებას ქმნიდა მეტოქის საჯარბო მოვლანზე, კარის უშუალო მეტევა კიანურდებოდა, ახლა კი იაშანიძეს ფართო ვასაქანი მიეცა, მისი დინამიზონი ვაფრთოდდა: როგორც იტყვიან, „ღიდ ხომალს — დიდი ცურავო“. ამას გარდა იაშანიძისათვის თითქმის არა აქვს წინშეწელობა რამდენ მოწინააღმდეგესთან ექნება საქმე და სად. ბურთის ტარების უხალლო ტექნიკა, თავისიბოროტი დრიბოლიანი მას საშუალებას აძლევს ურთულეს და უმძიმეს სიტუაციასშიც კი გამარჯვებულად გამოვიდეს „ხელჩართულ ბრძოლაში“.

ასევე გამოიქვანეს ადგალი მარჯვენა ფრთაზე თ. მალაშვილს. ცენტროგარდის პოსტზე ჩატარებული უფერული სეზონის შემდეგ წამოიჭრა აუცილებლობა მისთვის სხვა, უფრო შესაფერისი როლის მიკუთვნებისა. არ როგორ შეიძლებოდა არ ეთამაშა ასეთი მონაცემებისა და გადასწყვეტი დარტყმის მქონე ფეხბურთელს? და აი მე-7 ნომრით მაისურზე იგი სულ სხვა ძალად წარმოგვიდგა. აქ მას მეტი სითამაშე და მანერების საშუალება მიეცა. შედეგი — 11 გატანილი გოლი.

ორიგინალურ ფიგურად ჩანს გუნდში ვ. ბარქაია. თამაშის მანერით, ტაქტიკური ჩანაფიქრის თავისებურებით იგი საგრძნობლად განსხვავდება სხვა თავდასხმელებისაგან და თითქმის მათს საწინააღმდეგო ტონსაც წარმოადგენს, მაგრამ ესაა სწორედ ის კომბინაციური ერთეული, რომელიც ჰაერით ესაჭიროებოდა ჩვენს გუნდს და თუ დღეს დინამოლები თამაშობენ ბურთის გაუთავებელი დღეების გარეშე, თუ უსარგებლო გარდოგარდმო ვადაცემთა ინსტრანელები შეიცვალა ეფექტური, საქმიანი გათამაშებით — ამაში უდავოდ გარკვეული დამსახურება მიუძღვის ვ. ბარქაიას.

კარგა ხანია თბილისის „დინამოს“ არა ჰყოლია ნამდვილი თავდასხმის ცენტრი, რელიეფურად გამოყოფილი ფეხბურთელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ტპიური კომბინაციების სისტემატური გათამაშება არა მარტო მიწდვრის შუაში, არამედ უშუალოდ კარის წილ, მისი აღების მიზნით. ასეთი ცენტრი მიიღო გუნდმა ზ. ყალოვის სახით. ვახსენებ სეზონის დასაწყისში, როცა იგი საოცარ შრომისუნარიანობას იჩენდა, იწყებდა და ამთავრებდა შეტევებს, როცა იგი სრული ბატონატრონი იყო მაღალ მიწოდებებზე თამაშისას და მეკარებებსაც კი ართმევდა ბურთს ხელიდან. შემდგომში, ეტყობა, მას ზომავს მეტი დატ-



ვირთვა მისცეს ოლიმპიურ გუნდში ვარჯიშისა და თამაშისას და დაქანცულობამ თავი იჩინა სეზონის დასასრულსათვის. მაგრამ ეს მხოლოდ შედარებითი ამბავი აღმოჩნდა და კალოვს ჩემპიონატის ბოლო მატჩამდე ერთ-ერთად გაქონდა გოლბი მოწინააღმდეგეთა კარში. 1959 წლის სეზონში იგი საუკეთესო სწავლევით და გაზეთ „ტრუდის“ თასის მფლობელი ყველაზე მეტი ვატანილი ბურთებისათვის (16).

და აი, მივადექით მარცხენა შუამარბს. მაგრამ ძნელია ავთანდილ ლოლობერიძის როლი და ღვაწლი მხოლოდ № 10 მოთამაშის ფუნქციებით შემოვფარგლოთ. მისი მნიშვნელობა შორს სედება ავთ ეიწრო გავებას. ა. ლოლობერიძე დამახატებულად შევიდა ქართულ და საბჭოთა ფეხბურთში როგორც დიდი ოსტატი. თავისებური, კოლორიტული ფიგურა. დავეცოთ მისი პასპორტი, როგორც ე. წ. ვეტერანობის ერთადერთი მოწმე და მაჩვენებელი, ა. ლოლობერიძე დღეაღ გუნდის სულსა და გულს წარმოადგენს და კვლავ ახალგაზრდული ენერჯით თამაშობს. მის ვარშემო იჭრებება კოლექტივი. იგია ტონის მიძეცი, მის გვერდით სწაელობს ახალგაზრდობა ნამდვილი ფეხბურთის თამაშს.

მარცხენა ფრთაზე ჩვენს გუნდში თამაშობს საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის ძირითადი წევრი მ. მესხი. უკვე ეს ფაქტი თავისთავად ყოვლისმთქმელია. როცა მესხი თამაშობს, მოწინააღმდეგე გუნდის წინაშე დამატებითი პრობლემებია წამოჭრილი, რომელთა გადაწყვეტა ხშირად მოითხოვს დამატებითი ძალების კონცენტრაციას ან ფლანგზე, სპეციალურ დონისძიებებს საფრთხის ლევიდავისათვის, ეს კი დინამიკურებს დამატებით შესაძლებლობებს უქმნის ცვალონ შეტევის მთავარი მიმართულება, დაქსაქსონ მოპირდაპირე დაცვის მოთამაშებზე. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არაა. მესხს აქვს თავისი ტექნიკური ილუთები, თავისი ფინტები, რომლებსაც ის ასრულებს უდიდეს სისწრაფეზე, სრულიად მოულოდნელ ვითარებაში, თვალშეუცლები მოპირაობით. ამ ორიგინალობისათვისაა, რომ მის გაშისხლას საგანგებო ინტერესით ელიან არა მარტო თბილისის სტადიონზე, არამედ მოსკოვშიც, ლენინგრადშიც, კიევიშიც, უცხოეთშიც.

ესაა თბილისის „დინამოს“ ოქროს ფონდი, რომელმაც დაიწყო ქართული ფეხბურთის აღორძინება. და რახან ამხე მიღება საქმე, არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა განმეორდეს მეშვიდე და მეცხრე ადგილების ისტორია. წარმატება შემთხვევითი არაა, იგი კანონზომიერია, ამიტომ საჭიროა მისი ერთხელ და სამუდამოდ შენარჩუნება.

რა ეშლებათ ზოგინათებს

მე არ დავასახელებ მათს გვარებს, ორივე ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტია და სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორივენი წარსულში თამაშობდნენ მოსკოვის საუკეთესო გუნდებში.

საქმე გვარებში არაა.

მე მითთან სხვადასხვა დროს პირადი საუბარი მქონდა შ. იამანიძის შესახებ და ორივემ დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა: რა თქმა უნდა, შოთა დიდი ფეხბურთელია, შესანიშნავი ტექნიკოსი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მას ნახევარცენტრის ადგილს არ მივანდობდით. როგორ. შეიძლება ნახევარცენტრში ისეირნოს მინდორზე, რაღაც თავსატეხი ფოკუსები აყეთოს, ნაცელად იმისა, რომ ოფენსი ტერმინთა ემსახურებოდეს თავის „საშტატო“ გატრიტორიასა და ზონასო. ერთი სიტყვით, მათ მთელი ეს ამბავი ავანტიურად მიიჩნდათ.

მაგრამ ა. ეორდანიამ და ნ. ჩხატარაშვილმა თამაშად ანდეს შ. იამანიძეს ნახევარცენტრის ადგილი და მოსამკალი თამაგად მოიძიეს.

ფეხბურთი — ესაა შემოქმედება, იმპროვიზაცია, ესაა თამაში, რომელსაც უყვარს სიხალე, მოულოდნელობანი, რომელშიც ბევრს რაჟებს წყვეტს გამჟღავნობა და მოგვერტ ტაქტიკური თავხედობაც კი.

იამანიძე ხომ იამანიძე არ იქნებოდა, რომ ფეხდაფეხ ედია № 8 მოთამაშისათვის და კანკალით ექეპრა უკან, თავისი კარისაკენ. მართალია, ხშირად დარჩენილა მისი ადგილი და მოთამაშეც უყურადღებოდ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ ვარიანტში სასწრაფოდ გადმოდიოდა დაცვაში ლოლობერიძე, დუღლაჟად იღვწოდნენ მეგობრის ტვირთის საზიდად ხან ზეინკლოშვილი, ხან ზოქოლაეა, ხან თორაძე. ეს იყო გუნდის ჩინაფიქრი, მისი ერთ-ერთი მთავარი კოზირი და მან სრული გამაროლება პპოვა.

მართალია, ხშირად იყო შემთხვევები, როცა დინამიკურები მეტად მძიმე მდგომარეობაში ხედებოდნენ და გოლებსაც დებულბოდნენ, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ მოწინააღმდეგენი, რომელთა კარებში ჩვენმა ფეხბურთელებმა გაიტანეს ბურთების ყველაზე მეტი რაოდენობა — 48, ღირს თუ არა ასეთ რისკზე წავსავ? რა თქმა უნდა, ღირს! შეიძლება წაავო ერთი მატჩი, სამაგეოროდ მოიგებთ ათს, ვარდა ამისა, სწორედ ესაა ის ფეხბურთი, რომელიც დიდი ხანია მოენატრათ მკურებლებს: მოულოდნელობებით აღსაცხე, მწვევე, საინტერესო, საბრძოლო სოლისკვეთებით გამსჭვალული. ამიტომ იყო წესლჩენი ფეხბურთელების თამაშში ამდენი ექსტა-

ზი, ხოლო იამანიძის რამდენიმე გოლი ნამდვილ საფეხბურთო ექსპრტის წარმოადგენდა.

სწორედ წერა ფეხბურთის ცნობილი მიმომხილველი ა. ლეონტიევი, რომ განვიღო ჩემპიონატში მორალური გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვესო; ეს იმიტომ, რომ ჩვენი გუნდი თამაშობდა შემოქმედებითად, ტემპიანად, აზარტით, გამბედავად, ცოცხლად. თამაშობდა და არა ტყვნიდა დროგამტარ რეცეპტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნებოდა მესხის ტექნიკური შედეგები.

ყველაფერი ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს გუნდში დღეს ყველაფერი აბსოლუტურ წესრიგზეა პირიქით. ამ მიღწევების ფონზე კიდევ უფრო ნათლად ჩანს სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები, რომლებიც მთელი კოლექტივის საზრუნავს წარმოადგენს. უპირველესად ყოვლისა უნდა გადაიჭრას სრულფასოვანი, მაღალი კვალიფიკაციის რეზერვის საკითხი. ვანა დასამალია, რომ სე-

ზონის მთელი სიმახმე 12-13 მოთამაშეს დააწვა მხრებზე? საჭირო მომენტში მზად უნდა იყო თანაბარი სიძლიერის შემცველი, რომელიც არ დაზარალებს გუნდს. მით უმეტეს, რომ ვაისად მოსალოდნელია რამდენიმე ვეტერანის წასვლა კოლექტივიდან.

### მეოთხე ჩემპიონი

1939 წლიდან მოყოლებული დღემდე ჩატარდა საბჭოთა კავშირის 21 პირველობა. 21 ჩემპიონი ფაქტიურად ესაა 3 გუნდი: „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), ცსკმო (მოსკოვი). ვანა ეს ცოტა არაა? მეტიც — ბოლო 8 წლის განმავლობაში ჩემპიონები მოსაწყენი ერთფეროვნებით იცვლებიან: „დინამო“ — „სპარტაკი“, „სპარტაკი“ — „დინამო“.

დროა თუ არა გამოჩნდეს მეოთხე ჩემპიონი? დროა, კარგა ხანია დროა!

ეს კარგად უნდა ახსოვდეს თბილისის „დინამოს“ ყოველ წევრს, თვითეულ ფეხბურთელს.





ასპტრიკა

ბრაზილიის ხელოვნების  
გამოფენა

ვენაში, შილერის მოედანზე, აკადემიის შენობაში გაიხსნა ბრაზილიის ხელოვნების გამოფენა, სადაც ნაჩვენებია ბრაზილიის საუკეთესო მხატვართა და ხელოვანთა ნამუშევრები.

უპირველესად მოსახყენიებელი კანდალო პორტინარის მიერ ვირტუოზულად და უნაზღესი ფერებით შესრულებული სურათები ბრაზილიის ხალხის ცხოვრებიდან: კანგაჩროები, რომლებიც გაქორცვებამ გახადა ყაჩაღებად, კარაიას ტომის ინდიელების ცხოვრების ამსახველი ტილოები, დამატკეველებელი სურათი „ომი“ და სხვ.

აქვეა კავალკანტისა და დიარონას რეალისტური სურათები, სადაც ვხვდავთ მშრომელ აღამიანებს მუშაობის დროს. მარტინის და სილვეირას სურათები „პროცესია“, „კანულო“ და „ჯანყებულენი“ მნახველს ატყვევებს ცოცხალი ფერებით. აქვეა რიონონის, მარტინის და კლარა ჰეტენის ნახატები.

გრაფიკა წარმოდგენილია ბრაზილიის ძველი გრაფიკის ვოლდის რამდენიმე ნამუშევრით, ლივიო აბრამის მიერ დიდი გულმოდგინებით შესრულებული ხეზე ამონაქერი სურათებით ქალაქისა და სოფლის ცხოვრების თემებზე გრამანის ფანტასტიური სივრცების სურათებით და ანა ლეტინიას სპილენძზე გრაფიკით.

აქვეა წარმოდგენილი რუ-

სეთში დაბადებული ლაზარ სეგალის ნამუშევრები. იგი 1906 წ. რუსეთიდან გერმანიაში გადასახლდა ხსწავლებლად. აქ მან, როგორც ხელოვანმა, საერთო ევროპული მასშტაბის აღაარება ჰპოვა, შემდეგში კი ბრაზილიაში გადასახლდა. გრაფიკა მრავლადაა წარმოდგენილი სხვათა ნამუშევრებთაც.

პლასტიკა წარმოდგენილია ბრუნო ვიროჯის დახვეწილი ნამუშევრებით.

იდეურად მდიდარი და კარგია ლუჯია პაპეს, პედროსო ჰორტას, ვოლბის, ფიამინგოს, კარვოს, ინიმა დე პაულას და სხვათა ნაწარმოებები.

არგენტინა

ალვარო იუნკას  
იუზილი

არგენტინის პროგრესულმა წრებმა აღნიშნეს ცნობილი არგენტინელი მწერლის, ლიტერატურათმცოდნის, ისტორიკოსისა და მშვიდობისათვის მებრძოლის არისტიდეს ვანდოლფი ერეროს 70 წლისთავი. მწერლის ფევედონიმა ალვარო იუნკე.

„ყოველივე ნამდვილად ხალხური, ნამდვილად მოწინაე, ნამდვილად რევოლუციური, რაც კია არგენტინულ კულტურაში, უსაზღვრო სიხარულითა და მადლიერების გრძობით შეიმობა ალვარო იუნკეს სამოცდაათი წლის თავს“, — წერს დემოკრატიული შურნალი „კუადერნოს დე კულტურა“.

მისი აზრით ალვარო იუნკეს შემოქმედებითი გზა და არ-

გენტინის ხალხური, რევოლუციური კულტურის მიერ უკანასკნელი 40 წლის განავლობაში განვლილი გზა ერთი და იგივეა. ალვარო იუნკე მონაწილეობას იღებდა პროლეტარული „სახალხო თეატრის“, „კომუნისტური პარტიის თეატრის“ შექმნაში, პროგრესულ მწერალთა გაერთიანებებში: „კლარიადალსა“ და „აიაპერში“, ხელმძღვანელობდა დემოკრატიულ ლიტერატურულ შურნალებს.

სამხედრო დიქტატურის მიმე დღეებში მან ითავა ანტი-იმპერიალისტური და ანტიფაშისტური გაუთვის „პატრიოტას“ ხელმძღვანელობა, რაც მას დაპატიმრებისა და ემიგრაციის ფასად დაუჯდა. მისი მებრძოლი, პოლემიკური ხასიათის სტატიები რამდენიმე ტომს გაავსებს.

შურნალის თქმით, „ალვარო იუნკემ თავისი კალამი რევოლუციასა და მშრომელ ხალხს ამსახურა“. გასაოცრად მრავალმხრივია ალვარო იუნკეს შემოქმედება. მის კალამს მიეკუთვნება ფუნდამენტალური ნაშრომი: „არგენტინის სოციალური ლიტერატურა“, აგრეთვე პიესები საბავშვო თეატრისათვის, ლექსების მრავალი კრებული და „არგენტინელი ხალხის მოკლე ისტორია“, რომელიც მარქსისტული პოზიციებიდანაა დაწერილი. ეს ნაშრომი არა მარტო ქვეყნის ისტორიის გამოკვლევაა, არამედ არგენტინის კულტურის გამოკვლევაც.

არც თუ ისე დიდი ხნის გამოსულია მისი ნაწარმოები „ფეხბურთის კლუბი — „სამ-



ხრეთელი ბიჭები“; დიდი ხანი არაა, რაც გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია არგენტინის კულტურის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეზე, ანბალე პონსეზე, და პრესა უკვე იტყობინება, გამოვიდა ალვარო იუნკეს მიერ თარგმანილი ჩინელ პოეტთა ანთოლოგია. ძნელად თუ იპოვნით წიგნების მალაზიის თაროებზე მის ამას წინათ გამოცემულ ნაშრომს: „არგენტინული ლიტერატურის ისტორიული სინთეზი“.

ალვარო იუნკეს კალამს მიეკუთვნება მონოგრაფიები ესტებანე ერევერიასა და რაუელე ბარტტეზე, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელად კალფუკურაზე დაწერილი გამოკვლევა, სადაც აღწერილია მისი ვიზიტული ბრძოლა პაშის დასაცავად თერთკანიან დამპყრობთაგან.

განსაკუთრებით დიდი სახელი მოუხვეჭეს ავტორს მრავალრიცხოვანმა საბავშვო მოთხრობებმა. ამ მოთხრობების გამოცემა ბუენოს აირესის ბავშვებზე. მოთხრობების კრებული ჰქვია „ქალაქის გემები“, საბჭოთა კავშირში გამოიცა მისი ნაწარმოები „თორმეტი წლის მამაკაცები“, ლათინურ ამერიკაში ალვარო იუნკეს არგენტინული საბავშვო ლიტერატურის მამის უწოდებენ.

„იუნკეს საპოეზოთი წელი შეუსრულდა სწორედ ეროვნული დღესასწაული—დროშის“ დღეს, —წერს ფურნალი „კუადრანოს დე კულტურა“, —ჩვენი აზრით ასეთი დამთხვევა სიმბოლურია, ვინაიდან ქვეყნის დიდ არგენტინული მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, მისი საბრძოლო მოღვაწეობა... ჩვენი მტრები ხშირად ამტკიცებენ, თითქოს კომუნისტები არ გამოხატებენ ნაციონალურ გრძობებს. ალვარო იუნკეს შემოქმედება სრულიად საწინააღმდეგავს დაღლებს“.

### აშშ

#### მშვიდობის მომხრეთა ხმა

სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის პოეტების ნაწარმოებებია შეტანილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ კრებულში „მშვიდობის სიმღერები“.

ამ წიგნის შემქმნელებია ქვეყნის მშვიდობის მომხრე სამი ადამიანი: პოეტი, მხატვარი და მეცნიერი.

პოეტმა უოლტერ ლოუენფელდმა შეარჩია და ინგლისურ ენაზე თარგმნა ადამიანის, მისი შემოქმედებითი შრომისა და მშვიდობისადმი მიძღვნილი სხვადასხვა პოეტების ლექსები. მხატვარმა ენტონ რეუდერიმაც წიგნი შეამკო ნიჭიერი ილუსტრაციებით, ნობელის პრემიის ლაურეატმა დოქტორმა ლიანუს პოლინგმა კრებულს წარუმიძღვარა წინასიტყვაობა, რომელშიც მოწოდებულია თავის თანამემამულეთ: „უმღერონ მშვიდობის და იღვარონ მშვიდობის საკეთილდღეოდ“.

#### მარნატი ჰემინგუეის ბეგმედი

პრესის წარმომადგენელთათვის გამართულ ინტერვიუში ჰემინგუეიმ დააპირა თავის გეგმებზე. მან აღნიშნა, რომ „მოხუცი და ზღაპ“ ნაწევრებია რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი ნაწარმოებისა. ეს ნაწილები წარმოადგენენ ფრაგმენტებს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთ მთლიან ნაწარმოებს ქმნიან. ამჟამად ფრაგმენტები ხელნაწერების სახითაა, მაგრამ „თავის დროზე“ გამოქვეყნდება“.

მომავალ წელს თავდება ჰემინგუეისა და გამოცემილობა „სკრინინგს“ შორის დადებული ხელშეკრულება რომანზე: „ვის გახვევებას რეკავს ზარი“.

„მე ვამბობ ამ წიგნის ხმა რებიდან ამოღებას, — განაცხა-

და ჰემინგუეიმ, — ყოველ შემთხვევაში დროებით მინდა გადავთვალეო“.

ამჟამად ერნესტ ჰემინგუეი მუშაობას ამთავრებს „მოგონებებზე“. „ეს იქნება ჩემი რეპორტაჟი, რომელიც მიემატება ჩემდამი მიმდევნილ სხვა უამრავ რეპორტაჟებს. მისი ცენტრალური თემა იქნება პარიზი და დაღუპული თოხბა... მინდა დავბრუნდე პარიზში, მაგრამ ფურნალიტებისა და ინტერვიუს გარეშე, თითქმის არალეგარულად. მინდა ხელახლა მოვინახულო ბარები, ვიარო ხელოვნებზე, კლავიზო ხელოლო გამოკვლების ძველი ნაწარმოებები. მინდა ვიარო დოლსა და კრეფზე, შევხუდე საკეის ახალ მოთამაშებებს და ახალი მოქილავებს, მჭვებთან პატარა იაფი რესტორნები, ვინტიალო ქალაქში და კვლავ ვუპურო იმ ადგილებს, სადაც დამბადებია ჩემი საუკეთესო აზრები“.

ჰემინგუეიმ კვლავ დაადასტურა, ოთხი წლის შემდეგ, როდესაც მან წელი შემაირულებდა, თავს დავანებებ წერას.

#### ბერნარდ შოუს უკანასკნელი პიესის წარმატება

1947 წელს 90 წელს გადაცილებულმა ბერნარდ შოუმ დაწერა თვისი უკანასკნელი პიესა „მხიარული ბილიონემა“.

გამორჩენილი მწერალმა ბოლდში მოხუცადა თავის მკითხველებს „კიდევ ერთი პიესის გამო“, რომელიც მან დაწერა დრამა მოხუცებულობაში, ისეთ ასაკში, როდესაც საკუთარ ბაღშიაც კი უჭირს გაბედულად სიარული. მან თქვა: „სანამ ცოცხალი ვარ, უნდა ვწერო“. წერა რომ შეწყვიტო, ალბათ უსაქმურობა მოჰკლავს“. დიდსულსუნებამ პიესის წინასიტყვაობაში შემდეგი სიტყვები ათქვეყნა ავტორს: „აქაზე უკეთესის დაწერა ვერ შეძელი სიბერეში. მომტკიცეთ“.

ამერიკული პრესის ცნობით ამ პიესას დიდი წარმატება

ხვდა შეერთებულ შტატებში. პიესის ფაბულა ძალზე მარტივია: პანამაში ერთმანეთს გაიცნობს უმაწვილი ქალ-ვაფი, ვაფს მოეწონება ქალი, გაჰყვება და ლონდონში და, ბოლოს, იძულებულს გახდის ცოლად წაჰყვებს. ყოველივე ეს ხდება ბრწყინვალე საზოგადოებასა და პოლიტიკური ინტრიგების ფონზე. პიესა ეხება თანამედროვეობის სხვადასხვა პრობლემას, ატომის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებას აკ.

ბერნარდ შოუ ნაწილობრივ წინასწარ გრძნობდა იმ ცვლილებებს, რაც უნდა მომხდარიყო ყოფა-ცხოვრებაში ატომგულის დაშლის ხერხის აღმოჩენის შედეგად მწერლას ამ აზრების გამოხატავს პიესის ერთ-ერთი ვერსია: „როდესაც ატომი შეგვამდებინებს ორი საათის შრომით გამოვიშუშათ იმდენი, რასაც ორი წლის შრომა სჭირდება, როცა თვალის დახამაშებაში დავძრავთ მთებს და გაეჭრით ლდინართა ახალ კალაპოტებს, მაშინ ბევრი გვექნება თავიუფალი დროც და ამ დროის გამოყენების შესაძლებლობაც. მაშინ ცხოვრება გაცილებით უფრო მდიდარი და საინტერესო გახდება“.

მომავლის ობტუსტური რწმენა სრულიადაც არ უშლის ხელს ბერნარდ შოუს გაამთრახოს ბურჟუაზიული ინსტიტუტები; ის მივლით თავისი სიციხილის განმავლობაში აკრიტიკებდა მათ.

კომენტარები ზეშეშინა...!

ამერიკელმა და იტალიელმა კინემატოგრაფისტებმა პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილის“ მიხედვით დადგეს ფილმი „კაპიტანო“.

ერთმა ხელმძაგვე ამერიკელმა ამ კინოფილმის მიხედვით დაწერა რომანი. გამოცემლებმა რეკლამის მიზნით რომანს „დიად ფილმზე აგებული დადი რომანი“ უწოდეს.

ადვილი წარმოსადგენია, თუ

რა დემარტიბოდა პუშკინის კლასიკურ ნაწარმოებს ორჯერ გადაბრუნების შემდეგ. ამგვარი შემთხვევა იშვიათი როდია. ძალიან ხშირად ამერიკელი ხელოვნების „შეშინა“ ახალ „ნაწარმოებებს“ ნამდვილი ლიტერატურის გადაკეთება-გადამახინჯების ან პოპულარულ ფილმებზე დაუბრუნების გზით. გაზეთი „პიპლა უორლდი“ აღნიშნავს, ყველა ამ რომანს ერთი რამა აქვთ საერთო — ისინი ცუდად არიან დაწერილი.

კანადის გაზეთი „კენედენ ტრიბუნსი“ ამას წინათ გამოქვეყნდა ერთ-ერთი მკითხველის ორიენტიკის წერილი. წერილში ნათქვამი იყო: „მე სრულიად ვიზნად არ ვისახავ კინოფილმ „კაპიტანის“ გაკრიტიკებას. ფილმი საინტერესო, შინაარსიანი და კარგი იდეების მატარებელია, თუმცა საჭირო იყო თავივე ყოფილიყო მითითებულში ამ ფილმის ლიტერატურული პირველწყარო და არა ბოლოში. მაგრამ ამ ამბავში რა რთი მომაწერინა წერილი რედაქციას. მე აღმავსოთა ვინმე კესილის მიერ ამ ფილმის მიხედვით „შეშინა“ რომანმა. ავტორი აღნიშნავს, რომანი ორიგინალური ნაწარმებია, რომელიც ამავე სახელწოდების ფილმიდანა დაწერილია. რომანის კითხვის დროს შევნიშნე უცნაური დამთხვევები: ზოგიერთი ეპიზოდი და დიალოგი, რომელიც ფილმში არაა, შეიძლება მოინახოს პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილში“. განსაკუთრებით აღმავსოთებელია თავსუბრტლის მეორე გვერდზე დაწერილი მიზნით წიგნის ნაწილობრივი ან მთლიანი გადაბეჭდვა. გამოცემლების ნებადართვლად აკრძალულია“

კომენტარები მართლაც შედგებიან!

ნიუ-იორკის სიტი-ოპერაში ამას წინათ გამართა ახალი ამერიკული ოპერების მეორე ციკლი, რომელიც ხუთ ოპერას მოიცავს. უფო ვეისგალმა „ავანგარდულ“, ულტარაგელისტურ ოპერად გადაამუშავა პირანდელოს პიესა — „ექვსი კაცი ციბეს ავტორს“. რომერო უორლდმა თავისი ოპერის სიუჟეტად აიღო ლეონიდა ანდრეევის პიესა კლოუნთა ცხოვრებიდან — „ის, ვისაც სილა გააწნეს“; უორლდის ოპერის მუსიკა მსმენელს მოაგონებს რამანინოვის მუსიკას, ხოლო ამერიკის პირობებში ეს უზრუნველყოფს ოპერის ხანგრძლივ წარმატებას. კარლერო ფლორემა მუსიკაზე გადაიტანა ინგლისელი წერალი კლასიკოსი ქალის ემილია ბრანტიოს რომანი „ქარტხელიანი გადასასვლელი“, თუმცა მისმა მუსიკამ ვერ შესძლო ამ ნაწარმოების დრამატულობისა და ძალის გადმოცემა. უფრო ძლიერი შობებედილება მოახდინა ნორმან დელოუ ფილოს ოპერამ „წმიდა ჟანას ტრიუმფი“, რომლის მკაცრი მუსიკა მოკლებული არაა ფანტაზიას, ხოლო დელოუ რომლი დიდებულადაა დაწერილი. ერთმოქმედებიანი ოპერა აგრეთვე ლი ხოპინს ნაწარმოები „მდგმური“ ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით.

ბელგია

პოპულარიზაციის  
საინტერესო  
ხარისი

ბელგიაში შემოიღეს საინტერესო ღონისძიება, რომლის მიზანია ბელგიის მუზეუმებში შენახული ხელოვნების ნაწარმოებების პოპულარიზაცია და მათი გაცნობა ფართო საზოგადოებრიობისათვის. ამ ღონისძიებაში ჩაებნენ პრესა, რადიო და ტელევიდეა, აგრეთვე ტუ-



ბერძნული ფილოსოფიის  
ლი რისპუბლიკა

### მკვლევარი და სადისტ-ბი მარანჯა

„ფილოსამრევი არაადამიანე-ბი, ამარჯენი სადისტები და თავარდამეცი ჩონჩხები — აი ვინ არიან დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის ეგრანის მთავარი გმირები... ეგრანი კი არა, ბაღდანი-ნია“ — აღნიშნავს გერმანიის დემოკრატიული პრესა.

სექსუალური და კრიმინალური ფილმების ტალახიანა ტალღებმა კბილებამდე ამოკლამა მკურებლები და არავითარ შემთავალს აღარ აძლევს დასავლეთ გერმანელ კინოსამყრებს. ამ უკანასკნელებამაც გადაწყვიტეს „კინოსულოვნების“ ახალი ფორმი: — სადისტური ფილმების დანერგვა. ასეთი ფილმების შემოტანისა და შექმნის აზრი ოკეანის გაღმიდან მოვიდა დასავლეთ გერმანიაში. ბონის „კინომარტველიობა“ ორივე ხელთ ჩაეჭიდა მას.

შურნალ „ნოი ბერლინერ ილუსტრირტ“ ცნობით მიუნხენში ამას წინათ გადაღებულ ფილმში: „გაშიშვლებულნი და ეშმაკი“ ნაჩვენებია ადამიანის თავის გადანერგვის პროცესი. ხოლო კინოფილმ „ბუში“ მკურებელი მოწმეა იმისა, თუ როგორ ჰეჭავს ცოლი ქმარს. ზიდრაფიკურ წიგნში მცენიერული ექსპერიმენტების წატარების დროს...

„დემონი სისხლიანი ხელე-ბით“, „მკვლელის ანატომია“, „სიკვდილი მოიპარება ფეხსაცმლის ლანჩიდან“ და სხვა — ამ ფილმების სათაურებიც კი მათს სადისტურ შინაარსზე დადაბებს.

ასეთი ფილმების წარმოება და ჩვენება, — აღნიშნავს გაზეთი „დერ მორგენი“, — გამიზნულია იმისათვის, რომ ტვინი შეურყიოს მოსახლეო-

რისტული კომპანიები, რომლებმაც მოაწვეეს „საუნჯეუ ნადირობა“. ამ თამაშის მონაწილეთა ამოცანაა დაბეჭდილი ფოტორეპროდუქციების მიხედვით მიაგონ ნაწარმოებს რომელიმე მუზეუმში. თანაშენი სკოლებიც ჩაებნენ. მოწვევლეთა წრეები, რომლებსაც აინტერესებთ ხელოვნება, ადგენენ თავიანთ საუვარელ მუზეუმებში მოთავსებულ ნაწარმევერების სპეციალურ აღნიშვნებს. შემდეგში ეს აღნიშვნები სხვა ქვეყნების სკოლებსაც გავეზავნება.

### ბრაზილია

#### პირველყოფილი მემორბარეზი

ბრაზილიელი მწერალი და მოცეკვავე ქალი ფელისტის გაემგზავრა ცენტრალური ბრაზილიის ყველაზე ველურ მხარეში, ხანტუს რაიონში, სადაც აპირებს სამუდამოდ დასახლებას პირველყოფილ ვუნჯელების ინდიელებში. გაგზავრებამდე მან აიღო სამედიცინო დის დიპლომი, რათა გამოადგეს თავის ინდიელ მეგობრებს.

### ბულგარეთი

#### „ერთი ევრო ორ ქუჩაზე“

ასე ეწოდება ახალ ბულგარულ მხატვრულ ფილმს. ევრო კი ერთია, მაგრამ მცხოვრებლები სულ სხვადასხვაა.

ევროს ერთი სახლი, რომლის მშობი, მდიდრულ ფარდებს იჩით იფარება მდიდართა ცხოვრება: ძვირფასი ტანსაცმელი, ნაირ-ნაირი საქმელებით გაკედილი მაგიდები, ყალიბი ღიმილი და ფუქსავატი ცხოვრება — ერთ ქუჩაზე გადის, ხოლო მეორე ქუჩას ამავე ევროში მცხოვრები ღარიბთა ფანჯრები გადაჭურებს. ამ ფანჯრებს არა აქვს მდიდ-

რული ფარდები, ამ სახლიდან არ გამოდის სურნელოვანი სუნი ნაირ-ნაირი საქმელისა. ამ სახლიდან არ მოისმის ფუქსავატი სიცილი და ჭკების წკრაილში არეული მუსიკის ხმები.

ამ ღარიბულ სახლში სულსაღვს ახალგაზრდა კაცი ვლადკო. მას პოლიციელებმა სცემეს ჯალათების დაუნდობელმა ხელმა ახლადგალოჯებული სიცოცხლე უწყალოდ ამოგლიჯა დედამიწიდან. მისი დაღუპვის მიზეზია მდიდრულ სახლში მცხოვრები მეფობრიკის შვილი, ლეგიონერი კრუმი. მან დაასმინა ვლადკო პოლიციაში.

ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ორი პოლუსის მძაფრი წინააღმდეგობები დღეოდ საფუძვლად თავის სცენარს მწერალმა ბურჩან ენჩევმა. ფილმის დამდგმელი რეჟისორია კირილ ილიჩივი.

### ბერმანია

#### ბერმანიის დემოკრატიული რისპუბლიკა

#### ტორნდაიკების ახალი ფილმი

ენდრიუ და ანელ ტორნდაიკები, რომლებმაც შექმნეს მნიშვნელოვანი დოკუმენტური ფილმები „ტეტრონოა მახვილის ოპერაცია“, „მეტი აღარასოდეს, ამხანაგებო!“ და სხვა, წელიწადზე მეტია მუშაობენ ახალ ვრცელ დოკუმენტურ ფილმზე — საბჭოთა კავშირი, მყოფლებული ოქტომბრის რევოლუციითა და დამთავრებული დღევანდელი შვიდწლიანი გეგმის გიგანტური ამოცანებით. ცოლ-ქმარმა საბჭოთა კინოარქივებში უკვე გასინჯა 100.000 მეტრი კინოფირი, აარჩია 10.000 მეტრი და შეუდგა მუშაობას. ტორნდაიკები წილს დაიწყებენ გადაღებას საბჭოთა კავშირის აზიურ რესპუბლიკებსა და ურალში. ფილმი ეგრანებზე გამოვა 1960 წლის მიწურულს.



ბას, განსაკუთრებით კი ახალ-გაზრდობას. ბონელ „კინო-მრეწველი“ სურთ გამოაწი-ვონ აღამაინებს ყოველგვარი ჰუმანური იდეები. ძველფაშის-ტური იდეების ერთგულ ბუნ-დესვერისა და „ნატოს“ გე-ნერლებს ბარბაროსული სუ-ლისკვეთების ახალგაზრდობა ესპორებათ.

### კურთ ჰოფმანი მუშაობს ახალ ფილმზე

მოსკოვის კინოფესტივალზე პრემიირებული ფილმის „კონ-დერკინდების“ რეჟისორმა კურთ ჰოფ ანმა ჰაინეგასტი-გის სტუდიაში დაიწყო ფილმ „მშვენიერ თავგადასავლის“ გადაღება. ფილმს საფუძვლად უდევს ანტონია რიდგეს მხიარული რომანი — „მოგზაურო-ბა ერთი საოჯახო ალბომის ფურცლებზე“, სადაც იუმორისტიკულადაა დახატული ადა-მიანთა ურთიერთობანი. მოქ-მედება წარმოებს მცირე ვე-რობაში. რომანი სცენარად გა-დააკეთეს ჰ. პაუკმა და გ. ნოი-მანმა. მთავარ როლებს ასრუ-ლებენ ცნობილი მახიობები „ფუნდერკინდებიდან“ — ლი-ლიო პულვერი და რობერტ გრაფი.

### მენსელა

#### მსპანური ამერიკის კოპია

სულან ლისკანოს სტატია — „მსპანურად მოლაპარაკე ამე-რიკის პოეზია“ ახსიათებს პოეზიის განვითარებას მერვე მსოფლიო ომის შემდეგ. ავტორი წერს, რომ დღეს ლათინურ ამერიკაში მთავარი სიტუვა ეკუთვნის პირველი მსოფლიო ომის მერე წარმოშობილი თა-ობის წარმომადგენლებს. ლის-კანოს აზრით, მათი მსოფლ-მხედველობის ჩამოყალიბებაზე გადაწყვეტი გავლენა მოახდინ-ა მერვე მსოფლიო ომმა და საერთოდ ფაშისმთან ბრძოლამ.

აღსანიშნავია, რომ ამჯერად — პირველი მსოფლიო ომის მომ-დევნო წლებისგან განსხვავე-ბით — არ შექმნილა არც ერთი პოეტური სკოლა, რო-მელსაც გადაწყვეტი გავ-ლენა ექნებოდა. საინტერე-სოა დავა ესპანური პოე-ზიის ტრადიციების მიმდევარ პოეტებსა და თანამედროვე დასავლეთის პოეზიის მიმდე-ვარ პოეტებს შორის. სტატის უანანსენელ ნაწილში გავკრი-თთა დახასიათებული ამ თაობის ცალკეული წარმომადგენლე-ბი — მექსიკელი ოქტავიო პასი, კოსტარიკელი კარდონა ბენია, პირაგვაელი ელვიო რო-მერო, გვატემალელი რაულ ედივო და ვენესუელი პოეტე-ბის ჯგუფი ილა გრამიკის, ლიონისა და გერბასის მეთაუ-რობით. ჩამოთვლილ პოეტთა შორის ბევრია ქალი პოეტიც.

### თურქეთი

#### ფანტასტიკური ბრალდება

თურქეთის რეაქციულმა პრესამ ცნობილ თურქ პოეტსა და ანტიფაშისტს ნაზიმ ჰიქ-მეთს წამოუყენა ბრალდება — ჰიქმეთი თურმე სისტემატიუ-რად ჩადის საბჭოთა თურქეს-ტანში, იქიდან ეწევა ანტითურ-ქულ პროპაგანდას და განზრ-ახული აქვს იქ ეროვნული გა-თავისუფლების კომიტეტის შექმნა.

ამ ფანტასტიკურ ბრალდე-ბას ნაზიმ ჰიქმეთმა პრესაში უპასუხა და განაცხადა: თურ-ქეთში არ ვყოფილვარ, რად-გან ასეთი ქვეყანა არ არსე-ბობს; ერთელ ვიყავი უზუე-კისტანში, მაგრამ არავითარი ანტითურქული აგიტაცია არ გამიწვია, რადგან კომუნისტი გახლავართ და საერთოდ არა-სოდეს არ გამიწვია აგიტაცია რომელიმე ქვეყნის, მით უმე-ტეს ჩემი სამშობლოს წინააღ-მდევი. ჰიქმეთმა განაცხადა: ვხედავ, რომ თურქეთმა და-

კარგა თურქი ხალხის კვირუ-პირველი მსოფლიო ომის მერე მოპოვებული თავისი სახელ-მწიფობარები სუვერენიტეტი, მაგრამ ამერიკის მონობისგან თურქეთის გათავისუფლების კომიტეტს შექმნის და უკვე ჰქმნის კიდევ თვით თურქი ხალხი თავის სამშობლოში.

### იაპონია

#### რემორტიორი მზარდები

სამ მსხვილ იაპონურ გავეთს თავის „საშუატო აპარატში“ მწი-ზე მეტი მტრედი ჰყავს. რემორტიორები მტრედებს ატანენ რედაქციაში ახალ ფო-ტო სურათებსა და რეპორტაჟს. მასალას გაცილებით უფრო მალე ლეზულობენ ამ გზით, ვიდრე მანქანით.

### ინგლისი

#### ამის დეკვირება შემქალბებელი!

კაცმა არ იცის რამ აძულა ლონდონის გამომცემლ ბა „ევიდენცილი და ნიკოლსო-ნი“ გამოეცა ოსვენციმის პირ-სისხლიანი კომენდანტის რუ-დოლფ ჰესსის ავტობიოგრა-ფია. იქნება გამომცემლები ფიქრობდნენ, ჰიტლერის ამ ერთგული თანამებრძოლისა და მისროტმკმედის, ფაშისმის მსხვერპლთა სისხლში მოთხე-რილი ადამიანის ავტობიოგრა-ფიის გამოცემით მომავალ თა-ობებს გაავფრთხილებთ?

ყოველკვირიულ ჟურნალ „ოსვერველში“ დაბეჭდილია ამ გამოცემის რეცენზია. „ოსვენციმის კომენდანტის ამ თვითკამყოფლი ბიოგრა-ფიის კითხვებ უფრო საშინელი და ფანტასტიკურია, ვიდრე ქუ-ჩეში მოყალდე ჩონჩხთან შეგედრა, რომელსაც თავზე ქვბა სურავს, ხლო ხელში ქვილა უჭირავს, — წერს რე-ცენსენტი. — თუ წიგნის ტექსტს დავუკვირებთ, ის ყო-



ფილა თვინიერი აღმანი, რომლის სული და გულიც ბუნებისა და სოფლური ცხოვრებისაკენ ილტვოდა. მამ რამ აიძულა გამხდარიყო საკონტენტაციო ბანაის კომენდანტი? ნუთუ მხოლოდ მოვალეობამ?

გასაკარგი კლინიკური დოკუმენტია ეს წიგნი. მის ფურცლებზე ჯალათი მშვიდად და წყნარად მსჯელობს სხვადასხვა ხალხთა „ნაციონალური ღირსებებზე“. ავტორის აზრით ოსვენციმი სხვა არა იყო რა, თუ არ დიდი საწარმო, სადაც მუშახელის დაკომპლექტება წარმოებდა. და თუ მან ვერ მიაღწია ამ მიზანს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ცუდი მომარაგებისა და არაკვალიფიციური მომსახურე პერსონალის ბრალი იყო. ოსვენციმის ჯალათი კომენდანტი თავს გულწიფლად კი ახადებს. თურმე ნუ იტყვით და როცა ობერკაციის დამთავრების შემდეგ კამერებში გაზით მოწამლული ადამიანების გროვას დაინახავდა, „თავს ცუდად გრძნობდა“.

რუდოლფ ჰესი ბი მად ენდობოდა მიტლერსა და მიმლერს, სჯეროდა მათი. იგი ვერ აზროვნებდა, ვერა გრძნობდა მომხდარის საშინალებას და ყოველივე ანაჟურტიკოდ იღებდა. დედებ ა და შვილებს ერთად ხოცავდნენ გაზის კამერებში, დედები ამაოდ ცდილობდნენ შვილების გადარჩენას და ასეთი სურათის მხანჯელ კომენდანტს თურმე გული უჩუყდებოდა.

კომენდანტი ცხოვრობდა მშვიდად და უხიფათოდ, ირველივ კი ეყარა დაზოცილთა გვამები, დალასლანებდნენ ნატანჯე-ნადავი, გასაცოდავებულნი, ნაშუშრილები და დაავადებული ადამიანები. „თითი მზეც კი იჩრდილებოდა იმ დუმილებიდან ამოვარდნილი კვამლით, სადაც ბავშვები იწოდნენ“.

რა ბედი ეწია ამ პირსიხლიან ჯალათს, იგი ხომ სამხედრო დამნაშავეა?

მიუხედავად მის მიერ ჩადენილი შემზარავი ბოროტკომედებისა, ჰესი არამც თუ წერს და აქვეყნებს მემუარებსა, არამედ ჰონორარსაც კი იღებს თავის „ნაწარმოებებში“.

### ზინ იოლ შერლოკ მოლმისის პროტოტიპი

ინგლისის პრესა გამოეხმაურა შერლოკ მოლმისისა და დოქტორ ვატსონის სახეთა შემქმნელის არტურ კონან დოილის დაბადების 100 წლისთავს.

თავდაბალი და ხელმოკლე ექიმი კონან დოილი ლიტერატურაში შევიდა შერლოკ ხოლმისე შექმნილი მოთხრობებით, რომელიც პირველად შერლოკ „სტრეინდ მეგზინის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. ამ მოთხრობებს ისეთი დიდი წარმატება ხვდა, რომ ავტორმა მიატოვა მედცინა და ლიტერატურული შემოსავლით იწყო ცხოვრება. კონან დოილისთვის მისი ისტორიული რომანები უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე დეტექტიური მოთხრობები — ამგვარ მოთხრობებს იგი მხოლოდ შემოსავლისათვის წერდა.

ინგლისელი კრიტიკოსები დავობენ, რომელი ჯიბრია უფრო ავტობიოგრაფიული ხასიათისა — დოქტორი ვატსონი თუ შერლოკ მოლმისი.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით შერლოკ მოლმისის სახით კონან დოილმა თავისი თავი წარმოადგინა. პრესა მხარს უჭერს მეორე, ახად გაგებას, სახელდობრ: რომ მოლმისის სახით შექმნიას ავტორს მხედველობაში მყავდა ედინბურგის მოსპიტლის ცნობილი ექიმი ჟოზეფ ბელი, ხოლო დოქტორი ვატსონი კი თვითონ კონან დოილია.

ამ აზრის დასაბუთებლად ლაპარაკობს ლონდონის პრეში მოტანილი ფაქტი: ბერნარდ შოუსთან საუბარში ვილკამბოქვა, კონან დოილმა მოლმისის

სახით თავისი თავი წარმოადგინაო. მაშინ დედამთავრალმა ბერნარდ შოუმ წამოიძახა: „აი ცილისწამება! მოლმისი ჩალაა, ყოველგვარ სიმპათიას მოკლებული; ვატსონი კი კაცია, ვაჟკაცია, სული და გულია!“

### ისლანდია

#### ლაქნისის ახალი რომანი

განთქმული ისლანდიელი მწერალი ხლდორ ლაკ ნესი, მშვიდობის მსოფლიო საქმის პრემიის და ნობელის პრემიის ლაურეატი, წერს ახალ რომანს. რომელშიც მოქმედება უმთავრესად წარმოებს ამერიკაში, იუტას შტატში, და წალორია იქ მცხოვრები მორონების პრობლემა. დღემდე ლაკნისის შემოქმედება მუდამ ისლანდიის ცხოვრებას ასახავდა.

### იტალია

#### როსალინის ახალი ფილმი

რეჟისორმა რომბერტო როსალინიმ პრესის მეშვეობით ღია წერილით მიმართა სანახაობათა და ტუროზმის მინისტრს უმბერტო ტუპინის და აღნიშნა, იტალიის კინომრწველობაში არსებული მდგომარეობა „სახიფათოდ ანარქიულიაო“.

„მთავრობა სანქციას აძლევს ცუდ გემოვნებას, ამორალიზმს და უხამსობას“, — აცხადებს როსალინი. შემდეგ ამბობს: „ახალმა სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რაგვარ უნდა შევფასოთ კინო — როგორც კულტურა და ხელოვნება, თუ ზეირელი გართობა და საზოგადოების გაბრუნების საშუალება, რასაც, მაგალითად, ადგილი აქვს ტელეხედვაში“.

როსალინი აცხადებს, რომ სამინისტროს ოფიციალურ დაწესებულებებში ფილმის მწარ-



მოებულთა სურვილებსა და შეხედულებებს უფრო მეტი წონა აქვთ, ვიდრე ავტორებისა და რეჟისორების აზრს.

თავითონ რობერტო როსელინი, რომლის ფილმს „გერარდ დელ ლა როვერას“ დიდი წარმატება ხვდა წილად ვენეციის კინოფესტივალზე, ამაჟამად იღებს ახალ ფილმს ჰიტლერული არმიის მიერ რომის ოკუპაციის შესახებ. ფილმის ცენტრშია მოკავშირეთა ჯარების სამი ჯარისკაცი — ამერიკელი, ინგლისელი და რუსი ნებრძოლი, რომლებსაც იტალიელი ანტიფაშისტები მალავენ.

— მე ვიღებ ფილმს ომისდროინდელ რომის ბედზე, რადგან დღევანდელმა ახალგაზრდობამ თითქმის არაფერი იცის იმ დროის შესახებ, — განაცხადა როსელინი. — ამას წინათ საფრანგეთში 15 ახალგაზრდას შევეციოხე, ვინ იყო ჰიტლერი-მეთქი და მხოლოდ ორმა შეძლო პასუხის გაცემა. 14 ახალგაზრდას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ ვინ იყო მუსოლინი, ხოლო მეოთხეთეტმ მითხრა, ეგ იტალიელი კინორეჟისორიაო.

**მემსიკა**

**ფილმი მემსიკის რევოლუციამდე**

მექსიკის რევოლუციასა და მექსიკელი ხალხის ბრძოლას ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის არაერთგზის მიუძღვნია მექსიკელ ხელმოწვევის მუსიკათა ყურადღება.

ამ თემასვე მიეძღვნა ახალი მექსიკური ფერადი მხატვრული ფილმი „ლა კუკარაჩა“ — ამავე სახელწოდებისა მექსიკის რევოლუციის ყველაზე უფრო პოპულარული სიმღერა, რომელიც ამ ფილმის მუსიკის ლეიტმორტოვია.

ფილმს ლადგავში მონაწილეობენ მექსიკის კინემატოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენლები — მსახიობები დო-

ლორეს დელ რიო და მარია ფელიქსი, აგრეთვე რეჟისორი ემილიო ფერნანდესი, რომელიც ფილმში მთავარი გმირის როლს ასრულებს.

როგორც პრესა იუწყება, ემილიო ფერნანდესმა მექსიკის რევოლუციური არმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დავიდა წყარი და მკაფიო სახე შექმნა. მის მიერ წარმოდგენილი გმირი დიდი სილოვანი და დიდი ნებისმიერის მქონე ვაჟაცია. ის მექსიკელი ხალხის ჭეშმარიტი გმირია.

მარია ფელიქსმა და დოლორეს დელ რიომ, რომლებიც პირველად გამოდიან ერთად ფილმში, თავიანთ გმირებს ნამდვილი მექსიკელი ქალის სული შთაბერეს.

ფილმი მაყურებლებს მოუთხრობს მექსიკის 1910 წლის რევოლუციის მონაწილე ადამიანებზე. ფილმში მკაფიოა ნაჩვენები, თუ რა პირნათლად მოხდათ მექსიკელმა ქალებმა თავიანთი ვალი რევოლუციის მძიმე დღეებში.

მარია ფელიქსი მებრძოლი ქალის სოლდადერის როლს ასრულებს. ქალია, მაგრამ ვაჟაცებს არ ჩამოუვარდება მამაცობა და თავგანწირვაში. იგი სიყვარულისა და დედობისთვისაა გაჩენილი. ამ მეორე, ქალურ ბუნებასაც ღრმად ავლენს მეომარი ქალი; იგი უსაზღვროდ ერთგულია თავისი მიჯნურისა და მასთან ერთად იზიარებს მხედრული ცხოვრების ჭირვარას.

არანაკლები ოსტატობით გაართვა თავი მეორე ქალის როლს დოლორეს დელ რიომ. მაყურებელთა წინაშე სოლდადერის სრულიად საწინააღმდეგო ბუნება. დოლორეს დელ რიოს მიერ განახიერებული გმირი ქალი მშვიდი და წუნარი ბუნებია, ის თითქოს შემოხვეულობამ. პირადმა დროამ ჩააბა რევოლუციის რომანტიკაში.

უფროსად „ტემპოს“ სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ფილმი

რევოლუციამ შექმნილი უფრო პოემაა. იგი ნაციონალური წვლილია ნაციონალური კინემატოგრაფიაში.

ფილმი „ლა კუკარაჩა“ წარმოდგენილი იქნა კანის უკანასკნელ კინოფესტივალზე. მექსიკაში მოელოდნენ, რომ სწორედ ეს ფილმი აღინიშნებოდა პრემიით, მაგრამ პრემია მიიღო მეორე მექსიკურმა ფილმმა, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება „ლა კუკარაჩას“ როგორც მხატვრულობით, ისე ტექნიკურადაც.

**მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა**

**ულანბატორის კინოსტუდიაში**

ულანბატორის კინოსტუდიაში დამთავრდა ახალი ფილმის „სახალხო წარმომადგენლის“ გადაღება. ფილმი მიეძღვნა ხალხის ბრძოლას ფეოდალებისა და უცხოელი მხაგვრელების წინააღმდეგ.

გადაიღეს პირველი სახავსო მუსიკალური ფილმი — „სამი მეგობარი“.

**პოლონეთი**

**შოპენის სრული გამოცემა**

ფრედერიკ შოპენის დაბადების 150 წლისთავის გამო (1900 წლის 22 თებერვალი) ვარშავის შოპენის სახ. საზოგადოებამ შეკრდა შოპენის თხზულებათა სრულ კრებულს. გარდა ამისა, ვარშავაში ეწყობა საერთაშორისო კონფერენცია შოპენის შემოქმედების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღვენ მსოფლიოს მუსიკისმცოდნეები და კრიტიკოსები. დღემდე შოპენის სახ. საზოგადოებაში შენახულია 100-ზე მეტი საშენი ნივთი ხასიათის მოხსენება

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

### საბერძნეთი

#### უძველესი სიმღიღრენი

ამას წინათ საბერძნეთის ნავსადგურ პირეაში, სადაც ვაცხოველებული ვაჭრობა იმართება ხოლმე, ხიდის შეკეთების დროს იპოვნეს ათინა-პალადას 8 ფუტის სიმაღლეს ბინჯგაოს ქანდაკება. ამის შემდეგ აღმოაჩინეს კიდევ 8 ქანდაკება, რომლებსაც უდიდესი მხატვრული ღირებულება აქვთ. მეცნიერთა აზრით, ასეთი ფანტასტიკურად მიიღწერი სიძველენი ჯერ არასოდეს უპოვნიათ. ძიება გრძელდება.

### საფრანგეთი

#### მხატვრის პირველი რომანი

ანრი კრეზის იუმორისტული მხატვარია. მის ნახატებს ხშირად შეხვედებით ვაგეთ „იუმონეტ დიპლუმაში“. მხატვარმა დაწერა რომანი „სიგარეტა“. ზოგიერთი ფრანგული გაზეთის აზრით რომანი კარგი გამოდგა.

წიგნის მთავარი გმირი შურნაღისტი. იგი ორმოცი წლისაა. თავისი დაბადების დღეს მშობლიური პარიზის ქუჩებში დასერიწობს, ჯიბეში კი ერთი სიგარეტის საიდლები გროს-ცარ გააჩნია. ათწიერი ფიქრი უტრიალებს თავში; იგი განვლილ ცხოვრებას აჯამებს. ვინაა იგი? ბედნიერი თუ უბედური? ამ კითხვებზე ფეთონდაც ვერ გაუცია პასუხი.

რა თქმა უნდა, ის აქამდეც გრძნობდა, რომ ცხოვრებაში მინცლდამინც ბედნიერი არ ყოფილა, რომ თანამეკლდე შურნაღისტიც ამგვარ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ორმოცი წლის თავზე სიგარეტის უქონლობა განსაკუთრებით მწარე და დამაფიქრებელია.

რომანი მოკლეა და სადაც დაწერილი, შიგ ვერ შეხვედებით ვერავითარ მეტაფორას. პროგრესული პრესის შეფასებით ეს საინტერესო ფსიქოლოგიური ნაწარმოებია.

### საქველი 100 უბანშიდან 88 წიგნს არ კითხვულვობს

ფრანგული ყოველკვირეული შურნალი „არ“ („ხელოვნება“) საინტერესო ციფრებს აქვეყნებს. ეს შურნალი დაკვირვებას აწარმოებს ფრანგ მკითხველებზე.

შარშან საფრანგეთში გამოვიდა 11.725 სხვადასხვა სახელწოდების 100 მილიონი ეგზემპლარი. „რუჟეთი“, ინგლისი, დასავლეთ გერმანიისა და შეერთებული შტატების შემდეგ პირველი ადგილი ჩვენ გვიკავია წიგნის გამოცემის საქმეში“ — აღნიშნავს შურნალი.

პარიზსა და პროვინციებში ჩატარებულმა ანკეტურმა დაკითხვამ ცადაყო, რომ მოსახლეობის 88 პროცენტი სერთოდ არ კითხულობს წიგნს, ხოლო აქედან მკითხველთა 60 პროცენტს შეადგენენ ბავშვები და მოზრდილები, მოზრდილთა შორის კი ქალები მამაკაცებზე მეტს კითხულობენ.

### შემდგომი სარდაფებში ლკება

ფრანგულმა შურნალმა „ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა მეტად ამაღლებებელი წერილი მუზეუმებში საგანგაო მდგომარეობის შესახებ. მუზეუმის რეკონსტრუქცია-შეკეთება არ წარმოებს, დარბაზების სიმცირის გამო ვერ ახერხებენ მხატვრების ექსპოზიციას. ასე, მაგალითად, მხოლოდ ლუვრის ნესტიან სარდაფებში 3.200-ზე მეტი ძვირფასი ნახტი და 1.200 ქანდაკებაა ჩაყრილი; აქვე ფარაონებისდროინდელი ხელოვნების საგანძობი სავსე უამრავი ყუფები, რომლებიც ამ 100 წლის წინათ შემოუღობდეთ ეგვიპტიდან და დღემდე არც კი გაუხსნიათ, არც კი

ციან, შიგ რა აწვევებიც სარდაფებში ყრია 30.000 სხვა ეგვიპტური ნაწარმოები და უძველესი ხელოვნების ნიმუშები.

### უნბრეთი

#### ახალი რომანი მკარნევი

ცნობილმა უნგრელმა კინორეჟისორმა მარტონ კელეტმა დარსულა ახალი ფილმი — „საზღვარი ორ ნაბიჯზე“ ლაიოშ მესტერსაზის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით (რომელსაც საბჭოთა მკ-თხველი იცნობს შურნალ „Иностранная литература“-დან). ფილმი მოგვითხრობს, თუ როგორ გაიქცა ორი ახალგაზრდა კომუნისტი ხორტისტული სახანროდან და რა გადაბდათ თავს. სანამ საზღვარზე გადასვლას მოახერხებდნენ.

### ფილმში არაბ არც მერთი მსახიობი

ბუდაპეშტის კინოსტუდია მალე დაამთავრებს მხატვრული ფილმს „ჩვენი მიწა“. ფილმი იმითაა საინტერესო, რომ მასში არ მონაწილეობენ პროფესიონალი მსახიობები — ფილმის გმირები არიან თანამედროვე უნგრეთის გლეხები. აქ ნაჩვენებია იქნება მთელი ის გზა, რომელიც განვლეს გლეხებმა კერძო მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობამდე.

### ჩემოსლოვაკია

#### ციფრები ქვეყნის კულტურულ მდგომარეობაზე

პრატის გამოცემლობამ „ორბისმა“ გამოსცა ბროშურა: „კულტურის განვითარება ჩეხოსლოვაკიაში“. რომელიც მეტად საინტერესო ფაქტებს შეიცავს:

ბიბლიოთეკების რიცხვის მი-





ხედვით ჩეხოსლოვაკიას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია — ერთ მილიონ მოსახლესზე 1.111 ბიბლიოთეკა მოდის, მაშინ, როდესაც დიდ ბრიტანეთშია — 636, ავსტრიაში — 279, ხოლო დასავლეთ გერმანიაში — 140.

ჩეხოსლოვაკიაში 3.518 კინოთეატრია. ამ მხრივ იგი პირველ ადგილზეა ევროპაში. ჩეხოსლოვაკიის თეატრების მაყურებელთა რიცხვი შარშან იყო 12,5 მილიონზე მეტი კაცი.

ათას კაცზე 24 ტელევიზორი მოდის მაშინ, როდესაც საფრანგეთში 1.000 კაცზე 15 ტელევიზორია, იტალიაში — 14, დასავლეთ გერმანიაში (დასავლეთ ბერლინთან) — 18.

**ლექსების ბიბლიოთეკა**

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირმა დააარსა ახალი ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ალი“. ჟურნალი ვრცლად დაბეჭდავს ჩეხი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს; გარდა ამისა, ჟურნალის ყოველ ნომერს ჩანართის სახით დაერთვება თვალსაჩინო ჩეხი პოეტების ლექსები 2 თაბახის მოცულობით. ამ ჩანართებს, რომლებიც წლის ბოლოს მკითხველს ლექსების მიწოდებულ ბიბლიოთეკას შეუქმნან, გრაფიკულად გააფორმებენ საუკეთესო ჩეხი მხატვრები.

**ჩინეთი**

**ინგლისს გაუსწრო**

ჩინეთში 937 მუზეუმი. ამ მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გაუსწრო ინგლისს და ამჟამად მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შემდეგ.

პეკინში რესტავირებულია ყოფილ საიმპერატორო სასახლეში მოთავსებული მუზეუმი, რომელიც 540 წლისაა. მუზეუმში ახლებურადაა განლაგებული 200.000 ექსპონატი. სამთავარ ღარბაზში გამოფენილი ექსპონატები მნახველს წარმოუდგენენ, თუ რა რაღაც განვითარდა ჩინური ხელოვნება 4 ათასწლეულის მანძილზე, მოყოლებული ნეოლითიდან და გათავებული დღევანდელი დღით. სასახლის მუზეუმი იქნება ჩინეთის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ცოცხალი ილუსტრაცია.

**„ფაიფურის ქალანის“ აღდგენა**

პროვინცია ჩენსიში არის ქალაქი კინტენი, რომელიც ჯერ კიდევ ამ 1500 წლის წინათ განთქმული იყო, როგორც „ფაიფურის ქალაქი“. ამჟამად ჩინური საფაიფურო წარმოების ეს უძველესი ცენტრი ახლებურად აღორძინდება. ფაიფურის წარმოების უძველესი ხერხები იქნება და თანამედროვე ტექნოლოგიით აღიჭურვება. უკანასკნელ წლებში უძველესი რეცეპტების მიხედვით დამზადებულია 40 ახალი, სხვადასხვა ფერის საღებავი ფაიფურისთვის, აგრეთვე 20 საუცხოო ახალი მინაწარი. გამოსაყენებელ ფერებს შორისაა ე. წ. „სამსხვერპლო მეწამული“, — ამ ფერის ხმარება წინათ ნებადართული იყო მხოლოდ იმ ტურქლისთვის, რომელსაც ხმარობდა იმპერატორი მსხვერპლთშეწირვის დროს.


ველესი ხერხები განხორციელებული იქნება და თანამედროვე ტექნოლოგიით აღიჭურვება.

უკანასკნელ წლებში უძველესი რეცეპტების მიხედვით დამზადებულია 40 ახალი, სხვადასხვა ფერის საღებავი ფაიფურისთვის, აგრეთვე 20 საუცხოო ახალი მინაწარი. გამოსაყენებელ ფერებს შორისაა ე. წ. „სამსხვერპლო მეწამული“, — ამ ფერის ხმარება წინათ ნებადართული იყო მხოლოდ იმ ტურქლისთვის, რომელსაც ხმარობდა იმპერატორი მსხვერპლთშეწირვის დროს.

**კოლანდია**

**ეზვის სასაფანტავად**

ამსტერდამის გამოცემილია „კონტაქტმა“ განაცხადა, რომ გამოსაცემად ამზადებს ანაფრანკეს თავდაპირველ ჩანაწერებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მისი „დღიურების“ წიგნს. „ანა ფრანკეს“ დღიური უკვე 21 ენაზე გამოვიდა 4 მილიონ ეგზემლარად. გამოცემლობას და ანა ფრანკეს მამას უნდათ ამ ჩანახატების გამოცემით უარპყონ ცოლისწამება და ეჭვი, თითქოს „დღიური“ წარმოადგენს ფაქტობრივად, ანდა პირველად წიგნითი ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება გამოცემულისაგან.



ფან 6 856.

189

7 57/944  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„**Ц И С К А Р И**“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ГРУЗИНСКОЙ ССР

«**საბჭოთა საქართველო**»